დოც. ქ. მ. თარგამაძე

# ტყის მეურნეობის წარმოების ორგანიზაცია და დაგეგმვა

## (ნაწილი მეორე)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს პროფ. გ. მ. გულისაშვილის და სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტ. პროფ. პ. მ. ჟლენტის რედაქციით

შრომის წითელი დროშის ორდენის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა

19 თბილისი 58

# წინასიტყვაობა

1956 წელს გამოვიდა ტყის მეურნეობის წარმოების ორგანიზაციისა და დაგეგმვის პირველი ნაწილი. სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში მოთავსებული იყო სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს ტექნოლოგიური უმაღლესი სასწავლებლების მთავარ სამმართველოს მიერ დამტკიცებული ტყის მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაციისა და დაგეგმვის კურსის პროგრამიდან შემდეგი განყოფილებები:

1) ტყის მეურნეობის წარმოების ორგანიზაციის საგანი და ამოცანები;

2) ტყის მეურნეობის საწარმოთა ორგანიზაციისა და დაგეგმვის ძირითადი პრინციპები;

3) ტყის მეურნეობის საწარმოო საქმიანობის შემადგენლობა და სტრუქტურა;

4) ტყის მეურნეობის მმართველობის ორგანიზაცია;

5) საწარმოო საშუალებები და მათი გამოყენების ორგანიზაცია ტყის მეურნეობაში;

6) შრომისა და ხელფასის ორგანიზაცია ტყის მეურნეობაში;

7) დანორმვის საფუძვლები ტყის მეურნეობაში;

8) ტყის დაცვის ორგანიზაცია;

9) მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაცია და წარმოების მომსახურება და

10) ტყის მეურნეობის წლიური გეგმის შედგენის მეთოდიკა და სისტემა.

პროგრამიდან დანარჩენი განყოფილებები, როგორიცაა:

1) სატყეო-სამეურნეო სამუშაოთა ორგანიზაცია;

2) სატყეო-საკულტურო სამუშაოთა ორგანიზაცია:

3) ტყის მეურნეობაში სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა ორგანიზაცია;

4) ტყის მეურნეობის საწარმოო პროგრამის დაგეგმვა;

5) თვითღირებულების დაგეგმვა;

6) საფინანსო გეგმა;

7) ოპერაციული დაგეგმვა, აღრიცხვა და ანგარიშგება;

8) სატყეო შემოსავალი და

9) ტყის მეურნეობის საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზის საფუძვლები, მოთავსებულია სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში. სახელმძღვა-

წელო განკუთვნილია ტყის მეურნეობის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის.

ტყის მეურნეობის წარმოების ორგანიზაციისა და დაგეგმვის საგანში სახელმძღვანელო ჯერ არ არის გამოქვეყნებული. ქართულ ენაზე ის პირველად გამოდის და როგორც პირველი შრომა ამ დისციპლინაში შეიძლება შეიცავდეს ნაკლოვანებებს. ყოველი საქმიანი შენიშვნები ავტორის მიერ მიღებული იქნება მადლობით და გამოყენებული შრომის შემდგომი გამოცემისას.

ავტორი.

# 1. სატყეო-სამეურნეო სამუშაოთა ორგანიზაცია

სატყეო-საკულტურო სამუშაოებთან ერთად სატყეო-სამეურნეო სამუშაოები ტყის მეურნეობის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სატყეო-სამეურნეო საქმიანობა მოიცავს: მთავარი სარგებლობის, აღდგენითი, მოვლითი და სანიტარული ჭრებისათვის ტყეკაფების გამოყოფის, აღდგენითი, მოვლითი და სანიტარული ჭრების ჩატარებისა და ამ ჭრებით დამზადებული მერქნის გამოზიდვის, ტყით არაპირდაპირი სარგებლობის, ტყის საზიდი გზების მოწყობისა და ტყის სამელიორაციო სამუშაოებს.

ტყეკაფების გამოყოფა ტყისაგან მით სარგებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დასაწყის პროცესს წარმოადგენს. ტყის მოწყობის შედეგად განისაზღვრება სარევიზიო პერიოდში ტყის მეურნეობის ამა თუ იმ უბანში (კვარტალში, ლიტერში) თუ რა რაოდენობის მერქნის (და რა წესით) მიღებაა შესაძლებელი. ამრიგად, მერქნით სარგებლობის ორგანიზაცია ემყარება ტყის მოწყობის მასალებს. თუ ტყის მეურნეობაში ტყის მოწყობა არ არის ჩატარებული, მხოლოდ სათანადო გამოცდილების მქონე მეტყევე სპეციალისტებისაგან შემდგარ კომისიას, ტყეების ადგილზე შესწავლის შედეგად, შეუძლია განსაზღვროს გარკვეული ვადის განმავლობაში, თუ რა რაოდენობის მერქნის დამზადებაა შესაძლებელი ტყის მეურნეობის ამა თუ იმ უბანში და რა წესით შეიძლება დამზადდეს შერჩეული ხე-ტყე. მოწყობილ ტყეებში ყოველწლიური სარგებლობის მოცულობა, ადგილისა და ჭრების წესების ჩვენებით მოცემულია ტყის მოწყობის წიგნში. ტყით უკეთ სარგებლობისა და ტყის ექსპლოატაციის გაიაფების მიზნით, ტყის მოწყობა ზოგიერთ რაიონში უშვებს, სარევიზიო პერიოდში მოსაჭრელად გამიზნული მერქნის ყოველწლიურად თანაბარ ოდენობით დამზადებასთან ერთად, რამდენიმე ჯერად მის დამზადებას (3—4 წლის მოსაჭრელი მარაგის ერთ წელში დამზადებას). ტყის მეურნეობა ზემოხსენებულის გათვალისწინებით ყოველწლიურად ჰყოფს ტყეკაფის ფონდს. ტყეკაფის ფონდი საზღვრავს მერქნის იმ ოდენობას სორტიმენტების მიხედვით, რომელიც უნდა დამზადდეს ამა თუ იმ სამეურნეო წელს. ტყეკაფების შერჩევას აწარმოებს ტყის მეურნეობის დირექციის მიერ გამოყოფილი მეტყევე სპეციალისტი. როგორც წესი, ტყეკაფის გამოყოფის სამუშაოებს ხელმძღვანელობს სატყეოს უფროსი და მისი თანაშემწე. უფროსი ტყის მცველი და ტყის მცველები მონაწილეობას ღებულობენ ტყეკაფის გამოყოფის სამუშაოს

შესრულებაში. ტყეკაფის გამოყოფისათვის წარმოებს შემდეგი მოსამზადებელი მუშაობა:

1. ისაზღვრება ჩასატარებელი მუშაობის მოცულობა, ვლინდება ის ნაკვეთები, სადაც პირველ რიგში უნდა ჩატარდეს ტყეკაფის გამოყოფა (წინა წლებში აუთვისებელი ტყეკაფები, მოუჭრელი ხეები იმ უბნებში, რომლებიც მდგომარეობის მიხედვით პირველ რიგში საჭიროებენ ჭრების ჩატარებას, გამოფიტული ტყის უბნები და, აგრეთვე, ის ფართობები, რომლებიც მოითხოვენ გაწმენდას და ა. შ.).

2. მოწმდება, ზუსტდება საგეგმო, სატაქსაციო და ინვენტარიზაციის მასალები, ტყის ფონდის აღრიცხვის დოკუმენტები და სხვ.

3. დგება ტყეკაფის ფონდის გამოყოფის გეგმა, ცალ-ცალკე მთავარი სარგებლობის, აღდგენითი, მოვლითი, სანიტარული და სხვა სახის ჭრების ჩასატარებლად.

ტყეკაფის გამოყოფის გეგმა დგება მე-7 გვერდზე მოცემული ფორმის მიხედვით.

ტყეკაფის ფონდის გამოყოფის გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ტყის მეურნეობისათვის დამტკიცებულ საორგანიზაციო-სამეურნეო გეგმებს, სსრ კავშირის მთავრობის მიერ დადგენილ ხე-ტყის ძირზე გაცემისა და მთავარი სარგებლობისა და მოვლითი ჭრების წარმოების წესებს და დამამზადებლებისათვის დამტკიცებულ ტყეკაფის ფონდის რაოდენობრივ და თვისობრივ მაჩვენებლებს. ტყეკაფის ფონდის გამოყოფის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს აგრეთვე დამამზადებელი ორგანიზაციის მატერიალურ საშუალებებს. მის განკარგულებაში არსებულ ენერგოშეიარაღებას, სატრანსპორტო საშუალებებს, საბინაო ფონდს, მუშების შეგროვების შესაძლებლობას და სხვა. ამიტომ ტყეკაფის ფონდის გამოყოფის გეგმა შეთანხმებული უნდა იქნეს ხე-ტყის იმ დამამზადებელთან, რომლისთვისაც განკუთვნილია ტყეკაფის მოცემული ფონდი. ტყის დამამზადებლის ყველა კანონიერი მოთხოვნა ტყის მეურნეობის მიერ მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში. ტყის მეურნეობის მიერ უარყოფილ პრეტენზიებს დამამზადებელი წარუდგენს ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს. ტყეკაფის გამოყოფის გეგმას ადგენს უფროსი მეტყევე, ტყის მეურნეობის ინჟინერი და სატყეოს უფროსი. აღნიშნული გეგმა განხილული უნდა იქნეს ტყის მეურნეობის დირექტორთან დამამზადებელი ორგანიზაციის პასუხისმგებელი წარმომადგენლის მონაწილეობით. სათანადო განხილვის შემდეგ ტყის მეურნეობის დირექტორი ამტკიცებს ტყეკაფის გამოყოფის გეგმას და შესასრულებლად აძლევა ის სატყეოს უფროსს.

ტყეკაფის გამოყოფაში მონაწილენი უნდა იცნობდნენ ტყეკაფის გამოყოფის გეგმას. მეტყევე სპეციალისტები მოვალენი არიან სათანადო ინსტრუქტაჟი ჩაუტარონ ტყეკაფის გამოყოფაზე დასაქმებულ მუშაკებს.

ტყეკაფის გამოყოფის პროცესში შემოწმებული უნდა იქნეს რამდენად შეედარება სინამდვილეს ტყის მოწყობის მონაცემები. თუ ტყეკაფის გამოსაყოფად აღებულ ნაკვეთებზე ტყის ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება ტყის მოწყობის მასალებს და ჭრების ჩატარება მეურნეობისათვის საზიანოა, — ასეთ შემთხვევაში ტყეკაფი უნდა დაიხუროს და ჭრები გადატანილ იქნეს სხვა უბნებში. ეს საკითხები განხილული უნდა იქნეს მეურნეობის დირექტო-

## ტყეკაფის გამოყოფის გეგმა

| სატყეოს და-სახელება | სამეურნეო ნაწილი | კვარტალის № | ლიტერი | ტყეკაფის გა-მოყოფის რი-გითობა | მეურნეობა | ჭრის წესები | გამოყოფილი უნდა იქნეს: ფართობი (ჰა) | მარაგი მ³: საერ-თო | მარაგი მ³: მათ შორის ლიკვიდური | ტყის დამამ-ზადებლის დასახელება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ახალ დაბის | საკურორტო | 15 | 3 | I | ნაძვნარ-სოჭ-ნარი | მოვლითი | 15 | 150 | 150 | ბორჯომის ტყის მეურნეობა |
| 2. დვირის | საკურორტო | 44 | 1 | I | ფიჭვის | ჯგუფურ-ამორჩევითი | 24 | 480 | 360 | ბორჯომის ტყემრეწ-მეურნეობა |
| 3. პობისხევის | დაცვითი | 18 | 4 | II | წიფელი | თანდათანობ. ამორჩევითი | 10 | 200 | 150 | —„— |

რის მიერ, რომელიც სათანადო გადაწყვეტილებას ღებულობს. ჩამოთვლილ სამუშაოთა ჩატარების შემდეგ დაწყებული უნდა იქნეს ტყეკაფის ფართობის გამოყოფა. მთავარი სარგებლობის, აღდგენითი, მოვლითი და სანიტარული ჭრების ჩასატარებლად ფართობის გამოყოფა უნდა წარმოებდეს შემდეგი წესით:

1. ტყეკაფისათვის შერჩეული ფართობი უნდა შემოიფარგლოს. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბუნებრივი საზღვრები, კვარტალების საზღვრები და თუ ესენი არ არის, გაყვანილი უნდა იქნეს ახალი ვიზირები ან სირონები. ტყეკაფების საზღვრებზე (კუთხეებში) უნდა ჩაისოს ბოძები. ტყეკაფების ფართობზე უნდა გამოიყოს ისეთი ნაკვეთები, სადაც არ უნდა ჩატარდეს ჭრები.

2. გაზომილი უნდა იქნეს ტყეკაფის ფართობი, ტყეკაფის სასაზღვრო ნიშნულები მიბმული უნდა იქნეს კვარტალის ვიზირებისა და სირონების ნიშნულებთან, ან სატაქსაციო ვიზირებთან.

ტყეკაფის გამოყოფა წარმოებს შემდეგი დანიშნულების ჭრებისათვის:

1. მთავარი სარგებლობის ჭრებისათვის (სადაც ტარდება პირაღებითი, თანდათანობითი, ჯგუფური ამორჩევითი, ნებითი ამორჩევითი და ამორჩევითი ჭრები).

2. ტყის აღდგენითი ჭრებისათვის,

3. ტყის მოვლითი ჭრებისათვის, სადაც ტარდება განათებითი, გაწმენდითი, გამოხშირვითი და მოვლითი დანიშნულების ჭრები,

4. პირწმინდა სანიტარული ჭრებისათვის და

5. სხვადასხვა ჭრისათვის.

ტყეების ჯგუფი, ტყის მასივების ადგილმდებარეობა, ტყის მცენარეების ზრდა-განვითარების პირობები, კონკრეტულად აღებული რაიონის ტყეების სახალხო მეურნეობრივი დანიშნულება, კორომების მდგომარეობა და ექსპლოატაციის პირობები განაპირობებენ ტყეკაფის ფართობის სიდიდეს და მასზე ჩასატარებელი ჭრების სახეს.

მთავარი სარგებლობის ჭრებისათვის, როგორც წესი, ტყეკაფების გამოყოფა წარმოებს მესამე და მეორე ჯგუფის ტყეებში,* ტყეკაფების ჭრაში შესვლამდე 2 წლით ადრე. ტყის მოვლითი ჭრები ძირითადად ტარდება პირველი ჯგუფის ტყეებში და, აგრეთვე, მეორე და მესამე ჯგუფის ტყეებში. მოვლითი ჭრებისათვის ტყეკაფების გამოყოფა წარმოებს ოთხი-ხუთი თვით ადრე სამეურნეო წლის დაწყებამდე. ტყის აღდგენითი ჭრები ძირითადად ტარდება მეორე ჯგუფის ტყეებში, აგრეთვე პირველ და მესამე ჯგუფის ტყეებშიც. ტყის აღდგენითი ჭრებისათვის ტყეკაფების გამოყოფა წარმოებს 4—5 თვით ადრე სამეურნეო წლის დაწყებამდე.

პირწმინდა სანიტარული ჭრები ტარდება ყველა ჯგუფის ტყეებში. ტყეკაფის გამოყოფა პირწმინდა სანიტარული ჭრებისათვის წარმოებს ახალი სა-

---

* გამონაკლისს წარმოადგენს ა/კავკასიის რესპუბლიკები, სადაც სხვა მთავრობის დადგენილებით ნებადართულია პირველი ჯგუფის ტყეებში მთავარი სარგებლობის ჭრების ჩატარება.

მეურნეო წლის დაწყებამდე. ტყეკაფის ფონდის გამოყოფა არ წარმოებს ამორჩევითი სანიტარული ჭრებისათვის, უკანასკნელი ტარდება ჭრების ჩატარების საჭიროების აღმოჩენისას. თუ დაზიანების ან დაავადების აღმოჩენისთანავე რაიმე მიზეზით ამორჩევითი სანიტარული ჭრები არ იყო ჩატარებული, ტყის მეურნეობას ეძლევა დავალება ახალ სამეურნეო წელში, პირველ რიგში, ჩაატაროს დაზიანებული და დაავადებული ხეების დამზადება და ტყიდან მათი გატანა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული წესების მიხედვით მთავარი სარგებლობის ჭრების ჩატარებისას პირველ რიგში უნდა მოიჭრას დაზიანებული კორომები, რომლებიც თავის მდგომარეობის მიხედვით მოითხოვენ სამეურნეო ღონისძიებების გატარებას. პირველ რიგში უნდა მოიჭრას გამოფიტული, მწიფე და გადაბერებული ხეები. მთავარი სარგებლობის ტყეკაფების გამოყოფის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ არ დაიშვება მოსაჭრელად ძვირფასი ჯიშები, როგორიცაა წაბლი, რკინის ხე, ელდარის ფიჭვი, ბიჭვინთის ფიჭვი, ჭადარი, კარელიის არყი, ძელქვა, ბზა, უთხოვარი, ამურის ხავერდის ხე, რკინისებრი არყი, მაყალო, პანტა, ხურმა, ალუბალი, გარგარი, ალუჩა, კაკალი, მანჯურიის კაკალი, თუთა და, აგრეთვე, სხვა ძვირფასი და იშვიათი მერქნიანი და ბუჩქოვანი ჯიშები. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ამტკიცებენ სიას იმ ძვირფასს და იშვიათ ჯიშების მერქნიან და ბუჩქოვან ჯიშებისას, რომელთა მოჭრა დაიშვება მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების სპეციალური ნებართვით.

ტყის მოვლითი ჭრების ძირითად მიზანს შეადგენს სასურველი შემადგენლობის კორომების მიღება, მერქნის ხარისხობრივი შემადგენლობის საგრძნობი გაუმჯობესება, მაქნისი მერქნის მიღების პერიოდის შემცირება, მერქნით სარგებლობის მაქსიმალური გადიდება, ტყის დაცვითი ფუნქციების გაუმჯობესება და სხვ.

მოვლითი ჭრების სახეებია: განათებითი, გაწმენდითი, გამოხშირვითი და გავლითი დანიშნულების ჭრები. მოვლითი ჭრების თითოეული ეს სახე კორომის სხვადასხვა ხნოვანებაში ტარდება და განსაკუთრებით პირველ და მეორე ჯგუფის ტყეებში დიდ სამეურნეო ეფექტს იძლევა.

განათებითი ჭრები ტარდება ნორჩ კორომებში (ფოთლოვანებში 5—10 წლის ხნოვანებაში, წიწვოვანებში 8—10 წლის ხნოვანებაში). ჭრების მიზანია ხელი შეუწყოს მთავარ სამეურნეო ჯიშების მოზარდის ზრდა-განვითარებას. ამ მიზნით იჭრება კორომში შერეული იაფფასიანი—მეორეხარისხოვანი ჯიშები, ჭვეტყე და, აგრეთვე, ის ცოცხალი საფარი, რომელიც ხელს უშლის სასურველი ჯიშების ზრდას. განათებითი ჭრები ტარდება 1, 0,9 და 0,8 სიხშირის კორომებში. ჭრების შედეგად სიხშირე არ უნდა იყოს დაყვანილი 0,7-ზე ქვევით.

გაწმენდითი ჭრები წარმოებს მოზარდ კორომებში (ის ტარდება ფოთლოვანებში 10—20 წ. ხნოვანებაში და წიწვოვანებში 10—20 წლის ხნოვანებაში). უნდა მოიჭრას ყველა ის მცენარე, რომელნიც ხელს უშლიან მთავარი ჯიშების ზრდა-განვითარებას. გაწმენდითი ჭრები ტარდება 1, 0,9 და 0,8

სიხშირის კორომებში. ჭრების შედეგად კორომის სიხშირე არ უნდა იქნეს დაყვანილი 0,7-ზე ქვევით.

გ ა მ ო ხ შ ი რ ვ ი თ ი ჭრები ტარდება ლატნარში. გამოხშირვითი ჭრების მიზანია როგორც წიწვოვან, ისე ფოთლოვან კორომებში შეამციროს კორომთა სიხშირე, დაიყვანოს ის 0,7-მდე და უზრუნველყოს ხეების ღეროების ფორმის გაუმჯობესება.

გ ა ვ ლ ი თ ი ჭრები ტარდება შუახნოვან და მომწიფარ მაღალი სიხშირის კორომებში. ჭრების შედეგად კორომის სიხშირე დაყვანილი უნდა იქნეს 0,7-მდე. დატოვებული უნდა იქნეს ჯანსაღი და კარგი ზრდა-განვითარების ხეები,რომლებიც როგორც სიმაღლეში, ისე სისქეზედაც ყოველწლიურად მაღალ შემატებას იძლევა.

ა ღ დ გ ე ნ ი თ ი ჭრები ტარდება ისეთ კორომებში, სადაც მათი სიხშირე და განახლება არადამაკმაყოფილებელია. ჭრების შედეგად მიღებული უნ. და იქნეს სასურველი განახლება.

ს ა ნ ი ტ ა რ უ ლ ი ჭრები ტარდება სპეციალური დანიშნულების ტყეებში, საკურორტო ახლო ზონის ტყეებში, ტყე-პარკებში, ნაკრძალებში და სხვ. იჭრება დაავადებული, დაზიანებული ხეები, ქარისაგან, ქარიშხალისაგან წაქცეული (მოტეხილი, მოთხრილი) ხეები. ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ვაკე ადგილებში ტყეკაფს სასურველია ექნეს სწორკუთხოვანი ფორმა. მთაგორიან ადგილებში ტყეკაფის ფორმა უნდა შეეფარდოს რელიეფს. მეორე და მესამე ჯგუფის ტყეებში ტყეკაფის საექსპლოატაციო ფართობში არ შედის უტყეო ჭაობიანი ადგილები და სხვა უტყეო ადგილები და, აგრეთვე, სათესლედ დატოვებული ტყის ზოლები.

ტყეკაფის გამოყოფა თანდათანობითი ჭრებისათვის, ჯგუფური ამორჩევით, ნებითი-ამორჩევითი და, აგრეთვე, მოვლითი ჭრების ჩასატარებლად, სასურველია ჩატარდეს კვარტალური და სატაქსაციო ვიზირების მიერ შექმნილი უჯრედების მიხედვით.

ტყეკაფი აგეგმილი უნდა იქნეს მარტივი გეოდეზიური ხელსაწყოებით. ტყეკაფის სქემატურ ნახაზზე გაკეთებული უნდა იყოს საჭირო აღნიშვნები (საზღვრები, უტყეო ადგილები, სათესლე ზოლები და სხვ.) ტყეკაფის საზღვარზე უკეთდება წარწერა. წარწერით აღინიშნება ტყეკაფის სახე (მთავარი სარგებლობის, მოვლითი, აღდგენითი), ტყეკაფით სარგებლობის წელი, ტყეკაფის ნომერი და ტყეკაფის ფართობი. თუ ტყეკაფები დანაწილებულია ნაკვეთებად, იწერება აგრეთვე ნაკვეთების ფართობი და ნომერი.

ტყეკაფის ფართობისა და საზღვრების დადგენის შემდეგ ხეები ინიშნება ჭრებისათვის. ხეების ჭრებისათვის შერჩევასთან ერთად მიმდინარეობს ხეების დადამღვა. ზოგიერთ შემთხვევაში, გარდა დამღვის ნიშნისა, ჭრებისათვის შერჩეულ ხეებს ტყეკაფის ფარგლებში უსვამენ რიგით ნომერს. ყოველი დადამღული ხე აღრიცხული უნდა იქნეს ჯიშის, ბონიტეტის, დიამეტრისა და სიმაღლის მიხედვით. ამავე დროს დადგენილი უნდა იქნეს ის სორტიმენტი, რომლის მიღებაც შესაძლებელია დადამღული ხის მოჭრისა და დამორვის შემდეგ. დიამეტრი იზომება ძირკვის ყელიდან 1,3 მეტრის სიმაღლეზე. მოსაჭრელად შერჩეული ხეები აღირიცხება სპეციალურ უწყისში.

სპეცსორტიმენტების დასამზადებლად ხეების ჭრისათვის შერჩევისა და დადაღვის უწყისი დგება ცალკე შემდეგი ფორმით:

**სპეცსორტიმენტებისათვის ხეების ძირზე შერჩევისა და დადამღვის უწყისი**

**1958 წლის ტყეკაფი, ბორჯომის ტყის მეურნეობა, ჰობის ხევის სატყეო.**

| კვარტალის № | სპეციალური მერქნისა და ჯიშების დასახელება | რიგითი № | მკერდის სიმაღლეზე დიამეტრი (სმ) | ხის სიმაღლე (მეტრობით) | სორტიმენტის სიგრძე კონდიციის მიხედვით (მეტ-ით) | მოცულობ (მ³) | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | მთელი ხის | მათ შორის სპეციალური სორტიმენტის | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 18 | სარეზონანსო მერქანი—ნაძვი | 1 | 62 | 26 | 6,5 | 2,945 | 1,7 | სარეზონანსე მორის D=53 სმ. |
| 45 | ტელეგრაფის ბოძი | 2 | 42 | 18 | 6,5 | 1,225 | 0,71 | |
| 45 | მალარის ბიჯგი | 3 | 14 | 10 | 2,0 | 0,068 | 0,035 | |

აღნიშნული უწყისი შევსებული უნდა იქნეს სპეცსორტიმენტების დასამზადებლად შერჩეულ ტყეკაფებზე. მას ავსებს ტყის მეურნეობის ძიერ გამოყოფილი სპეციალისტები. უწყისის შევსების შემდეგ უნდა გადაეცეს სპეცსორტიმენტების დამამზადებელი ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელიც ადგილზე ამოწმებს უწყისის მონაცემებსა და აწერს მას ხელს.

მთავარი სარგებლობის, აღდგენითი, მოვლითი და პირაღებითი—სანიტარული და ამორჩევითი—სანიტარული ჭრების ჩასატარებლად გამოყოფილ ტყეკაფებზე (ცალ-ცალკე ტყეკაფების სახეების მიხედვით) დგება ხეების აღრიცხვისა და დადაღვის უწყისი მე-12—13 გვერდზე მოცემული ფორმით.

ხეების აღრიცხვისა და ჭრისათვის დანიშვნის სამუშაოთა დამთავრების შემდეგ უნდა შედგეს ტყეკაფის მატერიალური და ფულადი შეფასების უწყისი. ტყეკაფის მატერიალური და ფულადი შეფასების მიზნით საჭიროა დადგენილ იქნეს ტყეკაფზე მოსაჭრელი ხეების მარაგი ჯიშების მიხედვით. მარაგი ნაწილდება ხარისხის მიხედვით: აღებული უნდა იქნეს ცალკე საქმისი მერქანი და ცალკე საშეშე მერქანი. საქმისი მერქანი ნაწილდება: მსხვილ, საშუალო და წვრილ ზომებად. მსხვილი ზომის საქმის მერქანს მიეკუთვნება მრგვალი მორები, რომელთა ზედა გადანაჭრის დიამეტრი 25 სანტიმეტრს

ბორჯომის ტყის მეურნეობა, კობის ხევის სატყეო, . . . აგარაკი, № 18 კვარ
I ჯგუფზე, სარგებლობის სახე: მთავარი, ჭრის .

| დიამეტრი მკერდის სიმაღლეზე (სმ.-ობით) | ხეების რიცხვი ჯიშების | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფიჭვი | | | | სოჭი | | | | წიფელი | | | |
| | მთლიანხარისხოვანი | საშეშე | ნახევრად მაქნისი | მაქნისი | მთლიანხარისხოვანი | მაქნისი | ნახევრად მაქნისი | მაქნისი | მთლიანხარისხოვანი | საშეშე | ნახევრად მაქნისი | საშეშე |
| 42 | 2 | 1 | — | — | 2 | 6 | — | 2 | 5 | 1 | — | 4 |
| 44 | 1 | 6 | 2 | 1 | 2 | 2 | — | 4 | 1 | 1 | — | 8 |
| 46 | — | 3 | 4 | 2 | 1 | — | — | 1 | 1 | 1 | — | 9 |
| 48 | 3 | 4 | 5 | 1 | 4 | 3 | — | 1 | 1 | — | — | 2 |
| 50 | 1 | — | 2 | — | 5 | 4 | 2 | 2 | 1 | — | — | 3 |
| 52 | — | 2 | 1 | 2 | 1 | 2 | 1 | 3 | 1 | — | — | 4 |
| 54 | — | 1 | 1 | 3 | 1 | 1 | — | 2 | 2 | — | — | 4 |
| 56 | 4 | 3 | 1 | — | 1 | — | 1 | 1 | 1 | 2 | — | 3 |
| 58 | 2 | 2 | 2 | — | 2 | 3 | — | 1 | 1 | 3 | — | 1 |
| 60 | — | 1 | — | 1 | 3 | — | 2 | 1 | — | — | — | 3 |
| 62 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 64 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 66 | — | — | — | 1 | 1 | 5 | 1 | 2 | — | — | — | 1 |
| 68 | — | 2 | — | — | 2 | — | 1 | 4 | 2 | — | — | — |
| 70 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 72 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 74 | | 3 | 1 | 2 | — | 4 | 2 | 2 | 3 | — | — | 2 |
| სულ | 14 | 28 | 19 | 13 | 25 | 30 | 10 | 26 | 19 | 8 | — | 44 |

ტალი, ნაკვეთი 12, ფართობი 18 ჰა, ტყეკაფი 1958 წლის, ტყეები მიკუთნებული...
წესი: თანდათანობითი ამორჩევითი.

| მიხედვით | | | | ერთეული და ჯგუფურად გამოყოფილი სათესლე ხეები | | | სამოდელო ხეები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | | | | | | | მკერდის სიმაღლეზე დიამეტრი (სმ) | | | სიმაღლე მეტრობით | | |
| მაღალხარისხოვანი | მაქნისი | ნახევრად მაქნისი | საშეშე | ჯიში | ხეების რიცხვი | ხეების № | ფიჭვი | სოჭი | წიფ. | ფიჭვი | სოჭი | წიფ. |
| 9 | 8 | — | 6 | ფიჭვი | 10 | 1-დან 10-მდე | 42 | 42 | 42 | 17 | 19,5 | 16 |
| 4 | 9 | 2 | 13 | ნაძვი | 16 | 10-დან 26-მდე | 44 | 44 | 44 | 17,5 | 20 | 16,6 |
| 2 | 4 | 4 | 12 | წიფ. | 50 | 26-დან 76-მდე | 46 | 46 | 46 | 18 | 20,6 | 17,2 |
| 8 | 7 | 5 | 4 | | | | 48 | 48 | 48 | 18,5 | 21 | 18 |
| 7 | 4 | 4 | 5 | | | | 50 | 50 | 50 | 18,5 | 21 | 18,5 |
| 2 | 4 | 2 | 9 | | | | 52 | 52 | 52 | 18,8 | 21,5 | 18,8 |
| 3 | 2 | 1 | 9 | | | | 54 | 54 | 54 | 19,2 | 21,6 | 18,9 |
| 6 | 5 | 2 | 4 | | | | 56 | 56 | 56 | 19,6 | 22 | 18,2 |
| 5 | 8 | 2 | 2 | | | | — | — | — | — | — | — |
| 3 | 1 | 2 | 5 | | | | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | | | | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | | | | — | — | — | — | — | — |
| 1 | 5 | 1 | 4 | | | | — | — | — | — | — | — |
| 4 | 2 | 1 | 4 | | | | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | | | | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | | | | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | | | | — | — | — | — | — | — |
| 54 | 59 | 26 | 77 | | | | | | | | | |

მატერიალური და ფულადი

ბორჯომის ტყის მეურნეობა. კობი ხევის სატყეო . . . აგარაკი, № 18 კვარ-
თანრიგი II, სანიმუშო ზონა I, საძირკვო გადასახადის თანრიგი III, ტყეების ჯგუფი პირ-

| დიამეტრი გულის სიმაღლეზე (სმ) | ხეების რიცხვი | | | | მოცულობა მკვრივ | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მაქნისი | | საშეშე | სულ ხეთა რიცხვი | მაქნისი | | | | საშეშე | სულ მერქანი მ³ |
| | სულ | მათ შორის მეთალხაპრის-ხეები | | | მსხვილი | საშუალო | წვრილი | სულ | | |
| 42 | 3 | 1 | — | 3 | 2,86 | 0,54 | 0,29 | 3,69 | — | 3,69 |
| 44 | 7 | 1 | 2 | 9 | 6,14 | 2,24 | 1,21 | 9,59 | 2,74 | 12,33 |
| 46 | 5 | — | 4 | 9 | 5,20 | 1,52 | 1,08 | 7,80 | 6,24 | 14,04 |
| 48 | 10 | 3 | 3 | 13 | 12,24 | 3,71 | 1,05 | 17,0 | 5,10 | 22,10 |
| 50 | 2 | 1 | 1 | 3 | 2,50 | 1,00 | 0,20 | 3,70 | 1,85 | 5,55 |
| 52 | 3 | — | 2 | 5 | 4,00 | 1,00 | 1,00 | 6,00 | 4,00 | 10,00 |
| 54 | 2 | — | 3 | 5 | 3,11 | 0,81 | 0,40 | 4,32 | 6,48 | 10,80 |
| 56 | 8 | 4 | — | 8 | 14,04 | 3,34 | 1,26 | 18,64 | — | 18,64 |
| 58 | 5 | 2 | 1 | 6 | 9,55 | 2,11 | 0,79 | 12,45 | 2,49 | 14,94 |
| 60 | 1 | — | 1 | 2 | 2,0 | 0,3 | 0,36 | 2,66 | 2,66 | 5,32 |
| 66 | 2 | — | 1 | 3 | 4,52 | 1,56 | 0,34 | 6,42 | 3,21 | 9,63 |
| 68 | 2 | — | — | 2 | 4,50 | 1,48 | 0,86 | 6,84 | — | 6,84 |
| 74 | 5 | 1 | 2 | 7 | 19,85 | 4,26 | 2,54 | 26,65 | 10,06 | 36,71 |
| სულ | | | | | 90,51 | 23,87 | 11,48 | 125,76 | 44,83 | |
| 1 კუბურ მეტრის სატყეო ნიხრი (მან.) | | | | | 31 | 24 | 22 | | 8 | |
| სულ საძირკვო გადასახადი (მან.) | | | | | 2805,81 | 572,88 | 252,56 | 3631,25 | 358,64 | |

**შეფასების უწყისი**

ტალი, 1958 წლის ტყეკაფი, ნაკვეთის № 7, ფართობი 10 ჰა, ჯიში ფიჭვი, ხიმაღლის ველი, სარგებლობის სახე—მთავარი, აღრიცხვის წესი ხეთა—რაოდენობის მიხედვით.

| კუბურ მეტრობით | | | სორტიმენტების დასახელება | | | განსაკუთრებული აღნიშვნები |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიკვიდური მასა ტოტებით | ნარჩენები | სულ | სამშენებლო | საფანერო | ტელეგრაფის ბოძები | |
| | | — | | | | |
| მთელი მოცულობა გადაყვანილი უნდა იქნეს ლიკვიდურ მასაში (შეშის მოცულობა გამრავლდეს 0,75) და მას დაემატოს ტოტებისა და ბორჯღლის მასის პროცენტი ხნოვანებისა და ბონიტეტის მიხედვით. | ლიკვიდურ მასას ტოტებით ემატება ნარჩენები დაახლოებით 10—12 % | ჯამდება წინა ორი სვეტი | შედგება სორტიმენტების ტაბულების მიხედვით | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

ალემატება, საშუალო ზომის მაქნისი მერქანს მიეკუთვნება ის მორები, რომელთა ზედა გადანაჭრის დიამეტრი 13 სმ-დან 24 სმ-მდეა. წვრილ ზომისას მიეკუთვნება ისეთი მორები, რომელთა ზედა გადანაჭრის დიამეტრი 3—12 სმ-ია.

ტყეკაფის მატერიალური და ფულადი შეფასების უწყისი დგება მე-14—15 გვერზე მოცემული ფორმით.

ამრიგად უწყისის ბოლოს იწერება ერთი კუბ. მეტრი სხვადასხვა სორტიმენტის მერქნის საძირკვო ნიხრის ოდენობა და შემდეგ მთელ ტყეკაფზე ჭრებისათვის გამოყოფილი მერქნის ღირებულება. წინა უწყისებში აღნიშნული ნახევრად მაქნისი მერქანი განაწილებული უნდა იქნეს მაქნისს მერქანსა და საშეშე მერქანს შორის თანაბრად. ტყის მეურნეობის დირექცია და ზემდგომი სატყეო ორგანოები მოვალენი არიან შეამოწმონ ტყეკაფის გამოყოფის სისწორე და მატერიალური და ფულადი შეფასება. ამ მიზნით არსებული წესის მიხედვით აღებული უნდა იქნეს მთელი სატყეოს მასშტაბით ტყეკაფის ფართობის 3% და ჩატარებულ იქნეს ტყეკაფის სააღრიცხვო მონაცემების შემოწმება. შემოწმების შედეგად დგება აქტი სპეციალური ფორმის მიხედვით.

ტყეკაფის ფონდის სრული აღრიცხვისათვის ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების გარდა საჭიროა კიდევ;

ა) ტყეკაფის ამონახაზი, რომელზედაც მოცემული უნდა იყოს ტყეკაფის ფართობი, საზღვრები, ჯიშები და სხვ; იგი ტყეკაფით სარგებლობის სახეების მიხედვით შეკინძული უნდა იქნეს ცალკე ალბომის სახით. ტყეკაფის ალბომი უნდა შედგეს ორ ცალად. ერთი ინახება ტყის მეურნეობაში, ხოლო მეორე—სატყეოში.

ბ) სპეციალური ფორმის მიხედვით შედგენილი მომდევნო წლის ტყეკაფის უწყისი, რომელშიც აღინიშნება ტყეკაფით სარგებლობის წელი, სარგებლობის სახე, ტყეკაფის ადგილმდებარეობა (კვარტალი, უბანი, ნაკვეთი), ტყეკაფის ფართობი, ჯიშები, მეურნეობა, მარაგი, მათ შორის მაქნისი და საშეშე, სორტიმენტები, საძირკვო გადასახადის ნიხრები და სხვ.

მომდევნო წლის ტყეკაფის უწყისის ერთი ცალი ტყეკაფის ალბომთან ერთად იგზავნება ტყის მეურნეობაში, მეორე ცალი კი რჩება სატყეოში. ტყის მეურნეობა სატყეოებიდან მიღებული ტყეკაფის სააღრიცხვო მასალების საფუძველზე ადგენს დადგენილი ფორმების მიხედვით კრებსითი მონაცემების უწყისებს. ტყეკაფის ფონდის სააღრიცხვო მასალების საფუძველზე დგება ტყის ხარჯვის წიგნი. ტყის ხარჯვის წიგნში შეიტანება ყოველი სახის ტყეკაფზე ტყეკაფის ფონდის მიხედვით ჩატარებული ჭრების შედეგები. წიგნში ცალკე იწერება მონაცემები ტყის ჯგუფებისა და სარგებლობის სახის მიხედვით. წლის ბოლოს დაჯამებული უნდა იქნეს ტყეკაფის ფაქტობრივი ათვისების შედეგები.

ტყის მეურნეობაში შემოღებულია აგრეთვე ტყის მოვლითი ჭრების წიგნი, რომელშიაც ცალ-ცალკე შეიტანება მოვლითი ჭრების სახეები. წიგნში შეიტანება კვარტალისა და უბნის დასახელება და ნომერი, მოვლითი ჭრის ჩატარების ფართობი, კორომის შემადგენლობა, საშუალო ხნოვანება იმ ჯიშისა, რომელიც კორომის შემადგენლობაში ჭარბობს, ბონიტეტი, სიხშირე, საშუალო დიამეტრი, მარაგი ერთ ჰექტარზე და მთელ ფართობზე, რომელმა ორგანიზაციამ ჩაატარა მოვლითი ჭრები, ჭრების ჩატარების წელი, ფაქტობრივად მოჭრილი მერქნის ოდენობა (მთელ ფართობზე, საშუალოდ ერთ ჰექტარზე, მოჭრილი მერქნის % მთელ მარაგიდან, მოჭრილი მერქნიდან საქმისი და საშეშე მერქნის ოდენობა ცალ-ცალკე და სხვ).

ტყის მეურნეობა ცალკე აწარმოებს დადგენილი ფორმების მიხედვით აღდგენითი ჭრების აღრიცხვის წიგნს.

ტყეკაფის ნატურაში გამოყოფისა და ტყეკაფის ფონდის სააღრიცხვო დოკუმენტების შედგენის შემდეგ ტყის მეურნეობა მთავარ სამმართველოს უგზავნის გამოყოფილი ტყეკაფების ფონდის საჭირო მონაცემებს ტყეკაფის სახეების მიხედვით.

ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიასთან ერთად იღებს ტყის დამამზადებლებისაგან განაცხადებს და ადგენს მომავალი წლისათვის ტყეკაფის ფონდის განაწილების პროექტს.

ტყეკაფის ფონდის განაწილების პროექტი განიხილება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოში და საბოლოოდ განსახილველად ეგზავნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საგეგმო კომისიის მეშვეობით, აზუსტებს სსრ კავშირის ტყეკაფის ფონდს, რომელიც უნდა გაიცეს მომავალ სამეურნეო წელს თვითდამამზადებლებსა და ადგილობრივ მოსახლეობასა და წარმოება-დამამზადებლებზე. ამავე დროს აზუსტებს საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური ორგანიზაციების მოთხოვნილებებს ტყეკაფის წლიურ ფონდზე. რესპუბლიკებიდან წარმოდგენილი ტყეკაფის ფონდისა და მისი განაწილების გათვალისწინებით ადგენს ტყეკაფის წლიური ფონდისა და მისი განაწილების პროექტს და უდგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სათანადო განხილვის შემდეგ ამტკიცებს ტყეკაფის წლიური ფონდის და მისი განაწილების პროექტს და უგზავნის მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ამტკიცებენ რესპუბლიკის ტყის ფონდიდან წლიური ტყეკაფის ფონდს და მისი განაწილების შესახებ დადგენილებას უგზავნიან მინისტრთა საბჭოსთან არსებული ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს, დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს.

ტყეკაფის ფონდით მოსარგებლე ორგანიზაციები საჭიროების შემთხვევაში ანაწილებენ მას დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის და განაწილებას უგზავნიან ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს.

მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველო წლიური ტყეკაფის ფონდის გეგმას ანა-

წილებს (ტყის მეურნეობის მიერ წარმოდგენილი მასალების გათვალისწინებით) ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების ტყის მეურნეობის სამმართველოებსა და უშუალოდ დაქვემდებარებულ ტყის მეურნეობებს შორის და ხე-ტყის დამამზადებლების ინტერესების გათვალისწინებით წლიური ტყეკაფის ფონდის ფარგლებში ამაგრებს მათ ამა თუ იმ ტყის მეურნეობაზე.

ტყეკაფის ფონდის სატყეოების მიხედვით განაწილება და ხე-ტყის დამამზადებლების სატყეოებზე მიმაგრება წარმოებს მთავარი სამმართველოს ბრძანების საფუძველზე, რომელსაც თან ერთვის წლიური ტყეკაფის ფონდის თვითდამამზადებლებზე განაწილების უწყისი. ტყეკაფის უწყისში აღინიშნება ორგანიზაციის დასახელება, რომელზედაც მიმაგრებულია ტყეკაფის ფონდი, გამოყოფილი წლიური ტყეკაფის ფონდის საერთო მარაგი, მათ შორის ცალ-ცალკე მთავარი სარგებლობის, მოვლითი, აღდგენითი და პირალებითი სანიტარული ჭრებისათვის გამოყოფილი. ტყეკაფების მაქნისი და საშეშე მერქნის მარაგის ჩვენებით. ამავე დროს ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველო ტყის მეურნეობას და იმ ორგანიზაციას, რომელზეც გაპიროვნებულია ტყეკაფის ფონდი, უგზავნის განრიგს ტყის გაცემაზე დამტკიცებული ფორმით. განრიგში იწერება განრიგის ნომერი, ტყის მეურნეობის მისამართი, განრიგის გამოწერის საფუძველი (მინისტრთა საბჭოს დადგენილების ნომერი, წელი და რიცხვი), რომელი წლის ტყეკაფის ფონდიდან უნდა აწარმოოს ტყის მეურნეობამ ტყის ძირზე გაცემა, რომელი ჯგუფის ტყეებში, რა წესით უნდა იქნეს დამზადებული ხე-ტყე, სულ რა რაოდენობის მერქანი (კუბური მეტრობით) უნდა დაამზადოს დამამზადებელმა, მათ შორის რამდენი მაქნისი, რამდენი საშეშე; აქედან რამდენია წიწოვანები და რამდენი ფოთლოვანები. განრიგს ხელს აწერს სამმართველოს უფროსი. განრიგის ბოლოს მოცემულია შესავსებად თავისუფალი ადგილები, რომელსაც ავსებს თვით ტყის მეურნეობა. ტყის მეურნეობა განრიგის ქვედა ნაწილს აჭრის და დამამზადებელზე ხე-ტყის საჭრელი ბილეთების გამოწერის შემდეგ, განრიგის შესრულების შესახებ აცნობებს ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს.

ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოსაგან მიღებული ტყეკაფის ფონდის განაწილების უწყისისა და განრიგის საფუძველზე, ტყის მეურნეობა ვალდებულია ტყეკაფის დამამზადებლებს წინასწარ გადასცეს ტყეკაფის ფონდი, რაც უნდა დამთავრდეს სამეურნეო წლის დაწყებამდე ხუთი თვით ადრე (1 აგვისტომდე). ტყეკაფის ფონდის წინასწარი გადაცემა სპეციალური აქტით წარმოებს. აქტში იწერება ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველოს და ტყის მეურნეობის სახელწოდება. სატყეოსა და უბნის სახელწოდება (სადაც გამოყოფილია ტყეკაფის ფონდი), ტყის დამამზადებელი ორგანიზაციის დასახელება და, აგრეთვე, კვარტალის ნომერი, ნაკვეთის ნომერი, ტყეკაფის ფართობი, მეურნეობის დასახელება, ჭრების სახე, დასამზადებელი მერქნის მარაგი (კუბურ მეტრობით), მათ შორის მაქნისი და საშეშე მერქანი.

მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ტყეკაფებს პირველ რიგში აბარებენ ტყის მრეწველობის მეურნეობებს, შემდეგ კი სხვა დამამზადებლებს. ტყეკაფების წინასწარი ჩაბარების შემდეგ დამამზადებლებს ეძლევათ სათანადო ნებართვა ტყეკაფზე ჭრების ჩატარებისათვის. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ხე-ტყის ძირზე გაცემა შეიძლება მხოლოდ ხე-ტყის საჭრელი ბილეთის ან ორდერის საფუძველზე. ყოველგვარი წე-

რილობითი ან ზეპირი განკარგულება ხე-ტყის ძირზე გაცემის შესახებ, ტყის საჭრელი ბილეთის ან ორდერის გარდა, ითვლება უკანონოდ. ხე-ტყის საჭრელი ბილეთები ეძლევათ ხე-ტყის დამამზადებლებს, ხოლო ორდერი—ადგილობრივ მომხმარებლებს, მათთვის განკუთვნილი ტყეკაფის ფონდის ფარგლებში გამოწერილი ხე-ტყის საჭრელი ბილეთის საფუძველზე. ხე-ტყის საჭრელ ბილეთს ხე-ტყის დამამზადებლებს აძლევს ტყის მეურნეობის დირექცია. ხე-ტყის საჭრელი ბილეთის საფუძველზე გამოწერილ ხე-ტყის საჭრელ ორდერს ადგილობრივ მოსახლეობასა და ადგილობრივ მომხმარებლებს აძლევს სატყეოს უფროსი ან მისი მოადგილე.

ორდერებით ხე-ტყის ძირზე გაცემა წარმოებს ადგილობრივ მოსახლეობაზე, კოლმეურნეობებზე, არტელებზე, სოფლის სამომხმარებლო კოოპერატივებზე, სკოლებზე, ადგილობრივ საავადმყოფოებზე, ადგილობრივ სოფ. საბჭოებზე და სხვა ადგილობრივ საბიუჯეტო დაწესებულებებზე. ხე-ტყის საჭრელი ორდერით წვრილ მომხმარებლებზე ხე-ტყის ძირზე გაცემა არ უნდა აღემატებოდეს პირველ და მეორე ჯგუფის ტყეებში 50 კუბურ მეტრს და მესამე ჯგუფის ტყეებში 100 კუბურ მეტრს.

ადგილობრივ წვრილ მომხმარებლებზე ხე-ტყის გაცემა წარმოებს ამ მიზნით დაშვებული ტყეკაფის ფონდის ფარგლებში. ადგილობრივი მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებებისათვის ხე-ტყის გაცემის ოდენობა დამოკიდებულია ხე-ტყის გაცემის ნორმებზე. ადგილობრივი წარმოება-დაწესებულებებისათვის (სკოლების, საავადმყოფოებისათვის, სოფ. საბჭოებისათვის და სხვა) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომების მიერ დამტკიცებულია საშეშე მერქნის ხარჯის ნორმები. მოსახლეობისათვის გასაცემი მაქნისი და საშეშე მერქნის ნორმების სიდიდე დამოკიდებულია რაიონის ტყიანობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია ადგილობრივ მოსახლეობაზე ხე-ტყის გაცემის დიფერენცირებული ნორმები: ტყით მდიდარ რაიონისათვის, საშუალო ტყიან რაიონისათვის და მცირე ტყიან რაიონისათვის. ტყიან რაიონებში ადგილობრივ მოსახლეობას თავისი საკუთარი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის რაიონული აღმასკომის სპეციალური ნებართვით შეიძლება წინასწარ მიეცეს ერთად სამი წლის მაქნისი მერქნის ნორმა. ტყის საჭრელი ბილეთები და ორდერები გაიცემა როგორც ნედლ, ისე გამხმარ და დაზიანებულ ხე-ტყეზე. ტყის მთელითი ჭრების ჩატარება ტყის საჭრელი ბილეთებისა და ორდერების გარეშე დაუშვებელია. ტყის საჭრელი ბილეთები და ორდერები ითვლებიან პირველად ძირეულ დოკუმენტებად, რომელთა საფუძველზედაც წარმოებს გასაცემად ნებადართულ და ფაქტობრივად გაცემული მერქნის რაოდენობისა და ხარისხის აღრიცხვა.

ხე-ტყის საჭრელი ბილეთი (ორდერი) ერთ-ერთი საფუძველია ტყის შემოსავლის აღრიცხვისათვის და ხე-ტყის დამამზადებლის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების კონტროლის, მერქნის რაციონალურად დამუშავების, დამზადებისა და გამოზიდვის ვადების შესრულების, ტყეკაფის ვაწმენდის ვადების დაცვის შემოწმებისა და სხვა.

მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ხე-ტყის დამამზადებლები ვალდებულნი არიან მიიღონ ტყის საჭრელი ბილეთები (ორდერები) მათთვის საგეგმო წელში გამოყოფილი ტყეკაფის ფონდზე არა უგვიანეს იმავე წლის 1

იანვრისა ან ორნახევარი თვის განმავლობაში მთავრობის მიერ ტყეკაფის ფონდის განაწილების დამტკიცების დღიდან. თუ დადგენილი ვადის გასვლიდან ერთი თვის განმავლობაში ორგანიზაციამ, რომელსაც გამოყოფილი აქვს ტყეკაფის ფონდი, არ მიიღო ხე-ტყის საჭრელი ბილეთი (ორდერი), ის კარგავს ტყეკაფის ფონდით სარგებლობის უფლებას. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ხე-ტყის ადგილობრივი მომხმარებლები (მოსახლეობა და წარმოება-დაწესებულებები), რომლებსაც უფლება აქვთ მიიღონ ხე-ტყის საჭრელი ორდერები სამეურნეო წლის 1 ოქტომბრამდე, და საძიებო ორგანიზაციები (ტყის მოწყობის, გეოლოგიური, გეოდეზიური და სხვა პარტიები), რომლებსაც უფლება აქვთ ხე-ტყის საჭრელი ბილეთი (ორდერი) მიიღონ საჭიროებისამებრ მთელი წლის განმავლობაში.

ხე-ტყის საჭრელი ბილეთების (ორდერების) დამამზადებლებზე ჩაბარების შემდეგ ტყეკაფის მდგომარეობაზე ისინი არიან პასუხისმგებელნი და მათგან არავითარი პრეტენზიები ტყეკაფის ფონდის რაოდენობრივ და თვისობრივ მაჩვენებლებზე არ მიიღება. ხე-ტყის საჭრელი ბილეთების (ორდერების) მიღების დღიდანვე ტყის დამამზადებლები იწყებენ ტყეკაფების ათვისებას (გზების გაყვანას, არსებული გზების წესრიგში მოყვანას, დროებითი ნაგებობების აგებას, ხე-ტყის საწყობების მოწყობას და ხე-ტყის დამზადებას). ხე-ტყის საჭრელი ბილეთი (ორდერი) ითვლება მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტად. ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველო განსაკუთრებული აღრიცხვის წესით აძლევს მას ტყის მეურნეობას. ბილეთები (ორდერები) წინასწარ დანომრილია და ყოველი ბილეთის (ორდერის) გამოყენებაზე პასუხისმგებელია ტყის მეურნეობის დირექცია.

ხე-ტყის საჭრელ ბილეთში იწერება: რესპუბლიკის, მხარის, ოლქის დასახელება; სატყეო სანიარე ზონა, საძირკვო გადასახადის თანრიგი, ტყეების ჯგუფი, ტყის მეურნეობის დასახელება. ტყისა და ტყეკაფის ნაკვეთის დასახელება, ტყეკაფის ფონდის წელი, სარგებლობის სახე, ჩასატარებელი ჭრების სახე, ხე-ტყის საჭრელი ბილეთის გაცემის საფუძველი და მოსაჭრელი მერქნის ოდენობა და ხარისხი. საძირკვო გადასახადის ოდენობა და გადახდის ვადა, ტყეკაფზე რომელი ტყეები არ უნდა მოიჭრას, დამზადებული მერქნის გამოზიდვის წესი, ტყეკაფის გაწმენდის წესი და ვადა, მერქნის დამზადებისა და გამოზიდვის დამთავრების ვადა. საჭიროების შემთხვევაში ბილეთს უკეთდება შენიშვნები. ბილეთს ხელს აწერს ტყის მეურნეობის დირექტორი, სატყეო ინჟინერი და ტყის დამამზადებელი. ბილეთის მეორე მხარეზე აღინიშნება დამზადებული ხე-ტყის შემოწმების შედეგები, დამზადების ფაქტობრივი ვადა, გამოზიდვის ვადა, ტყეკაფის ფაქტობრივად გაწმენდის დრო, საძირკვო გადასახადის შენატანების დრო და ოდენობა, დამზადებული მერქნის ოდენობა სორტიმენტის მიხედვით და სხვ.

ტყის საჭრელი ბილეთი დგება სამ ეგზემპლარად: პირველი ეგზემპლარი რჩება ტყის მეურნეობაში, მეორე ეგზემპლარი ეძლევა ხე-ტყის დამამზადებელს, მესამე იწერება განკარგულების სახით ტყის მცველზე, რაც წარმოადგენს დამამზადებლის ტყეში დაშვებისა და საჭრელ ბილეთში გათვალისწინებულ დანომრილი ხის მოჭრის საფუძველს.

მოსახლეობაზე ხე-ტყის წვრილად გაცემის ორდერი წარმოდგენილია შემდეგი ფორმით:

**ორდერი № . '.**
**მოსახლეობის ხე- ტყის წვრილად გაცემაზე**

. . ოლქი (მხარე, სსრ) ტყის მეურნეობა სატყეო . . ტყის მეურნეობის მიერ 195 . . წ. „ „ . . . თვის № გაცემული ტყის საჭრელი ბილეთის საფუძველზე, ნება ეძლევა . . . . . . . . . . . . . . . . . . . დაამზადოს და შემოწმების შემდეგ გაზიდოს . . . . . . სატყეო აკარაკიდან, კვარტალი № . , ხეობიდან № უფროს სამცველოს № . . . . . . სამცველოს № . . . . ნაკვეთის № ფართობი . . . ჰექტარზე 19 . . ტყეკაფის ფონდიდან . . . . . . . . . . . . . . (რაოდენობა მერქნის) სიმაღლის თანრიგი . , ნიხრის თანრიგი სატყეო-სანიხრო ზონა, ტყეების ჯგუფი:

| ტყის ჯიში | დიამეტრი სმ | რაოდენობა | მერქნის მასა მკვრივ კუბურ მეტრობით | | | | | | | ღირებულება (მან) | | | | დამრგვალების თანხა | გადასახდელი უნდა იქნეს |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სამასალე | | | | | | | | | | | | |
| | | | მსხვილი | საშუალო | წვრილი | სულ | საშეშე | ფიჩხი | სულ | სამასალე მერქანი | შეშა | ფიჩხი | სულ | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| სულ | | | | | | | | | | | | | | | |

აღნიშვნა ფულის გადახდის შესახებ ____________________

---

ტყეკაფის გაწმენდა ჩატარებულ იქნეა . . . .
დამზადების დამთავრების ვადა . . . 19 . . წ.
გამოზიდვა ნებადართულია . . —დე
გამოზიდვის დამთავრების ვადა „ „ . 19 . . წ,
ტყეკაფის გაწმენდის დამთავრების საბოლოო ვადა 19 . . წ.
მეტყევე . . . . . . . . . . .

---

, აღნიშვნები გამოზიდვის ვადის გაგრძელების შესახებ

---

ხე-ტყის საჭრელი ორდერი იწერება სამ ეგზემპლარად: ერთი ეძლევა ტყის დამამზადებელს, მეორე ეგზემპლარი ეძლევა ტყის მცველს, ხოლო მესამე ეგზემპლარი (ორდერის ყუა) რჩება სატყეოს უფროსს. ჭრების დამთავრებისთანავე ტყის დამამზადებლები ორდერებსა და ბილეთებს სატყეოს უფროსს აბარებენ.

ხე-ტყის საჭრელი ბილეთების (ორდერების) საფუძველზე ჩატარებული ჭრების შემოწმება წარმოებს ადგილზე ტყის მეურნეობისა და ტყის დამამზადებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთა მიერ. ჭრების ადგილის შემოწმება უნდა ჩატარდეს დამზადების ვადის გავლიდან 20 დღის განმავლობაში. შემოწმების შედეგად დგება აქტი, რომელშიც იწერება დამზადებული მერქნის რაოდენობა და ხარისხი (მაქნისი: მსხვილი, საშუალო, წვრილი მკვრივ კუბურ მეტრობით, დამზადებული შეშის რაოდენობა, ფიჩხის ოდენობა, ტყეკაფის მდგომარეობა, საზიდი გზების მდგომარეობა, დამამზადებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მდგომარეობა, ჰქონდა თუ არა ადგილი ტყით სარგებლობის წესების დარღვევას და სხვ).

აქტში იწერება შემოწმების თარიღი, ნაკვეთზე დატოვებული დადგენილ ნორმაზე ზევით მაღალი ძირკვები, გაუქერქავი წიწვიანი მერქნის რაოდენობა, მოჭრისათვის ნებადართული მაგრამ ჯერ კიდევ მოუჭრელი ხეების რაოდენობა. მოჭრისათვის ნებადაურთველი მოჭრილი ხეების რაოდენობა, მათ შორის სათესლე ხეები, სპეციალური ეგზემპლარები, დაზიანებული ხეების რიცხვი და კუბატურა, ჭრის ადგილების მდგომარეობა და სხვ.

ხე-ტყის დამზადება ითვლება კომპლექსურ საწარმოო პროცესად, რომელშიც შედის ტყეკაფის მომზადება, ხის მოჭრა, ტოტების შეჭრა, დამორვა, გაქერქვა, დამზადებული მორების შეგროვება, ტყეკაფის გაწმენდა, დამზადებული მორების აღრიცხვა სორტიმენტების მიხედვით.

ხე-ტყის გამოზიდვა იწყება პირველად საწყობებამდე მორების' მოზიდვით და მთავრდება საბოლოო საწყობებამდე, სარეალიზაციო პუნქტებამდე მერქნის გამოზიდვით.

ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვის ხასიათი დამოკიდებულია ამ საწარმო პროცესებზე გამოყენებულ მანქანა-იარაღებსა და სხვა სატრანსპორტო საშუალებებზე.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობათა დადგენილებით დაშვებულია შორეული რაიონების აუთვისებელი ტყის მასივების ტყის ძირითად დამამზადებლებზე ხანგრძლივი ვადით მიმაგრება. ტყის მასივების ხანგრძლივი ვადით მიმაგრება დამამზადებლებს საშუალებას აძლევს ფართოდ დანერგოს ტყის დამზადება-გამოზიდვის საწარმოო პროცესების მექანიზაცია და მაქსიმალურად გამოიყენოს მიმაგრებულ ფართობზე ტყის დამზადების ნარჩენები.

ტყის ნედლეულით მდიდარი მასივების მიმაგრება ტყის ძირითად დამამზადებლებზე წარმოებს მათი განაცხადების საფუძველზე. მასივების მიმაგრება წარმოებს ხანგრძლივი ვადით, მაგრამ არა უმეტეს 5 წლისა. თუ ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციას ესაჭიროება ყოველწლიურად შედარებით მცირე რაოდენობის ხე-ტყე და ტყის დამზადება-გამოზიდვის ორგანიზაციისათვის არ არის საჭირო მსხვილი კაპიტალური დაბანდება, ტყის მასივების დამაგრება ასეთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს 5—10 წლის ვადით. ტყის დამამზადებლები მათზე ხანგრძლივი სარგებლობისათვის მიმაგრებულ ტყის მასივებში ხე-ტყის დამზადებაზე დაიშვებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიიღებენ სათანადო წესით წლიური ტყეკაფის ფონდს და ხე-ტყის ჭრის გეგმას. ხე-

ტყის დამამზადებელი ორგანიზაციაა მოვალეა ხანგრძლივი ვადით მიმაგრებულ ტყის მასივებში განახორციელოს სამეურნეო ღონისძიებები: აწარმოოს ტყის აღდგენა განახლება, მოვლა, დაცვა და ჭრები დადგენილი წესის მიხედვით. ამ წესების დაცვის მდგომარეობას ამოწმებს ის ტყის მეურნეობა, რომლის ტერიტორიის ნაწილი გადაეცა ხე ტყის თვითდამამზადებელს ხანგრძლივი ვადით.

ტყის მეურნეობის სამუშაოთა კომპლექსში, ტყით პირდაპირი სარგებლობის სამუშაოების გარდა, შედის აგრეთვე ტყით არაპირდაპირი სარგებლობის სამუშაოები და ამ სამუშაოთა ორგანიზაცია.

მოქმედი ინსტრუქციის მიხედვით ტყით არაპირდაპირ სარგებლობას მიეკუთვნება სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე:

1) თივის თიბვა,

2) პირუტყვის ძოვება,

3) მუდმივი და დროებითი სასოფლო-სამეურნეო სარგებლობა (ხვნა, ბოსტნის მოწყობა, მეხილეობა),

4) მეფუტკრეობა,

5) კაკლისა და ხილ-კენკრის ველურად გაზრდილი ნარგავების ნაყოფის გამოყენება,

6) სოკოს, კენკრის, ტყის სხვადასხვა ნაყოფისა და სვიის კრეფა.

7) ხავსის, ლერწმის, ჭილობისა და სხვა სახის ბალახოვანი მცენარეულის მოგროვება,

8) ტყის საგების მოგროვება,

9) სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულის მოგროვება,

10) არასამრეწველო დანიშნულების ტორფის მოპოვება (ზედა ფენებიდან),

11) ქვიშის, ქვის, თიხისა და სხვა საერთოდ გავრცელებულ არასამრეწველო სარგებლობის მადნეულის მოპოვება,

12) ტყის ხეების თესლის მოგროვება,

13) ტყით დაუფარავი ადგილების გამოყენება დროებითი ტყის საწყობების, ტივების შესაკრავისა და დასაცურებლის მოსაწყობად.

გარეულ ფრინველებსა და ცხოველებზე ნადირობა და, აგრეთვე, თევზის ჭერა ინსტრუქციის მიხედვით არ შედის ტყით არაპირდაპირ სარგებლობაში. მეურნეობის ამ დარგთა რეგულირება წარმოებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძველზე

ტყის მეურნეობის დირექცია ვალდებულია შეისწავლოს ტყის მეურნეობის მთელ ტერიტორიაზე, თუ რა სახის არაპირდაპირი სარგებლობაა შესაძლებელი, შეადგინოს ყველა ამ არაპირდაპირი სარგებლობის გეგმა და უზრუნველყოს მისი შესრულება. მეურნეობაში არაპირდაპირი სარგებლობის გეგმის შედგენისას პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იყოს ტყის მეურნეობის და შემდეგ მოსახლეობისა და ადგილობრივი წარმოება—დაწესებულებების მოთხოვნილებები. არაპირდაპირი სარგებლობის გეგმა დგება ორი თვით ადრე სარგებლობის სეზონის დაწყებამდე და ეს გეგმა განხილული და დამტკიცებული უნდა იქნეს ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ.

ყველა სახის არაპირდაპირი სარგებლობა წარმოებს სსრ კავშირის მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულებების საფუძველზე ტყის მეურნეობის

ორგანოების მიერ შემუშავებული წესების მიხედვით. ამ დებულებათა დაწესების საფუძველზე არაპირდაპირი სარგებლობა იყოფა ორ კატეგორიად: სამრეწველო გამოყენების არაპირდაპირი სარგებლობა და არასამრეწველო გამოყენების არაპირდაპირი სარგებლობა.

სამრეწველო მნიშვნელობის არაპირდაპირ სარგებლობას არეგულირებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, საოლქო, სამხარეო და სარაიონო მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები. არასამრეწველო დანიშნულების არაპირდაპირი სარგებლობის რეგულირებას ახორციელებს ტყის მეურნეობა. სამრეწველო დანიშნულების არაპირდაპირ სარგებლობაზე ნებართვის გაცემა წარმოებს სახელმწიფო კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, ხოლო არასამრეწველო ხასიათის არაპირდაპირ სარგებლობაზე ნებართვის გაცემა—ადგილობრივ მოსახლეობაზე.

ყოველი სახის არაპირდაპირი სარგებლობა წარმოებს ტყის მეურნეობის მიერ გამოწერილი სპეციალური ფორმის ბილეთებით.* ბილეთში იწერება სარგებლობის სახე, ოდენობა, ვადები, პირობები, მოსარგებლის მოვალეობა, სარგებლობის საფასური, საფასურის შეტანის პირობები და სხვ.

მთავრობის დადგენილების საფუძველზე ზოგიერთი სახის არაპირდაპირი სარგებლობა უფასოდ წარმოებს. ასეთ შემთხვევაში ბილეთში უნდა ჩაიწეროს უფასოდ გაცემის საფუძველი. ხანგრძლივი პერიოდით სარგებლობის შემთხვევაში მოსარგებლესთან იდება ხელშეკრულება, რომელშიაც აღინიშნება სარგებლობის ყველა პირობა, მოსარგებლის ვალდებულება და ხელშეკრულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა.

არაპირდაპირი სარგებლობის ყოველ სახეზე დამტკიცებულია ნიხრები. არაპირდაპირი სარგებლობის ნიხრებს ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ან მათი დავალებით რესპუბლიკის ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველო და ფინანსთა სამინისტრო. ამჟამად მოქმედებს ტყით არაპირდაპირი სარგებლობის წესები,** რომლის მიხედვით:

ა) თივის თიბვა და პირუტყვის ძოვება სსრ კავშირის ტყეებში წარმოებს ისეთ ფართობებზე, სადაც არ არის მოსალოდნელი ტყის ბუნებრივი განახლება და ამ ნაკვეთებზე კულტურების გაშენებამდე შესაძლებელია დაშვებულ იქნეს თივის თიბვა და პირუტყვის ძოვება. ასეთი კატეგორიის სავარგულოები მუდმივ და დროებით სავარგულოებად იყოფა. მუდმივი სარგებლობის სათიბებისა და საძოვრების გამოყოფა წარმოებს ტყის მეურნეობის საორგანიზაციო გეგმის საფუძველზე. ასეთი სავარგულოები უნდა გაიზომოს, შემოიფარგლოს და შეტანილ იქნეს საინვენტარიზაციო აღწერაში.

დროებითი სარგებლობის სათიბები და საძოვრები გამოიყოფა ტყის მეურნეობის დირექციის მიერ ყოველწლიურად ტყის მეურნეობის ტყის მოწყობის მონაცემების საფუძველზე

პირუტყვის ძოვება სსრ კავშირის ტყეებში დაიშვება ყველგან, გარდა პარკებისა, ნაკრძალებისა, განსაკუთრებული დანიშნულების ტყეებისა და, აგრეთვე, იმ

* ზოგიერთი სახის არაპირდაპირ სარგებლობაზე ნებართვის გაცემა წარმოებს უბილეთოდ, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოსარგებლე პირობას სდებს ტყის მეურნეობაში ტყის ხანძარსაწინააღმდეგო და ტყის დაცვის წესების შესრულებაზე.

** ტყის არაპირდაპირი სარგებლობის წესები ამოღებულია ტყის შემოსავლის შესახებ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 195: წლის 27 დეკემბრის ინსტრუქციიდან.

ფართობისა, სადაც მას შეუძლია ტყის მეურნეობას ზიანი მიაყენოს. პირუტყვის ძოვება აკრძალულია ტყის კულტურების ფართობებზე, ტყეკაფზე ჭრების ჩატარებიდან 3—4 წლის განმავლობაში და ისეთ ტყეებში, სადაც შესაძლებელია დაზიანდეს აღმონაცენი და მოზარდი. პირუტყვის ძოვება აკრძალულია აგრეთვე ტყის იმ ფართობზე, სადაც წარმოებს ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა და ისეთ დაქანებულ ადგილებზე, სადაც საქონლის ძოვებამ შეიძლება დაარღვიოს ნიადაგის ზედაპირის მთლიანობა და აღნიშნულის შედეგად განვითარდეს ეროზიული პროცესები. ტყის მეურნეობას აუცილებლად უნდა ჰქონდეს განსაზღვრული, სად დაიშვება და არ დაიშვება პირუტყვის ძოვება და თივის გათიბვა. ტყეს განსაკუთრებულ ზარალს აყენებენ თხები; ამიტომ თხების ძოვება დასაშვებია ტყის მეურნეობის ნებართვით თხების მეპატრონეთა მიერ სპეციალურად შემოღობილ ფართობზე.

ტყის მეურნეობის მიერ საძოვრებისათვის და სათიბებად შერჩეულ ფართობიდან გარკვეული ნორმების მიხედვით პირველ რიგში ნაკვეთები გამოეყოფა ტყის მეურნეობის იმ მუშებს, რომლებთაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე აქვთ საძოვრებისა და სათიბების მიღების უფლება. დარჩენილი თავისუფალი ფართობი გადაეცემა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს და რესპუბლიკაში დადგენილი წესის მიხედვით ხდება მისი განაწილება. განაწილება ევალება ტყის მეურნეობას, რომელიც ვალდებულია გასცეს მოსარგებლეს საძოვრებისა და სათიბების სარგებლობისათვის ბილეთი. სათიბებისა და საძოვრების გაცემა დასაშვებია როგორც ერთი წლის ვადით (დროებით), ისე 10 წლის ვადით. გაცემულ ფართობზე მოსარგებლე ვალდებულია გაატაროს აგროღონისძიებები სავარგულოთა ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ბ) სახნავი სავარგულოების გამოყოფა სსრ კავშირის ტყეებში წარმოებს მუდმივ და დროებით სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის. მუდმივ სახნავ სავარგულოების კატეგორიას ეკუთვნის ტყით დაუფარავი მიწის ისეთი ფართობი, რომელიც ვარგისია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის გამოსაყენებლად და არ არის ტყის აღდგენისათვის გეგმით განკუთვნილი.

დროებითი სარგებლობის სახნავ სავარგულს ეკუთვნის ძირკვებამოუყრელი გამონაკაფი, მდელოები და ტყით დაუფარავი სხვა ადგილები, რომელნიც გადაეცემა მოსარგებლეთ დროებით სასოფლო სამეურნეო სარგებლობისათვის, აღნიშნული ფართობის შემდგომი აღდგენისათვის გამოსაყენებლად.

სახნავ სავარგულოთა მიწების ფონდიდან ტყის მეურნეობაში პირველ რიგში გამოყოფენ მიწის ფართობს ტყის მეურნეობის იმ მუშაკებისათვის, რომლებსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით უფლება აქვთ ისარგებლონ ტყის ფონდის სახნავი სავარგულოებით დადგენილი ნორმების მიხედვით. დარჩენილი მიწის ფონდი გადაეცემა რაიაღმასკომს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით ეს ფონდი ნაწილდება სხვა მოსარგებლეებზე.

გ) ტყის ნაკვეთების გამოყოფა საფუტკრეების მოსაწყობად წარმოებს ისეთ ადგილებში, სადაც კონცენტრირებულია თაფლის მომცემი მცენარეულობა (აკაცია, ცაცხვი, წაბლი, მინდვრები უხვყვავილოვანი ბალახებით). ტყის

თაფლის შემცემ მცენარეთა საუკეთესოდ გამოყენების მიზნით, ტყის მეურნეობები გადასცემენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს მიწის ფართობს შესაძლებლობის მიხედვით გზისპირას. ტყით დაუფარავ ადგილებში საფუტკრეების მოსაწყობად საფუტკრე ადგილების გაცემა წარმოებს ტყის მეურნეობის ადგილსამყოფელის ადმინისტრაციულ რაიონში მოთავსებულ კოლმეურნეობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებზე რაიაღმასკომის მიერ; იმავე რაიონის მოსახლეობაზე—ტყის მეურნეობის მიერ, ხოლო მომთაბარე მეფუტკრეობისათვის ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების, მხარეებისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის აღმასკომებისა და მინისტრთა საბჭოების დადგენილებით.

მეფუტკრეობისათვის გამოყოფილ ფართობზე მოსარგებლე ორგანიზაციებს უფლება აქვთ აწარმოონ დროებით ნაგებობათა აგება მეფუტკრეების საცხოვრებლად და სკების შესანახად. საფუტკრე ადგილების გაცემა ბილეთების გაუფორმებლად აკრძალულია. ბილეთში აღნიშნული ვადის დამთავრების შემდეგ მოსარგებლე ვალდებულია დატოვოს სარგებლობისათვის აღებული ფართობი და დადგენილ ვადაში გაანთავისუფლოს იგი აგრეთვე დროებით ნაგებობებისაგან. თუ მოცემულ ვადაში მოსარგებლე არ დაშლის და არ წაიღებს დროებით სარგებლობისათვის აგებულ ნაგებობებს, ისინი უფასოდ გადადის ტყის მეურნეობის განკარგულებაში.

დ) გარეული ხილის დამზადებისათვის ფართობის გამოყოფა, პირველ რიგში, წარმოებს სპეციალურ დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის. გარეული ხილის (კაკალი, წაბლი, წიფლის, რკო, მაჟალო, პანტა, მაყვალი, მარწყვი, ჟოლო, შინდი, მოცვი და სხვ) მომცემი მცენარეები და კორომები აღრიცხული უნდა იქნეს ტყის მეურნეობის მიერ. განსაზღვრული უნდა იქნეს დამზადების სეზონისათვის მათი ფართობი და მოსავლის რაოდენობა ასეთი სახის არაპირდაპირ სარგებლობაზე ტყის ნაკვეთების გაცემა დამამზადებელ ორგანიზაციებზე წარმოებს ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობისათვის (არასამრეწველო მომარაგებისათვის) ტყის მეურნეობის მიერ. მოსახლეობაზე გაიცემა მხოლოდ ის ფართობები, რომლებსაც დამამზადებელი ორგანიზაციები ვერ ითვისებენ. თუ გარეული ხილის მომცემი კორომების გაცემა დამამზადებელ ორგანიზაციებზე წარმოებს ხანგრძლივი ვადით, მაშინ გადაცემა ფორმდება ხელშეკრულებით. მოსარგებლეს ევალება სარგებლობის მთელ პერიოდში გამოყოფილი ფართობი იქონიოს შესაფერის სანიტარულ მდგომარეობაში, აგრეთვე აწარმოოს ნიადაგის გაფხვიერება ნაყოფის მომცემი ხეების და ბუჩქების ირგვლივ, ხელი შეუწყოს ბუნებრივ განახლებას, შეავსოს სასურველი ჯიშებით გამეჩხერებული კორომები და სხვ.

ე) ასეთივე წესით წარმოებს სოკოების, კენკრების, სვიის კრეფა, აგრეთვე ხავსის, ლერწმის, ჩამოცვივნული ფოთლების შეგროვება და სხვ.

ვ) არაპირდაპირი სარგებლობის პროდუქტთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულის დამზადებას უკავია. ცნობილია, რომ ტყის მცენარეულობისაგან მზადდება მთელი რიგი სამკურნალო პრეპარატები, რომელნიც აგრეთვე გამოიყენებიან სახალხო მეურნეო-

ბის მთელ რიგ დარგებში, როგორც ძვირფასი ტექნიკური ნედლეული. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე გარეული სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულის გამოყენების მიზნით ტყის მეურნეობები ნებას აძლევენ სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და, აგრეთვე, მოქალაქეებს მოკრიფონ და დაამზადონ ფოთლები, ყვავილები, ნაყოფი, კვირტები, ფესვები და ბოლქვები ბალახოვანი და მერქნიანი მცენარეებისა. სამრეწველო საჭიროებისათვის სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულის მოპოვება წარმოებს ტყის მეურნეობების მიერ გაცემული სპეციალური ბილეთების მიხედვით. ბილეთში იწერება სარგებლობის სახე, ადგილი, ოდენობა, ვადა და მოსარგებლის მოვალეობანი. სამკურნალო და ტექნიკური ნედლეულის დამზადების ყველა შემთხვევაში მოსარგებლენი ვალდებული არიან განახორციელონ ტყის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესები.

ზ) ხისა და ბუჩქების თესლისა და ნაყოფის დამზადება წარმოებს სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების იმ უბნებზე, რომლებიც ტყის მეურნეობის მიერ სპეციალურად არიან გამოყოფილი თესლისა და ნაყოფის შესაგროვებლად.

ხეებისა და ბუჩქების თესლებისა და ნაყოფის დასამზადებლად ტყის მეურნეობის სისტემაში ჩამოყალიბებულია სპეციალური ორგანიზაცია „გლავლესსემი". სპეციალური ნებართვით ხისა და ბუჩქის თესლებსა და ნაყოფებს ამზადებენ სხვა ორგანიზაციებიც.

თ) ტორფის მოპოვება არაპირდაპირი სარგებლობის გზით დაიშვება იმ უბნებზე, რომლებიც არ არიან დაფარული ტყით და ტყის მეურნეობის გეგმის მიხედვით არ არიან განკუთვნილი უახლოეს დროში ტყის აღსადგენად. ტორფის გამოყოფა სახელმწიფო კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე აგრეთვე მოსახლეობისათვის სასუქის სახით და სხვ. წარმოებს ტყის მეურნეობის მიერ სპეციალური ბილეთების გაცემით. ტორფის ამოღება დაიშვება მხოლოდ ზედა ფენებში. თუ ტორფის ამოღება გათვალისწინებულია ღრმად, მექანიზებული წესით სამრეწველო დანიშნულებით, მაშინ ასეთი ფართობების გაცემა წარმოებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

ი) სასარგებლო მთა-მადნეულის საბადოების ფართობების გაცემა წარმოებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით. საერთო გავრცელების წიაღისეულად ითვლება ყოველგვარი სილა, თიხა, (გარდა ცეცხლგამძლე, კაოლინური სალებავისა და მჟავაგამძლე) ქვიშნარი, კირქვა, ფიქალი (საწვავის გარდა), გრანიტი, ბაზალტი, დიორიტი, ქვიშა, ხრეში, კაჟი, რიყის ქვა, ანდეზიტი, კვარციტი, ცარცი, თიხა-კირი, თაბაშირი. საერთო გავრცელების წიაღისეულის მოპოვება დაიშვება ტყის ტერიტორიის ისეთ ფართობზე, სადაც არ არის ნიადაგის ჩამორეცხვისა და საერთოდ ეროზიული პროცესების საშიშროება. თუ წიაღისეულის დამუშავება ტყის მეურნეობას ზარალს მიაყენებს, ის არ უნდა იქნეს დაშვებული. არასამრეწველო დანიშნულების წიაღისეულის მოპოვების გაცემა წარმოებს ტყის მეურნეობის ნებართვით-სპეციალური ბილეთებით, ხოლო სამრეწველო დანიშ-

ჭულების წიაღისეულის გაცემა წარმოებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით.

კ) მიწის ნაკვეთების გამოყენება ტყის დროებითი საწყობების, ტივების შესაკრავი საყუდრებისა და სხვათა მოსაწყობად სამრეწველო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ წარმოებს რაიაღმასკომებისა და ტყის მეურნეობის დირექციის მიერ გაცემული ნებართვებით. ტყის მეურნეობა ამ მიზნით მიწების გამოყოფას არაპირდაპირ სარგებლობაზე აფორმებს ბილეთების გამოწერით. ისე როგორც ტყით პირდაპირ სარგებლობაზე, არაპირდაპირი სარგებლობაზედაც შემოღებულია აღრიცხვა-ანგარიშგების გარკვეული სისტემა, რომლის ზუსტად შესრულება ტყის მეურნეობის დირექციის მოვალეობას შეადგენს.

ტყის მეურნეობები სპეციალურ სამუშაოებს ატარებენ გამოფისვისათვის ტყეკაფების გამოსაყოფად. საქართველოს ტყეებში ამჟამად სამრეწველო ხასიათის გამოფისვა არ წარმოებს.

სატყეო-სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს სატყეო გზების მშენებლობის, გზების შენახვისა და სამელიორაციო ამოშრობითი სამუშაოები წარმოადგენს. ტყის მეურნეობის დირექცია ვალდებულია ტყის მეურნეობის ყველა კვარტალსა და უბანში მოაწყოს სატყეო-სამეურნეო გზები. სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობით ტყის მეურნეობა სრულყოფილად აითვისებს ტყის მეურნეობის ყოველ კვარტალს, გამოზიდავს იქიდან დასაშვები ოდენობის მერქანს და, აგრეთვე, ტყის ნარჩენებს. მოაწყობს ტყით არაპირდაპირ სარგებლობას, დროულად შეასრულებს სატყეო-საკულტურო სამუშაოებს, ტყის დაცვის ღონისძიებებს და სხვ. ზოგიერთი ტყის მეურნეობა ამ მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება. არა თუ ცალკეულ კვარტალებში, არამედ მთელ უბნებში და ხშირად მასივებშიც კი არ არის გაყვანილი სატყეო-სამეურნეო გზები. უგზოობის გამო ტყის ჯერ კიდევ აუთვისებელი უბნები და მასივები მოკლებულია ყოველგვარ მეურნეობრივ ღონისძიებებს. ამჟამად, როდესაც გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ყოველი ჰექტარი მიწიდან მოსავლისა და საერთოდ სარგებლობის გასადიდებლად, უდავოდ ბუნების ანაბრად, აუთვისებელი ტყის ფართობის მიტოვება, ადამიანის ზემოქმედების გარეშე მათი დატოვება, ისიც საქართველოს ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში, დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

ყოველი ტყის მეურნეობა ვალდებულია პირველ რიგში იზრუნოს ტყის მთელი ტერიტორიის სამეურნეო ათვისებისათვის. საქართველოს მთაგორიან პირობებში ამ ამოცანის განხორციელება ერთი ხელის მოსმით შეუძლებელია, სამეურნეო გზების მშენებლობა საქართველოს მთაგორიანი რელიეფის პირობებში მთელ რიგ სიძნელეებთანაა დაკავშირებული (გზების მშენებლობის სირთულე, დიდი ღირებულება, სამშენებლო ტექნიკის გამოყენების სიძნელეები და სხვ), მაგრამ ეს სიძნელეები ყოველ მიზეზს გარეშე დაძლეული უნდა იქნეს. სპეციალისტების მიერ შედგენილი უნდა იქნეს საქართველოს ტყის მასივებში აუთვისებელი რაიონების სამეურნეო ათვისების პერსპექტიული გეგმა და მიღებული უნდა იქნეს ზომები ამ გეგმის რაც შეიძლება მოკლე ვადებში შესასრულებლად.

სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან მეტი სარგებლობის მიღების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს დაჭაობებულ და გამეჩხერებულ ადგილებში მაღალმწარმოებლობისა და მაღალპროდუქციული კორომების შექმნას. ამ მხრივ დიდ როლს ასრულებს ტყის სამელიორაციო და დაჭაობებული ადგილების ამოშრობის სამუშაოები. შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, მტკვრისა და ალაზნის აუზებში სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობებზე ცოტა როდია დაჭაობებული, ტყით დაფარული მცირემწარმოებლობის კორომები, სადაც სამელიორაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად მნიშვნელოვნად შეიძლება გადიდდეს სარგებლიანობა. ამავე დროს საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, ტყის მეურნეობების არასწორად წარმოების შედეგად, ადგილი აქვს ეროზიულ პროცესებს (ნიადაგის ჩამორეცხვას, მეწყერებს, ნიადაგის ზედაპირის დაშლას და სხვ.). სატყეო-სამეურნეო ორგანოების მოვალეობას შეადგენს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების დახმარებით გაატარონ ღონისძიებები ეროზიული პროცესების წინააღმდეგ. ეროზიული პროცესების წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, ტყის მეურნეობის სწორად წარმოებასთან ერთად, ეროზიის საშიშ ადგილებზე სატყეო-სამელიორაციო სამუშაოთა წარმოებას. ტყის მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმაში ტყის სამელიორაციო სამუშაოები ცალკე განყოფილებადაა გამოყოფილი. ეს ნიშნავს ამ საქმიანობისადმი დიდ ყურადღებას.

სატყეო-სამეურნეო სამუშაოთა შემადგენლობა და სტრუქტურა თითქმის ერთნაირია სახელმწიფო ორგანიზაციების დაქვემდებარების ტყეებში, ხოლო საკოლმეურნეო ტყეებში ის მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. საკოლმეურნეო ტყეებში ტყით სარგებლობა სხვა პრინციპზეა აგებული, ვიდრე ეს სახელმწიფო ტყეებში. საკოლმეურნეო ტყეებში საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ხე-ტყის გაცემა მიმდინარეობს უფასოდ, ხოლო კოლმეურნეებზე ხე-ტყის გაცემა წარმოებს ნიხრების გაუდიდებლად.* საკოლმეურნეო ტყეებიდან შემოსავალი (გარდა ჯარიმებისა) ირიცხება კოლმეურნეობის შემოსავალში და ხმარდება საკოლმეურნეო ტყეების აღდგენა-განახლებასა და დაცვას. თუ შემოსავალი ჭარბობს კოლმეურნეობის ტყის მეურნეობის ხარჯებს, სხვაობა ირიცხება კოლმეურნეობის განუყოფელ ფონდში. თუ სახელმწიფო ტყეებში ტყით სარგებლობა ისაზღვრება და რეგულირდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, საკოლმეურნეო ტყეებში ტყით სარგებლობას და საერთოდ მეურნეობას აწარმოებს კოლმეურნეობა; კოლმეურნეობა ითვლება საკოლმეურნეო ტყეების სრულუფლებიან მოსარგებლედ.

საკოლმეურნეო ტყეები ორ კატეგორიად იყოფა: პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ის ტყეები, რომელთაც დაცვითი მნიშვნელობა აქვთ და გაადგილებული არიან ხრამებში, უდაბნოს ტიპის რაიონებში, ქვიშნარებზე, მდინარეების სანაპიროებზე, გზატკეცილებისა და რკინისგზების გასწვრივ, კურორტების, სანიტარული დაცვის ზონაში, გამწვანების ზონასა და მთიან ტყეებში

---

* სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სახელმწიფო ტყის ფონდიდან მოსახლეობაზე ხე-ტყის გაცემა წარმოებს დამტკიცებული ნიხრების 50 %-ით გადიდებით.

მეორე კატეგორიის საკოლმეურნეო ტყეებს მიეკუთვნება ყველა დანარჩენი ტყე. საკოლმეურნეო ტყეების ამა თუ იმ კატეგორიისადმი მიკუთვნება წარმოებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1955 წლის 25 თებერვალს დამტკიცებულ იქნა საკოლმეურნეო ტყეების დებულება.* საკოლმეურნეო ტყეებში, მეურნეობის სწორად წარმართვის მიზნით, ტარდება ტყის მოწყობა. ტყის მოწყობის გეგმას ამტკიცებს რაიონული საბჭოს აღმასკომი და ხელშეკრულებით ამ სამუშაოს აწარმოებს სპეციალიზებული ტყის მომწყობი ორგანიზაცია „ლესოპროექტი".

კოლმეურნეობები ყოველწლიურ საწარმოო საფინანსო გეგმებში ითვალისწინებენ იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გატარდეს სამეურნეო წელს საკოლმეურნეო ტყეებში. დამტკიცებული დებულების მიხედვით საკოლმეურნეო ტყეები, ისე როგორც სსრ კავშირის სხვა ტყეები, სახალხო საკუთრებას შეადგენენ და მათ დაცვაზე, აღდგენა-განახლებაზე, სწორ სარგებლობასა და მოვლაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კოლმეურნეობის გამგეობას.

კოლმეურნეობის გამგეობა ვალდებულია;

1) შეიმუშაოს და განახორციელოს ტყის აღდგენა-განახლებისათვის სატყეო სამეურნეო ღონისძიებები, აწარმოოს საკოლმეურნეო ტყის ფონდისა და მეურნეობის წარმოების შესახებ აღრიცხვა-ანგარიშგება დადგენილი ფორმების მიხედვით;

2) განახორციელოს ტყის დაცვა, მიიღოს ზომები მავნე მწერების წინააღმდეგ, დაიცვას ტყე დაავადებისაგან, ხანძრისაგან, თვითნებური ჭრებისაგან და ტყით სარგებლობის წესების სხვა სახის დარღვევებისაგან;

3) აწარმოოს ტყეკაფების გამოყოფა ჭრებისათვის, ტყის ძირზე გაცემა, ტყის მოვლითი ჭრების, აღდგენითი და სანიტარული ჭრების გატარება, ტყეკაფების გაწმენდა და სხვ.;

4) სატყეო ფართობების სწორად გამოყენება პირუტყვის ძოვებისათვის, თივის გასათიბავად და სხვა სახის დამხმარე და არაპირდაპირი სარგებლობისათვის ფართობების გამოყოფა და სხვ.

თუ კოლმეურნეობის გამგებლობაში გადაცემულია ტყის ფართობი არანაკლები 50 ჰექტარისა, კოლმეურნეობა ვალდებულია ამ ტყეებისათვის გამოყოს სათანადო კვალიფიცირებული მეტყევე, აგრეთვე ტყის დაცვისა და მოვლის სამუშაოთა უზრუნველყოფის მიზნით უნდა გამოყოს ტყის მცველები, ხანძრის საშიშ პერიოდში კი—დროებით მეხანძრე დარაჯები. ტყის მცველებისა და მეხანძრე დარაჯების ოდენობას საზღვრავს კოლმეურნეობა მტს-სა და ტყის მეურნეობის დირექციასთან შეთანხმებით.

საკოლმეურნეო ტყეების მეტყევის, ტყის მცველისა და მეხანძრე დარაჯის შრომის ანაზღაურება წარმოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კოლმეურნეობის საერთო კრების მიერ დადგენილი წესის მიხედვით. საკოლმეურნეო ტყეებში სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების სწორად გატარების საქ-

---

* იხ. საკოლმეურნეო ტყეებში მეურნეობის წარმოებისა და ორგანიზაციის შესახებ სახელმძღვანელო მასალების კრებული. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოცემა, მოსკოვი 1955 წელი.

მეში კოლმეურნეობებს დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობისა და ტყის მეურნეობის ორგანოები. ტყის მეურნეობები და მტს-ები დახმარებასთან ერთად აწარმოებენ საკოლმეურნეო ტყეებში ტყით სარგებლობის წესების დაცვის კონტროლს. ტყით სარგებლობის წესების დარღვევის ყოველი შემთხვევა, სათანადო ზომების მიღების მიზნით, განიხილება ტყის მეურნეობისა და მტს-ის წარდგენით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტში და, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში ზემდგომ ორგანოებშიც.

## II სატყეო-საკულტურო სამუშაოთა ორგანიზაცია

სატყეო-საკულტურო სამუშაოები განსაკუთრებით პირველ და მეორე ჯგუფის ტყეებში, ტყის მეურნეობის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ.

სატყეო-საკულტურო სამუშაოები სსრ კავშირის ტყის ფონდის გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების მატერიალურ საფუძველს წარმოადგენენ. ტყის ფონდის გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოება სსრ კავშირში მიმდინარეობს ძირითადად: ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობით, უტყეო და მცირეტყიან რაიონებში ტყეების ხელოვნური გაშენებით და სხვადასხვა კომპლექსური სატყეო ღონისძიებით (სწრაფმზარდი ჯიშების დაბალმწარმოებლობის კორომებში შეტანით, ძვირფასი ჯიშების გაშენებით, მოვლითი ხასიათის ჭრებით და სხვ.), ტყის მწარმოებლობისა და პროდუქტიულობის გადიდებით და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირი მდიდარია ტყით და მას დაახლოებით მსოფლიო ტყის ფონდის 1/3 უჭირავს, საბჭოთა მთავრობა სატყეო-საკულტურო სამუშაოებს და საერთოდ ტყის ფონდის გადიდების ღონისძიებების გატარებას მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს. საბჭოთა მთავრობა ყოველწლიურად დიდ თანხებს ხარჯავს სატყეო-საკულტურო სამუშაოებსა და ტყის აღდგენა-განახლების სამუშაოებზე.

აღნიშნულის შედეგად საბჭოთა კავშირის ტყის ფონდს ყოველწლიურად ემატება ახალი ტყით დაფარული ფართობები. სატყეო-საკულტურო სამუშაოთა მოცულობის სისტემატურ ზრდას ნათლად ადასტურებენ შემდეგი მონაცემები: 1923—1927 წლებში სსრ კავშირში გაშენებული იყო 77 ათასი ჰექტარი ტყე; 1928—1932 წლებში—534 ათასი ჰექტარი; 1932—1935 წლებში—684 ათასი ჰექტარი. 1936—1946 წლებში მარტო სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ტყის დაცვისა და გაშენების მთავარ სამმართველოს მიერ (მიუხედავად მეორე მსოფლიო ომისა 1941—1945 წლებში) რგვითა და თესვით გაშენებული იყო 1543 ათასი ჰექტარი ტყე და 257.600 ჰექტარზე ჩატარდა ტყის განახლების ხელშემწყობი ღონისძიებები. მნიშვნელოვნად გადიდდა სატყეო-საკულტურო სამუშაოები მეოთხე და მეხუთე ხუთწლედებში. ამ ორ ხუთწლედში სსრ კავშირში გაშენდა ხუთ მილიონ ჰექტარზე მეტი ტყე-კულტურები.

გრანდიოზული სამუშაოებია დასახული ტყის მეურნეობის ხაზით მეექვსე ხუთწლედში—უნდა გაშენდეს 3 მილიონი ჰექტარი ტყე-კულტურები'

ძირითადად სწრაფმზარდი და ძვირფასი ჯიშებისაგან. თუ რა დიდ თანხებს ხარჯავს საბჭოთა მთავრობა სატყეო-საკულტურო სამუშაოებზე და საერთოდ ტყის მეურნეობაზე. ამის სრულ წარმოდგენას გვაძლევს მეხუთე ხუთწლედის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რომლის მიხედვითაც ტყის მეურნეობაზე დაიხარჯა 12 მილიარდ მანეთზე მეტი.

მსოფლიოში არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს არ შეუძლია მიახლოებით მაინც შეედაროს საბჭოთა ქვეყანას სატყეო საკულტურო სამუშაოების მასშტაბითა და მოცულობით. მიუხედავად იმისა, რომ გამოუკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ელვისებრი სისწრაფით მიმდინარეობს ტყის ფონდის განადგურების პროცესი, — მათი აღდგენა-განახლებისათვის უმნიშვნელო მუშაობა წარმოებს. ოფიციალური ცნობების მიხედვით ინგლისში სატყეო-საკულტურო სამუშაოები ყოველწლიურად არ აღემატება 15 - 20 ათასს ჰექტარს, თუმცა 3 - 4 ჯერ მეტ ფართობზე ტყეები ყოველწლიურად ნადგურდება. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1932 წლიდან 1944 წლამდე გაშენებული იყო 65 ათასი ჰექტარი ტყე, მაშინ როდესაც ყოველწლიურად იქ ტყე 500 ათასს ჰექტარზე ნადგურდება. სრული ჭეშმარიტებით გვევლინება თანამედროვე კაპიტალიზმის ეპოქაშიაც მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლის კ. მარქსის დებულება იმის შესახებ, რომ „თანამედროვე მიწათმოქმედებაში, ისევე როგორც საქალაქო მრეწველობაში, შრომის მწარმოებლური ძალის გადიდება და შრომის უფრო გაძლიერებული ამოქმედება თვით სამუშაო ძალის განადგურებისა და გამოფიტვის ხარჯზე ხდება. და კაპიტალისტური მიწათმოქმედების ყოველი პროგრესი არის არა მარტო პროგრესი მუშის გაძარცვის ხელოვნებისა, არამედ ამასთანავე ნიადაგის გაძარცვის ხელოვნებისაც, ყოველი პროგრესი ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისა გარკვეულ დროში არის იმავე დროს პროგრესი ამ ნაყოფიერების მუდმივ წყაროთა განადგურებისა. რაც უფრო მეტად ეყრდნობა ესა თუ ის ქვეყანა, მაგალითად, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები, მსხვილ მრეწველობას როგორც თავისი განვითარების ფარულ საფუძველს, მით უფრო სწრაფია განადგურების ეს პროცესი. ამიტომ კაპიტალისტური წარმოება ავითარებს ტექნიკას და საზოგადოებრივი წარმოების პროცესის კომბინაციას მხოლოდ იმ გზით, რომ იგი იმავე დროს ანადგურებს ყოველი სიმდიდრის წყაროს: მიწას და მუშას".*

ტყეების განადგურების შედეგად ჩ. ა. შ. შ. 446 მილიონი ჰა მიწის ფართობი ეროზიულ პროცესებს განიცდის. აქედან 100 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი უკვე გადაქცეულია უვარგის მიწებად. ნაციონალური სიმდიდრის განადგურების ამ პროცესების არა თუ შეჩერება, არამედ შენელებაც კი შეუძლებელია კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში, რადგან სატყეო-საკულტურო სამუშაოები კაპიტალისტებისათვის არახელსაყრელი წარმოების სფეროდაა მიჩნეული.

„წარმოების გრძელი დრო (რომელიც შედარებით მხოლოდ მცირე ზომით შეიცავს სამუშაო დროს) და გადაბრუნების პერიოდების ხანგრძლივობა, რომელიც მასთან დაკავშირებულია, ტყის გაშენებას ხდის არახელსაყრელ

* კ. მარქსი, კაპიტალი ტ. I, გვ. 638—639 გამოც. 1954 წ.

დარგად კერძო და, მაშასადამე, აგრეთვე კაპიტალისტური წარმოებისა, ვინაიდან ეს უკანასკნელი არსებითად კერძო წარმოებაა მაშინაც კი, როდესაც ცალკე კაპიტალისტის ნაცვლად ასოციაციაში გაერთიანებული კაპიტალისტი გამოდის ასპარეზზე. კულტურისა და საზოგადო მრეწველობის განვითარებამ იმთავითვე ტყეების ისეთი ენერგიული განადგურებით იჩინა თავი, რომ ამასთან შედარებით ის, რაც მან ტყის შესანარჩუნებლად და გასაშენებლად გააკეთა, სრულიად უმნიშვნელო სიდიდეს წარმოადგენს". *

თუმცა ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები კაპიტალისტურ ქვეყნებთა შორის უმდიდრეს ქვეყანას წარმოადგენს, მაგრამ კაპიტალისტური წარმოებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი ამუხრუჭებენ და შეუძლებელს ხდიან წარმოებულ იქნენ ფართო მასშტაბით სატყეო-საკულტურო სამუშაოები.

სსრკ-ში განხორციელებული გეგმიანი მეურნეობის სისტემა უზრუნველყოფს ტყის, როგორც ნაციონალური სიმდიდრის მნიშვნელოვან წყაროს, არა მარტო დაცვას და მიზანშეწონილ გეგმიან სარგებლობას, არამედ ტყის ფონდის გადიდებას რაოდენობრივად და ხარისხობრივად.

სსრ კავშირის ტყეების დიდი უმეტესობა უკვე მოწყობილია. ტყის მოწყობა ტყის მდგომარეობის ადგილზე შესწავლის შედეგად აწესებს ტყით პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებლობის სახეებს და მოცულობას გარკვეული პერიოდისათვის და ამავე დროს საზღვრავს იმ ნაკვეთების ფართობს, სადაც უნდა ჩატარდეს ტყის აღდგენა-განახლების სამუშაოები.

ტყის ფონდის მიწების იმ ფართობს, სადაც უნდა ჩატარდეს სატყეო-საკულტურო სამუშაოები, სატყეო-საკულტურო ფონდი ეწოდება. სატყეო-საკულტურო ფონდის მიწების სიდიდე, ტყის მეურნეობის ადგილმდებარეობა, ამ ტყეების სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა და სატყეო-საკულტურო სამუშაოებისათვის გაღებული თანხების სიდიდე საზღვრავს ამა თუ იმ ტყის მეურნეობაში ყოველწლიურ სატყეო-საკულტურო სამუშაოთა მოცულობას და დაფინანსების მასშტაბს. სატყეო-საკულტურო ფონდის მიწების ტყე-კულტურების ქვეშ ათვისება მოცემულ ტყის მეურნეობაში დამოკიდებულია სატყეო-საკულტურო სამუშაოთა პერსპექტიულ და ოპერაციულ გეგმებზე. ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველო ყოველი სამეურნეო წლის დასაწყისში ტყის მეურნეობას აძლევს ძირითად საწარმოო დავალებას ტყე-კულტურების გაშენების დარგში.

ტყის მეურნეობა ძირითადი სატყეო-საკულტურო სამუშაოების დასახელებასთან ერთად ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოსაგან ღებულობს სამუშაოს მოცულობას სამეურნეო წლისათვის კვარტალების მიხედვით განაწილებით და სამუშაოს ერთეულის ღირებულებას. აღნიშნულის საფუძველზე ტყის მეურნეობა ადგენს სატყეო-საკულტურო სამუშაოთა გეგმას შემდეგი გამსხვილებული მაჩვენებლების სახით:

---

* კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. II, გვ. 206.

| №№ | სამუშაოთა დასახელება | ზომის ერთეული | 195 . . წ გეგმა | მათ შორის კვარტალების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I | II | III | IV |
| 1 | ტყის თესვა . | ჰა | 5 | 2 | 2 | | 1 |
| 2 | ტყის რგვა . . | | 10 | 3 | 6 | | 1 |
| 3 | კულტურების შევსება . | | 7 | — | 3 | | 4 |
| 4 | ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა . . . | | 32 | — | 12 | 15 | 5 |
| 5 | ნიადაგის მომზადება ტყის კულტურებისათვის, სანერგეებისათვის, სკოლებისა და პლანტაციებისათვის . . . . | | 12 | 3 | 2 | 3 | 4 |
| 6 | ტყის კულტურების მოვლა ერთჯერადზე გადაყვანით . . . | | 90 | — | 60 | 30 | — |
| 7 | სანერგეების, სკოლების, პლანტაციების გაშენება . . . | | 12 | 2 | 3 | — | 7 |
| 8 | სანერგეების, სკოლების, პლანტაციების მოვლა ერთჯერადზე გადაყვანით . . . . . . . | " | 33 | 6 | 20 | — | 7 |
| 9 | კულტურების შეღობვა . . | მეტრობით | 1600 | 1600 | | | |
| 10 | ნერგების ამოღება, დახარისხება, შეფუთვა . . . . . . | ათას ცალობით | 18.0 | 8,0 | 10,0 | | |
| 11 | მორწყვა (კულტურების, სანერგეების, სკოლების, პლანტაციების) . | ჰა | 280 | — | 70 | 140 | 70 |
| 12 | თესლის დამზადება . | ტონობით | 1,2 | 0,7 | 0,2 | — | 0,3 |
| 13 | ტყე პარკების სამუშაოები . . . | ჰა | 16 | 4 | 4 | 4 | 4 |
| 14 | . | | | | | | |
| 15 | . | | | | | | |
| 16 | . | | | | | | |
| 17 | . | | | | | | |

ამ გამსხვილებულ საწარმოო მაჩვენებლების საფუძველზე ტყის მეურნეობა ადგენს ტყე-კულტურების სამუშაოების გეგმას გაშლილი მაჩვენებლებით, სადაც აღნიშნულია შესრულების ადგილი და სამუშაოს შესრულების ვადა. ასე, მაგალითად, ტყის თესვის გეგმას ტყის მეურნეობა ანაწილებს სატყეოებზე. სატყეოების გეგმა კი დანაწილებული უნდა იქნეს სამუშაოს სახეებისა და საწარმოო ბრიგადების ან შემსრულებლების მიხედვით. ტყის თესვის სამუშა-

ოები შეიძლება წარმოებულ იქნეს ღია ფართობებზე, მწვანე ზონაში, ან მეჩხერებში, და ა. შ. ამის გარდა, ტყის თესვა განაწილებული უნდა იქნეს ჯიშების მიხედვით; ვადებისა და სახეების მიხედვით ნაწილდება აგრეთვე ტყის რგვის, ტყის შევსების, ბუნებრივი განახლების ხელშემწყობის და სხვა სამუშაოები.

სატყეო-საკულტურო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად ჩატარების მიზნით საჭიროა:

1. სატყეო-საკულტურო ფონდის მიწების ზუსტი აღრიცხვა;

2. სატყეო-საკულტურო სამუშაოთა უახლოესი 5 წლის პერსპექტიული გეგმის შედგენა;

3. საკულტურო სამუშაოთა სათესლე და სარგავი მასალით უზრუნველყოფის გეგმის შედგენა და სხვ.

ამ მასალებზე დაყრდნობით შედგენილი უნდა იქნეს აგრეთვე სატყეო-საკულტურო სამუშაოების წლიური გეგმა. წლიურ გეგმაში შეიტანება ისეთი ფართობები, რომლებზედაც პირველ რიგში უნდა გაშენდეს ტყე-კულტურები (საკურორტო ზონა, ქალაქის გამწვანების ზონა, მდინარის ნაპირებზე, ხევებსა და ხრამებში). გეგმის შედგენის დროს მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ტყის მეურნეობის შრომის რესურსები, ცოცხალი გამწევი ძალა, სატყეო საკულტურო მანქანა-იარაღების სიმძლავრეები, საკუთარი თესლისა და ნერგების რესურსები და მათი შეძენის რეალური შესაძლებლობანი. სატყეო საკულტურო სამუშაოების დაწყებამდე უნდა ჩატარდეს ნიადაგებისა და საერთო ადგილმდებარეობის შესწავლა. შესწავლილი უნდა იქნეს გასატყევებლად აღებული ნიადაგის სტრუქტურა, ბონიტეტი და მავნებლების გავრცელების ხასიათი. სატყეო-საკულტურო სამუშაოთა განხორციელება წარმოებს გეგმის საფუძველზე.

სატყეო-საკულტურო სამუშაოთა გეგმის პროექტი დგება მეტყევე სპეციალისტების მიერ. ტყის მეურნეობის ინჟინერი კულტურების დარგში საერთო ხელმძღვანელობას უწევს სატყეოებს სატყეო-საკურორტო სამუშაოთა პროექტის შედგენაში. საკულტურო სამუშაოთა პროექტი უნდა ემყარებოდეს ადგილზე ტყის კულტურებისათვის გათვალისწინებული ნაკვეთის დაწვრილებით გამოკვლევას და შესწავლას. ადგილზე ნაკვეთის დათვალიერებისა და სატყეო-საკულტურო სამუშაოებთან დაკავშირებულ ყველა პირობის შესწავლის შედეგად შედგენილი პროექტი უნდა ითვალისწინებდეს სამუშაოთა მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის სათანადო ღონისძიებებს. პირველ რიგში უნდა დადგინდეს, თუ რომელი ჯიშები შეიძლება გაშენდეს აღებულ ნაკვეთზე, და როგორ იქნება ამ ჯიშების შეთანაწყობა.

სსრ კავშირის ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ შემუშავებულია კულტურების ტიპები და შედგენილია სქემები კულტურების სხვადასხვა ტიპზე. თუმცა ეს ტიპები და სქემები არ არის შედგენილი საქართველოს მთიანი ტყეების პირობებისათვის, მაგრამ მუშაობის მიმართულების ასარჩევად და სამუშაოთა სახეების გასარკვევად საქართველოს პირობებშიაც შეიძლება ზოგი რამ გამოყენებულ იქნეს აღნიშნულიდან.

სატყეო-საკულტურო სამუშაოთა პროექტი ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ მისი განხორციელების შედეგად მიღწეულ იქნეს უმოკლეს ვადაში, მატერიალური საშუალებების ეკონომიურად ხარჯვის პირობებში, მაღალმწარმოებლობის და ძვირფასი სამეურნეო ჯიშების კულტურების გაშენება.

სატყეო-საკულტურო სამუშაოთა პროექტი უნდა ითვალისწინებდეს სატყეო-საკულტურო სამუშაოთა ყველა პროცესში მექანიზაციის ფართო გამოყენებას და მექანიზმებისა და სამუშაო იარაღების მაქსიმალური დატვირთვით მუშაობას.

ტყის კულტურების ზრდა-განვითარების ადგილობრივი პირობების მიხედვით გასატყევებელ ფართობებს ყოფენ შემდეგ კატეგორიებად:

1. მწირი მიწები, ყალთაღები მინდვრები, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისაგან განთავისუფლებული ტყეკაფები, ნახანძრევი, სადაც ძირკვები დარჩენილია მეჩხრად ან კიდევ ძირკვები უკვე დამპალია და ნაკვეთი პირაღებით—მთლიანად მოხვნის საშუალებას იძლევა.

2. ტყეკაფები, მეჩხერები და ნახანძრევი, სადაც არ მიმდინარეობს არც მთავარი და არც მეორეხარისხოვანი მერქნითი ჯიშების განახლება, ნაკვეთებზე არის ხშირი ძირკვები, რომლებიც არ იძლევიან ნაკვეთის მთლიან, პირაღებით დამუშავების საშუალებას და უნდა ჩატარდეს ამოძირკვის სამუშაოები ან უნდა მოიხნას ზოლებად, ბაქნებად;

3. ტყეკაფები, რომლებზედაც არადამაკმაყოფილებლად არის მთავარი ჯიშების განახლება ან კიდევ ტყეკაფები, რომელნიც დაფარულია მეორეხარისხოვანი ჯიშებით და საჭიროა ამოძირკვის წარმოება.

კულტურების გაშენებისათვის შერჩეული ნაკვეთების ფაქტობრივი მდგომარეობა საზღვრავს ტყე-კულტურების სამუშაოთა ხასიათს. ტყე-კულტურების გაშენებისათვის შერჩეული ფართობები მარტივი კუთხსაზომების საშუალებით გადაღებული უნდა იქნენ, და შემდეგ სათანადო მასშტაბით უნდა შედგეს გამარტივებული რუკა. ნაკვეთის რუკა აუცილებლივ უნდა თან დაერთოს ტექნიკურ გეგმას, რუკაზე გამოიყოფა უბნები კულტურების მიხედვით. იმ ნაკვეთებზე, სადაც მთავარი ჯიშების აღმოცენება არ არის, მთავარი ჯიშების დათესვა (დარგვა) დაპროექტებული უნდა იქნეს როგორც ზრდის დამაჩქარებელი თანამყოლი ჯიშები, თუ ტყის კულტურებისათვის შერჩეულ ნაკვეთებზე შესაძლებელია თვით მოთესვა, მაშინ პროექტში შემცირებული უნდა იქნეს თესვის ნორმები.

სატყეო-საკულტურო სამუშაოების პროექტი დგება შემდეგი თანამიმდევრობით: 1—განყოფილებაში მოცემულია ნაკვეთის აღწერილობა, ნაკვეთის დასახელება, მისი ფართობი, ნაკვეთის კატეგორია (სამუშაოს ხასიათის მიხედვით—ტყეკაფი, მინდორი, ნახანძრევი და სხვა), რელიეფი, ნიადაგი, საფარი. არის თუ არა ნაკვეთზე მოზარდი ამონაყარი, ქვეტყე, ძირკვების რაოდენობა 1 ჰექტარზე, ნიადაგის მავნებლებით დაზიანების ხარისხი, კულტურების ზრდა-განვითარების პირობები.

მე-2 განყოფილებაში მოყვანილი უნდა იქნეს ნიადაგის დამუშავების მონაცემები. სახელდობრ: ნიადაგის დამუშავების წესი (მთლიანი—პირაღებით, ზოლისებრად, ბაქნებად, სამუშაოების შესრულება მექანიზებულად, ცოცხალი

გამწევი ძალით, ხელით, ზოლების სიგანე, ბაქნების ფართობი); ნიადაგის დამუშავების სიღრმე, ნიადაგის მომზადების აგროტექნიკა, ამოსაძირკვი ნაკვეთების ფართობი ჰექტარობით, დათესვისა და დარგვის წესი (ლენტისებრი). პროექტში უნდა აღინიშნოს თესვის წესი—ხელით, სათესი მანქანებით, ან კიდევ ცხენით, გამწევი ძალის გამოყენებით, ავიაციის საშუალებით და ა. შ.; როგორი წესით მიმდინარეობს დარგვა, ხელით თუ მექანიზებულად. ამ განყოფილებაში იწერება სარგავი მასალის სახე: კალმებით თუ ნერგებით—ნერგების ხნოვანება და მათი მიღების ადგილი; მოცემული უნდა იქნეს ჯიშების შერევის სქემა, მწკრივებში ნერგების დაშორება, ბაქნებზე ნერგების დანაწილება და ა. შ. აქვე შემდეგ მოცემული უნდა იქნეს კულტურების მოვლის ღონისძიებები: გათოხნა, გაფხვიერება, შემოღობვა და სხვ. მოვლა გადაყვანილი უნდა იქნეს ერთჯერადზე. პროექტის ბოლო ნაწილში დაჯამებული უნდა იქნეს სამუშაოთა მოცულობა გვ. 38 ზე მოყვანილი ცხრილის მიხედვით.

1 ჰექტარზე საჭირო ტრაქტორდღეები, ცხენდღეები და კაცდღეები აღებული უნდა იქნეს ტყის მეურნეობის მიერ დამტკიცებული ნორმების მიხედვით; თესლისა და სარგავი მასალის ნორმები მოცემულია აგრო-სატყეო წესებში ჯიშების მიხედვით.

გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სატყეო-საკულტურო სამუშაოთა დამთავრებას აგრო-სატყეო წესებით დადგენილ ვადებში და მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებსაც. სახელდობრ, მოხვნის სიღრმეს, თესლის ხარისხს, სანერგე მასალის ხარისხს, სარეველა მცენარეების მოსპობას, მოვლის სახეებსა და ოდენობას და სხვ.

კულტურები უნდა გაშენდეს ტყის მეურნეობის დირექციის მიერ დამტკიცებული პროექტის მიხედვით, სადაც მოცემულია კულტურების სხვადასხვა ჯიშის გაადგილება (წმინდა მწკრივებით, მწკრივებში შერეული, ცალკეული რგოლების მიხედვით, ჭადრაკისებრად, ბუდობრივად თუ სხვ.).

კულტურების რგვისა ან თესვის ჩატარების შემდეგ ტყის მეურნეობის მთელი ყურადღება გადატანილი უნდა იქნეს კულტურების მოვლაზე. ტყეკულტურების მოვლის სამუშაოებს მიეკუთვნება: მიწის ფარცხვა ან თოხნა, სარეველების მოსპობა, ნალექების შემდეგ (გაზაფხულზე, ზაფხულზე, შემოდგომაზე) მიწის გაფხვიერება, შემოდგომაზე მწკრივთაშორის ნიადაგის ღრმა კულტივაცია, ხშირად აღმოცენებული ნათესების გამოხშირვა; რწყვა და სხვ. მოვლის სამუშაოთა სახეები და მოცულობა დამოკიდებულია კულტურების ზრდა-განვითარების ადგილობრივ პირობებზე. კულტურების მოვლა, როგორც წესი, მიმდინარეობს მთელი ვეგეტაციის პერიოდში. კულტურების მოვლის სამუშაოებზე მაქსიმალურად გამოყენებული უნდა იქნეს მანქანა-იარაღები და უნდა განხორციელდეს საჭირო ღონისძიებები მანქანა-იარაღების მწარმოებლობის გადიდებისათვის. კულტურების შევსება, როგორც წესი, მიმდინარეობს რგვიდან ან თესვიდან მეორე წელს. კულტურების შევსების აუცილებლობა და ოდენობა დადგენილი უნდა იქნეს შემოდგომაზე ჩატარებული კულტურების ინვენტარიზაციის შედეგად.

ისეთი კულტურები, სადაც გახარება არ აღემატება 25%-ს, ითვლება დაღუპულად; ისეთ ფართობებს, სადაც კულტურების გახარება 90%-ია, ხოლო დანაკლისი 10% დაახლოებით თანაბრადაა განაწილებული მთელ ფარ-

| №№ რიგზე | სამუშაოს სახე | სამუშ. მოც. (ჰა) | 1 ჰექტარზე საჭირო | | | | | მთელ ფართობზე საჭირო | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ტრაქტორ-დღეები | ცხენდღეები | კაცდღეები | თესლი კგ. | სარგავი მა-სალა | ტრაქტორ-დღეები | ცხენდღეები | კაცდღეები | თესლი | ნერგები | |
| 1 | ნიადაგის მომზადება . | 3 | 0,2 | 0,1 | 0,5 | — | — | 0,6 | 0,3 | 1,5 | | | აღებულია 1 ფიჭვის კულტურა |
| 2 | დათესვა . | 3 | 0,1 | 0,1 | 0,6 | 25* | — | 0,3 | 0,3 | 1,8 | 75 | | |
| 3 | დარგვა . | 1,5 | — | — | 10 | — | 5000 | — | — | 15 | — | 7500 | |
| 4 | კულტურების მოვლა . | 20 | 0,06 | — | 2 | — | — | 1,2 | — | 40 | — | — | |
| 5 | . | | | | | | | | | | | | |
| 6 | . | | | | | | | | | | | | |

ხელმოწერა

195 . . Წ „ “ . . . . . . .

ტობზე, შევსება არ სჭირდება. ის ფართობები, სადაც ნათესების გახარება 25-დან 90%-მდეა, შევსებული უნდა იქნეს მეორე წელს. თუ ამას კულტურების არსებული მდგომარეობა მოითხოვს, შევსება დასაშვებია აგრეთვე მესამე და მეოთხე წელსაც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შესრულებულ სატყეო-საკულტურო სამუშაოთა ზუსტ აღრიცხვას. აღრიცხვის შედეგად დადგენილი უნდა იქნეს:

1. რა მოცულობისა და ხარისხის სამუშაოები ჩატარდა საანგარიშო პერიოდში;

2. სრულდება თუ არა სატყეო-საკულტურო სამუშაოთა გეგმები სატყეო აგროწესების ვადების მიხედვით;

3. მოწინავე სატყეოები, მოწინავე საწარმოო ბრიგადები, რომლებმაც წარმატებით იმუშავეს და მუშაობაში გამოიყენეს მოწინავე ეფექტური მეთოდები, შესწავლილი უნდა იქნენ მათი მუშაობის მეთოდების გავრცელებისა და ფართოდ დანერგვის მიზნით.

აღრიცხვის შედეგების მიხედვით დასახული უნდა იქნეს საჭირო ღონისძიებები სატყეო-საკულტურო სამუშაოთა კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით. აღრიცხვის ობიექტად ითვლება ის ფართობები, სადაც მიმდინარეობს კულტურების გაშენება (თესვით, რგვით, შევსებით, ბუნებრივი განაახლების ხელშეწყობით). აღრიცხვა უნდა ჩატარდეს სატყეო-საკულტურო სამუშაოთა შესრულების პერიოდში.

შესრულებული სატყეო-საკულტურო სამუშაოები უნდა მიიღოს ტყის მეურნეობის დირექციის მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ. მიმღებ კომისიას უნდა ხელმძღვანელობდეს სატყეოს უფროსი, ხოლო კომისიის შემადგენლობაში უნდა შევიდეს ტყის მეურნეობის უფროსი ბუღალტერი, ადგილობრივი პროფკავშირის წარმომადგენელი და სამუშაოს შემსრულებელი ბრიგადის ბრიგადირი. თუ სატყეო-საკულტურო სამუშაოთა მოცულობა დიდია და ეს სამუშაოები ტერიტორიულად გაფანტულია, ტყის მეურნეობის დირექციას შეუძლია ბრძანებით კომისიას მიამაგროს დამატებით ტყის მეურნეობის სპეციალისტები.

შესრულებული სამუშაოს მიმღებ კომისიას ევალება ადგილზე ნატურაში შეამოწმოს სამუშაოს მოცულობა და ხარისხი, შეადგინოს აქტები და ანგარიშები შესრულებულ სამუშაოზე. შემოწმების ანგარიში დგება 2 ცალად; ერთი ცალი გადაეცემა ტყის მეურნეობას, ხოლო მეორე ცალი რჩება სატყეოში.

სატყეო-საკულტურო სამუშაოთა აღრიცხვა წარმოებს: *

1. შესრულებულ სამუშაოთა ტექნიკური მიღების უწყისებით,
2. სატყეო-საკულტურო სამუშაოთა ტექნიკური მიღების აქტებით,
3. კულტურების აღრიცხვის უწყისებით,
4. კულტურების ინვენტარიზაციის უწყისებით,

---

* შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვის ფორმები აღებულია სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ გამოშვებულ „სატყეო კულტურების წარმოებისა და აღრიცხვის“ წესებიდან. სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოცემა. მოსკოვი 1954 წ.

5. ტყით დაუფარავი ფართობის ტყით დაფარულ ფართობში გადარიცხვის აქტებით,

6. დაღუპული კულტურების ჩამოწერის აქტებით,

7. დაღუპული კულტურების უწყისებით,

8. დაღუპული კულტურების ფართობის შესახებ სპეციალური ცნობების ბლანკებით და სხვ.

განვიხილოთ აღრიცხვის თითოეული სახის დანიშნულება და როლი.

1. შესრულებულ სამუშაოთა ტექნიკური მიღება წარმოებს სატყეო-საკულტურო სამუშაოთა შესრულებიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში, სპეციალური უწყისის ფორმის შევსებით.

უწყისის ფორმა წარმოდგენილია გვ. 41-ზე, რომლის 1 სვეტში იწერება ნაკვეთის ნომრები თანმიყოლებით, მე-2 სვეტში—ტყეების ჯგუფი, მე-3 სვეტში—ტყის კატეგორია (საკურორტო, წყალდაცვითი, ნიადაგდაცვითი თუ სხვა), მე-4 სვეტში იწერება კვარტალის ან უბნის ნომერი და, თუ არის, ადგილის სახელწოდება; მე-5 სვეტში იწერება უბნის ლიტერი, მე-6 სვეტში—უბნის ფართობი და ა. შ. მე-10 სვეტში იწერება მიღებულ სამუშაოთა შესრულების შესახებ შენიშვნები. შენიშვნებში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, შესრულდა თუ არა სამუშაოები ტექნიკური პროექტის მიხედვით, ემთხვევა თუ არა ადგილზე ჩატარებული შემოწმების მასალები საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტებს, შესრულებულ სამუშაოთა ვადების დამტკიცებულ კალენდარულ ვადებთან შედარების შედეგები და ა. შ.

შესრულებული სამუშაოს ხარისხის დასადგენად, რაც გათვალისწინებულია მე-8 სვეტით, საჭიროა შემოწმდეს ნიადაგის დამუშავების ხარისხი და აღმონაცენის მდგომარეობა. ნიადაგის დამუშავების ხარისხის შესამოწმებლად ატარებენ ხნის სიღრმის შერჩევით გაზომვას; აღმონაცენის მდგომარეობის შესამოწმებლად არკვევენ რამდენიმე ადგილას ერთ კვადრატულ მეტრზე მცენარეთა რაოდენობას. ნარგავების შემოწმება წარმოებს გახარებული ნარგავების ფესვებული მდგომარეობით, გახარებული ნარგავების გადათვლით. შესრულებულ სამუშაოთა ტექნიკური მიღების უწყისში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა: სამუშაოს მოცულობას, ხარისხს, სამუშაოს შესრულების ვადებს და ტექნიკურ პროექტში გათვალისწინებულთან შესრულებულ სამუშაოთა შედარებას.

2. სატყეო-საკულტურო სამუშაოთა მიღების აქტი დგება შემდეგი ფორმით:

პირველად იწერება აქტის შედგენის წელი, თვე და რიცხვი, შემდეგ აქტი ივსება ასე: ჩვენ ქვემორე ხელის მომწერლებმა. . . (აღინიშნება გვარი, სახელი, თანამდებობა) შევამოწმეთ სატყეო-საკულტურო სამუშაოები . . . კვარტალში . ლიტერში და სამუშაოს ტექნიკური მიღების დროს აღმოჩნდა:

1. სამუშაო შესრულებულია . . . . ჰექტარზე.

2. სამუშაოს შესრულება დაწყებული იყო . . (თვე და რიცხვი) და დამთავრდა . . . (რიცხვი და თვე) (თუ ადგილი აქვს სამუშაოს დაგვიანებით შესრულებას, აღნიშნული უნდა იქნეს მიზეზები).

ცხრილი

| №№ | ტყის ჯგუფი | ტყის კატეგორია | კვარტალის ან უბ-ნის დასახელება | ლიტერი | უბნის ფართობი | ღონისძიების წარ-მოების სახე | სამუშაოს მიღების შედეგები: მუშაობის ხარისხი | სამუშაოს მიღების შედეგები: შესრულებული სამუშაოს ძირითადი დეფექტები | შენიშვნები მიღებულ სამუშაოთა შესახებ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | I | საკურორტო | 13 | 1 | 4 | დათესვა | დამაკმ. | 1) აქა იქ დატოვებულია ბელტები | 1) ის ფართობი, სადაც ბელტიანობა ხშირია, დამუშავდეს ხელახლად |
| 2 | I | საკურორტო-დაცვითი | 12 | 3 | 2,5 | დარგვა | კარგად | 2) დატოვებულია ძირკვები | 2) ისეთი ადგილებში, სადაც კულტივაციას ხელს შეუშლის ძირკვები, ამოიძირკოს და გასწორდეს ზედაპირი |
| 3 | I | | 6 | 1 | 2 | შევსება | კარგად | | |

3. კულტურების გაშენების წესი (რგვა, თესვა მწკრივებში, ბუდობრივი, ჯიშების გაადგილების სქემა და სხვ).

4. ნიადაგის მომზადების დრო და წესი (დამუშავებულია სულ—პირალებით: ანეული და მისი სახე, ნაწილობრივად: ზოლებად, ბაქნებად, ხნულების სიგრძე და სიგანე),

5. მომზადებული ნიადაგის ხარისხი (ხვნის სიღრმე, ხნულის სიწმინდე, ბელტიანობა).

6. სარგავი და სათესლე მასალის ხარისხი (ნერგის ხნოვანება, სტანდარტი, თესლის შეგროვების დრო, ადგილი, ხარისხი, სერტიფიკატის ნომერი, თესვისწინა მომზადება).

7. სამუშაოს შესრულების წესი (სარგავი მანქანებით, სათესი მანქანებით, მექანიზებულად, ცხენის თუ ხელის იარაღებით), თესვისა და რგვის სამუშაოთა ხარისხი (რგვისას ორმოების სიღრმე, ძირების მდგომარეობა და სხვ).

8. ნიადაგის სტრუქტურისა და ტენიანობის გაუმჯობესებას მიზნით ჩატარებული მუშაობა (ნიადაგში სასუქების შეტანა, მჟავე ნიადაგებში კირის შეტანა, თოვლის დაგროვება, თესვისწინა კულტივაცია და სხვ).

9. შესრულებული სამუშაოს განსხვავება ტექნიკურ პროექტთან და ამის მიზეზი.

10. რგვისა და თესვის სამუშაოთა ძირითადი დეფექტები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კულტურების ხარისხზე.

11. ღონისძიებები დაშვებული დეფექტების გამოსასწორებლად და მათი ღირებულება.

12. შესრულებული სამუშაოს ხარისხის საერთო შეფასება დარგული და დათესილი კულტურების გახარების პროცენტის გათვალისწინებით (შეფასება წარმოებული უნდა იქნეს კარგზე, დამაკმაყოფილებელზე და არადამაკმაყოფილებელზე).

13. სამუშაო შესრულებულია მუდმივი თუ სეზონური მუშების მიერ.

14. პასუხისმგებელი პირის გვარი, სახელი, თანამდებობა, რომელსაც ეკისრებოდა სამუშაოს სათანადო ხარისხით ჩატარება.

15. შემოწმების აქტს ხელს აწერენ კომისიის წევრები და, აგრეთვე, ის პირები, რომლებიც ესწრებოდნენ შემოწმებას.

ტყის მეურნეობის დირექცია ამოწმებს აქტს და უკეთებს სათანადო აღნიშვნებს.

აღნიშნული აქტები დგება ყველა იმ ნაკვეთზე, სადაც წარმოებულია სატყეო-საკულტურო სამუშაოები. სატყეო-საკულტურო სამუშაოთა ტექნიკური მიღების აქტი დგება სამუშაოს შესრულებიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში. თუ სამუშაოებს ასრულებს ცალკეული საწარმოო ბრიგადა და რგოლი, შესრულებული სამუშაოს ტექნიკური მიღების აქტი უნდა შედგეს დამატებით ბრიგადებისა და რგოლების მიხედვით. ეს დამატებითი აქტები საფუძვლია დადგენილ ვადებში სამუშაოს შემსრულებლების დაჯილდოებისათვის. თუ სამუშაო უხარისხოდ არის შესრულებული, აქტში უნდა დაიწეროს სამუშაოს განმეორებით შესრულების აუცილებლობა, მისი ღირებულება. წუნდე-

ბული სამუშაოს ანაზღაურება არ წარმოებს და მის შემსრულებელს ეკისრე-ბა მატერიალური პასუხისმგებლობა.

3. კულტურების აღრიცხვის უწყისი დგება შემდეგი ფორმით:

1. ტყის მეურნეობის დასახელება ბორჯომის (სატყეოს და სახე-ლება) ლიკანის.

2. ტყეების ჯგუფი დასახელება . . . I

3. კვარტალის ნომერი, ლიტერი, აგარაკი 23.

4. სამეურნეო წელი და სამუშაოს შესრულების სეზონი 1958 წ. გაზაფხულის.

5. კულტურების გაშენების წესი (მწკრივებში რგვა, თესვა ბაქნე-ბით და სხვა მწკრივებში.

6. მთავარი ჯიში ფიჭვი, ვერხვი, ჭადარი.

7. კულტურების გაშენების ფართობი 10 ჰა

თვით უწყისში აღინიშნება:

| №№ რიგზე | სანიმუშო ფართობები | ჯიშები | სანიმუშო ფართობზე გახარებული მცენარეების რაოდენობა | დალუპული მცენარეების რაოდენობა: დაზიანებისაგან — მღრღნელების მიერ | მწერების მიერ | სოკოვანი დაავადებით | უხარისხოდ სამუშაოს შესრულების შედეგად | პირუტყვის ძოვებით | სხვადასხვა მიზეზით | სულ სანიმუშო ფართობზე | სულ აღრიცხულია ნაკვეთები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 1 | 0,5 | ფიჭვი | 2100 | — | — | — | 286 | 48 | 66 | 400 | 3 |
| 2 | 0,3 | ვერხვი | 366 | — | — | 5 | 65 | 40 | 25 | 135 | 1 |
| 3 | 0,1 | ჭადარი | 96 | — | — | — | 11 | 4 | — | 15 | 1 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 1 ჰექტარზე გადაანგარიშებით | | ფიჭვი | 4200 | — | — | — | 572 | 96 | 132 | 800 | ფიჭვი 5 ჰა, ვერხვი 3 ჰა, ჭად. 2 ჰა |
| | | ვერხვი | 1212 | — | — | 16 | 191 | 124 | 78 | 409 | |
| | | ჭადარი | 960 | — | — | — | 110 | 40 | — | 150 | |
| სულ მთელ ფართობზე | | ფიჭვი | 21.000 | — | — | — | 2860 | 480 | 660 | 4000 | |
| | | ვერხვი | 3.636 | — | — | 48 | 573 | 372 | 234 | 1227 | |
| | | ჭადარი | 1920 | — | — | — | 22 | 8 | — | 30 | |
| აღრიცხული ფართობის პროცენტი მთელ ფართობიდან* | | | ფიჭვი 10% | | | | | | | | |
| | | | ვერხვი 10% | | | | | | | | |
| | | | ჭადარი 5% | | | | | | | | |

* რთული რელიეფის გამო სანიმუშო ფართობების პროცენტი ამ ინსტრუქციით დად-გენილზე გაცილებით მეტია.

კულტურების აღრიცხვის უწყისის ბოლოს აღინიშნება სატყეო-საკულტურო სამუშაოთა საერთო მდგომარეობა, კულტურების შესავსებად საჭირო სათესი და სარგავი მასალების ოდენობა და სათანადო სამეურნეო განკარგულებები.

4. კულტურების ინვენტარიზაცია წარმოებს კულტურების ვეგეტაციის დამთავრების შემდეგ. ზემდგომი სატყეო ორგანოების მითითების საფუძველზე საქართველოში კულტურების ინვენტარიზაცია წარმოებს 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე. ინვენტარიზაციის ჩატარებამდე დაზუსტებული უნდა იქნეს საინვენტარიზაციო ნაკვეთების ადგილები. სატყეო-საკულტურო სამუშაოთა ნაკვეთები ამოღებული უნდა იქნეს ტყის კულტურების აღრიცხვის წიგნიდან. ადგილზე შემოწმებით დადგენილი უნდა იქნეს საინვენტარიზაციო კულტურების მდგომარეობა და ჩატარდეს კულტურების აღრიცხვა-ინვენტარიზაცია. კულტურების მთლიანი აღრიცხვა-ინვენტარიზაცია სამუშაოს დიდი მოცულობის პირობებში შეუძლებელია, ამიტომ ინვენტარიზაციის ჩასატარებლად აღებული უნდა იქნეს სანიმუშო ფართობები. სანიმუშო ფართობების ოდენობა და რიცხვი დამოკიდებულია: კულტურების მდგომარეობასა (აღებულ ფართობზე აღმონაცენის სხვადასხვა მდგომარეობა აპირობებს სანიმუშო ფართობის რაოდენობას) და სამუშაოს მთელ მოცულობაზე (ტყე-კულტურების ფართობის სიდიდე).

თუ ტყე-კულტურების ფართობი 10 ჰექტარამდეა, სანიმუშო ფართობს იღებენ მთელი ფართობის 5 %-ს. თუ ტყე-კულტურების ფართობი 10-დან 50 ჰექტარამდეა, სანიმუშო ფართობს იღებენ 3 % ფარგლებში, და თუ 50 ჰექტარზე მეტია, სანიმუშო ფართობს იღებენ მთელი ფართობის 2 % ფარგლებში. თუ კულტურების ზრდა-განვითარების პირობები რთულია (რთული რელიეფი, აღმონაცენის სხვადასხვაობა და სხვ), სანიმუშო ფართობის პროცენტი შეიძლება გადიდდეს.

შესრულებული სატყეო-საკულტურო სამუშაოთა ინვენტარიზაცია წარმოებს მე-45 გვერდზე მოცემული ფორმით.

გახარების %-ს ანგარიშობენ ერთეულ ფართობზე ფაქტობრივად გახარებული ნერგების აგროწესებით დარგული ნერგების რაოდენობასთან შეფარდებით. დათესილ ნაკვეთზე გახარების პროცენტის გაანგარიშება წარმოებს ფაქტობრივი აღმოცენების რიცხვის, აგროწესებით დადგენილ აღმოცენების რიცხვთან შეფარდებით.

5. ტყით დაფარულ ფართობში ტყით დაუფარავი ფართობის გადარიცხვის აქტი დგება შემდეგი ფორმით:

პირველად იწერება აქტის შედგენის წელი, თვე და რიცხვი. შემდეგ იწერება, თუ ვის მიერ იყო შედგენილი აქტი (გვარი, სახელი, თანამდებობა). აქტში აღნიშნული უნდა იყოს კულტურების გაშენების წელი ადგილმდებარეობის ჩვენებით, ფართობის სიდიდე, კულტურების წლოვანება, მთავარი ჯიში, კულტურების ჯიშობრივი შემადგენლობა, ხეთა რიცხვი ჰექტარზე, კულტურების საშუალო სიმაღლე, კრონის შეკრულობის მდგომარეობა, სანიტარული მდგომარეობა, დაზიანების ფაქტები და დასკვნა ტყით დაფარულ ფართობში

## ტყის კულტურების ინვენტარიზაციის უწყისი

„ . . . . „ . . . . . . 195 . . წ.

ინვენტარიზაციის უწყისი შედგენილია ბორჯომის ტყის მეურნეობაში, ლიკანის სატყეოში

| №№ რიგზე | გახარების %% | წიწვოვანები (ჰა) ფიჭვი თესლ. | ფიჭვი ძირკ. | ნაძვი თესლ. | ნაძვი ძირკ. | ლარიქსი თესლ. | ლარიქსი ძირკ. | ფოთლოვანები (ჰა) მუხა თესლ. | მუხა ძირკ. | ვერხვი თესლ. | ვერხვი ძირკ. | ჭადარი თესლ. | ჭადარი ძირკ. | . . | . . | სულ ჯიშების მიხედვით (ჰა) თესლ. | ძირკ. | სულ | მათ შორის შერევით: [illegible] | [illegible] | [illegible] ფართობი (ჰა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სულ | — | 5 | — | — | — | — | — | — | — | 3 | — | 2 | — | — | — | 10 | 10 | — | — | 1,80 |
| 2 | მათ შორის გახარებულია: | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | ა) 95-დან 100 %-მდე (საშუალოდ 97,5 %) | | 4 | — | — | — | — | — | — | — | 2 | — | 1,5 | — | — | — | 7,5 | 7,5 | — | — | — |
| | ბ) 85-დან 94 %-მდე (საშ. 89,5 %) . . . . . . | | 0,2 | — | — | — | — | — | — | — | 0,25 | — | 0,25 | — | — | — | 0,7 | 0,7 | — | — | — |
| | გ) 70-დან 98 %-მდე (საშ. 77 %) . . . . | | 0,2 | — | — | — | — | — | — | — | 0,25 | — | 0,10 | — | — | — | 0,55 | 0,55 | — | — | 0,55 |
| | დ) 50-დან 69 %-მდე (საშ. 59,5 %) . . . . | | 0,4 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 0,15 | — | — | — | 0,55 | 0,55 | — | — | 0,55 |
| | ე) 25-დან 49 %-დე (საშ. 37 %) . . . | | 0,2 | — | — | — | — | — | — | — | — | | — | — | — | — | 0,20 | 0,20 | — | — | 0,2 |
| | ვ) 25%-ზე ნაკლები (საშ. 12 %) . . . . . . | | — | — | — | — | — | — | — | — | 0,5 | — | — | — | — | — | 0,50 | 0,50 | — | — | 0,6 |
| 3 | გახარების საშუალო % . . | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |

ხელის მოწერა:

აღნიშნული ფართობის გადარიცხვის შესახებ. აქტებს ხელს აწერს ტყის მეურნეობის დირექციის ბრძანებით გამოყოფილი პირები.

6. სპეციალური ფორმით დგება დაღუპული კულტურების ჩამოწერის აქტი. აქტში აღინიშნება—აქტის შედგენის თარიღი, აქტის შემდგენი კომისიის წევრების გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა, შემოწმების ადგილი, კულტურების გაშენების თარიღი, დაღუპული კულტურების ფართობი და პროცენტი მთელი კულტურებიდან. აქტს თან უნდა დაერთოს დაღუპული კულტურების უწყისი, სადაც აღინიშნება:

1) სატყეოს, კვარტალის, უბნის დასახელება (სადაც დაღუპულია კულტურები),

2) დაღუპული კულტურების ფართობი,

3) დაღუპული კულტურების მთავარი ჯიში,

4) კულტურების გაშენების წესი (დათესილი, დარგული), გაიხარა, სულ მათ შორის მთავარი ჯიში, დაღუპვის მიზეზი.

დაღუპული კულტურების ფართობის შესახებ დგება ცნობები შემდეგი ფორმით:

გამოვლინებული იყო 1958 წლის აგვისტოს (თვე და რიცხვი) ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ტყის მეურნეობაში:

| | კულტურების გაშენების წელი და სეზონი | | | | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| | გაზაფხული 1957 წ. | შემოდგომა 1957 წ. | გაზაფხული 1958 წ. | შემოდგომა 1958 წ. | |
| 1. დაღუპული კულტურების საერთო ფართობი ჰექტარობით . . . . . . . . . . . . . . . . . . . | — | — | 1,8 | — | 1,8 |
| მათ შორის ჩამოწერილია: | | | | | |
| ა) ტყის მეურნეობის მიერ . . | — | -- | 0,3 | — | 0,3 |
| ბ) ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ . | — | — | 1,5 | — | 1,5 |
| 2) დაღუპვის შედეგად ჩამოწერილი კულტურებიდან მთავარი ჯიშებია: | | | | | |
| ა) ფიჭვი . . . . | — | — | 0,9 | — | 0,9 |
| ბ) ნაძვი, სოჭი . . | — | — | — | — | — |
| ფოთლოვანები: | | | | | |
| გ) ვერხვი . . | — | — | 0,65 | — | 0,65 |
| დ) კაკალი . | — | | | | |
| ე) ჭადარი . | — | — | 0,25 | — | 0,25 |

სატყეო-საკულტურო სამუშაოთა ზემოთ ჩამოთვლილ სააღრიცხვო დოკუმენტების საფუძველზე ტყის მეურნეობა ადგენს სათანადო ფორმის მიხედვით ანგარიშებს და დაწესებულ ვადებში აგზავნის ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოში.

ტყის მეურნეობაში და სატყეოში სატყეო-საკულტურო სამუშაოთა აღრიცხვისათვის შემოღებულია ტყის კულტურების აღრიცხვის წიგნი. ტყის კულტურების აღრიცხვის წიგნი ტყე-კულტურების დარგში ჩატარებულ სამუშაოთა აღრიცხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია. ტყის კულტურების წიგნში შეიტანება: შესრულებულ სამუშაოთა ტექნიკური მიღებისა და ინვენტარიზაციის აქტებისა და უწყისების საფუძველზე აღრიცხული სატყეო-საკულტურო სამუშაოთა ფართობები, ტყის კულტურების გაშენების წესები, მოვლის, შევსებისა და ყველა ის სამუშაო, რომელიც უნდა ჩატარდეს ტყის კულტურების ფართობზე კრონის შეკვრამდე. ტყის კულტურების წიგნში შეტანილი ჩანაწერები უნდა იძლეოდეს ტყე-კულტურების გაშენების ისტორიას.

ტყე-კულტურების წიგნის გარდა, ტყის მეურნეობაში დგება ტყე-კულტურების ალბომი, რომელშიაც შეიტანება დაწუნავებული ფართობების აგეგმვის მასალა, სადაც მოცემული უნდა იქნეს კულტურის ნაკვეთის მიმის წერტილები, მთავარი ჯიშები და ტყის კულტურების წიგნის სათანადო გვერდები და რიგითი ნომრები.

ტყის მეურნეობის ზემდგომ რგოლებშიაც წარმოებს ტყე-კულტურების სამუშაოთა აღრიცხვა. ზემდგომ რგოლებში აღრიცხვის საფუძველს წარმოადგენს ტყის მეურნეობის სააღრიცხვო დოკუმენტები, რომელნიც დადგენილ კალენდარულ ვადებში იგზავნება ზემდგომი ტყის მეურნეობის მმართველობის რგოლებში.

სატყეო-საკულტურო სამუშაოთა შესრულებაზე საწარმოო ბრიგადებს ან ინდივიდუალურ შემსრულებლებს ეძლევათ განრიგი (იხ. 48 გვ.)

როგორც ეს განრიგის ფორმიდან ჩანს, პირველ გვერდზე იწერება სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს დასახელება, ცალკეული სახის სამუშაოზე გამომუშავების ნორმა, ერთეული სამუშაოს შეფასება, სამუშაოს შესრულებაზე მთლიან დანახარჯთა ჯამი მანეთობით, სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო კაცდღეთა რაოდენობა და სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მანქანა-იარაღები.

განრიგის მეორე გვერდზე მოცემულია განრიგის შესრულების უწყისი (უწყისში აღინიშნება სამუშაოს შემსრულებელთა გვარი, სახელი, მამის სახელი, მუშის თანრიგი, კალენდარული დღეების მიხედვით შესრულებული სამუშაოს ოდენობა, გადაყვანილი კაცდღეებში ან კაცსაათებში).

სატყეო-საკულტურო სამუშაოთა შესრულების შემდეგ დგება შესრულებულ სამუშაოზე მიღების აქტი. აქტის პირველ გვერდზე იწერება სამუშაოს დასახელება, განზომილების ერთეული, სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ერთეულის შეფასება, გამომუშავებული კაცდღეთა რაოდენობა, კუთვნილი ხელფასი და სხვ. მეორე გვერდზე იწერება სამუშაოს შემსრულებელთა გვარი, სახელი, მამის სახელი, მუშის თანრიგი, კალენდარული დღეების მიხედვით შესრულებული სამუშაოს მოცულობა კაცდღეებით და შესრულებულ სამუშა-

**ფორმა № 5**

____________ ტყის მეურნეობა

____________ სატყეო

**განრიგი №** . „ 195 . წ.

1. გევალებათ შეასრულოთ ____________ კვარტალი № . . უბნის ლიტერი .
   სამუშაოს დასახელება
2. ბრიგადირი მარტოხელი ____________
   (გვარი, სახელი, მამის სახელი ბრიგადირის ან მარტოხელის)
3. სამუშაო დაწყებული უნდა იქნეს „ . 195 . . წ. სამუშაო დამთავრებული უნდა იქნეს „ . 195 წ.

| №№ რიგზე | სამუშაოს დასახელება | ზომის ერთეული | სამუშაოს მოცულობა | დღიური ნორმა | ერთეულის შეფასება | სამუშაოს მთლიანი ღირებულება | მათ შორის ხელფასი | დავალების შესრულებისათვის საჭიროა: კაცდღე | ხარდღე | ტრაქტორსაათი | სამუშაოსათვის საჭირო მანქანა-იარაღების დასახელება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | |

დავალება გასცა ____________ განრიგი მიიღო ____________
(თანამდებობა, ხელმოწერა) (ხელმოწერა)

მეორე გვერდი

## განრიგის შესრულების უწყისი . . . . . . . . . . . . თვე

| №№ რიგზე | სამუშაოს შემსრულების გვარი, სახელი და მამის სახელი | მუშის თანრიგი | ________ თვის | | | | | | | | | | | | | | | | სულ გამომუშავებულია | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 / 16 | 2 / 17 | 3 / 18 | 4 / 19 | 5 / 20 | 6 / 21 | 7 / 22 | 8 / 23 | 9 / 24 | 10 / 25 | 11 / 26 | 12 / 27 | 13 / 28 | 14 / 29 | 15 / 30 | — / 31 | საათი | წუთი |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

195 . წ. ბრიგადირი ________________

ოს მიხედვით კუთვნილი ხელფასი. შესრულებულ სამუშაოს მიღებას აწარმოებს ტყის მეურნეობის დირექციის წარმომადგენელი, ტყის მეურნეობის პასუხისმგებელი პირი.

სამუშაოს გაცემის განრიგი და სამუშაოს მიღების აქტი შესრულებულ სამუშაოს ანაზღაურებისათვის ძირითად საბუღალტრო დოკუმენტს წარმოადგენს.

სატყეო-საკულტურო სამუშაოები სისტემატურად მოწმდება როგორც ტყის მეურნეობის მიერ, ისე ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ.

გაშენებული ტყე-კულტურები ყოველ მიზეზს გარეშე უნდა იქნეს დაცული. ისეთი ადგილები, სადაც მოსალოდნელია პირუტყვისაგან ან სხვა მიზეზებით კულტურების დაზიანება, აუცილებლად უნდა შემოიღობოს. კულტურების დაზიანების შემთხვევაში ტყის მეურნეობა ადგენს აქტებს და დამნაშავენი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ისჯებიან მკაცრად, როგორც სოციალისტური საკუთრების გამნიავებელნი. ტყე-კულტურის დაზიანებით ტყის მეურნეობისადმი მიყენებული ზარალი განსაზღვრული უნდა იყოს იმ სამუშაოთა საშუალო ღირებულებითა და ხარჯებით, რომლებიც დასჭირდება ტყის ხელოვნურ აღდგენასა და კულტურების მოვლას.

ტყე-კულტურები ცალკე უნდა იყოს აღრიცხული ტყით დაფარულ ფართობში გადაყვანამდე. ტყით დაფარულ ფართობში ტყე-კულტურების გადაყვანა შეიძლება კულტურების კრონის შეკვრის შემდეგ. კრონის შეკვრის ხანგრძლიობა დამოკიდებულია ტყის ჯიშზე, ზრდა-განვითარების პირობებზე, კულტურების მოვლაზე და სხვ. სატყეო-საკულტურო სამუშაოთა მაღალხარისხოვანი შესრულების წახალისების მიზნით, საბჭოთა მთავრობის მიერ დადგენილია სხვადასხვა სახის პრემიები. ასე მაგ.: იმ მუშებს, რომლებმაც იმუშავეს სატყეო-საკულტურო სამუშაოების მთელ სეზონში და მათზე მიმაგრებულ მთელ ფართობზე შეასრულეს სატყეო საკულტურო სამუშაოს მთელი კომპლექსი (ნიადაგის დამუშავება, თესვა, რგვა, სანერგეების მოწყობა და სხვ.), ეძლევათ: ა) პირველ წელს კულტურების 85—90 % გახარებისათვის 75 მანეთი პრემია ერთ ჰექტარზე, 90 %-ზევით კულტურის გახარებისათვის 150 მანეთი ჰექტარზე; ბ) კულტურების რგვიდან მეორე წელს კულტურების 85—90 % გახარებისათვის ეძლევათ 25 მან., ხოლო 90 %-ზევით—60 მან. ჰექტარზე; გ) სანერგეებში გეგმაზე ზევით გამოყვანილი თითოეული ათასი ცალი წიწვიანი ჯიშების სტანდარტული ნერგის ერთწლიანზე 4 მანეთი, ორწლიანზე 1 მან. 10 კაპ., ფოთლოვანი ჯიშებისათვის—ერთწლიანზე 7 მანეთი, ორწლიანზე 2 მანეთი 50 კაპ.

ტყის კულტურების დარგში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს 10-დან 30 ჰექტრამდე ფართობზე პირველ წელს 85—90 %-მდე კულტურების გახარებისათვის ეძლევათ პრემია ნახევარი თვის ხელფასი, 31—60 ჰექტარზე—ერთი თვის ხელფასი, 60 ჰექტარზე ზევით— ერთნახევარი თვის ხელფასი. თუ კულტურების გახარებამ 90 % გადააჭარბა, პრემია 25 %-ით დიდდება.

სატყეო-საკულტურო სამუშაოების გეგმების გადაჭარბებისათვის და კულტურების გახარების მაღალი პროცენტისათვის მეურნეობის დირექტორებს, უფროს მეტყევეებსა და სატყეო-საკულტურო სამუშაოების ხელმძღვანელებს

ეძლევათ 1 თვის ხელფასი პრემიის სახით. ზოგიერთი დარგის მუშაკებს ეძლევათ ხელფასზე დანამატი სამსახურის სტაჟისა და რიგი სხვა მაჩვენებლების მიხედვით.

ამ უკანასკნელ ხუთწლედებში გრანდიოზული მასშტაბით დაიწყო სსრ კავშირში სახელმწიფო ტყის ფონდისა და საკოლმეურნეო მიწებზე ტყის კულტურების გაშენება. (სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყის ზოლების მშენებლობა); ამ სამუშაოთა წარმატებით შესრულება შესაძლებელია სატყეო-საკულტურო სამუშაოთა მექანიზაციით. საბჭოთა კონსტრუქტორებმა და მანქანათმშენებლებმა შექმნეს სპეციალური მანქანა-იარაღები სატყეო-საკულტურო სამუშაოთა მექანიზებული წესით შესრულებისათვის.

სატყეო მანქანა-იარაღების რაციონალურად და მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 20 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე ჩამოყალიბებული იყო ტყესაცავი სადგურებს, ხოლო შემდგომში ისინი გადაკეთებულ იქნენ მექანიზებული ტყის მეურნეობებად. ამჟამად ტყის მეურნეობებში სატყეო-საკულტურო სამუშაოებს ასრულებენ ან თვით ტყის მეურნეობა, ან მანქანა-ტრაქტორთა სადგურები სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

მექანიზებული ტყის მეურნეობები ვალდებული არიან ძირითადად მექანიზებული წესით შეასრულონ სატყეო-საკულტურო სამუშაოები სატყეო აგროწესებით დადგენილ ვადებში. ამჟამად არა მარტო მექანიზებულ ტყის მეურნეობაში, არამედ მოწინავე ტყის მეურნეობებშიაც სრულდება მანქანა-იარაღებით ტყის კულტურების გაშენებისათვის გამოყოფილ ფართობების გაწმენდა, ნიადაგის დამუშავება (ხვნა, ფარცხვა, ორმოების ამოღება და სხვ.), ტყის რგვა, თესვა, კულტურების მოვლა (კულტივიზაცია, მავნებლებისაგან დაცვა), ტყის კულტურების შევსება, ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება და სხვ.

მექანიზებულ ტყის მეურნეობებში იქმნება საწარმოო ბრიგადები, რომლებზედაც ამაგრებენ გარკვეულ ნაკვეთებს ტყის გაშენებისა და მოვლის მთელ სეზონზე. საწარმოო ბრიგადებზე ნაკვეთების დამაგრება ზრდის ბრიგადის წევრების პასუხისმგებლობას და მატერიალურ დაინტერესებას არა მარტო რაოდენობის მიხედვით გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის, არამედ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის ამაღლებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სატყეო-საკულტურო მანქანა-იარაღების გამოყენებას. ცნობილია, რომ სატყეო-საკულტურო სამუშაოები სეზონური ხასიათისაა. ამ სამუშაოთათვის კონსტრუირებული მანქანა-იარაღებიც სეზონური გამოყენებისაა. ამიტომ ამ მანქანა-იარაღების გამოყენების მარგი ქმედების კოეფიციენტი დაბალია.

ტყის მეურნეობები, მექანიზებული ტყის მეურნეობები, მტს-ები ვალდებულნი არიან იქონიონ მანქანა-იარაღები სამუშაო სეზონის დაწყებამდე მზა მდგომარეობაში. სამუშაოს დაწყებამდე ჩაატარონ ამ მანქანა-იარაღების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება, შემოწმებული უნდა იქნეს შეკეთების ხა-

რისხი, რისთვისაც ჩატარებული უნდა იქნეს შეკეთებული მანქანა-იარაღების სამუშაოზე გამოცდა და ამის შემდეგ ამ მანქანა-იარაღების შეკეთებიდან მიღება.

ტყის მეურნეობის გადაუდებელ ამცანას შეადგენს—მაქსიმალურად გამოიყენოს სეზონის განმავლობაში მის განკარგულებაში არსებული მანქანა-იარაღები. სადაც შესაძლებელია უნდა მოეწყოს ღამის ცვლები, მანქანა-იარაღებზე მიმაგრებულ უნდა იქნენ სათანადო კვალიფიკაციის მუშაკები და მათთვის სათანადო ხელშეწყობით უზრუნველყოფილ იქნეს მანქანების მაღალი მწარმოებლობა.

იმის გამო, რომ ყველა ტყის მეურნეობაში სატყეო საკულტურო სამუშაოები არ არის მექანიზებული და, სამწუხაროდ, სატყეო-საკულტურო სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელით სრულდება, ტყის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს სათანადოდ იქნეს ორგანიზებული ხელით შრომა, გამწევი ცოცხალი ძალის მუშაობა, ხელის იარაღების სამუშაოდ მომზადება და მათი მაქსიმალური გამოყენება.

სატყეო საკულტურო სამუშაოთა თესლით და სანერგე მასალით უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირში დიდი სამუშაოები წარმოებს. ყოველწლიურად მზარდი ოდენობით მზადდება სასურველი ჯიშის მერქნიანი მცენარეების თესლები და სტანდარტული სანერგე მასალა.

1940 წელს, საბჭოთა კავშირში დამზადებული იყო 31 ათას ტონაზე მეტი ძირითადი მერქნიანი ჯიშების თესლები (წიწვიანების, მუხის, კაკლის, და სხვა ფოთლოვანებისა და ბუჩქების). შემდეგ წლებში თესლის დამზადება კიდევ უფრო გაიზარდა. ასე, მაგალითად, სსრ კავშირში მარტო მუხის თესლი 1950 წელს დამზადებული იყო 80 ათას ტონაზე მეტი. ტყის მეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა უზრუნველყოფა სანერგე მასალით წარმოებს სახელმწიფო ან საკოლმეურნეო სანერგეებიდან; თუ ტყის გაშენების ზონაში სპეციალური სანერგეები არ არის, ნერგებს ამზადებს ტყის მეურნეობა. ამ მიზნით სპეციალურად უნდა შეირჩეს სათანადო ნაკვეთი. პირველ ყოვლისა, სანერგის მოწყობისათვის დგება გეგმა, სადაც ნაჩვენები უნდა იქნეს, თუ რა ფართობზე რომელი ჯიში უნდა გაშენდეს. სანერგის მოწყობის გეგმაში აღნიშნული უნდა იყოს სანერგის მოწყობისათვის ყველა სამუშაო (ნაკვეთის გამოყოფა, დაგეგმარება, ნიადაგის დამუშავება, თესლის შეძენა, ან დამზადება, თესვა, რწყვა, აღმონაცენის მოვლა და ა. შ.).

თუ ხელშეკრულების საფუძველზე სატყეო-საკულტურო სამუშაოებს მტს ასრულებს, ყოველი სამუშაოს შესრულების შემდეგ სამუშაო მიღებული უნდა იქნეს სპეციალური აქტით. აქტის საფუძველზე წარმოებული უნდა იქნეს მტს-თან ანგარიშსწორება. სატყეო-საკულტურო სამუშაოთა ერთეულის ანაზღაურება წარმოებს ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული სამუშაოთა ღირებულების მიხედვით. სატყეო-საკულტურო სამუშაოების დაფინანსება წარმოებს ბიუჯეტიდან სას. სამ. ბანკის საშუალებით დამტკიცებული წლიური საფინანსო გეგმის ფარგლებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ტყის მეურნეობები ვალდებული არიან დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნე-

ობებს სატყეო-საკულტურო სამუშაოთა ჩატარების საქმეში. ტყის მეურნეობები ვალდებული არიან არა მარტო შეამოწმონ, არამედ დახმარებაც გაუწიონ ტყის იმ თვითდამამზადებლებსაც, რომელთაც გრძელვადიან სარგებლობაში აქვთ გადაცემული ტყეკაფები სატყეო-საკულტურო სამუშაოების წარმოებისათვის. კოლმეურნეობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და თვითდამამზადებლებზე გაწეული დახმარება ძირითადად უნდა გამოისახებოდეს სათესლე და სარგავი მასალების მიწოდებით, სპეციალისტების კონსულტაციით, შესაძლებლობის შემთხვევაში ტექნიკის მიქირავებით და სხვ. ეს მატერიალური დახმარებები სამეურნეო ანგარიშის პრინციპით უნდა იწარმოოს.

## III ტყის მეურნეობაში სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა ორგანიზაცია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობის დირექტივები ითვალისწინებს მოხმარების საგნების წარმოების მნიშვნელოვან ზრდას. მეექვსე ხუთწლედში, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, ტყის მეურნეობამაც დიდი როლი უნდა შეასრულოს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. მან უნდა მიაწოდოს მეურნეობის ყველა დარგს საჭირო ხე-ტყის მასალა და მოსახლეობას ფართო მოხმარების საგნები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებასა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 26 იანვრის დადგენილებაში გათვალისწინებულია კონკრეტული ღონისძიებები ტყის მეურნეობის მიერ ფართო მოხმარების საგნებისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის.

მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე პირველი და მეორე ჯგუფის ტყეებში ძირითადად მიმდინარეობს მოვლითი და სანიტარული ჭრები. მოვლით და სანიტარულ ჭრებს ტყის მეურნეობა საკუთარი ძალებით აწარმოებს. მოვლითი და სანიტარულ ჭრების შედეგად მიღებულ ხე-ტყის პროდუქტებსა და დამზადების ნარჩენების ნაწილს ტყის მეურნეობა რეალიზაციას უკეთებს, ხოლო ნაწილს კი თვით ამუშავებს ფართო მოხმარების საგნების წარმოების საამქროებში, რომელთა ჩამოყალიბება ხდება სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე.

ფართო მოხმარების საამქროებში ამზადებენ მრავალი სახის საოჯახო ნივთებს, ავეჯს, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებისათვის ხის ნაწილებს და ხელსაწყო-იარაღებისათვის ტარებს (ნაჯახის, თოხის, წალდის, ბარის, წერაქვის), ურმებს, მარხილებს, მათ ცალკეულ დეტალებს, საკანცელარიო ნივთებს, ხილისა და ბოსტნეულის გადასაზიდ ყუთებს, კალათებს, გოდრებს, მრავალი სახის ქიმიურ ნაწარმს და სხვ.

ტყის მეურნეობის მოვალეობას შეადგენს სრულყოფილად გამოიყენოს ფართო მოხმარების საგნების დასამზადებლად არა მარტო ტყის დამზადების ნარჩენები და მოვლითი და სანიტარული ჭრებით მიღებული ხე-ტყის პროდუქცია, არამედ მაქსიმალურად გამოიყენოს ტყის ფონდის მიწები, წიაღისეული

და სხვა სახის დამხმარე სარგებლობის პროდუქტები. ამ მიზნით ტყის მეურნეობა სამეურნეო ანგარიშზე აწყობს აგრეთვე დამხმარე სოფლის მეურნეობას (მემცენარეობას, მეცხოველეობას, მეფუტკრეობას), აწყობს სხვადასხვა წიაღისეულის პირველად დამუშავებას (ქვიშის, სილის, ქვის, თიხის მოპოვებას), აწყობს ტყეში თივის, გარეული ხილისა და სოკოების, სხვადასხვა სამკურნალო მცენარეულობის, მთრიმლავ ნივთიერებათა და სხვადასხვა მცენარის ქერქის, ტორფისა და კვარის დამზადებას და ა. შ.

ფართო მოხმარების საგნებისა და დამხმარე სარგებლობის პროდუქტების წარმოების ორგანიზაციის მიზნით, ტყის მეურნეობაში უნდა ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები:

1. შედგენილი უნდა იქნეს სია იმ პროდუქტებისა (ნომენკლატურის და ასორტიმენტის მიხედვით), რომლის დამზადებაც შეიძლება წლის განმავლობაში: დამზადების ნარჩენებისაგან, მოვლითი და სანიტარული ჭრების ჩატარების შედეგად მიღებული მერქნისაგან; გამორკვეული უნდა იქნეს ტყის ფონდის მიწებზე ტყის მეურნეობისათვის ზიანის მიუყენებლად, სოფლის მეურნეობის რა დამხმარე დარგები შეიძლება მოეწყოს და რა სახის დამხმარე სარგებლობის პროდუქტების მიღებაა შესაძლებელი.

2. გამორკვეული უნდა იქნეს ადგილობრივი და მომიჯნე რაიონების მოსახლეობის, კოლმეურნეობის, მტს-ების, წარმოება-დაწესებულებების მოთხოვნილება იმ ნაკეთობებზე, რომელთა დამზადებისათვის ტყის მეურნეობას აქვს ნედლეული და სხვადასხვა მასალის მოპოვების ბაზა.

3. ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოში გამორკვეული უნდა იქნეს მატერიალური და ფულადი სახსრების მიღების რეალური შესაძლებლობა ფართო მოხმარების საამქროების ჩამოსაყალიბებლად და დამხმარე სარგებლობის პროდუქტების დამზადების ორგანიზაციისათვის.

ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველო ტყის მეურნეობას სათანადო მითითებას აძლევს, თუ რომელი სახის წარმოების ორგანიზაცია დაწყებული უნდა იქნეს მიმდინარე ან მომავალ სამეურნეო წელს. ამ მიზნით სათანადო საპროექტო ორგანიზაციას ეძლევა შეკვეთა. პროექტის შესადგენად სპეციალიზებული საპროექტო ორგანიზაცია შეკვეთას იმ შემთხვევაში ღებულობს, თუ ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოსათვის მას აქვს გეგმით გათვალისწინებული საპროექტო სამუშაოები.

საპროექტო ორგანიზაციას უნდა მიეცეს დავალება, თუ რა ოდენობისა და სახელწოდების ნაკეთობები უნდა დაამზადოს ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელმა საამქრომ, როგორი უნდა იყოს საამქროს ტიპი, ენერგოშეიარაღების დონე, ენერგიის მიღების წყაროები და სხვ.

საგეგმო და საპროექტო მოცემულობათა საფუძველზე დგება ტექნიკური პროექტი, ხარჯთაღრიცხვა და სამუშაო ნახაზები, რომელთა დამტკიცების შემდეგ შეიძლება საამქროს მშენებლობის დაწყება.

ტექნიკური პროექტით და ხარჯთაღრიცხვით ირკვევა ნაკეთობათა თვითღირებულება. როგორც წესი, იგი არ უნდა აღემატებოდეს სხვა საწარმოებში დამზადებული მსგავს ნაკეთობის საგეგმო თვითღირებულებას. პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე ტყის მეურნეობა ღებულობს სათანადო-

ორგანიზაციებიდან მშენებლობისა და ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაციისათვის საჭირო მასალებსა და მოწყობილობებს. ტყის მეურნეობა ფართო მოხმარების საამქროს მშენებლობისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებების ლიმიტს ღებულობს ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველოსაგან.

თუ ტყის მეურნეობას აქვს სამეურნეო ანგარიშზე მოქმედი საწარმოები, რომლებიც რენტაბელურია და მოგებით მუშაობენ, მაშინ ახალი მშენებლობის დაფინანსების წყაროდ საკუთარ სახსრებს იყენებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირში მთელ რიგ ტყის მეურნეობებს საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნიათ ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელი საამქროების სანიმუშოდ ჩამოყალიბებისა და საკმაოდ დიდი ოდენობით პროდუქციის გამოშვებისათვის.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე როგორც წინა წლებში, ისე 1957 წელსაც, ტყის მეურნეობის პავილიონში წარმოდგენილია ის საუკეთესო ტყის მეურნეობები, რომლებმაც ამ დარგში დიდმნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

ამჟამად ცოტა როდია ისეთი ტყის მეურნეობები, სადაც დამხადების მთელი ნარჩენების სრული უტილიზაცია ხდება. მთლიანად იყენებენ დამზადების ნარჩენებს: ტოტებს, ფოთლებს (წიწვებს), წვეროების გადანაჭრებს. რიგ სატყეოებში გამოყენებულია ძირკვებიც. ფიჭვის ძირკვებს იღებენ 8—10 წლის შემდეგ, მისგან ამზადებენ ფისს, სკიპიდარს, კოლოფონს.

მოვლითი ჭრების ყოველ სტადიაში მიღებული ხე-ტყის პროდუქტები გამოყენებულია სხვადასხვა დანიშნულებით. ასე მაგალითად: განათებითი ჭრების ჩატარებისას მიიღება მარგილები, სარები, ფიჩხი და სხვ. გაწმენდითი ჭრებისას მიიღება: ჭიგო, სარი, ბოძი, საშეშე მერქანი და სხვ. გამოხშირვითი ჭრებისას მიიღება: ლატანი, ლარტყები, კეტები, ნახევარფაბრიკატები, ნაწილობრივი მაქნისი მერქანი, შეშა და სხვ. გავლითი ჭრების ჩატარებისას მიიღება ყველა ასორტიმენტის მაქნისი და საშეშე მერქანი. სანიტარული ჭრების ჩატარებისას მიიღება ყველა სახის ნაკეთობის დასამზადებლად ვარგისი მერქანი, საშეშე მერქანი და სხვ.

ტყის მეურნეობის ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელ საამქროსათვის დამტკიცებულია ტიპობრივი შტატები. საამქროს შტატი დამოკიდებულია გამოშვებული პროდუქციის ოდენობაზე. საერთო პროდუქციის გაანგარიშება წარმოებს თვითღირებულების ფასებით. თუ საამქროში მზადდება 401 ათასზე მეტი მანეთის პროდუქცია, საამქროს შტატი 5 ერთეულით განისაზღვრება (გამგე, ინჟინერი, უფროსი ბუღალტერი, მოანგარიშე-მოლარე და სტატისტიკოსი). თუ საამქრო უშვებს 201 ათასი მანეთიდან 400 ათას მანეთამდე ღირებულების პროდუქციას, საამქროს შტატი 4 ერთეულით განისაზღვრება (აკლდება სტატისტიკოსი), თუ საამქრო 200 ათას მანეთამდე ღირებულების პროდუქციას უშვებს, შტატი ორი ერთეულით განისაზღვრება (გამგე და ბუღალტერი).

ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელი საამქროების და დამხმარე სოფლის მეურნეობის საწარმოების წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანა —სის-

ტემატურად გაზარდონ ფართო მოხმარების საგნების წარმოება და აამაღლონ მზა პროდუქციის ხარისხი და გაიაფონ წარმოებული პროდუქცია. ტყის მეურნეობის მიერ გამოშვებული პროდუქცია ხარისხის მხრივ ჯერ კიდევ არ შეესაბამება საბჭოთა ხალხის სისტემატურად მზარდ მოთხოვნებს. ტყის მეურნეობის კოლექტივმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს მზა ნაწარმის ხარისხი.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა სათანადო ტემპით განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ტყის მეურნეობა ადგენს წლიურ და ოპერაციულ გეგმებს.

წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. ნატურალურ გამოსახულებაში ხე-ტყის დამზადება, გამოზიდვისა და გადამუშავების გეგმა;

2. საერთო და სასაქონლო პროდუქციის გეგმა;

3. დამხმარე სოფლის მეურნეობისა და სხვა დამხმარე სარგებლობის პროდუქტების წარმოების გეგმა;

4. შრომისა და ხელფასის გეგმა;

5. წარმოების ხარჯთაღრიცხვა;

6. ადმინისტრაციული სამმართველო პერსონალის საშტატო განაწესი და ხარჯთაღრიცხვა;

7. სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა;

8. რეალიზაციის გეგმა და სხვ.

ნატურალურ გამოსახულებაში ხე-ტყის დამზადება, გამოზიდვისა და გადამუშავების გეგმა დგება გვ. 57-ზე მოცემული ფორმის მიხედვით.

ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ დაშვებული ერთიანი ფორმების მიხედვით დგება სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა სხვა მაჩვენებლების გეგმებიც. გეგმების შესადგენად ტყის მეურნეობა მთავარ სამმართველოსაგან იღებს ძირითად საწარმოო მაჩვენებლებს. ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების საფუძველზე ტყის მეურნეობა ადგენს და ამტკიცებს გაშლილი მაჩვენებლებით საწარმოო-საფინანსო გეგმებს კალენდარული ვადებისდა მიხედვით. სამეურნეო წლის დაწყებამდე დაყავს ის შემსრულებლებამდე. სამეურნეო წლის დაწყებიდანვე სისტემატურად უნდა განხორციელდეს ფართო მოხმარების საგნების წარმოების გეგმის შესრულების შემოწმება.

ტყის მეურნეობაში ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელ საწარმოთა სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპზე ორგანიზაცია, მნიშვნელოვნად ადიდებს ამ დარგში დასაქმებული მუშაკების ინიციატივასა და მისწრაფებას სამეურნეო და საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ფართო მოხმარების საამქროს მუშები და ტყის მეურნეობის ხელმძღვანელი პერსონალი მატერიალურად დაინტერესებულია ფართო მოხმარების საგნების გამოშვების გეგმის შესრულებაში და ამ საამქროების განუწყვეტელ სწრაფ ზრდაში. მეურნეობის კოლექტივი მთელი მონდომებით იბრძვის ფართო მოხმარების საამქროების წარმოების რაციონალური წარმართვისა და რენტაბელობისათვის. ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელი საამქროების მუშაობა ემყარება დანახარჯების საკუთარი შემოსავლით დაფარვისა და რენ-

## . . სატყეო მეურნეობის 195 . . წლის სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა ხე-ტყის დამზადების, გამოზიდვისა და გადამუშავების გეგმა ნატურალურ გამოსახულებით (ფორმა)

| დასახელება | ზომის ერთეული | სულ 195 წ. | მათ შორის მექნისი | აქედან კვარტალების მიხედვით: 1 კვ. | | 2 კვ. | | 3 კვ. | | 4 კვ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | მათ შორის მექნისი | სულ | მათ შორის მექნისი | სულ | მათ შორის მექნისი | სულ | მათ შორის მექნისი |
| **I ხე-ტყის დამზადება** | | | | | | | | | | | |
| ა) ხე-ტყის მოთხოვნილება—სულ: . . . | | | | | | | | | | | |
| აქედან. საჭიროა: | | | | | | | | | | | |
| დახერხილი მასალისათვის . . . | | | | | | | | | | | |
| მოხმარების პუნქტებში გადამუშავებისათვის . | | | | | | | | | | | |
| ტყეში გადამუშავებისათვის . . . . . . | | | | | | | | | | | |
| რეალიზაციისათვის | | | | | | | | | | | |
| **დაფარვის წყაროები** | | | | | | | | | | | |
| ბ) საკუთარი დამზადება სულ: . . | | | | | | | | | | | |
| აქედან: | | | | | | | | | | | |
| მთავარი სარგებლობის ჭრებით . . . . | | | | | | | | | | | |
| მოვლითი ჭრებით . . | | | | | | | | | | | |
| სანიტარული ჭრებით | | | | | | | | | | | |
| სხვა ჭრებით . . | | | | | | | | | | | |
| სულ | | | | | | | | | | | |
| **II ხე-ტყის გამოზიდვა** | | | | | | | | | | | |
| სულ: | | | | | | | | | | | |
| **III. გადამუშავების პროდუქციის ნომენკლატურა** | | | | | | | | | | | |
| დახერხილი მასალა | | | | | | | | | | | |
| ურემი . | | | | | | | | | | | |
| მარხილი . . | | | | | | | | | | | |
| სასადილო მაგიდები . | | | | | | | | | | | |
| საკანცელარიო მაგიდ. | | | | | | | | | | | |
| სკამები . | | | | | | | | | | | |
| კარადები . . | | | | | | | | | | | |
| ნაჯახის ტარი | | | | | | | | | | | |
| თოხის ტარი | | | | | | | | | | | |
| კასრები | | | | | | | | | | | |
| ნახშირი | | | | | | | | | | | |
| ფიხი | | | | | | | | | | | |

ტაბელური მუშაობის პრინციპებს. საწარმოო საქმიანობის შედეგად მიღებული სახსრები ხმარდება წარმოების გაფართოებას და მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელ საამქროებში სამეურნეო ანგარიში ემყარება შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიურ კანონს. შრომის მიხედვით განაწილება კი ქმნის წარმოების აღმავლობისათვის მომუშავეთა პირად მატერიალურ დაინტერესებას. ყოველი მუშაკი ცდილობს გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, მიაღწიოს მატერიალური და ფულადი რესურსების რაციონალურ და მომჭირნეობით ხარჯვას. შრომის ნაყოფიერების გადიდებით მნიშვნელოვნად იზრდება წარმოების სფეროში ჩაბმული მუშაკების პირადი შემოსავალი. სამეურნეო ანგარიში ქმნის სოციალიზმის პირობებში მოქმედი შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიური კანონების მოთხოვნების უზრუნველყოფის ყოველგვარ შესაძლებლობას.

სამეურნეო ანგარიშის სრულყოფილი დანერგვა სისტემატურად ამტკიცებს და აძლიერებს მეურნეობის საფინანსო მდგომარეობას, მის რენტაბელობას. რაც მეტად რენტაბელურია მეურნეობა, მით უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს მუშაკების წახალისებისა მათი კულტურული და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გზით. სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმონი ფართოდ იყენებენ საწარმოო საქმიანობაში მომუშავეთა წამახალისებელ საშუალებებს. გეგმის გადაჭარბებისა, ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიისა და სხვა მასალების მომჭირნეობისა და რაციონალური ხარჯვისათვის მუშაკებს ეძლევათ სხვადასხვა სახის პრემია-დანამატები და ამის გარდა, ფართოდ ტარდება მუშაკების წახალისების სხვა ღონისძიებები.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ სოციალისტურ საწარმოთა მუშაობა უნდა ავაგოთ „არა უშუალოდ ენთუზიაზმზე დაყრდნობით, არამედ დიდი რევოლუციის მიერ წარმოშვებული ენთუზიაზმის დახმარებით, პირად ინტერესებზე, პირად დაინტერესებაზე, სამეურნეო ანგარიშიანობაზე დაყრდნობით“.*

ტყის მეურნეობის მუშაკების საპატიო მოვალეობას შეადგენს ფართოდ გამოიყენონ მოწინავე ტყის მეურნეობათა გამოცდილება ფართო მოხმარების საგნების წარმოების ორგანიზაციის დარგში, კიდევ უფრო გაშალონ სოციალისტური შეჯიბრი, რაც შეიძლება მეტი და მაღალი ხარისხის ფართო მოხმარების საგნების წარმოებისათვის.

## IV ტყის მეურნეობის საწარმოო პროგრამის დაგეგმვა

სოციალისტური წარმოების წესის პირობებში მოქმედებს წარმოებითი ურთიერთობათა საწარმოო ძალების ხასიათისადმი აუცილებელი შესაბამისობის ეკონომიური კანონი. ეს კანონი დიდი ხანია იკაფავს გზას კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოების მომაკვდავი ძალები დიდ წინააღმდეგობას უწევენ მას. წარმოებით ურთიერთობათა საწარმოო ძალების ხასიათისადმი აუცილებელი შესაბამისობის ეკონომიურ კანონზე დაყრ-

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტომი 33, გვ. 46.

დნობით საბჭოთა ხელისუფლებამ განასაზოგადოვა წარმოების საშუალებები — ისინი წარმოდგენილია საერთო სახალხო სახელმწიფოებრივ და საკოლმეურნეო-კოოპერაციულ საკუთრების ფორმების სახით. საწარმოო საშუალებებზე საზოგადოებრივმა საკუთრებამ წარმოშვა სრული შესაძლებლობა სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი პროპორციული განვითარებისათვის.

სსრ კავშირის ეკონომიურ ცხოვრებაში გამოთიშულია კაპიტალისტური წარმოების წესისათვის დამახასიათებელი ანარქია, კონკურენცია, კრიზისები და საწარმოო საშუალებებზე კერძო კაპიტალისტური საკუთრების შედეგად წარმოშობილი სხვა ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ანტაგონისტური წინააღმდეგობანი. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა ვითარდება ერთიანი სახალხო მეურნეობის გეგმის მიხედვით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-11 მუხლში აღნიშნულია: „სსრ კავშირის სამეურნეო ცხოვრება განსაზღვრავს და წარმართავს სახელმწიფო სახალხო სამეურნეო გეგმა, საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებისა, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობისა, სსრ კავშირის დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და მისი თავდაცვაუნარიანობის გაძლიერების ინტერესებისათვის".

სოციალისტური ტყის მეურნეობა, როგორც სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი დარგი, იზრდება და ვითარდება გეგმაზომიერი პროპორციული განვითარების ეკონომიური კანონის შესაბამისად; ისე, როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, ტყის მეურნეობაშიაც პერსპექტიული და ოპერაციული გეგმები ასახავენ სახალხო მეურნეობის ამ დარგის განვითარების მომავალ პრაქტიკას. ტყის მეურნეობის გეგმები დგება მეცნიერული კვლევა-ძიებისა და ანალიზის საფუძველზე.

სოციალიზმის პირობებში მოქმედი ეკონომიური კანონიერების შეცნობით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ცალკეულ პერიოდისათვის სახავს შესაფერისი პოლიტიკური და ეკონომიური შინაარსის ამოცანებს. ეს ამოცანები თავის გამოსახულებას ჰპოვებენ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებში. სახალხო მეურნეობის არც ერთ დარგს და არც ერთ მის პირველად სამეურნეო ერთეულს არ შეუძლია განვითარდეს გეგმის გარეშე. სოციალისტური საწარმო წარმოუდგენელია გეგმური განვითარების გარეშე. სოციალისტური საწარმოს გეგმა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საერთო სისტემის პირველად რგოლს წარმოადგენს. ურთიერთთან ერთიანი სახელმწიფოებრივი გეგმით დაკავშირებული პირველადი სამეურნეო ერთეულები სახალხო მეურნეობის მთელ სისტემას ქმნიან.

ტყის მეურნეობა სახალხო მეურნეობის ამ დარგის პირველად დამოუკიდებელ სამეურნეო საწარმოს წარმოადგენს. ისე როგორც სხვა დარგების საწარმოებს, ტყის მეურნეობასაც ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული აქვს დებულება და მინიჭებული აქვს იურიდიული უფლება აწარმოოს სახელმწიფო გეგმის შესაბამისად სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის მთელი კომპლექსი. ტყის მეურნეობა იმყოფება დამოუკიდებელ ბალანსზე და ფლობს ძირითად და საბრუნავ ფონდებს.

სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის საფუძველზე ტყის მეურნეობებში ყოველწლიურად დგება სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის გეგმა. ტყის მეურნეობის გეგმა ტყის ფონდის მდგომარეობის საკითხში, ერთის მხრივ, ეყრდნობა ტყის მოწყობის მასალებს, მეორე მხრივ, ტყის ფონდის ფაქტობრივი მდგომარეობის უშუალო შესწავლასა და ანალიზს. ტყის მეურნეობაში საწარმოო პროცესების დაგეგმვისას—გათვალსწინებული უნდა იქნეს მეურნეობის ამ დარგის დამახასიათებელი ყველა თავისებურება.

მარქსი აღნიშნავდა: მერქნის წარმოება არსებითად განსხვავდება სხვა უმრავლეს წარმოებებისაგან იმით, რომ ამ შემთხვევაში ბუნების ძალა მოქმედებს დამოუკიდებლად და ბუნებრივი განახლებისას არ საჭიროებს ადამიანის ძალას.

იმ შემთხვევაში, როდესაც ტყის მეურნეობა ტყის ფონდის გაფართოებულ კვლავწარმოებას აღწევს ტყის ბუნებრივი განახლების გზით, ტყის მეურნეობის გეგმის ამოცანას წარმოადგენს წარიმართოს ეს ბუნებრივი განახლების პროცესები საზოგადოებისათვის ხელსაყრელ და სასარგებლო ფორმებში. ბუნებრივი განახლების პროცესში შეგნებული ჩარევით, ტყის ფონდის კვლავწარმოებასთან დაკავშირებული შინაგანი და გარეგანი ფაქტორების სათანადო რეგულირებით, გეგმიანი მეურნეობის პირობებში შესაძლებელია საზოგადოებამ სასურველ შედეგს მიაღწიოს.

დიდი რუსი მეცნიერი მიჩურინი გვასწავლიდა—ჩვენ არ უნდა ველოდოთ ბუნების წყალობას, არამედ ვიმოქმედოთ ბუნებაზე და გამოვიყენოთ მისი ძალები ხალხის საკეთილდღეოდ.

ტყის მეურნეობის განვითარების მასშტაბი და ტემპები ორგანულად დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებასთან. ასე, მაგალითად, ხე-ტყის დამზადების მოცულობა დამოკიდებულია, ტყის ფონდის მდგომარეობასთან ერთად, ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობისა და საერთოდ ხე-ტყის პროდუქციის მომხმარებელი სახალხო მეურნეობის დარგების წარმოების მასშტაბსა და განვითარების ტემპებზე.

სატყეო-საკულტურო სამუშაოების მოცულობა და მისი განვითარების მასშტაბი დამოკიდებულია ნაციონალური შემოსავლის დარგთა შორის განაწილების ხასიათზე და ა. შ.

დაცვითი მნიშვნელობის ტყეებში, ტყის ექსპლოატაცია შეზღუდულია ამ ტყეებისაგან სხვა ხასიათის სახალხო მეურნეობრივი სარგებლობის მიღების გამო. თუ ასეთი სპეციალური დანიშნულების მეურნეობებს არ მივიღებთ მხედველობაში, საერთოდ სოციალისტურ წარმოებებსა და განსაკუთრებით მრეწველობაში წარმოების გეგმები ითვალისწინებენ მატერიალური საშუალებების სისტემატურად მზარდ წარმოებას. მართალია, სეზონური ხასიათის წარმოებაში არ ხდება ყოველდღიური, კვირეული და თვიური წარმოების მოცულობის რითმულად აღმავლობითი ზრდა, მაგრამ ეს წარმოებებიც განიცდიან განუწყვეტელ ზრდას. ასე მაგალითად: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობა და სხვა განიცდიან განუწყვეტელ ყოველწლიურ ზრდას, შესადარ სეზონისა და სამეურნეო წლის მიხედვით. დაცვითი მნიშვნელობის ტყის მეურნეობაშიაც ტყის

მეცნიერებისა და მოწინავე მეურნეობათა გამოცდილებების საფუძველზე შემუშავებული პროგრესული სამეურნეო ღონისძიებების გატარების შედეგად შესაძლებელია ტყის პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებლობის საგრძნობლად გადიდება ამ ტყეების დაცვითი მნიშვნელობის შენარჩუნებით. ასე, მაგ. დაცვითი მნიშვნელობის ტყეებში მცირე მწარმოებლობის კორომების სტრუქტურის შეცვლით, ასეთ კორომებში სწრაფმზარდი და ძვირფასი ჯიშების შეტანით და დაბალი მწარმოებლობის ჯიშების გამოდევნით მიღწეული იქნება არა მარტო ამ ტყეების დაცვითი ფუნქციების ხარისხობრივი ზრდა, არამედ ტყის პირდაპირი სარგებლობის გადიდებაც, დაცვითი მნიშვნელობის ტყეებში პირდაპირი სარგებლობის წესების სრული დაცვის პირობებში. მეურნეობის პერსპექტიული და ოპერატიული გეგმები მხოლოდ მაშინ აღწევენ თავიანთ მიზნებს და ჩაითვლებიან სრულყოფილად, როდესაც ისინი მაქსიმალურად ითვალისწინებენ მეურნეობის სპეციფიკურობასა და ამ მეურნეობაში არსებული საშუალებების რაციონალურ გამოყენებას.

ტყის მეურნეობა ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე, დადგენილ ვადაში, ადგენს მეურნეობის წლიური გეგმის პროექტს და უდგენს მას ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს. ახალი სამეურნეო წლის გეგმის პროექტის შედგენისათვის საჭიროა საანგარიშო ბაზის მომზადება, ე. ი. წინა წლის გეგმის შესრულების მაჩვენებლების დადგენა.

საანგარიშო წლის (ე. ი. საგეგმო წლის წინა წლის) გეგმის შესრულების მაჩვენებლების დადგენა მოითხოვს სერიოზულ მუშაობას, რადგან ახალი წლისათვის გეგმის პროექტი დგება საგეგმო წლის დაწყებამდე. ამ პერიოდისათვის მეურნეობას არა აქვს წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებლები, ამიტომ შედგენილი უნდა იქნეს მიმდინარე სამეურნეო წლის გეგმის მოსალოდნელი შესრულება.

გეგმის მოსალოდნელი შესრულების განსაზღვრა დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე (გასული თვეების გეგმის სიდიდესა და გეგმის შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ საშუალებებზე და სხვ.). საანგარიშო წლის გეგმის მოსალოდნელი შესრულების სწორად განსაზღვრაზე დამოკიდებულია ახალი სამეურნეო წლისათვის საწარმოო მაჩვენებლების ზრდის ტემპების დადგენა, ახალი სამეურნეო წლის პირველი კვარტალის გეგმის სიდიდე და სხვ. ახალი წლის პირველი კვარტალის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ახალი სამეურნეო წლის მეოთხე კვარტალის გეგმის შესრულების დონეს და მიღწეულ წარმატებებს, ხოლო თუ წარმოება სეზონურია, გასული წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულების მაჩვენებლებს.

გეგმის მოსალოდნელი შესრულების განსაზღვრაში დაშვებულ შეცდომებს შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს ახალი წლის გეგმაზე. გეგმის მოსალოდნელი შესრულების შემცირებით დადგენის შემთხვევაში შესაძლებელია ახალი წლის გეგმის მექანიკურად შემცირება. პირიქით, თუ გეგმის მოსალოდნელი შესრულება ხელოვნურად გადიდებულ იქნა, წარმოების საშუალებათა არასწორი ანალიზის შედეგად, ახალი წლის გეგმაც არასწორად იქნება შედგენილი, რასაც თან მოჰყვება გეგმის შესრულებაში სხვადასხვა ხასიათის შეფერხებები და გაუგებრობები. გეგმის მოსალოდნელი შესრულების სწორად დადგენა უმთავრესად დამოკიდებულია მეოთხე

კვარტალის გეგმის მაჩვენებლებზე, რადგან საანგარიშო წლის სხვა პერიოდის გეგმის შესრულებაზე უკვე არსებობს გეგმის შესრულების ფაქტობრივი მონაცემები.

მეოთხე კვარტალის გეგმის შესრულების მაჩვენებლები ისე უნდა დაემატოს დანარჩენი სამი კვარტალის გეგმის ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლებს, რომ მივიღოთ წლიური გეგმის შესრულების სწორი შეფასება. წლიური გეგმის შესრულების განსაზღვრაში რომ ნაკლებად იქნეს დაშვებული შემთხვევითობა, პრაქტიკულად იქცევიან ასე: აიღებენ გეგმის პროექტის შედგენის მომენტისათვის მიმდინარე წლის გასული თვეების გეგმის შესრულების ფაქტობრივ მაჩვენებლებს და მას დაუმატებენ საანგარიშო წლის დარჩენილი თვეების გეგმას და ამრიგად საზღვრავენ საგეგმო წლის წინა პერიოდის გეგმის მოსალოდნელ შესრულებას. ასეთი წესით გეგმის მოსალოდნელი შესრულების განსაზღვრისას შეიძლება დაშვებულ იქნეს მექანიკური ხასიათის შეცდომა. საძელდობრ: თუ წარმოება გარეშე მიზეზის გამო განვლილ თვეებში გეგმებს ვერ ასრულებდა და გეგმის ფაქტობრივი შესრულება ნაკლებია გეგმაზე, ხოლო მეოთხე კვარტალში წარმოებას გააჩნია ყველა პირობა, ირა მარტო შეასრულოს მეოთხე კვარტლის გეგმა, არამედ დაფაროს წინა კვარტალების გარღვევები, მაშინ გეგმის მოსალოდნელი შესრულების განსაზღვრისათვის გეგმის ფაქტობრივ შესრულებას უნდა დაემატოს არა მხოლოდ დარჩენილი პერიოდის გეგმა, არამედ გასული პერიოდის გარღვევებიც.

მას შემდეგ, რაც შესწავლილი და დაზუსტებული იქნება ტყის მეურნეობის მიერ როგორც საბიუჯეტო საქმიანობის, ისე სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა ახალი წლისათვის გეგმის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც შეიტანება ტყის მეურნეობის მთავარ სამართველოსაგან მიღებულ სპეციალურ ფორმებში, ტყის მეურნეობის მომავალი წლის საწარმოო-საფინანსო გეგმის პროექტი უნდა გაეცნოს მეურნეობის მუშაკებს. მეურნეობის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მუშა-მოსამსახურეები აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ გეგმის შედგენასა და განხილვაში.

ახალი წლის გეგმის პროექტის შედგენასთან დაკავშირებით მეურნეობაში მოწვეული უნდა იქნეს საერთო კრება ან სამეურნეო აქტივი, ან კიდევ საწარმოო თათბირი, რომელზედაც მეურნეობის დირექტორმა უნდა გააკეთოს სოხსენება მეურნეობის მიმდინარე წლის გეგმების შესრულების (ცალკეული სატყეოების, უბნების, ბრიგადების, ფართო მოხმარების საგნების საამქროების და სხვა წარმოების ხაზით) შედეგებისა და ახალი წლის გეგმის პროექტის შესახებ. საკითხის სათანადოდ განხილვის შედეგად მეურნეობის მუშაკების მიერ შემოტანილი წინადადებები, მეურნეობაში არსებული საშუალებების უკეთ გამოყენებაზე, გათვალისწინებული უნდა იქნენ გეგმის პროექტში. მეურნეობის კოლექტივის მიერ განხილული და მიღებული გეგმის პროექტი ახსნა-განმარტებითი ბარათით დადგენილ ვადაში წარდგენილი უნდა იქნეს ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოში.

ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველო, სათანადო სამმართველოებისა და განყოფილებების საშუალებით, ტყის მეურნეობიდან მიღებული გეგმის

პროექტებს უკეთებს სათანადო ანალიზს და მასში საჭირო შესწორებების შეტანის შემდეგ უდგენს ზემდგომ ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა საგეგმო პერიოდის დაწყებიდან რამდენიმე თვით ადრე ამტკიცებს საგეგმო პერიოდისათვის სახალხო მეურნეობისა და მისი ცალკეული დარგების განვითარების ლიმიტებს და დირექტივებს. დირექტივები და ლიმიტები ითვალისწინებენ სოციალისტური სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებას სათანადო შეთანაწყობით, სათანადო პროპორციით. სახალხო მეურნეობის საშუალებებისა და სამუშაოს ძალის რესურსების გათვალისწინებით სახალხო მეურნეობის დარგებს უმტკიცდება მომავალი წლის გეგმის ძირითადი მაჩვენებლები — ლიმიტები.

სსრ კავშირის სამინისტროები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მიღებულ ძირითად მაჩვენებლებს — ლიმიტებს ანაწილებენ დაქვემდებარების მიხედვით სამინისტროებსა, ტრესტებსა და სამმართველოებს შორის.

საქართველოს ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველო საქართველოს მინისტრთა საბჭოსაგან მიღებულ ძირითად საწარმოო დავალებებს უგზავნის ტყის მეურნეობებს, ავტონომიური რესპუბლიკებსა და ოლქების ტყის მეურნეობის სამმართველოებს. ტყის მეურნეობები მიღებულ საწარმოო დავალებების საფუძველზე ადგენენ გაშლილი მაჩვენებლებით საწარმოო გეგმას.

საერთოდ ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული ძირითადი საწარმოო დავალებები და ლიმიტები საზღვრავენ მეურნეობის საწარმოო გეგმის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

ტყის მეურნეობა ცალკე ადგენს საბიუჯეტო საქმიანობის წლიურ გეგმას და ცალკე სამეურნეო ანგარიშზე მყოფ წარმოებათა წლიურ გეგმას.

საბიუჯეტო საქმიანობის, ანუ, როგორც მას უწოდებენ, ძირითადი საქმიანობის, წლიური გეგმის შესადგენად ტყის მეურნეობა მთავარ სამმართველოსაგან ღებულობს შემდეგ ძირითად საწარმოო დავალებებს:

1. მოვლითი ჭრების სიდიდეს ფართობისა და მასის მიხედვით, მათ შორის:

ა) განათებითი ჭრების,

ბ) გაწმენდითი ჭრების,

გ) გამოხშირვითი ჭრების,

დ) გავლითი ჭრებისა და

ე) სანიტარული ჭრებისათვის ცალ-ცალკე.

2. ტყის კულტურების სამუშაოების მოცულობას, რომლებშიაც შედის ტყის თესვა და რგვა.

3. ტყის ბუნებრივი განახლების ხელშემწყობ სამუშაოებს.

4. ნიადაგის მომზადების სამუშაოებს: ტყის კულტურების სანერგეების, სკოლებისა და პლანტაციების გაშენებისათვის.

5. ნიადაგის მომზადების სამუშაოებს მიმდინარე წლის კულტურების გაშენებისათვის.

6. ტყის კულტურების მოვლის სამუშაოებს ერთჯერადზე გადაყვანით.

7. სანერგეების გაშენების გეგმას მოვლითა და რწყვით.

8. თესლების დამზადების გეგმას.

ტყის მეურნეობა მთავარ სამმართველოსაგან ასეთივე წესით ღებულობს ძირითად საწარმოო დავალებებს—სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა საწამოო გეგმის შესადგენად.

ტყის მეურნეობაში ორგანიზებული ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელი საამქროებისა და დამხმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წინაშე დიდმნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული.

ტყის მეურნეობამ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა მიაღწიოს ტყის ექსპლოატაციისა და ტყის მოვლის შედეგად მიღებული ნარჩენების მაქსიმალურ გამოყენებას ფართო მოხმარების საგნების დასამზადებლად.

დამხმარე სარგებლობის სწორი ორგანიზაციისა და სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის ვარგისი—თავისუფალი მიწების გამოყენებით ტყის მეურნეობამ უნდა მიიღოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მაღალი მოსავალი.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა გეგმები აუცილებლად უნდა ითვალისწინებდნენ მეურნეობაში არსებული მანქანა-იარაღებისა და მოწყობილობათა მაქსიმალურ გამოყენებას, ახლის შეძენის შესაძლებლობას და წარმოების მუშახელით უზრუნველყოფას.

ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ ტყის მეურნეობისათვის დამტკიცებული ძირითადი საწარმოო მაჩვენებლები სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთათვის ითვალისწინებენ:

1) საერთო პროდუქციის მოცულობას,

2) სასაქონლო პროდუქციის მოცულობას (მათ შორის გადამუშავების პროდუქციის),

3) ნატურალურ გამოსახულებაში მაქნისი და საშეშე მერქნის დამზადებას,

4) შესასყიდი ხე-ტყის მოცულობას,

5) გადამუშავების ძირითად ნაკეთობებს,

6) დამხმარე სოფლის მეურნეობაში მემცენარეობისა და მეცხოველეობის ძირითად მაჩვენებლებს და სხვ.

ტყის მეურნეობის დირექცია ვალდებულია დეტალურად შეისწავლოს და ზუსტი ანალიზი გაუკეთოს როგორც საბიუჯეტო საქმიანობას, ისე სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა გეგმის მაჩვენებლებს.

თუ საწარმოო დავალების რომელიმე მაჩვენებელი არ შეესაბამება მეურნეობის სინამდვილეს, საჭიროა მეურნეობის დირექციამ ამის შესახებ სათანადო დასაბუთებული მოხსენებითი ბარათით მიმართოს ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს. მთავარ სამმართველოს თანხმობით შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები სამმართველოდან დაშვებულ ძირითად საწარმოო მაჩვენებლებში. ტყის მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს მეურნეობის წარმოების გეგმა, ხოლო ეს უკანასკნელი—სამეურნეო და ტექნიკური საქმიანობის ნაერთ გეგმას, რაც ტყის მეურნეობის კოლექტივისათვის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გაშლილი პროგრამაა.

მეურნეობის საწარმოო გეგმა დგება მეურნეობის კოლექტივის მონაწილეობით ზემდგომი ტყის მეურნეობის ორგანოების მიერ დამტკიცებულ ძირითად საწარმოო დავალებების საფუძველზე.

საწარმოო-სამეურნეო ტექნიკური მაჩვენებლები საწარმოო გეგმაში მოცემულია კონკრეტული ადგილისა და შესრულების ვადის მიხედვით, აგრეთვე გეგმით დასახულია კომპლექსური ღონისძიებები მეურნეობაში არსებულ ტექნიკისა და ყველა სახის რესურსების სრულყოფილად და რაციონალურად გამოყენებისათვის. საწარმოო გეგმაში მოცემულია კონკრეტული გზები მეურნეობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

ტყის მეურნეობის წარმოების გეგმა საწარმოო-საფინანსო გეგმის ძირითადი ნაწილია. ის შეიცავს მეურნეობის გეგმის რაოდენობრივ მაჩვენებლებს, რომლიდგანაც გამომდინარეობს გეგმის მთელი რიგი სხვა მაჩვენებლები.

საგეგმო პერიოდისათვის გათვალისწინებული წარმოების გეგმის რაოდენობრივი მაჩვენებლების გარეშე შეუძლებელია განისაზღვროს საწარმოო პერსონალის რაოდენობა, ხელფასის ფონდი, მატერიალურ ტექნიკური მომარაგება, საერთო, სასაქონლო პროდუქცია და სხვ. წარმოების გეგმის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშებანი წარმოებს საშუალო პროგრესული ნორმებით.

წარმოების გეგმა მოიცავს საწარმოო პროგრამასა და საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გეგმას.

საწარმოო პროგრამა — ეს არის საგეგმო პერიოდში გარკვეული ოდენობით და ხარისხით სამუშაოს შესრულების ან პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო დავალება. საწარმოო პროგრამა მოცემულია ნატურალური გამოსახულებით (კუბურ მეტრობით, კვადრატული მეტრობით, ცალობით, ტონობით), ფასებით (საერთო და სასაქონლო პროდუქცია).

რაოდენობრივი მაჩვენებლების გარდა, წარმოების გეგმაში შედის ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. გეგმაში მოცემულია თუ რომელი ხარისხის რა ოდენობის პროდუქცია უნდა დაამზადოს მეურნეობამ საგეგმო პერიოდში, სათანადო ტექნიკური პირობების საფუძველზე ან სახელმწიფო — „გოსტის" და სტანდარტის შესაბამისად.

ტყის მეურნეობაში სატყეო-საკულტურო სამუშაოები, ტყის ექსპლოატაციის სამუშაოები, ტყის დაცვის სამუშაოები და სხვა იგეგმება ნატურალური გამოსახულებით (კუბური მეტრი, ცალები, კილომეტრები, ჰექტარები).

ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოდან მიღებული საწარმოო დავალებების საფუძველზე ტყის მეურნეობა ადგენს კვარტალურ გეგმებს და გეგმების შესრულების გრაფიკს ცალკე სატყეოების, უბნებისა და შემდეგ მთლიანად ტყის მეურნეობის მიხედვით.

წლიურ, კვარტალურ და თვიურ გეგმებში მოცემულია მუშაობის მოცულობა, სახე და შესრულების ვადები.

ტყის მეურნეობა საწარმოო გეგმებს ადგენს დარგების მიხედვით, სადაც მოცემულია არა მარტო საწარმოო პროცესები, არამედ საწარმოო პროცესების ფაზებიც. ტყის მეურნეობა საწარმოო გეგმებს ადგენს მთავარ სამმართველოს მიერ დაშვებული ფორმების მიხედვით. ამ ფორმებით შედგენილი წლიუ-

რი და კვარტალური გეგმა ტყის მეურნეობის მიერ დანაწილებულია ვადებისა და, აგრეთვე, სატყეოების, უბნებისა და კვარტალების მიხედვით. ასეთივე წესით ნაწილდება საწარმოო დავალებები ტყის მეურნეობის საქმიანობის სხვა დარგებშიც

ასე მაგალითად: ტყეკაფების გამოყოფის სამუშაოების წლიური გეგმის შესადგენად ამჟამად ტყის მეურნეობებზე დაშვებულია შემდეგი სახის ფორმა:

| №№ | სამუშაოების დასახელება | ზომის ერთეული | 195 წ. გეგმა | მათ შორის კვარტალურად | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I | II | III | IV |
| 1 | მთავარი სარგებლობის ტყეკაფის გამოყოფა . . . . . . . . . . | ჰა | | | | | |
| 2 | ტყეკაფის გამოყოფა მოვლითი და სანიტარული ჭრებისათვის სულ . . | " | | | | | |
| | მათ შორის: | | | | | | |
| | ა) განათებითი . | " | | | | | |
| | ბ) გაწმენდითი . . | " | | | | | |
| | გ) გამოხშირვითი | " | | | | | |
| | დ) გავლითი . . . . | " | | | | | |
| | ე) სანიტარული ჭრები . . . | " | | | | | |
| 3 | მაღალხარისხოვანი მერქნიანი ხეების შერჩევა და დანიშვნა . . . . . . . . | ცალ | | | | | |
| 4 | ტყეკაფების გამოყოფა სპეციალური დანიშნულებისათვის . . . . | ჰა | | | | | |

მოვლითი ჭრების გეგმის შესადგენად კი დაშვებულია შემდეგი სახის ფორმა:

| №№ | სამუშაოების დასახელება | ზომის ერთეული | 195 . წ. გეგმა | მათ შორის კვარტალურად | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I | II | III | IV |
| | I. მოვლითი ჭრები | | | | | | |
| | ა) ფართობი . . . | ჰა | | | | | |
| | ბ) მასა . . . . . . | კბ. მ | | | | | |
| | გ) მ. შ. ლიკვიდური . . | " | | | | | |
| | აქედან მაქნისი სულ . . | " | | | | | |
| | საშეშე სულ . . . . | " | | | | | |
| | მათ შორის: | | | | | | |
| | ა. განათებითი | | | | | | |
| | ა) ფართობი . | ჰა | | | | | |
| | ბ) მასა . . . . . . | კბ. მ | | | | | |
| | გ) მ. შ. ლიკვიდური . . | " | | | | | |
| | აქედან სამასალე სულ . | " | | | | | |
| | საშეშე სულ . . . . . . . | " | | | | | |

| №№ | სამუშაოების დასახელება | ზომის ერთეული | 195 . წ. გეგმა | მათ შორის კვარტალურად | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I | II | III | IV |
| | ბ. გაწმენდითი | | | | | | |
| | ა) ფართობი | ჰა | | | | | |
| | ბ) მასა | კბ. მ | | | | | |
| | გ) მ. შ. ლიკვიდური | „ | | | | | |
| | აქედან სამასალე სულ | „ | | | | | |
| | საშეშე სულ | „ | | | | | |
| | გ. გამოხშირვითი | | | | | | |
| | ა) ფართობი | ჰა | | | | | |
| | ბ) მასა | კბ. მ | | | | | |
| | გ) მ. შ. ლიკვიდური | „ | | | | | |
| | აქედან სამასალე სულ | „ | | | | | |
| | საშეშე სულ | „ | | | | | |
| | დ. გავლითი | | | | | | |
| | ა) ფართობი | ჰა | | | | | |
| | ბ) მასა | კბ. მ | | | | | |
| | გ) მ. შ. ლიკვიდური | | | | | | |
| | აქედან სამასალე სულ | | | | | | |
| | საშეშე სულ | | | | | | |
| | ე. სანიტარული | | | | | | |
| | ა) ფართობი | ჰა | | | | | |
| | ბ) მასა | კბ. მ | | | | | |
| | მ. შ. ლიკვიდური | | | | | | |
| | აქედან სამასალე სულ | „ | | | | | |
| | საშეშე | „ | | | | | |
| | II მერქნის წამოთრევა<br>მათ შორის: | | | | | | |
| | ა) სამასალე | კბ. მ | | | | | |
| | ბ) საშეშე | „ | | | | | |

ხე-ტყის დამზადება გამოზიდვისა და დამზადებული მერქნის გადამუშავების გეგმა ტყის მეურნეობაში დგება შემდეგი ფორმის მიხედვით:

| №№ | სამუშაოებისა და მთავარი სორტიმენტების დასახელება | ზომის ერთეული | 195 წ. გეგმა | მათ შორის კვარტალი I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| | **I. დამზადება** | | | | | | |
| | წიწვიანი სულ . | კბ. მ | | | | | |
| | მათ შორის: სამასალე . | | | | | | |
| | ფოთლოვანი სულ . . | | | | | | |
| | მათ შორის სამასალე . | | | | | | |
| | **II. გამოზიდვა სულ** . | კბ. მ | | | | | |
| | მათ შორის სამასალე . | | | | | | |
| | **III ხე-ტყის გადამუშავების პროდუქცია** | მან. | | | | | |
| | მათ შორის: | | | | | | |
| | დახერხილი მასალა . | კბ. მ | | | | | |
| | თვერსო . . | ც. | | | | | |
| | სოლი . | | | | | | |
| | ურმის თვალი . | | | | | | |
| | ურემი . | | | | | | |
| | მარხილი . | | | | | | |
| | ყავარი სახურავის . . | კონებით | | | | | |
| | სამშენებლო ტკეჩი . | | | | | | |
| | ტკეჩი . | ც. | | | | | |
| | ნიჩაბი . . | | | | | | |
| | კალათი, გოდორი, გიდელი . . | " | | | | | |
| | ხის ნახშირის დამზადება . . | ტ-ბით | | | | | |
| | კუპრის დამზადება . . | | | | | | |
| | კასრი, გეჯა . | ცალობით | | | | | |
| | ფისი . | ტონ. | | | | | |
| | კვალსათბურის ჩარჩო | ცალ. | | | | | |
| | ცოცხი . . | | | | | | |

| №№ | სამუშაოებისა და მთავარი სორტიმენტების დასახელება | ზომის ერთეული | 195 წ. გეგმა | მათ შორის კვარტალი I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| | საახალწლო ნაძვის ხე . | ც | | | | | |
| | ნავთის ტარი . | | | | | | |
| | ბარის ტარი . | | | | | | |
| | თოხის ტარი . | | | | | | |
| | წერაქვის ტარი . | | | | | | |
| | პიგო . | | | | | | |
| | სარი . | | | | | | |
| | ბოძები . | | | | | | |
| | კარადები . | | | | | | |
| | მაგიდები სათვალო . . | | | | | | |
| | „ საკანცელარიო . . | | | | | | |
| | სკამები . | | | | | | |
| | . | | | | | | |
| | . | | | | | | |
| | . | | | | | | |
| | . | | | | | | |

ტყის მეურნეობის დირექცია როგორც საბიუჯეტო, ისე სამეურნეო ანგარიშზე მყოფ წამოწყებებს უმტკიცებს გეგმებს შესრულების ვადების მიხედვით იმ ვარაუდით, რომ თვეებისა და დეკადების მიხედვით განაწილებული გეგმების შესრულების შედეგად უზრუნველყოფილ იქნეს წლიური გეგმის წარმატებით შესრულება.

წარმოების გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შესასრულებელი სამუშაოებისა და ფართო მოხმარების საქონლის სამქროებში გამოსაშვები პროდუქციის ხარისხს. საბიუჯეტო საქმიანობის საწარმოო გეგმაში სამუშაოების ხარისხი ცალკე არ იგეგმება. ნაგულისხმევია, რომ ყოველი სამუშაო აუცილებლად უნდა შესრულდეს მაღალი სატყეო აგროწესების მიხედვით. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოებში კი გამოსაშვები პროდუქციის ხარისხი აუცილებლად იგეგმება. გეგმით განსაზღვრულია, თუ რამდენი პირველი ხარისხის და რამდენი უფრო დაბალი ხარისხის პროდუქცია უნდა იქნეს დამზადებული.

ტყის მეურნეობაში, ისე როგორც სხვა წარმოებებში, გაჩაღებულია მუშაობა საუკეთესო ხარისხის ნაკეთობათა გამოშვებისათვის. მეურნეობის კო-

ლექტივის საპატიო მოვალეობას შეადგენს სისტემატურად გაადიდოს პირველი ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წონა და საერთოდ აამაღლოს პროდუქციის ხარისხი.

თუ მეურნეობის კოლექტივი მიაღწევს მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმების გადაჭარბებით შესრულებას დაგეგმილი ნედლეულის ბაზაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მეურნეობა მიიღებს მნიშვნელოვან ზეგეგმურ დაგროვებას და გააძლიერებს თავის საფინანსო მეურნეობას.

ტყის მეურნეობის ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელ საამქროში ხარისხის მიხედვით პროდუქციის გამოშვების გეგმა შედგენილი უნდა იქნეს ცალკე ნაკეთობათა მიხედვით. ნაკეთობის ამა თუ იმ ხარისხზე მიკუთვნება წარმოებს ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით; უხარისხო და არასტანდარტულ ნაკეთობათა გამოშვების ყოველი შემთხვევა წარმოების მთელი კოლექტივის მსჯელობის საგნად უნდა გახდეს.

წუნდებული პროდუქციის გამოშვება დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფოს, საზოგადოებას, ამიტომ მისი გამომშვები მკაცრად უნდა დაისაჯოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. დამთავრდება თუ არა გეგმის ნატურალური მაჩვენებლების მიხედვით შედგენა, დაწყებული უნდა იქნეს გეგმის შედგენა სხვა მაჩვენებლების მიხედვით. საწარმოო პროგრამის შემდეგ ნაწილს საერთო და სასაქონლო პროდუქციის გეგმა შეადგენს.

საერთო პროდუქციის გეგმა მეურნეობის გეგმის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს, ის საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მეურნეობის საწარმოო საქმიანობის ზრდის ტემპები, განვითარების დინამიკა, შრომის ნაყოფიერების დონე ფულადი გამოსახულებით და სხვ.

საერთო პროდუქციის გეგმაში შედის წარმოების მიერ დამზადებული ყველა სახის პროდუქციის ღირებულება და იმ მომსახურებათა ღირებულება, რომლებსაც მეურნეობა უწევს სხვა წარმოებებს და საკუთარ დამხმარე წარმოებებს (კაპიტალური შეკეთება, მიმდინარე შეკეთება, კაპიტალური მშენებლობა, დამხმარე მეურნეობა და სხვ).

საერთო პროდუქციის გეგმაში არ შედის ზოგიერთი სახის ნაწარმი, რომელიც მზადდება წარმოებაში და მოიხმარება იმავე წარმოებაში შემდგომი გადამუშავებისათვის. როგორც წესი, ასეთი სახის ნაწარმის ნომენკლატურას აწესებს სამინისტროები სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით. წარმოებას არა აქვს უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტოს აღნიშნული საკითხები.

1949 წლამდე საერთო პროდუქცია სახელმწიფო მრეწველობაში იგეგმებოდა 1926—27 წლის უცვლელი ფასებით, ხოლო კოოპერაციულ მრეწველობაში 1932 წლის ფასებით. 1926 წლიდან 1949 წლამდე სსრკ მრეწველობაში დიდი ცვლილებები მოხდა. საგრძნობლად გაიზარდა სახალხო მეურნეობის მიერ გამოშვებულ ნაწარმთა ნომენკლატურა, მნიშვნელოვნად შეიცვალა ფასების სტრუქტურა; 1926 წლის შემდგომ პერიოდში ათვისებულ და მასობრივად გამოშვებულ ნაკეთობათა სიმრავლემ და მათი 1926—27 წლის ფასებზე გადაყვანის სირთულემ საერთო პროდუქციის დაგეგმისათვის ახალი ფასების შემოღების აუცილებლობა წარმოშვა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე საერთო პროდუქციის გეგმის შედგენა 1950 წლიდან წარმოების საბითუმო ფასებით წარმოებს. მეხუთე ხუთწლედში საერთო პროდუქცია იგეგმებოდა 1952 წლის პირველი იანვრისათვის მოქმედი წარმოების საბითუმო ფასებით. მეექვსე ხუთწლედში საერთო პროდუქციის გაანგარიშება წარმოებს 1955 წლის 1 ივლისისათვის მოქმედი წარმოების საბითუმო ფასებით. საერთო პროდუქციის შეფასება წარმოებს საბითუმო ფასების პრეისკურანტით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან მისი დავალებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები (რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობისათვის) და სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები (საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობისათვის). 1926—27 წ. ფასები მოქმედ ფასებიდან მეტად დაშორებული იყო და ის ხშირად აბსტრაქციულ ხასიათს ატარებდა. საბითუმო საწარმოო ფასები კი საშუალებას იძლევა არა მარტო განვსაზღვროთ საერთო სახალხო მეურნეობის, მისი დარგებისა და ცალკეულ საწარმოთა განვითარების ტემპები, არამედ წარმოდგენა ვიქონიოთ ნაკეთობათა საწარმოო საბითუმო ფასებზედაც ბრუნვითი გადასახადის გამოკლებით.

ტყის მეურნეობაში საერთო პროდუქცის გეგმა დგება:

1. ტყის მეურნეობის მიერ დამზადებულ ხე-ტყეზე და
2. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საამქროების წარმოებების მიერ დამზადებულ პროდუქციაზე.

საერთო პროდუქციის გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა სახის ჭრებით დამზადებული მერქანი, რომელიც გამიზნულია როგორც სარეალიზაციოდ, ისე საკუთარი მოხმარებისათვის ან კიდევ შემდეგი გადამუშავებისათვის.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა საერთო პროდუქციის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს: ხე-ტყის დამზადებას, გამოზიდვას, დაცურებას, რკ. გზის რონოდებში ხე-ტყის დატვირთვას, ფართო მოხმარების საამქროების მიერ დამზადებულ ყველა ნაკეთობას (ფართო მოხმარების საგნები, ქიმიური გადამუშავების პროდუქტები, გამოფისვის პროდუქტები და სავა) და შემკვეთის მასალისაგან დამზადებულ პროდუქციას.

საერთო პროდუქციის გეგმაში გათვალისწინებული პროდუქციისა და სამუშაოების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს და თუ რომელიმე ნაკეთობაზე არ არსებობს სახელმწიფო სტანდარტი,—მაშინ საერთო წესით დამტკიცებული ტექნიკური პირობების მოთხოვნებს.

ტყის მეურნეობა საერთო პროდუქციის გეგმის შედგენისათვის წარმოების საბითუმო საპრეისკურანტო ფასებს ღებულობს მთავარ სამმართველოსაგან. ფასები მოცემულია ნაკეთობის ხარისხის სორტიმენტისა და სახის მიხედვით. დამზადებული ხე-ტყე ფრანკო ტყეკაფზე იგეგმება მისთვის დამტკიცებული ფასებით, სხვადასხვა პუნქტში გამოზიდული მერქანი ამ პუნქტისათვის დამტკიცებული ფასებით.

საერთო პროდუქციის გეგმაში შეტანილი უნდა იქნეს ადგილობრივი წარმოება—დაწესებულებისათვის სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოების

მიერ გამოზიდული მერქანი. ამ უკანასკნელის ფასი აღებული უნდა იქნეს გამოზიდვის ფაქტობრივი ღირებულების მიხედვით.

ფართო მოხმარების საამქროების საერთო პროდუქციის გეგმაში უნდა შევიდეს არა მარტო გადამუშავების, არამედ ხე-ტყის დამზადების, გამოზიდვისა და დაცურების საპრეისკურანტო ფასებიც.

მეურნეობის საერთო პროდუქციის გეგმაში არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ის ნარჩენები და ნახევარფაბრიკატები, რომლებიც ნედლეულის დამუშავების შედეგად არიან მიღებული და გამიზნულია შემდეგი გადამუშავებისათვის.

სასაქონლო პროდუქციას მიეკუთვნება წარმოებაში დამზადებული პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც მიღებულია ტექნიკური კონტროლის ბიუროს ან კონტროლიორის მიერ და განკუთვნილია სხვა უწყებასა და ორგანიზაციაზე გადასაცემად—სარეალიზაციოდ.

სასაქონლო პროდუქციაში შედის აგრეთვე ისეთი სამუშაოები, რომლებიც შესრულებულია წარმოების კოლექტივის მიერ სხვა წარმოების შეკვეთით ამ უკანასკნელის საწარმოო მომსახურებისათვის.

სასაქონლო პროდუქციაში შედის:

1. მზა პროდუქცია, რომელიც მზადდება ძირითადი ნედლეულისაგან და წარმოების ნარჩენებისაგან;

2. საწარმოო ხასიათის მუშაობა და მომსახურება, რომელიც სრულდება, სხვა წარმოებებთან კოოპერირების გზით;

3. წარმოების მოწყობილობების კაპიტალური რემონტისათვის, კაპიტალური მშენებლობისათვის—საკუთარი ელექტროენერგიისა და ორთქლის გაცემა, კომუნალური და საბინაო ფონდის მომსახურება, დამხმარე ხასიათის საწარმოთა მომსახურება და სხვა აღირიცხება აგრეთვე სასაქონლო პროდუქციის გეგმაში. ტყის მეურნეობაში მოვლითი ჭრებით, სანიტარული ჭრებით, ქერქიჭამია ხოჭოებისაგან დაზიანებული ხეების მოჭრით და ტყეკაფების გაწმენდის შედეგად მიღებული მერქანი როგორც სამასალე, ისე საშეშე, რომელიც გამიზნულია სარეალიზაციოდ, შედის სასაქონლო პროდუქციის გეგმაში.

სასაქონლო პროდუქციის გეგმაში შედის აგრეთვე:

ა) სარეალიზაციო პუნქტებზე მიზიდული მერქანი (ფრანკო-ვაგონი, ფრანკო-ადგილობრივი საწყობი),

ბ) გადამუშავების პროდუქცია (ფართო მოხმარების საგნები, ქიმიური გადამუშავების პროდუქტები და სხვ),

გ) სარეალიზაციოდ გამიზნული, საკუთარი ძალებით დამზადებული, ნახევარფაბრიკატები,

დ) სარეალიზაციოდ განკუთვნილი შუალედური და დამხმარე სარგებლობის პროდუქტები,

ე) მეურნეობის მიერ დამზადებული ყველა ის მასალა, რომელიც განკუთვნილია კაპიტალური მშენებლობისათვის, კაპიტალური შეკეთებისათვის და სხვა არასაწარმოო საჭიროებაზე,

ვ) შემკვეთი ორგანიზაციების ნედლეულისაგან დამზადებული ნაკეთობები და ადგილობრივი ორგანიზაციების საჭიროებისათვის გამოზიდული ხე-ტყე.

სასაქონლო პროდუქციის გეგმა დგება ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული საპრეისკურანტო ფასებით.

მოქმედი საპრეისკურანტო ფასები აღებული უნდა იქნეს ყოველი სახის პროდუქციის ხარისხისა და სორტიმენტის მიხედვით.

ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის სამეურნეო ანგარიშზე მყოფ წარმოებების მიერ გამოზიდული მასალები გეგმაში შეიტანება გამოზიდვის ფაქტობრივი ხარჯების მიხედვით.

სასაქონლო პროდუქციის გეგმაში შევა შემკვეთი ორგანიზაციებიდან მიღებული ნედლეულის მხოლოდ გადამუშავების ღირებულება.

საერთო პროდუქციის გეგმაში შევა მხოლოდ სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით გამოშვებული პროდუქცია.

თუ რომელიმე ნაკეთობაზე არ არსებობს სახელმწიფო სტანდარტი, ტყის მეურნეობამ უნდა მიიღოს სათანადო ორგანოებიდან ასეთ ნაკეთობებისათვის დამტკიცებული ტექნიკური პირობები. სასაქონლო პროდუქციის გეგმაში არ შეიძლება შევიდეს უხარისხო და არასტანდარტული ნაკეთობები.

ფართო მოხმარების საამქროებისათვის ხე ტყის დამზადება-გამოზიდვაზე და ხე-ტყის გადამუშავებაზე საერთო და სასაქონლო პროდუქციის გეგმა დგება ფორმა № 1-ის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია გვ. 74-ზე მოცემული ფორმით.

საბიუჯეტო საქმიანობის სხვა დარგები, როგორიცაა სატყეო-საკულტურო სამუშაოები, ტყის დაცვა, ტყის მოვლა და სხვა, იგეგმება ფიზიკური ერთეულებით. ჯერ არ არის შემუშავებული სათანადო კოეფიციენტები ასეთი მრავალმხრივი სამუშაოს რომელიმე საერთო ერთიან გამოსახულებაში გადაყვანისათვის. ეს მდგომარეობა კი შეუძლებელს ხდის გადაყვანილ იქნეს ტყის მეურნეობის საბიუჯეტო საქმიანობის ყველა დარგში ჩატარებული მუშაობა ერთ რომელიმე გამოსახულებაში, ერთ განზომილებაში და ამით დადგინდეს საერთო საქმიანობის ყოველწლიური დინამიკა, შრომის ნაყოფიერების საერთო დონე და სხვ.

თუ გვსურს გავიგოთ, გასულ წელთან შედარებით, ახალ სამეურნეო წელს სამეურნეო საქმიანობაში როგორი ცვლილებები ხდება, საჭიროა ერთგვარი სამეურნეო საქმიანობის თითოეული ფაქტობრივი და გეგმური სახე შევადაროთ ერთმანეთს და დავადგინოთ ზრდის ტიპები.

ტყის მეურნეობის პრაქტიკაში ჯერ არ არის დადგენილი. თუ რა წესით შეიძლება გადაყვანილ იქნეს ყოველი სახის სამუშაო საერთო პროდუქციის გეგმაში.

წარმოების გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე ფართო მოხმარების ნაკეთობათა გამოშვების გეგმას. ფართო მოხმარების საგნების წარმოება საერთო გეგმის იმ ნაწილს შეადგენს, სადაც განსაზღვრულია მეურნეობის ნარჩენებისაგან თუ რა სახის საგნები უნდა დამზადდეს.

ფართო მოხმარების საგნები გამიზნულია მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ინვენტარის სახელურები, საოჯახო ნივთები და სხვ.).

მასობრივი მოთხოვნილების საგნებზე მოსახლეობის სისტემატური მზარდი მოთხოვნილების გეგმური დაკმაყოფილების მიზნით, სახალხო მეურნეობის გეგმებში ცალკე გამოიყოფა ფართო მოხმარების საგნების წარმოების გეგმა.

## ________________ ტყის მეურნეობის 195 . წლის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გეგმა *

| პროდუქციის დასახელება | ზომის ერთეული | 195 . . წ. გეგმა ნატურალური გამოსახულებით | 19 . . წ. საერთო პროდუქციის გეგმა 1955 წ I. VII წარმოების საბითუმო ფასებით | | 195 . წ. სასაქონლო პროდუქციის გეგმა მოქმედ საგასაღებო ფასებით | | 195 . . წ. საერთო პროდუქ. გეგმის % გასული წლ. ფაქტ. შესრ. შედარებით | 195 . . წ. სასაქონლ. პროდუქც. გეგმის % გასული წლის ფაქტ. შესრ. შედარებით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ერთეულის ღირებულება (მან.) | მთლიანი ღირებულება (ათას. მან.) | ერთეულ. ღირებულება (მან.) | მთლიანი ღირებულება (ათას. მან.) | | |
| I. ფრანკო ტყეკაფი: | | | | | | | | |
| მაქნისი მერქანი . . | | | | | | | | |
| შეშა . . . . . . | | | | | | | | |
| II. შუალედი საწყობები . . . | | | | | | | | |
| მაქნისი მერქანი . | | | | | | | | |
| შეშა . . . . . | | | | | | | | |
| III. ფრანკო რონოდა და სხვა სარეალიზაც. პუნქტები: | | | | | | | | |
| მაქნისი მერქანი . . | | | | | | | | |
| შეშა . . . . | | | | | | | | |
| . . . . . . . . . | | | | | | | | |
| IV. გადამუშავებული პროდუქცია: | | | | | | | | |
| დ. ხერხილი მასალა | | | | | | | | |
| შტაკეტი . . . . . | | | | | | | | |
| ტელეგრაფის ბოძები . . . | | | | | | | | |
| სარი . . . . . . | | | | | | | | |
| საახალწლო ნაძვის ხე . . | | | | | | | | |
| კარადა . | | | | | | | | |
| მაგიდა . . | | | | | | | | |
| სკამი . | | | | | | | | |
| . . . . | | | | | | | | |
| V. სდვადასხვა . | | | | | | | | |
| . . . . . . . . | | | | | | | | |
| სულ . | | | | | | | | |

* საერთო და სასაქონლო პროდუქციის გეგმის შედგენისათვის დაშვებული უნიფიცირებული ფორმა № 1 ითვალისწინებს აგრეთვე თვითღირებულების გაანგარიშებასაც, ვინაიდან თვითღირებულების გეგმის შედგენის საკითხები ცალკეა მოცემული ჩვენს მიერ, აღნიშნული სვეტები აქ წარმოდგენილი ფორმიდან ამოღებულია.

ფართო მოხმარების საგნების წარმოების გეგმა, მისი ზრდა გასულ წლებთა შედარებით, წარმოდგენას იძლევა მშრომელთა მოთხოვნილების მასობრივი მოხმარების საგნებით დაკმაყოფილების დონეზე. ამიტომ მეურნეობის წარმოების გეგმის ამ ნაწილის სწორად შედგენის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ტყის მეურნეობებს საკმაოდ დიდი რესურსები გააჩნიათ ფართო მოხმარების საგნების წარმოებისათვის.

დამზადების ნარჩენების მოვლითი ჭრის ჩატარების შედეგად მიღებული მერქანი და სხვა სახის პროდუქტები—ტყეში ფართოდ გავრცელებული გარეული ხილი, სოკოები და სხვ—მდიდარ ბაზას წარმოადგენენ საკვები პროდუქტების, საოჯახო ნივთებისა და სხვა სახის მასობრივი მოთხოვნის საგნების დასამზადებლად. ამ მიზნით ეწყობა ფართო მოხმარების საამქროები, რომელთა პროდუქცია სისტემატურად უნდა იზრდებოდეს, რადგან ამ წარმოების არსებული დონე ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება მოთხოვნილებას. ფართო მოხმარების საგნების წარმოებისათვის ტყის მეურნეობაში არსებული რესურსები ჯერ კიდევ მცირე მასშტაბითაა გამოყენებული. ტყის მეურნეობებმა უნდა გაშალონ შემოქმედებითი ინიციატივა მეურნეობაში არსებული ნარჩენებისა და სხვა დამხმარე პროდუქტების მაქსიმალურად და რაციონალურად გამოყენებისათვის.

ამ მხრივ ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სსრკ მთელ რიგ მოწინავე ტყის მეურნეობების გამოცდილება და მიღწევები.

ფართო მოხმარების საგნების წარმოება იგეგმება ნატურალური გამოსახულებით და მოქმედი საგასაცემო ფასებით; აღნიშნული გეგმა წარმოდგენილია გვ. 76-ზე მოცემული ფორმით.

წარმოების გეგმის შემდეგ ნაწილს არსებული ტექნიკის გამოყენების გეგმა შეადგენს. საწარმოო სიმძლავრის გამოყენების გეგმა ითვალისწინებს წარმოებაში არსებული ტექნიკის—მანქანა-იარაღების სრულ, მიზანშეწონილ და რაციონალურ გამოყენებას.

გეგმის შედგენისას დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი მეურნეობაში არსებული მანქანა-იარაღების მდგომარეობა, სამუშაოდ მათი მზადყოფნა. დადგენილი უნდა იქნეს მანქანა-იარაღების მწარმოებლობა და დაისახოს ღონისძიებები მეურნეობაში არსებული ტექნიკის მაქსიმალური გამოყენებისათვის.

გეგმაში აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იქნეს წარმოების პროცესებში არსებული „ვიწრო ადგილების“ ლიკვიდაციის ღონისძიებები.

არის შემთხვევები, როდესაც წარმოებაში ცალკეული ოპერაციები მექანიზებულია, ხოლო ცალკეული ოპერაციები კი სრულდება ხელით ან ჩამორჩენილი ტექნიკით. ასეთი წესით საწარმოო ციკლის შესრულება იწვევს მექანიზებული და ახალი ტექნიკით აღჭურვილი მომდევნო ოპერაციების შეფერხებით შესრულებას. მეურნეობის ხელმძღვანელობის გადაუდებელი ამოცანაა მოახდინოს ასეთი „ვიწრო ადგილების“ დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია, რომ საწარმოო პროცესების ყველა თანამიმდევრული ოპერაცია რითმულად წარიმართოს.

საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონე განისაზღვრება მეურნეობაში არსებული ტექნიკით (მანქანა-იარაღების, მოწყობილობებისა და დანადგარების) ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს—საექსპლოატაციო სიმძლავრესთან შეფარდებით. ტექნიკის გამოყენების დონე იმდენად მაღალია, რამდენადაც ეს შეფარდება ერთს უახლოვდება.

ასე, მაგალითად, მესამე კლასის გზაზე, თუ ზიდვის მანძილი საშუალოდ 15 კილომეტრია, სატვირთო ავტომანქანამ (ЗИС—151) უნდა გამოიტანოს

| ფართო მოხმარების პროდუქციის დასახელება | ზომის ერთეული | 195 . წ. ფართო მოხმარების საგნების წარმოების გეგმა ნატურალური გამოსახულებით | 195 . . წ. ფართო მოხმარების საგნების წარმოების გეგმა საგასაცემო ფასებით (მან) | | ფართო მოხმარების პროდუქციის ზრდა %%-ით 195 . წელს 195 . წელთან შედარებით |
|---|---|---|---|---|---|
| | | | ერთეულის ღირებულება | მთლიანი ღირებულება | |
| 1. საახალწლო ნაძვის ხე . . | | | | | |
| 2. დახერხილი მასალა . . | | | | | |
| 3. ხის ნახშირი . . . | | | | | |
| 4. სახურავი ყავარი . | | | | | |
| 5. სკამები . . . . . . . | | | | | |
| 6. კარადები (საოჯახო) . | | | | | |
| 7. მაგიდები . . | | | | | |
| 8. კასრები . . | | | | | |
| 9. სარი . . | | | | | |
| 10 ჭიგო . . . . . . | | | | | |
| 11. თოხის, ბარის, წერაქვის, ნაჯახის ტარები . . . . | | | | | |
| 12. კალათი, გოდორი, გიდელი . | | | | | |
| 13. ცოცხი . . . . | | | | | |
| 14. . . | | | | | |
| 15. . . | | | | | |
| 16. . | | | | | |

ერთ ცვლაში 17 კუბური მეტრი მასალა. თუ ფაქტობრივადაც აღნიშნულ მანქანამ მანქანა—ცვლაში 17 კუბური მეტრი გამოზიდა, მაშინ მანქანის ცვლაში სასარგებლო გამოყენება % უდრის (17.100:17)=100-ს ანუ აბსოლუტური ციფრებით ერთს. მაგრამ, თუ მანქანა ცვლაში ეზიდება არა 17 კუბურ მეტრს, არამედ 15 კუბურ მეტრს, მაშინ მანქანის საექსპლოატაციო სიმძლავრის გამოყენება უდრის (15.100:17)=88,2 %-ს. მეურნეობაში გაანგარიშებული უნდა იქნეს არსებული მანქანა-იარაღებისა და მოწყობილობათა თვიური, კვარტალური და წლიური მწარმოებლობის გამოყენების დონე.

მანქანა-იარაღების სრული გამოყენება დამოკიდებულია არა მარტო მანქანის, იარაღების, მოწყობილობების მუშაობის ხანგრძლიობაზე, არამედ მათ ტექნიკურ მდგომარეობასა და მანქანა-მოწყობილობაზე მომუშავე მუშაკის კვალიფიკაციაზე.

მეურნეობაში არსებული ტექნიკის სრულყოფილი გამოყენება მეურნეობის კოლექტივის პირველხარისხოვან და საპატიო მოვალეობას შეადგენს. მიღწეული უნდა იქნეს დროის ერთეულში ტექნიკის მაქსიმალური გამოყენება. ამ მიზნით საჭიროა ლიკვიდირებულ იქნეს ტექნიკის გაცდენები, მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს კაპიტალური შეკეთებისათვის დროის ხანგრძლიობა, შეკეთების ხარისხის ამაღლებით.

საწარმოო-საფინანსო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ტექნიკის მაქსიმალურ გამოყენებას.

ტყის მეურნეობაში არის ისეთი სახის მანქანა-იარაღები, რომელთა მუშაობა შემოფარგლულია სეზონით. ასეთი სეზონური მუშაობისათვის კონსტრუირებული მანქანების მაქსიმალური გამოყენება უნდა მოხდეს სეზონში მათი შეუფერხებლივი მუშაობით.

ამის გარდა, სეზონური სამუშაოებისათვის კონსტრუირებული მანქანების მწარმოებლობის გადიდებისათვის და, მაშასადამე, მათი უკეთ გამოყენების მიზნით, ეს მანქანები აუცილებლივ უნდა გადაკეთდეს კომბინირებული მუშაობის მანქანებად, რომ შესაძლებელი გახდეს სხვა სამუშაოებზედაც მათი გამოყენება.

სსრკ-ის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ თავისებურებას მისი სისტემატური აღმავლობა შეადგენს. სოციალისტური მეურნეობის ამ პრინციპს ეყრდნობა სახალხო მეურნეობის გაფართოებული კვლავწარმოება. გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოება აუცილებლობას ქმნის წარმოების სისტემატური ზრდისათვის.

მეურნეობის ძირეული საწარმოო რგოლები ფართოვდება და იზრდება არა მარტო ახალი მშენებლობის გზით, არამედ არსებული წარმოების რეკონსტრუქციისა და მათი საწარმოო საშუალებების მაქსიმალურად, რაციონალურად გამოყენების გზითაც.

სოციალისტური საწარმოს წარმოებითი საქმიანობა, თუ ის რაიმე განსაკუთრებული პირობებით არ არის გამიჯნული, უნდა იზრდებოდეს ყოველწლიურად, კვარტალურად, თვიურად და დღიურად.

სოციალისტური საწარმოს ეს თავისებურებანი გამოსახულებას პოულობენ წლიურ, კვარტალურ, თვიურ და სადღეღამისო გეგმებსა და მის შესრულებაში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დაგმობილია წარმოებაზე შემცირებული გეგმების მიცემის არასწორი პრაქტიკა.

შემცირებული გეგმები აიშობს და ყინავს მშრომელთა შემოქმედებით ინიციატივას. შემცირებული გეგმები იძულებულს ხდის მეურნეობის კოლექტივს იფუსფუსონ წარმოების ვიწრო ადგილებსა და უკვე მიღწეული ეკონომიური მაჩვენებლების ირგვლივ. სახელმწიფო გეგმები უნდა იყოს მამობილიზებელი, უნდა ეყრდნობოდეს არა საშუალო არითმეტიკულ ნორმებს, არამედ საშუალო პროგრესულ ნორმებს.

სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულების საკითხს სწყვეტენ ადამიანები.

გეგმა უნდა ეყრდნობოდეს წარმოების მოწინავე მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას, მათ პატრიოტულ სულისკვეთებასა და განწყობილებას—მაქსიმალურად გამოიყენონ წარმოების საწარმოო საშუალებები და ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევები.

წარმოების გეგმის შესრულება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, ასრულებს თუ არა წარმოება სახელმწიფო გეგმით დამტკიცებული მოწყობილობის გამოყენების საშუალო პროგრესულ ნორმებს.

გეგმის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოწყობილობების სრულყოფილად გამოყენების ღონისძიებებს.

ტექნიკური გეგმა შეიცავს წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვისა და შრომის პროცესების მექანიზაციის დავალებებს.

ტექნიკური გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს ტყის მეურნეობის დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა, მოწინავე წარმოებების მუშაობის ტექნოლოგიის გადმოღება და დანერგვა.

ტექნიკურ გეგმა ისე უნდა შედგეს რომ, უზრუნველყოფილ იქნეს მექანიზაციის სისტემატური ზრდა და საწარმოო პროცესებში ხელით მუშაობის ხვედრითი წონის მაქსიმალური შემცირება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად. ტყის მეურნეობის ტექნიკურ გეგმაში ფართო ადგილი უნდა დაეთმოს წარმოების ტექნიკურ მომზადებას. მეურნეობის ტექნიკურ გეგმაში გათვალისწინებული უნდი იქნეს მეცნიერებისა და ტექნიკის, მოწინავე საწარმოთა მიღწევების დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებები. ასე, მაგალითად, ნარჩენების გამოყენების მიზნით, ტყის მეურნეობა ვალდებულია მოაწყოს ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელი საამქროები. ამ მიზნით საჭირო იქნება სათანადო შეკვეთით საპროექტო ორგანიზაციების მიერ შედგეს ტექნიკური დოკუმენტაცია, ტექნიკური პროექტი, ხარჯთააღრიცხვა, ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიური პროცესის სქემა, ამ ნაკეთობათა ათვისების კალენდარული გეგმა და სხვ.

ტყის მეურნეობის ტექნიკურ გეგმაში უნდა შედიოდეს აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის სამუშაოები, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სახალხო მეურნეობისათვის აქტუალური საკითხები, რომელთა მეცნიერული დამუშავება შესაძლებელია მეურნეობის კოლექტივის მიერ ადგილობრივ პირობებში, რაც გარკვეულ თეორიულ და პრაქტიკულ სარგებლობას მისცემს სახალხო მეურნეობას.

## V. თვითღირებულების დაგეგმვა

სსრ კავშირში სახალხო მეურნეობის გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოება მიმდინარეობს საკუთარი სახსრებით და საშუალებებით. ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობის შედეგად, ახალმა სოციალისტურმა საზოგადოებამ წარმოშვა დიდი შესაძლებლობები საზოგადოებრივი შრომის რაციონალური და მიზნობრივი გამოყენებისათვის. საზოგადოებრივი შრომის რაციონალური ხარჯვა და ეკონომია ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს გეგმურად და ის ეყრდნობა, ერთი მხრივ, საბჭოთა ხალხის შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი შრომის დანახარჯების დონის სწორ დაგეგმვას.

სოციალისტურ საზოგადოებაში პროდუქციის წარმოებაზე ან სამუშაოს შესრულებაზე გაწეული ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯები გამოსახავენ პროდუქციის წარმოების ან შესრულებული სამუშაოს ნამდვილ ღირებულებას.

პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს ღირებულება სოციალისტური წარმოების წესის პირობებში ორი ნაწილისაგან შედგება:

1. წარსული განივთებული ანუ მოხმარებული წარმოების საშუალებების ღირებულების ნაწილისაგან, რომელიც წარმოების პროცესში ჩაექსოვება ახლად შექმნილ პროდუქტში ან შესრულებულ სამუშაოში და

2. წარმოების მუშაკთა ცოცხალი შრომის დახარჯვის შედეგად ახლად შექმნილ ღირებულებისაგან.

წარმოების პროცესში პროდუქტის შექმნაზე ან სამუშაოს შესრულებაზე წარმოებს გამოყენებული შრომის იარაღების ნაწილობრივი გაცვეთა და ნედლეულის, დამხმარე მასალების, სათბობის, ელექტროენერგიისა და წარმოებისათვის საჭირო სხვა სახსრების გარკვეული ნორმებით ხარჯვა. ყველა ეს მოხმარებული გაწეული შრომის შედეგები თავის ღირებულებით გადადის ახლად დამზადებულ პროდუქტში ან შესრულებულ სამუშაოზე და აისახება როგორც მათი ღირებულების ნაწილი.

საწარმოო პროცესში საწარმოო მუშაკების მონაწილეობის შედეგად, ახლად შექმნილი ღირებულების ერთი ნაწილი მიდის ხელფასის სახით წარმოების მუშაკთა პირადი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ხოლო მეორე ნაწილი მიდის საზოგადოების წმინდა შემოსავალში საერთო სახალხო საჭიროებისათვის გამოსაყენებლად. პროდუქციის წარმოებისათვის ან სამუშაოს შესრულებისათვის საზოგადოების მიერ გაწეული ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯები იზომება ღირებულებით, ფულის საშუალებით. პროდუქციის წარმოებაზე ან შესრულებულ სამუშაოზე მოხმარებული წარმოების საშუალებების ღირებულება და ფულადი სახით გამოსახული შრომის ანაზღაურებაზე გაწეული საწარმოო დანახარჯები შეადგენენ წარმოებული პროდუქციისა და შესრულებული სამუშაოს თვითღირებულებას. თვითღირებულება წარმოებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს ღირებულების ნაწილია. იგი გვიჩვენებს, თუ რა ჯდება მეურნეობაში პროდუქციის წარმოება და გასაღება ან სამუშაოს შესრულება. სახელდობრ, რაოდენ ღირებულების საწარმოო საშუალებები და შრომა (ხელფასის სახით) დაიხარჯა პროდუქციის დამზადება-რეალიზაციაზე ან სამუშაოს შესრულებაზე.

სოციალისტური წარმოების მუშაკთა შრომით შექმნილი ახალი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც შეადგენს საზოგადოების წმინდა შემოსავალს, ხმარდება საზოგადოების საჭიროებას და წარმოადგენს პროდუქციის ღირებულებისა და მისი თვითღირებულების სხვაობას. წარმოებაში შექმნილი პროდუქტი მოითხოვს ხარჯებს როგორც წარმოების, ისე მოხმარების სფეროში. პროდუქტის წარმოებაზე ხარჯების გაწევა ხდება თვით წარმოებაში, ხოლო რეალიზაციის ხარჯები—წარმოების გარეთ. იმ მიზნით, რომ ცალკე აღირიცხოს წარმოების შიგა და გარე ხარჯები, განასხვავებენ: ა) საფაბრიკო-საქარხნო ანუ საწყეო თვითღირებულებას და ბ) სრულ ანუ კომერციულ თვითღირებულებას.

საფაბრიკო-საქარხნო, საწყეო თვითღირებულება მოიცავს ძირითადი საშუალებების გაცვეთილი ნაწილის, საბრუნავი ფონდებისა და შრომის იმ დანახარჯებს, რომლებიც წარმოებამ გასწია პროდუქციის დამზადებაზე.

სრული ანუ კომერციული თვითღირებულება მოიცავს საფაბრიკო-საქარხნო საწყეო თვითღირებულებას და საწარმოოს სხვა იმ ხარჯებს, რომლებიც

დაკაშირებულია პროდუქციის გასაღებასთან, გადაზიდვასთან, დატვირთვა-გადმოტვირთვასთან, დახარისხება—შეფუთვასთან, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებთან, კვლევითი სამუშაოების, კადრების მომზადებისა და სხვა ღონისძიებების განხორციელებასთან.

სრული კომერციული თვითღირებულება და ზემდგომი ორგანოების მიერ დადგენილი მოგებისა და ბრუნვიდან გადასახადის დანარიცხთა საერთო ჯამი შეადგენს პროდუქციის გასაცემ ფასს. გასაცემი ფასის სიდიდეს საბჭოთა მთავრობა გეგმიანი წესით ადგენს; იგი დამოკიდებულია, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი შრომის დანახარჯების სიდიდეზე და, მეორე მხრივ, სახალხო მეურნეობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებაზე. პროდუქციის გასაცემი ფასი ძირითადად დამოკიდებულია პროდუქციის თვითღირებულების სიდიდეზე. პროდუქციისა და შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება საშუალებას იძლევა სსრ კავშირში განხორციელდეს მასობრივი მოხმარების საგნებზე ფასების დაკლება, რაც მშრომელთა მატერიალური საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და საერთო კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. თვითღირებულების შემცირებით იზრდება წარმოების რენტაბელობა, სოციალისტური დაგროვება და საერთოდ ის სოციალისტურ საზოგადოებაში უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური ფაქტორია. პროდუქციისა და შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულების სისტემატურ შემცირებაში მთელი საბჭოთა ხალხი დიდ დაინტერესებას იჩენს. თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში შესანიშნავად არის შეთავსებული მშრომელთა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები.

ისე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, ტყის მეურნეობაშიაც გაშლილია სახალხო მოძრაობა პროდუქციისა და შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისათვის, რაც მიმდინარეობს განივთებული და ცოცხალი შრომის ეკონომიის გზით.

თვითღირებულება წარმოების გეგმის თვისობრივი მაჩვენებელია. მასში სრულყოფილად აისახება წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში მომხდარი ცვლილებები და საერთოდ მეურნეობის მთელი მუშაობის ხარისხი. წარმოების ტექნიკური და ენერგოშეიარაღება, კადრების კვალიფიკაციის დონის ამაღლება, ძირითადი და საბრუნავი ფონდების გამოყენების დონე, წარმოების მართვის ორგანიზაცია, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მზა ნაწარმის რეალიზაციის მდგომარეობა და სხვა ორგანულადაა დაკავშირებული მზა ნაწარმისა და შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულებასთან. ახდენენ რა ასეთ თვალსაჩინო ზეგავლენას წარმოების შინა და გარე ფაქტორები პროდუქციის თვითღირებულებაზე, განსაკუთრებული გულისხმიერებით შესწავლილი უნდა იქნეს თვითღირებულების შემადგენელი ყველა ეს ელემენტი და საწარმოო პროცესში მომხდარი ყოველგვარი ტექნოლოგიური ცვლილებები-
ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველ დღეებშივე კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას მოუწოდებდა გაეწიათ უსასტიკესი კონტროლი შრომისა და მოხმარების ზომაზე. მანამდე, სანამ არ დამდგარა კომუნიზმის „მაღალი“ ფაზა, აღნიშნავდა ლენინი,

სოციალისტები მოითხოვენ „შრომის ზომისა და მოხმარების ზომის უსასტიკეს კონტროლს საზოგადოების მხრივაც და სახელმწიფოს მხრივაც". [1]

ცოცხალი და განივთებული შრომის ხარჯვის შემცირებით, მცირდება დამზადებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება. თვითღირებულების შემცირების შედეგად:

ა) დიდდება მეურნეობის შინასაწარმოო დაგროვება, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების უმნიშვნელოვანეს წყაროს;

ბ) ფულადი სახსრების ეკონომიასთან ერთად მნიშვნელოვნად მცირდება მზა პროდუქციაზე მატერიალურ-ენერგეტიკული შრომითი რესურსების დანახარჯები. ამ მატერიალურ-შრომითი და ფულადი საშუალებების დანაზოგებისაგან მზადდება ზეგეგმური პროდუქტები და იზრდება ქვეყნის მატერიალური დოვლათი;

გ) უმჯობესდება მეურნეობის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები და საერთოდ მტკიცდება და ძლიერდება სოციალისტური ეკონომიკა;

დ) იქმნება პირობები ნაკეთობათა ფასების შემცირებისათვის, რაც საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

თვითღირებულების შემცირების ასეთი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით აიხსნება ის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარების ყველა ეტაპზე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს თვითღირებულების შემცირებას. ამ ყურადღების შედეგად სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება პირველ ხუთწლედში შემცირდა 9,2 %-ით, მეორე ხუთწლედში 10,3 %-ით; თვითღირებულების შემცირების შედეგად კიდევ უფრო მეტად გაიზარდა მესამე, მეოთხე და მეხუთე ხუთწლედებში მიღებული ეკონომია. სკკპ XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება სულ ცოტა 17 %-ით.

წარმოების მასშტაბის ზრდასთან ერთად კიდევ უფრო იზრდება თვითღირებულების შემცირების სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა. თვითღირებულების შემცირების ყოველ ახალ პროცენტს ახალი მილიარდი მანეთები შეაქვს სოციალისტური ეკონომიკის გაძლიერების ფონდში. წლითიწლობით იზრდება თვითღირებულების შემცირების ყოველი პროცენტის აბსოლუტური ღირებულება. ასე, ძაგალითად, 1947 წელში სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ყოველი პროცენტი 1,8 მილიარდ მანეთს შეადგენდა, 1950 წელს 4 მილიარდ მანეთზე მეტს, 1956 წელს კი—6 მილიარდ მანეთზე მეტს. კიდევ უფრო იზრდება თვითღირებულების ყოველი პროცენტის აბსოლუტური სიდიდე მეექვსე ხუთწლედში. 1960 წელს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების ყოველი ერთი პროცენტით შემცირება 10 მილიარდ მანეთზე მეტს მისცემს სახელმწიფოს.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. სახელმწიფო და რევოლუცია. ტ 25, გვ. 585.

თვითღირებულების შემცირების სწორად დაგეგმვისა და ანალიზისათვის და, აგრეთვე, ეკონომიის წყაროების გამოვლინების მიზნით აწარმოებენ დანახარჯების კლასიფიკაციას. თვითღირებულების ყოველ ელემენტს უფარდებენ მთელი დანახარჯების საერთო ჯამს და პროცენტებში მათი გამოსახვით არკვევენ თვითღირებულების სტრუქტურას. თვითღირებულების დაგეგმვისა და აღრიცხვისას დანახარჯების კლასიფიკაციას აწარმოებენ თვითღირებულების ელემენტებისა და კალკულაციის მუხლების მიხედვით.

თვითღირებულების ელემენტები ჯგუფდება ეკონომიური ნიშნების მიხედვით. სახელდობრ:

1) ხელფასი და მისი დანარიცხები;
2) ძირითადი და დამხმარე მასალები;
3) სათბობის დანახარჯები;
4) ელექტროენერგიის დანახარჯები;
5) საამორტიზაციო ანარიცხები და
6) წარმოების მართვისა და მომსახურების ხარჯები.

1955 წელს დაწესებული აღრიცხვის სისტემა ითვალისწინებს პროდუქციის დამზადებაზე გაწეული ხარჯების დანაწილებას შემდეგი სახით:

1) ნედლეული და ძირითადი მასალები (ნარჩენების გამოკლებით), მათ შორის ნაყიდი ნაკეთობანი და ნახევარფაბრიკატები;
2) დამხმარე და დანარჩენი მასალები;
3) გარედან მიღებული სათბობი;
4) გარედან მიღებული ყველა სახის ენერგია;
5) ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია;
6) ხელფასი ძირითადი და დამატებითი;
7) სოციალისტური დაზღვევის ანარიცხები და
8) სხვა ფულადი ხარჯები.

ყველა დანახარჯი მათი საწარმოო დანიშნულების მიხედვით ნაწილდება სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში თავმოყრილია მუშა-მოსამსახურეების, ინჟინერ-ტექნიკოსების, უმცროსი მომსახურე პერსონალის, მოწაფეების, სახანძრო დაცვის მუშაკების, შტატგარეშე დროებით აყვანილი მუშაკების, დატვირთვა-გადატვირთვისა და ტრანსპორტის მუშაკებისა და მეურნეობის სხვა კატეგორიის მუშაკების ხელფასის მთელი ფონდი. დანახარჯების მეორე ჯგუფში შედის ნედლეული, მასალები, ენერგია, სათბობი; ხოლო დანახარჯების მესამე ჯგუფში შედის ძირითადი ფონდების ამორტიზაციის მთელი თანხა.

მეურნეობის საფინანსო მდგომარეობის შესასწავლად, მეურნეობის რენტაბელობის დასადგენად და, ამ მიზნით, სათანადო მაჩვენებლების მისაღებად საჭირო ღონისძიებების განხორციელებისათვის მეურნეობაში სრულყოფილად უნდა წარმოებდეს სამეურნეო წელს გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე დანახარჯების აღრიცხვა და, აგრეთვე, ცალკეული სახის პროდუქციის ერთეულზე ან სამუშაოს ერთეულზე დანახარჯების აღრიცხვა ფულადი გამოსახულებით.

გარკვეული სახის პროდუქციის ერთეულის დამზადებაზე ან ცალკეული სახის სამუშაოს ერთეულის შესრულებაზე გაწეული ხარჯების გაანგარიშებას დანახარჯთა ელემენტების მიხედვით კალკულაცია ეწოდება.

მეურნეობაში ადგენენ საგეგმო და საანგარიშო კალკულაციას.

საგეგმო კალკულაციას ადგენენ მატერიალური, შრომითი და ფულადი სახსრების ხარჯვის ნორმატივების საფუძველზე.

საანგარიშო კალკულაცია გამოხატავს უკვე დამზადებული პროდუქციის ან შესრულებულ სამუშაოს ერთეულის ფაქტობრივ თვითღირებულებას. ტყის მეურნეობის სამეურნეო საქმიანობის შეფასებისას, საჭიროა ერთმანეთთან შედარებულ იქნეს ფაქტობრივი და საგეგმო კალკულაცია. შედარება წარმოებული უნდა იქნეს კალკულაციის მუხლების მიხედვით და დადგინდეს რომელი მუხლის, დანახარჯის რომელი ელემენტის მიხედვით მოხდა ცვლილებები (როგორც ხარჯების ეკონომიის, ის გადახარჯვის მხრივ). ამის გარდა, საანგარიშო კალკულაციის მონაცემებს კრიტიკული განსჯისა და დაზუსტების შემდეგ იყენებენ მომდევნო წელს საგეგმო კალკულაციის დამუშავებისას.

პროდუქციის დამზადებაზე ან შესრულებაზე გაწეულ დანახარჯებს ყოფენ პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებად. პირდაპირ ხარჯებს მიეკუთვნება ისეთი მატერიალური და ფულადი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია პროდუქციის დამზადების ან სამუშაოს შესრულების პროცესთან. ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერგიის, წარმოების მუშების ხელფასი მიეკუთვნება პირდაპირ დანახარჯებს. არაპირდაპირ ხარჯებს მიეკუთვნება ის მატერიალური და ფულადი დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოო პროცესების მომსახურებასა და მართვასთან.

სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარების შედეგად მნიშვნელოვანი ძვრები ხდება თვითღირებულების სტრუქტურაში. ასე მაგალითად: საბჭოთა კავშირის მთელი სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულებაში ყველა მუშაკის ხელფასი დანარიცხებით 1940 წელს შეადგენდა 22,4 %, ხოლო 1955 წელს 20,9 %; ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერგიის საერთო დანახარჯთა ჯამი 1940 წელს მთელი სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულებაში უდრიდა 69,9 %; 1955 წელს კი 72,8 %; ამორტიზაციის დანარიცხები 1940 წელს უდრიდა 2,1 %, 1955 წელს—3,3 %; დანარჩენი ხარჯები 1940 წელს შეადგენდა 5,6 %, 1945 წელს კი 3 %. თვითღირებულებაში ეს ცვლილებები გამოსახავენ სახალხო მეურნეობის ტექნიკურ შეიარაღებაში და შრომის ნაყოფიერების დარგში მიღწეულ ცვლილებებს. საერთოდ კი თვითღირებულების სტრუქტურაში ცვლილებები მიმდინარეობენ ძირითადად შრომის ნაყოფიერების გადიდებით, მოწყობილობათა გამოყენების კოეფიციენტის გაუმჯობესებით, ნედლეულისა და დამხმარე მასალების ხარჯვის ეკონომიისა და რეალიზაციის საქმის გაუმჯობესების გზით. ხელფასისა და მისი დანარიცხების ხვედრითი წონის შემცირება თვითღირებულებაში სრულიად არ ნიშნავს მატერიალური დოვლათის წარმოების სფეროში შექმნილ პროდუქტში მუშაკების კუთვნილი წილის შემცირებას. შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად იზრდება წარმოების მუშაკის ხელფასიც. მართალია, წარმოებაში ტექნიკური და ორგანიზაციული ცვლილებების შედეგად ხდება ერთეული ნაკეთობის თვითღირებულებაში ხელფასის წილის შემცირება, მაგრამ ეს სოციალისტური მეურნეობის პირობებში მიმდინარეობს საშუალო ხელფასის აბსოლუტური ზრდის ვითარებაში, შრომის ნაყოფიერების ზრდის დონე უნდა სჭარბობდეს ხელფასის ზრდის დონეს. აღნიშნულის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სახალხო მეურნეობის გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოება.

სსრ კავშირის მრეწველობაში 1940 წელთან შედარებით 1955 წელს პროდუქციის თვითღირებულებაში საამორტიზაციო ანარიცხების ხვედრითი წონის ზრდა გამოწვეულია სახალხო მეურნეობისა და, კერძოდ, მრეწველობის ტექნიკური შეიარაღების გადიდებით. სახალხო მეურნეობის დარგების სპეციფიკურობაზეა დამოკიდებული თვითღირებულების ცალკეული ელემენტების ხვედრითი წონა. საერთო თვითღირებულებაში არჩევენ შრომატევად, მასალატევად, ენერგოტევად და ტექნიკურად აღჭურვილ დარგებს. თვითღირებულების ცვლილება დამოკიდებულია აგრეთვე ნედლეულის, მასალების, სათბობის, ენერგიის ფასებზე, ხელფასის განაკვეთებზე, ძირითადი ფონდების ღირებულებაზე, გადაზიდვის ტარიფებზე.

თვითღირებულების ზოგიერთი ელემენტის ცვლილება წარმოების შინაპირობებზეა დამოკიდებული, ზოგიერთი ელემენტის სიდიდე კი წარმოებაზე არ არის დამოკიდებული. ასე მაგალითად: ხელფასის სატარიფო განაკვეთი, ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიისა და დამხმარე მასალების ფასები, ტრანსპორტის ხარჯები და სხვა დადგენილია ზემდგომი ორგანოების მიერ და მათი ღირებულება მზა პროდუქციის თვითღირებულებაში შედის მიღებული ანგარიშების მიხედვით. შრომის ნაყოფიერების გადიდება (რაც მიღწეული უნდა იქნეს წარმოებაში საწარმოო პროცესების მექანიზაციით, ავტომატიზაციით, მუშათა კვალიფიკაციის დონის ამაღლებით, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა-გაუმჯობესებით და სხვა), ნედლეულის, დამხმარე მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის, ხარჯვის ნორმების შემცირება, მათი რაციონალური ხარჯვა, ნარჩენების მაქსიმალური გამოყენება, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება, წარმოების შინატრანსპორტის ხარჯების შემცირება, სამეურნეო და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება და სხვა შინასაწარმოო დანახარჯების შემცირება დამოკიდებულია თვით მეურნეობის კოლექტივის ნაყოფიერ და კეთილსინდისიერ მუშაობაზე.

მეურნეობის დირექციას გარკვეული როლის შესრულება შეუძლია თვითღირებულების ზოგიერთ გარე ფაქტორის ცვლილებაში. ასე, მაგალითად, გეგმით გათვალისწინებული ნედლეულის არარაციონალური და შორეული გადაზიდვების შეცვლა უფრო მახლობლად მდებარე ძირითადი და დამხმარე მასალებით; მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესება, მანქანა-იარაღების გამოყენების კოეფიციენტის გადიდება, ძვირფასიანი და დეფიციტური ნედლეულის შეცვლა (ნაკეთობათა ხარისხის გეგმის შესრულების პირობებში) და სხვა მნიშვნელოვნად მოქმედებს პროდუქციის თვითღირებულების დონეზე. თვითღირებულების ყველა ელემენტის ღრმა ანალიზის შედეგად შესაძლებელია გამოინახოს ახალ-ახალი წყარო მათი შემცირებისათვის. ამის გარდა, თვითღირებულების შემცირებაზე დიდ გავლენას ახდენს სამეურნეო ანგარიში და წარმოების რითმული მუშაობა.

თვითღირებულების შემცირების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების მმართველობის ხარჯებისა და სხვა არასაწარმოო დანიშნულების ხარჯების შემცირებას. არსებული კლასიფიკაციის მიხედვით ამ ხარჯების უდიდეს ნაწილს შეადგენს საამქროს ხარჯები და, აგრეთვე, საერთო-საქარხნო და რეალიზაციის ხარჯები. ამ ხარჯების ხვედ-

-რითი წონა სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგის პროდუქციის თვითღირებულებაში 35—40 %-ს უდრის. საამქროს ხარჯებში შედის მიმდინარე რემონტის ხარჯები, წარმოების შიგნით ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, მასალების საშრობის, პროდუქციის, ტრანსპორტის ხარჯები, საერთო-საამქრო და ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯები.

საერთო-საქარხნო ხარჯებში შედის:

ა) ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯები, სახელდობრ: მოსამსახურე და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი, მივლინების, მსუბუქი ავტოტრანსპორტის შენახვის ხარჯები და სხვა;

ბ) საერთო-საწარმოო დანიშნულების ხარჯები, სახელდობრ: საერთო-საწარმოო შენობათა ამორტიზაციის ხარჯები, საწყობებისა და ლაბორატორიების შენახვის ხარჯები, შრომის დაცვის ხარჯები და სხვა;

გ) უნაყოფო ხარჯები, სახელდობრ: ჯარიმები, საურავი, მატერიალურ ფასეულებათა დანაკლისი და სხვა;

დ) სხვადასხვა გამოსალები და ანარიცხი.

თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სამმართველო აპარატის გამარტივება. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობა ახორციელებს სამმართველო აპარატის რეორგანიზიას, გარდაქმნას, გაუმჯობესებას, წვრილ ერთგვაროვან საწარმოთა გაერთიანებას, გამსხვილებას, ზედმეტობათა ლიკვიდაციას. ამ გზით განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში დაზოგილ იქნა მნიშვნელოვანი თანხები.

თვითღირებულების შემცირების საქმეში სასურველი შედეგის მისაღწევად, წარმოების საწარმოო გეგმასთან ერთად, ადგენენ თვითღირებულების შემცირების გეგმას. თვითღირებულების გეგმა მეურნეობის გეგმის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. იგი დგება წარმოების, შრომის, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმათა საფუძველზე.

ყოველი ახალი სამეურნეო წლის დასაწყისში ტყის მეურნეობა მთავარ სამმართველოდან ღებულობს ყოველი სახის პროდუქციასა და სამუშაოზე თვითღირებულებისა და საგეგმო კალკულაციის საქმეში სათანადო დავალებებს. აღნიშნული დავალებების საფუძველზე დგება თვითღირებულებისა და მისი შემცირების წლიური, კვარტალური, თვიური გეგმები და საგეგმო კალკულაცია.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, ტყის მეურნეობაში თვითღირებულებისა და კალკულაციის დაგეგმვა გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. ჯერ ერთი, ტყის მეურნეობაში მთელი საწარმოო საქმიანობა დანაწილებულია ძირითად ანუ საბიუჯეტო საქმიანობად და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საქმიანობად. ძირითად ანუ საბიუჯეტო საქმიანობაში შედის:

1. ტყის მეურნეობის ორგანიზაციის (ტყის მოწყობის გასული წლის დაუმთავრებელი, მიმდინარე წლისა და მომავალი წლის მოსამზადებელი სამუშაოები);

2. სატყეო-სამეურნეო სამუშაოები (ტყეკაფების გამოყოფა და მოვლითი და სანიტარული ჭრები, მერქნის გამოზიდვით);

3. სატყეო-საკულტურო სამუშაოები (ტყის თესვა, რგვა, კულტურების შევსება, ტყის ბუნებრივი განაწილების ხელშეწყობა, ნიადაგის მომზადება მიმდინარე და მომავალი წლის ტყისა, სანერგეებისა და სკოლების გაშენებ-

ლად, ტყის კულტურების მოვლა და მორწყვა ერთჯერადზე გადაყვანით, სკოლების, სანერგეების მოვლა, კულტურების შეღობვა, ნერგების ამოღება-დახარისხება, თესლის დამზადება, ტყე-პარკების სამუშაოები და სხვა);

4. ჰიდრომელიორაციული სამუშაოები (საწრეტი და სარწყავი ქსელის შეკეთება და მოწყობა);

5. ტყის დაცვის სამუშაოები (დაზიანებული ხეების აღმოჩენა, შეწამვლა, ნიადაგის მავნებლების საწინააღმდეგო დამუშავება, პატალოგიური გამორკვევა და სხვა);

6. ხანძრისაგან ტყის დაცვა;

7. სატრაქტორო სამუშაოები და სხვ.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საქმიანობას მიეკუთვნება ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვა (მოვლითი ჭრების გარდა) და მერქნის გადამუშავება, დამხმარე სოფლის მეურნეობა, მათ შორის მემინდვრეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა და სხვ.

საბიუჯეტო საქმიანობის ყოველი დარგისათვის სარტყელების მიხედვით დამტკიცებულია სამუშაოებზე სათანადო შეფასებები. ამ შეფასებათა საფუძველზე დადგენილია ყოველი სახის ერთეული სამუშაოს შესრულებისათვის ხარჯები. ასე მაგალითად, ტყის მეურნეობას მთავარ სამმართველოდან ეძლევა თუ რაოდენი თანხა უნდა დაიხარჯოს ტყე-კულტურების ყოველი ჯიშის ერთ ჰექტარზე გაშენებისათვის, ნიადაგის მომზადებისათვის (ნიადაგის გასწორება ერთ ჰექტარზე, გაწმენდა), ნიადაგის მოხვნაზე, დაფარცხვაზე და ა. შ.

თუ ტყის გაშენება რგვით მიმდინარეობს, ტყის მეურნეობა აწარმოებს დანახარჯებს ტყის მეურნეობის სამმართველოსაგან მიღებულ ერთეულ სამუშაოთა ღირებულების მიხედვით. სახელდობრ: ორმოს ამოღება, ნერგის რგვა, რწყვა და სხვა სატყეო-საკულტურო სამუშაოებზე დადგენილია სარტყლებისა და ჯგუფების მიხედვით დანახარჯების სიდიდე. საბიუჯეტო საქმიანობის ყოველ სამუშაოს შესრულებაზე დანახარჯების ანაზღაურება ბიუჯეტიდან წარმოებს.

უკვე მეორე წელია, რაც გაცხოველებული დისკუსია მიმდინარეობს სატყეო-საკულტურო, სატყეო-სამეურნეო და ტყის დაცვის სამუშაოების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის თაობაზე. ჯერ ეს საკითხი გადაუწყვეტელია. ბიუჯეტიდან აღნიშნულ სამუშაოთა ზოგიერთ სახეზე დანახარჯების დაფინანსების წესი უარყოფითად მოქმედებს თვითღირებულების დაგეგმვაზე, განსაკუთრებით თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაზე.

ძირითად სამუშაოთა დაფინანსების არსებული წესის პირობებში ტყის მეურნეობის ზემდგომი ორგანოები სატყეო-სამეურნეო სამუშაოებს აფასებენ იმის მიხედვით, აითვისა თუ არა მეურნეობამ ბიუჯეტიდან მიცემული თანხები და არა იმის მიხედვით, თუ გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა ხარისხობრივი შესრულების პირობებში მიღწეულია თუ არა განივთებული და ცოცხალი შრომის დანახარჯების ეკონომია.

მეურნეობის ძირითადი საქმიანობის დაფინანსების არსებული წესი სრულიად არ ითვალისწინებს თვისობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე ჩატარებული მუშაობის შეფასებას და კონტროლს. ფაქტობრივად შესრულებულ

სამუშაოთა საერთო მოცულობაზე გაწეული დანახარჯების გეგმასთან შედარება მეურნეობის საქმიანობის შეფასებისათვის გადამწყვეტია. ტყის მეურნეობის საბიუჯეტო საქმიანობის ხაზით დანახარჯების ანაზღაურებისას, არ ხდება იმის გამორკვევა, თუ რა ვადებში შესრულდა სამუშაოს ესა თუ ის სახე, როგორია შესრულებული სამუშაოს ხარისხი, გაუმჯობესდა თუ არა რაიმე სამუშაოს შესრულების ტექნიკურ პროცესში, რა ოდენობის დანახარჯებია გაწეული სამუშაოს შესრულებაზე ცალკეულ დანახარჯთა ელემენტების მიხედვით და სხვ.

ტყის მეურნეობას ყოველწლიურად უმტკიცდება საბიუჯეტო საქმიანობის ხარჯთაღრიცხვა, სადაც მოცემულია სახეების მიხედვით სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ერთეულის ღირებულება და საერთო თანხა. თუ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, გეგმის ამ მაჩვენებელთან ერთად, მტკიცდება თვითღირებულების გეგმაც, ტყის მეურნეობაში ძირითადი საქმიანობის დარგში ჯერ ასე არ ხდება. ეს კი თითქმის თვითდინებაზე ამყარებს ტყის მეურნეობის საქმიანობის ამ მნიშვნელოვან უბანში თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლას.

ტყის მეურნეობის სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ყველა საწარმოო საქმიანობაზე გეგმის სხვა მაჩვენებლებთან ერთად მტკიცდება თვითღირებულებისა და მისი შემცირების გეგმა.

თვითღირებულების დაგეგმვის სამუშაოები მოიცავს შემდეგ სტადიებს:

1. მიღებული უნდა იქნეს საგეგმო წლის წინა პერიოდის (საანგარიშო წლის) თვითღირებულების ანგარიში, წარმოების ხარჯთაღრიცხვის შესრულების მონაცემები და ღრმა ანალიზი უნდა გაუკეთდეს ამ საანგარიშო მასალებს. საანგარიშო მასალების ანალიზის მიზანია სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის შედეგების გამოვლინება, ახალ წელს ამ საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეების გათვალისწინების მიზნით. ანალიზის მასალები საფუძვლად უნდა დაედვას ახალი წლის თვითღირებულების გეგმას.

2. მიღებული უნდა იქნეს ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოსაგან თვითღირებულების შემცირების დავალება ნაკეთობათა და სამუშაოს ყოველი სახის მიხედვით.

3. შემუშავებული და დამტკიცებული უნდა იქნეს მიღებული დავალების შესაბამისად თვითღირებულების შემცირების გეგმა და ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, მატერიალური და ფულადი დანახარჯების შემცირებას, ტექნიკის სრულყოფას, ახალი გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვას და სხვ.

თვითღირებულების გეგმის შედგენისას, ტყის მეურნეობა ადგენს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა: 1) საწარმოო დანახარჯების საერთო ხარჯთაღრიცხვას, 2) სასაქონლო პროდუქციის სრულ ღირებულებას, 3) პროდუქციის ცალკეული სახეების თვითღირებულების კალკულაციას და 4) შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმას პროცენტობით.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა წარმოების დანახარჯების ხარჯთაღრიცხვას ადგენენ როგორც მთლიანად, ისე ფართო მოხმარების საამქროების, მემინდვრეობის, მეხილეობის, მეცხოველეობის, მეფუტკრეობისა და სხვა დარგების მიხედვით. ამ ხარჯთაღრიცხვაში შეაქვთ: ძირითადი და დამხმარე მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის შესაძენი ხარჯები, ხელფასი, დანარიცხები ხელფასზე, საამორტიზაციო ანარიცხები, საამქრო და საქარხნო ხარჯები. ხარჯებიდან გამორიცხავენ კაპიტალური მშენებლობისა და კომუნალური მომსახურების ხარჯებს. ხარჯთაღრიცხვა დგება ერთიანი ფორმის მიხედვით სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა ყოველ წამოწყებისათვის ცალკე და შემდეგ ჯამდება მეურნეობის მასშტაბით.

სასაქონლო პროდუქციის სრულ თვითღირებულებას ანგარიშობენ გეგმით გათვალისწინებული ნაწარმის მოცულობისა და ასორტიმენტის საგეგმო კალკულაციის საფუძველზე. ცალკეული სახის ნაწარმის თვითღირებულების კალკულაციას ადგენენ მატერიალური და ფულადი სახსრების დანახარჯების-ნორმატივების საფუძველზე. ასე, მაგალითად, დაჯამებული უნდა იქნეს ხელფასები, ნედლეულის, დამხმარე მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის, მოწყობილობათა ამორტიზაციის დანახარჯები ცალკეული ასორტიმენტის ერთეულზე და ამით დადგენილი იქნება პირდაპირი დანახარჯები.

მუშების ხელფასი განსაზღვრული უნდა იქნეს ზემდგომი ორგანოების მიერ დადგენილი ტარიფების, გამომუშავების ნორმებისა და შეფასების მიხედვით. ნაკეთობათა ერთეულზე ხელფასის წილის განსაზღვრისას მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს კანონმდებლობით დაწესებული შეღავათებისა და სხვა სახის ხელფასის დანამატები და, აგრეთვე, სოცდაზღვევის ანარიცხები.

პირდაპირი დანახარჯების გაანგარიშების შემდეგ, გაანგარიშებული უნდა იქნეს არაპირდაპირი დანახარჯები, სახელდობრ: მოწყობილობის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯები, საამქროს, საერთო-საქარხნო და წარმოების სხვა გარეშე ხარჯები.

ყოველი სახის ნაწარმის დამზადებაზე გაწეული ან გასაწევი პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების დაჯამება მოგვცემს ნაკეთობათა თვითღირებულებას, ხოლო ერთეულ ნაკეთობაზე დანახარჯების განაწილება ცალკეული ელემენტების მიხედვით თვითღირებულების კალკულაციას.

რომელიმე სახის ნაკეთობის საგეგმო თვითღირებულების შეფარდება წინა წელს გამოშვებული იმავე სახის ნაკეთობის საშუალო თვითღირებულებასთან გვაძლევს შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულებას და საგეგმო წელს მის შემცირებას წარსულ წელთან შედარებით პროცენტობით.

შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების პროცენტი ნაკეთობათა ყოველ სახეზე არავითარ შემთხვევაში ,არ უნდა იყოს ნაკლები ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოსაგან სამეურნეო წლისათვის დაშვებულზე. შესადარ სასაქონლო პროდუქციას მიეკუთვნება მხოლოდ ის ნაკეთობანი, რომლებიც ერთგვაროვანია სტანდარტისა და ტექნიკური პირობების მიხედვით. თუ წინა წელთან შედარებით ახალ სამეურნეო წელს ნაკეთობათა დამზადებაში მოხდა ტექნოლოგიური ხასიათის ცვლილებები, მიუხედავად იმისა, რომ ნაკეთობის სახელწოდება უცვლელი რჩება, ისინი შესადარისად უკვე არ შეიძლება ჩაითვალოს.

ტის მეურნეობაში მთავარ სამმართველოს მიერ დაშვებულია თვითღირებულების შედგენისათვის შემდეგი ფორმები:

ფორმა № 1-ის მიხედვით დგება საერთო და სასაქონლო პროდუქციის გეგმა და თვითღირებულების შემცირების გაანგარიშება;

ფორმა № 5-ის მიხედვით დგება ხე-ტყის დამზადების თვითღირებულება ასორტიმენტის მიხედვით;

ფორმა № 6-ის მიხედვით დგება გადამუშავების პროდუქციის თვითღირებულება ასორტიმენტის მიხედვით;

ფორმა № 7-ის მიხედვით დგება ხე-ტყის გამოზიდვის თვითღირებულება ასორტიმენტის მიხედვით;

ფორმა № 8-ის მიხედვით დგება დაცურებული და წლიდან ამოტანილი ხე-ტყის თვითღირებულება ასორტიმენტის მიხედვით;

ფორმა № 9-ის მიხედვით დგება რონოდაში ხე-ტყის დატვირთვის თვითღირებულება ასორტიმენტის მიხედვით;

ფორმა № 10-ის მიხედვით დგება მემცენარეობის პროდუქციის თვითღირებულება;

ფორმა № 11-ის მიხედვით დგება მეცხოველეობის, მეფუტკრეობისა და სხვა დამხმარე მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება.

საილუსტრაციოდ ავიღოთ ფორმა № 7, რომლის მიხედვითაც დგება ხე-ტყის პროდუქციის გამოზიდვის თვითღირებულება ასორტიმენტის მიხედვით.

აღნიშნული ფორმა (იხ. გვ. 90,91,92,93) უნდა შეივსოს შემდეგი წესით:

1-ლ სვეტში იწერება თანმიყოლებით ნორმები.

მე-2 სვეტში იწერება ზიდვის პუნქტები და ასორტიმენტი.

მე-3 სვეტში იწერება ზომის ერთეული.

მე-4 სვეტში იწერება გეგმით გათვალისწინებული მერქნის ოდენობა ასორტიმენტის მიხედვით.

მე-5 სვეტში იწერება საჭაპანო ტრანსპორტის საშუალებით გამოზიდული მერქნის საშუალო მანძილი. საშუალო მანძილის გაანგარიშება წარმოებს ზიდვის მანძილზე გამოზიდული მერქნის რაოდენობის გადამრავლებით და მიღებული სიდიდის გამოზიდულ კუბურ მეტრებზე გაყოფით. თუ ზიდვის მანძილი სხვადასხვაა, გაანგარიშებული უნდა იქნეს საშუალო ზიდვის მანძილი.

მე-6 სვეტში იწერება იმ ცოცხალი გამწევი ძალის სამუშაო დღეთა რაოდენობა, რომლითაც წარმოებს გამოზიდვა (ცხენდღეები, კამეჩდღეები და სხვა). ცხენდღეების გაანგარიშება წარმოებს შემდეგი წესით: აღებული უნდა იქნეს საჭაპანო ტრანსპორტით გამოსაზიდად გათვალისწინებული მერქნის ოდენობა და გაიყოს (ცხენდღეებისათვის, კამეჩ-ხარდღეებისათვის) დადგენილ დღიურ ნორმაზე. გაყოფის შედეგად მიღებული სიდიდე იქნება გეგმაში გათვალისწინებული მერქნის გამოსაზიდად საჭირო დღეები.

მე-7 სვეტში იწერება საჭაპანო ტრანსპორტზე მიმაგრებული მუშა-ხელის რაოდენობა სამუშაო დღეების მიხედვით. აღნიშნული გაანგარიშება წარმოებს საჭაპანო ტრანსპორტით გამოსაზიდი მერქნის საჭაპანო ტრანსპორტზე მიმაგრებული მუშისათვის დადგენილ დღიურ ნორმაზე გაყოფით.

ხე-ტყის გამოზიდვის თვითღირებულება

| №№ | პროდუქციისა და ფრანკო ადგილის დასახელება | ზომის ერთეული | გამოზიდვა გამწევი ძალით: რაოდენობა | გამოზიდვა გამწევი ძალით: სამუშაო მანძილი (კმ) | გამოზიდვა გამწევი ძალით: მოთხოვნილება: ცხენები | გამოზიდვა გამწევი ძალით: მოთხოვნილება: კაცები | გამოზიდვა გამწევი ძალით: ხელფასის ძირითადი ფონდი (მან) | გამოზიდვა ავტომანქანებით: რაოდენობა (მ³) | გამოზიდვა ავტომანქანებით: სამუშაო მანძილი (კმ) | გამოზიდვა ავტომანქანებით: მძღოლები: მანქანცვლების და კაცდღეების რაოდ. | გამოზიდვა ავტომანქანებით: მძღოლები: ხელფასის ძირ. ფონდი (მან) | გამოზიდვა ავტომანქანებით: მტვირთავები: კაცები | გამოზიდვა ავტომანქანებით: მტვირთავები: ხელფასის ძირითადი ფონდ. (მან) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| | I მერქნის მოზიდვა და მოთრევა შუალედ პუნქტებამდე და საწყობამდე | | | | | | | | | | | | |
| 1 | მაქნისი . | | | | | | | | | | | | |
| 2 | საშეშე . | | | | | | | | | | | | |
| 3 | . | | | | | | | | | | | | |
| 4 | . | | | | | | | | | | | | |
| | სულ I ნაწ. | | | | | | | | | | | | |
| | II. გამოზიდვა მექან. დანადგარებისა და გადამუშავების პუნქტებთან | | | | | | | | | | | | |
| 1 | მაქნისი . | | | | | | | | | | | | |
| 2 | საშეშე . | | | | | | | | | | | | |
| 3 | . | | | | | | | | | | | | |
| 4 | . | | | | | | | | | | | | |
| | სულ II ნაწ | | | | | | | | | | | | |
| | III. გამოზიდვა დასაცურებლად | | | | | | | | | | | | |
| 1 | მაქნისი . | | | | | | | | | | | | |
| 2 | საშეშე . | | | | | | | | | | | | |
| 3 | . | | | | | | | | | | | | |
| 4 | . | | | | | | | | | | | | |

სულ III ნაწ.

/ სორტიმენტების მიხედვით

| სულ | | | | | მომსახურების ღირებულება | | სამქრო და საერთო-საქარხნო ხარჯები (მან) | სხვადასხვა ხარჯი (მან) | სულ დანახარჯები | | გამოსაზიდი ხე-ტყის პროდუქ. პირველადი თვითღირებულ. (მან) | სულ თ/ღირებ. ხე-ტყის პროდუქ. პირვ. ღირებულ. ჩათვლით (მან) | ხე-ტყის პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება (მან) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რაოდენობა | საშუალო მანძილი (კმ) | კაცდღე | ხელფასის ძირითადი ფონდი (მან) | სხვადასხვა ხელფასი (მან) | გამწევი ძალის (მან) | ავტო-ტრანსპორტის (მან) | | | ჯამი ათას მანეთობით | ერთეულზე (მან) | | | |
| 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |

| №№ | პროდუქციისა და ფრანკოს დასახელება | ზომის ერთეული | გამოზიდვა გამწევი ძალით: რაოდენობა | გამოზიდვა გამწევი ძალით: საშუალო მანძილი (კმ) | გამოზიდვა გამწევი ძალით: მოთხოვნილება: ცხენები | გამოზიდვა გამწევი ძალით: მოთხოვნილება: კაცები | გამოზიდვა გამწევი ძალით: ხელფასის ძირითადი ფონდი (მან) | გამოზიდვა ავტომანქანებით: რაოდენობა (მ³) | გამოზიდვა ავტომანქანებით: საშუალო მანძილი (კმ) | გამოზიდვა ავტომანქანებით: მძღოლები: მანქანეც. და კაცოდღ. მოთხოვ. | გამოზიდვა ავტომანქანებით: მძღოლები: ხელფ. ძირ. ფონდი (მან) | გამოზიდვა ავტომანქანებით: მტვირთავები: კაცები | გამოზიდვა ავტომანქანებით: მტვირთავები: ხელფას. ძირ. ფონდი (მან) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| | IV. სარეალიზაციო პუნქტებამდე და რკ.გზასთან გამოზიდვა | | | | | | | | | | | | |
| 1 | მაქნისი . | | | | | | | | | | | | |
| 2 | საშუშე . | | | | | | | | | | | | |
| 3 | ბოძი ტელ . | | | | | | | | | | | | |
| 4 | სარი . . | | | | | | | | | | | | |
| 5 | საახალწლო ნაძვის ხე . | | | | | | | | | | | | |
| | სულ IV ნაწ. | | | | | | | | | | | | |
| | V. სახ. ბიუჯეტზე რიცხული მერქნის გამოზიდვა | | | | | | | | | | | | |
| 1 | მაქნისი . | | | | | | | | | | | | |
| 2 | საშუშე . . | | | | | | | | | | | | |
| | სულ V ნაწ. | | | | | | | | | | | | |
| | სულ I—V ნაწ | | | | | | | | | | | | |
| | მათ რიცხვში: | | | | | | | | | | | | |
| | საკუთარი | | | | | | | | | | | | |
| | ცხენდღე | | | | | | | | | | | | |

| სულ | | | | | მომსახურე-ბის ღირებ. | | საამქრო და საერთო-სა-მეურნეო ხარჯები (მან) | სხვადასხვა ხარჯი (მან) | სულ დანახარ-ჯები | | გამოსაზიდი ხე-ტყის პრო-დუქც. პირველ. ღირებ. (მან) | სულ თ/ღირებ. ხე-ტყის პროდ. პროდ. ღირებულ. ჩათვლით (მან) | ხე-ტყის პროდუქციის ერთ. ღირ. (მან) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რაოდენობა | საშუალო მანძილი | ტკმ | ხელფასის ძირითა-დი ფონდი (მან) | სხვადასხვა ხელფასი (მან) | გამწევი ძალის (მან) | ავტოტრანსპორტის (მან) | | | ჯამი ათას მან. | ერთეულზე (მან) | | | |
| 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | |

მე-8 სვეტში იწერება საჭაპანო ტრანსპორტზე გამოყენებული მუშების ხელფასის ფონდი. ხელფასის განგარიშება წარმოებს მე-7 გრაფაში აღნიშნულ კაცდღეთა შესაბამისი ხელფასის დღიურ სატარიფო განაკვეთზე გადამრავლებით. ტყის მეურნეობაში მომუშავე მუშები დიფერენცირებული უნდა იქნეს შესასრულებელ სამუშაოს თანრიგების მიხედვით. ყოველი თანრიგის სამუშაოსათვის დამტკიცებულია შესატყვისი ხელფასის დღიური განაკვეთი.

მე-9 სვეტში უნდა ჩაიწეროს გეგმით გათვალისწინებული ავტოტრანსპორტით გამოსაზიდი მერქნის ოდენობა.

მე-10 სვეტში უნდა ჩაიწეროს ავტოტრანსპორტით ზიდვის საშუალო მანძილი.

საშუალო მანძილის გაანგარიშება წარმოებს იმავე წესით, როგორითაც მე-5 სვეტში.

მე-11 სვეტში უნდა ჩაიწეროს ავტოტრანსპორტით გამოზიდვაზე დასაქმებულ მძღოლთა ოდენობა ან ცვლადღეების ან კაცდღეების მიხედვით.

მე-12 სვეტში უნდა ჩაიწეროს ავტოტრანსპორტით მერქნის გადაზიდვაზე დასაქმებული მძღოლების ხელფასის ფონდი. ამ კატეგორიის მუშაკებისათვის დადგენილია დღიური სატარიფო განაკვეთი. მე-11 სვეტში მოცემულ სიდიდეს ამრავლებენ ხელფასის დღიურ სატარიფო განაკვეთზე და მიიღებენ ხელფასის ძირითად ფონდს.

მე-13 სვეტში იწერება მტვირთავი მუშების კაცდღეთა რაოდენობა. აღნიშნულის გაანგარიშებისათვის საჭიროა გეგმით გათვალისწინებული დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის სამუშაოს საერთო მოცულობა გაიყოს ამ სამუშაოებზე დამტკიცებულ დღიურ ნორმაზე.

მე-15, მე-16 და მე-17 სვეტებში იწერება საჭაპანო და ავტოტრანსპორტით გამოსაზიდი მერქნის საერთო ჯამი, ზიდვის საშუალო მანძილი, კაცდღეთა რიცხვი და ხელფასის ფონდი. ყველა შესაბამის სვეტში მოცემული სიდიდეები უნდა დაჯამდეს, გარდა საშუალო ზიდვის მანძილისა, რომელიც გაანგარიშებული უნდა იქნეს, როგორც მათი საშუალო არითმეტიკული.

მე-19 სვეტში უნდა ჩაიწეროს კანონმდებლობით დადგენილი სხვადასხვა სახის დანამატები ხელფასზე, როგორიცააა: სეზონურც, პრემია-დანამატები, პროგრესული ანაზღაურება, ბრიგადირობისათვის დანარიცხი და სხვ. საერთოდ დანამატები ხელფასზე აღებული უნდა იქნეს ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს მითითებათა საფუძველზე.

მე-20 და მე-21 სვეტში უნდა ჩაიწეროს საჭაპანო ტრანსპორტისა და ავტოტრანსპორტის მომსახურების ხარჯები. თუ საჭაპანო ტრანსპორტი ან ავტოტრანსპორტი სხვა ორგანიზაციისაა, მათი მომსახურების ხარჯები უნდა აღებულ იქნეს მფლობელისათვის გადასახდელი თანხის ოდენობით, მაგრამ ეს თანხა არ უნდა აღემატებოდეს ზემდგომი ორგანოების მიერ დადგენილ გადაზიდვის ტარიფებს. თუ საჭაპანო და სატვირთო ავტოტრანსპორტი მეურნეობისაა, მისი მომსახურების ხარჯები აღებული უნდა იქნეს მათი შენახვამოვლისა და მუშაობის ხარჯების თვითღირებულების მიხედვით.

მე-22 სვეტში უნდა ჩაიწეროს საამქრო და საერთო-საქარხო ხარჯები. ეს ხარჯები აღებული უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გამოზიდვის ხარჯების საერთო-საწარმოო დანახარჯების პროპორციულად.

მე-23 სვეტში იწერება სხვადასხვა ხარჯი, რომელიც აღებული უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

მე-24 სვეტში იწერება სულ დანახარჯები, რომელნიც უნდა წარმოადგენდნენ მე-18, მე-19, 20, 21, 22 და 23 სვეტებში მოცემულ დანახარჯთა ჯამს.

მე-25 სვეტში იწერება მე-24 სვეტში მოცემული საერთო დანახარჯების საჰაპანო და ავტოტრანსპორტით გამოზიდული მერქნის საერთო რაოდენობაზე გაყოფით მიღებული სიდიდე.

მე-26 სვეტში უნდა ჩაიწეროს გამოსაზიდი მერქნის თვითღირებულება. გამოსაზიდად აღებული მერქნის თვითღირებულება შედგება იმ დანახარჯების შეკრებით, რომლებიც გაწეული იყო მერქნის გამოზიდვაზე საბოლოო პუნქტამდე. თუ შესყიდული მერქნის გამოზიდვა წარმოებს, მაშინ მე-26 სვეტში იწერება მერქნის შეძენაზე გადახდილი თანხის რაოდენობა.

მე-27 სვეტი უნდა შედგეს 24 და 26 სვეტების მონაცემების საფუძველზე. 24 სვეტში გაანგარიშებულ სიდიდეს უმატებენ 26 სვეტში მოცემულ სიდიდეს.

მე-28 სვეტში იწერება 27 სვეტში ჩაწერილი სიდიდის მე-15 სვეტში აღნიშნულ სიდიდეზე გაყოფის შედეგი.

მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით ტყის მეურნეობაში ზოგ შემთხვევაში ცალკეული სახის სამუშაოების თვითღირებულების გეგმა დგება გამარტივებული ფორმებით. ასე მაგალითად: ბორჯომის ტყის მეურნეობაში 1956 წელს ხე-ტყის პროდუქციის გამოზიდვის თვითღირებულების კალკულაცია შედგენილი იყო გვ. 96-ზე მოცემული სახით.

ამ კალკულაციაში გამოტოვებულია გამოზიდვის მთელი რიგი დანახარჯების მნიშვნელოვანი ელემენტები: ზიდვის მანძილი, კაცდღეები და სხვ., რაც თვითღირებულების გეგმის შემოწმებისას აძნელებს ანალიზის ჩატარებას.

ასევე გარკვეული წესის მიხედვით დგება თვითღირებულების გეგმა სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა სხვა საქმიანობაზე. ასე მაგ.: ხე-ტყის დამზადების თვითღირებულების კალკულაცია შემდეგი ელემენტებისაგან შედგება:

1. საძირკვო გადასახადის ნიხრისაგან,
2. დამზადების ხელფასისაგან,
3. ხელფასზე სხვადასხვა დანამატისაგან,
4 ხელფასზე დარიცხვებისაგან,
5. ტყეკაფის გამოყოფისა და გაწმენდის ხარჯებისაგან,
6. საამორტიზაციო დანარიცხებიდან და
7. საამქრო და საერთო სატყეო ხარჯებისაგან.

საძირკვო გადასახადი აღებული უნდა იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნიხრების მიხედვით, დამზადების ხელფასი—დამტკიცებული თანრიგის, ტარიფისა და შეფასების მიხედვით, ხელფასზე დანამატები აღებული უნდა იქნეს მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულ პრემიალურ, პროგრესულ და სხვა ხელფასზე დანამატებიდან.

ხელფასზე დანამატების ოდენობა ტყის მეურნეობამ უნდა მიიღოს ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოსაგან. ხელფასზე დარიცხვები აღებული

უნდა იქნეს დადგენილი პროცენტების მიხედვით, ის აღირიცხება სოცდაზღვევის ანარიცხების სახით და ტყის მეურნეობაში შეადგენს დაახლოებით ხელფასის ფონდის 4,4 %-ს.

ტყეკაფის გამოყოფისა და გაწმენდის ხარჯები დამტკიცებულია ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ. საამქრო და საერთო სატყეო (საქარხნო) ხარჯები აღებული უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვიდან დამზადებაზე წარმოებული დანახარჯების პროპორციულად.

**ხე-ტყის მზა პროდუქციის ხარისხალიზაციო პუნქტამდე გამოზიდვის თვითღირებულების კალკულაცია (მანეთობით)**

(შედგენილია ბორჯომის ტყის მეურნეობის მიერ)

| №№ | დანახარჯთა ელემენტების დასახელება | შეშა 800 მკვრივი კბ. მ. | | ბოძი ტელეგრაფ. 500 ც. | | საახალწ ნაძ. ხე 10000 ც. | | სარი 20000 ცალი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ერთეულის ღირებულება | სულ | ერთეულის | სულ | ერთეულის | სულ | ერთეულის | სულ | სულ |
| 1 | გამოსაზიდი ნახევარფაბრიკატების ღირებულება . . | 24.93 | 19944 | 20.50 | 10250 | 0—53 | 5300 | 0—64 | 12800 | 48294 |
| 2 | ხელფასი მერ ქნის გამოზიდვის . . . | 20.70 | 16560 | 6.57 | 3287 | 0—52 | 5200 | 0—20 | 4000 | 29047 |
| 3 | პროგრესიული დანამატი 10 % . . . | 2.00 | 1600 | 0.64 | 320 | 0—05 | 500 | — | 390 | 2810 |
| 4 | დარიცხვა ხელფასზე . . . . . . | 1.00 | 800 | — | 158 | 0—04 | 400 | — | 191 | 1549 |
| 5 | გამწევი ძალის ქირა | 15.46 | 12368 | 5.13 | 2565 | 0—15 | 1500 | 0—16 | 3200 | 19633 |
| 6 | ხე-ტყის საზიდი გზების მშენებლობა და შეკეთება . . | 2.00 | 1600 | 2.00 | 1000 | — | — | — | 240 | 2840 |
| 7 | ბოსლებისა და ბარაკების მშენებლობა და შეკეთება . . | 1.00 | 800 | 2.00 | 1000 | — | — | — | — | 1800 |
| 8 | საამქრო და საერთო საქარხნო ხარჯები . | 1.26 | 214 | 4.33 | 2169 | 0—30 | 3000 | 0—08 | 1600 | 6983 |
| | სულ: | 67.35 | 53886 | 41—17 | 20749 | 1—59 | 15900 | 1—08 | 22421 | 112956 |

თვითღირებულების გეგმის შედგენით არ მთავრდება თვითღირებულების დაგეგმვა. თვითღირებულების გეგმის შესრულების შემოწმება, კონტროლი და ანალიზი წარმოადგენს თვითღირებულების დაგეგმვის სამუშაოთა საბოლოო და ერთ-ერთ მთავარ სტადიას. ამ შრომაში ცალკე თავად მოცემულია ტყის მეურნეობის სამეურნეო საქმიანობის ანალიზის საფუძვლები. შრო-

მის ამ ნაწილში გეგმის სხვა მაჩვენებლებთან ერთად მოცემულია, თუ რა წესით უნდა იწარმოოს თვითღირებულების გეგმის შესრულების შემოწმება და ანალიზი.

შემოწმებისა და ანალიზის ჩამტარებელმა კარგად უნდა იცოდეს თვითღირებულების შემცირებაზე მოქმედი ფაქტორები. მას აუცილებლად უნდა შეეძლოს თვითღირებულების ყოველი ელემენტის წარმოქმნისა და თვითღირებულებაში მისი მონაწილეობის ხვედრის ნორმატივების დადგენა; უნდა იცნობდეს მოწინავე საწარმოთა ტექნოლოგიურ პროცესებს, იქ მატერიალურ შრომითს და ფულადი რესურსების ხარჯვის ნორმებს.

საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ანალიზი არ უნდა შეიცავდეს მარტო საგეგმო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შეფასებას. ანალიზის შედეგად, მეურნეობის მუშაობის შეფასებასთან ერთად შესწავლილი უნდა იქნეს საწარმოო საქმიანობის ყველა უბანი და გამოვლინდეს წარმოებაში არსებული ჯერ გამოუვლინებელი რეზერვები.

გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინებასთან ერთად დასახული უნდა იქნეს კონკრეტული ღონისძიებები მათი სრული გამოყენებისათვის და შესრულებულ სამუშაოთა და დამზადებული პროდუქციის ღირებულების გასაიაფებლად. ამ დარგში ჩატარებული მუშაობა იმდენად ნაყოფიერი და შედეგიანი იქნება, რამდენადაც უფრო დეტალურად შესწავლილი იქნება მეურნეობის ყოველი საწარმოს უბნის საქმიანობა. ასეთი შემოწმება და ანალიზი უნდა ჩატარდეს მეურნეობაში, მიუხედავად იმისა, მეურნეობა წარმატებით ასრულებს თუ არა გეგმის რაოდენობრივ და თვისობრივ მაჩვენებლებს.

## VI. ჭყის მეურნეობის საფინანსო გეგმა

სოციალისტური ეკონომიკის გაძლიერებისა და განმტკიცების საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს საბჭოთა საფინანსო სისტემა. სოციალისტურ მეურნეობაში ფინანსები გეგმური მეურნეობის განუყოფელი ნაწილია. სოციალისტური ეკონომიკის დარგების ზრდის რეგულირებას საბჭოთა მთავრობა აღწევს ფულადი სახსრების საშუალებით. სოციალისტურ მეურნეობაში წარმოებული მატერიალური საშუალებები გამოისახება როგორც ნატურით, ისე ფულადი ღირებულებით. წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული ფულადი საშუალებებით მეურნეობა აღწევს დახარჯული მატერიალური სახსრების ანაზღაურებას და წარმოების შემდგომ გაფართოებას. წარმოების პროცესში, იქმნება რა მატერიალური დოვლათი, ამ უკანასკნელის რეალიზაციის შედეგად მიღებული ფულადი სახსრების ერთი ნაწილი ფარავს წარმოების სფეროში გაწეულ ხარჯებს, ხოლო მეორე ნაწილი გადადის სახელმწიფო ფონდში და ცენტრალიზებულ წესით ნაწილდება და ხმარდება სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებას.

სოციალისტურ მეურნეობაში ფინანსური სისტემა არის ფულადი სახსრების ფონდების გეგმაზომიერი წარმოქმნისა და სახალხო მეურნეობაში განაწილების სისტემა. სოციალისტური ფინანსების მატერიალურ საფუძველს სოციალისტური მეურნეობა წარმოადგენს. ის ემყარება სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებას, ამავე დროს საბჭოთა ფინანსები დიდ-

მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახალხო მეურნეობის დარგების სათანადო შეთანაწყობით განვითარებისა და მშრომელთა სისტემატურად მზარდი მატერიალურ საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში.

სოციალისტური ფინანსები თავის განშტოებული სისტემით ქმნიან სათანადო პირობებს სახალხო მეურნეობაში მატერიალური საშუალებების ეკონომიის რეჟიმისათვის, მეურნეობრივი ანგარიშიანობის დანერგვისათვის და ფინანსური დისციპლინის განმტკიცებისათვის. საბჭოთა საფინანსო სისტემა სამეურნეო მუშაკებს უნერგავს წარმოების რაციონალურად წარმართვის სულისკვეთებას და დისციპლინას, ის ასწავლის მეურნეობის მუშაკებს ზუსტ და სწორ ანგარიშს, ეძიონ, იპოვონ და გამოიყენონ წარმოებაში არსებული ფარული რეზერვები, გააუმჯობესონ საწარმოო პროცესები, ტექნოლოგიური პროცესები, გააუმჯობესონ შრომის ორგანიზაცია, სისტემატურად გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ პროდუქციისა და შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულება და გაზარდონ წარმოების რენტაბელობა.

სოციალისტური მეურნეობის საფინანსო გეგმა მოიცავს მეურნეობაში გამოყენებულ ყველა რესურსს ფულადი გამოსახულებით. სოციალისტურ მეურნეობაში ფულადი რესურსები გამოყენებულია როგორც სოციალისტური საკუთრების დაცვისა და მისი გაძლიერების საშუალება. სოციალისტური მეურნეობის ფინანსები არსებითად განსხვავდებიან კაპიტალისტურ მეურნეობაში გამოყენებულ საფინანსო სისტემისაგან. თუ კაპიტალისტურ მეურნეობაში ფინანსები გამოყენებულია მშრომელთა ძარცვისა და ექსპლოატაციის საშუალებად, სოციალისტურ მეურნეობაში ის გამოყენებულია საზოგადოების კეთილდღეობის დონის სისტემატურად ამაღლებისათვის.

მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი სოციალისტური დაგროვება, სოციალისტური სახალხო მეურნეობის გაფართოებულ კვლავწარმოებას და საბჭოთა ხალხის სისტემატურად მზარდი მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფის საქმეს ხმარდება.

კაპიტალისტურ მეურნეობაში კაპიტალისტები ფინანსური სისტემით აღწევენ მოსახლეობის უმრავლესობის გაჩანაგებას, გაღატაკებას, ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დამონებას და სისტემატურ ძარცვას და მაქსიმალური მოგების გზით კერძო—კაპიტალისტური დაგროვების გაძლიერებას. წარმოების სოციალისტური წესი აპირობებს საბჭოთა ფინანსების შინაარსს და მიზანდასახულებას. ისე, როგორც სოციალისტური სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, ტყის მეურნეობის საფინანსო გეგმაში თავს იყრის მეურნეობის გეგმის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები. ტყის მეურნეობის წარმოების გეგმის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები საყრდენ მონაცემებს იძლევიან საფინანსო გეგმის შედგენისათვის.

ტყის მეურნეობა მთავარ სამმართველოსაგან იღებს სათანადო მონაცემებს საფინანსო გეგმის შესადგენად, არსებული წესის მიხედვით; ტყის მეურნეობაში დგება საფინანსო გეგმა ცალკე საბიუჯეტო საქმიანობაზე და ცალკე სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთათვის. ტყის მეურნეობის ორგანიზა-

ციის სამუშაოები, ტყის სამეურნეო სამუშაოები, ტყის კულტურის სამუშაოები, ჰიდრომელიორაციული სამუშაოები, ტყის დაცვის სამუშაოები, ტყის მეურნეობის აპარატის შენახვა, სხვადასხვა საწარმოო საშუალებები, რომელიც დაკავშირებულია ტყის გაშენების, მოვლის, დაცვისა და ნაწილობრივ სარგებლობის ორგანიზაციასთან, ტყის მეურნეობაში ითვლება საბიუჯეტო საქმიანობად და ამ სამუშაოებზე ცალკე დგება საწარმოო-საფინანსო გეგმა.

ჩამოთვლილი სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო დანახარჯები მიეკუთვნება ოპერაციულ ხარჯებს, რომელთა დაფინანსების გეგმა დგება სსრკ სოფლის მეურნეობის და სსრკ ფინანსთა სამინისტროების მიერ 1956 წლის 11 დეკემბერს დამტკიცებულ ფორმა № 2-ის მიხედვით. *

| დანახარჯების დასახელება | ჯამი (მან.) 195 . . წ. | მათ შორის კვარტალების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | I | II | III | IV |
| **I. საწარმოო ხარჯები** | | | | | |
| 1. სატყეო-სამეურნეო, სატყეო-საკულტურო, ხანძარსაწინააღმდეგო, ტყის დაცვითი, სატყეო ჰიდრომელიორაციული ხარჯები . . . . . . . . | 230877 | 8479 | 76824 | 43356 | 102218 |
| 2. საერთო საწარმოო ხარჯები: | | | | | |
| ა) დაქირავებული ტრანსპორტისა და საკუთარი საპაპანო ტრანსპორტის შენახვის ხარჯები . . . . . | 28000 | 7000 | 7000 | 7000 | 7000 |
| ბ) მასალებისა და წვრილი ინვენტარის შეძენა, რემონტი . . . . . . | 2000 | 300 | 500 | 900 | 300 |
| გ) ქიმიკატების, სასუქებისა და ქიმაპარატების შეძენა . . . . . . . . | 500 | — | 500 | — | — |
| დ) ხელით მომუშავე მუშების ხელფასზე დარიცხვა . . . . . . . | 9781 | 420 | 3127 | 2007 | 4227 |
| ე) ხელით მომუშავე მუშების დამატებითი ხელფასი . . . . . | — | — | — | — | — |
| ვ) ხელოსნების ხელფასი . | — | — | — | — | — |
| ზ) სხვა საერთო საწარმოო ხარჯები | 13942 | 465 | 6681 | 6288 | 508 |
| სულ საერთო საწარმოო ხარჯები | 285100 | 16664 | 94632 | 59551 | 114253 |
| 3) კომპლექსური საწარმოო ხარჯები. მათ შორის: | | | | | |
| ა) სატრაქტორო სამუშაოები . . . | — | — | — | — | — |
| ბ) მიწის სათხრელი სამუშაოები . . | — | — | — | — | — |
| გ) მერქნის მექანიზებული დამზადება (6000 კუბური მ.) . . . . . | 30000 | 15000 | 5000 | — | 10000 |

[1] საფინანსო გეგმის ციფრობრივი მონაცემები აღებულია პირობით მაგალითისათვის.

| დანახარჯების დასახელება | ჯამი მან-ით 195 . წ. | მათ შორის კვარტალების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | I | II | III | IV |
| დ) ავტოტრანსპორტის მუშაობა (40.000 ტონა-კილომეტრი) . . . | 48000 | 36000 | 8000 | 4000 | — |
| სულ კომპლექსური ხარჯები | 78000 | 51000 | 13000 | 4000 | 10000 |
| 4. საიჯარო წესით შესრულებული სამუშაო ცენტრალიზებული ანგარიშსწორებით . | | | | | |
| ა) ტყის მეურნეობის ორგანიზაციის ხაზით . . . . | — | — | — | — | — |
| ბ) ტყის დაცვის ღონისძიებების ხაზით | | | | | |
| სულ საწარმოო ხარჯები: | 363100 | 67664 | 107632 | 63551 | 124253 |
| II ტყის მეურნეობის შენახვა: | | | | | |
| ა) ხელფასი . | 438100 | 106900 | 110400 | 110400 | 110400 |
| ბ) სოცდაზღვევის ანარიცხები | 19300 | 4600 | 4900 | 4900 | 4900 |
| გ) სამეურნეო ადმინისტრაც. ხარჯები | 21500 | 5375 | 5375 | 5375 | 5375 |
| სულ . | 478900 | 116875 | 120675 | 120675 | 120675 |
| მთლიანი დანახარჯები გეგმით | 842000 | 184539 | 228307 | 184226 | 244928 |
| III. დაფარვის წყაროები. | | | | | |
| ა) ყველა სახის ჭრებით მიღებული ლიკვიდური მერქნის რეალიზაციიდან შემოსავალი . . . . . | 142000 | 11400 | 58000 | 42600 | 29800 |
| ბ) ტყის თესლებისა და სანერგე მასალის რეალიზაციიდან მიღებული სახსრები | 2000 | — | 2000 | — | — |
| გ) მეურნეობის ტრანსპორტის გაქირავებისაგან მიღებული შემოსავალი . . | 22000 | 5000 | 7000 | 6000 | 4000 |
| სულ საკუთარი შემოსავალი . | 166000 | 16400 | 67000 | 48800 | 33800 |
| დ) ბიუჯეტიდან დაფინანსება . . | 676000 | 168139 | 161307 | 135426 | 211128 |
| ამის გარდა: | | | | | |
| დანახარჯები ფორმის ტანსაცმელის შეძენაზე . . . . . . . | 16000 | 8000 | 8000 | — | — |
| ფორმის ტანსაცმლის დაბრუნება . | 10000 | 2500 | 2500 | 2500 | 2500 |

ხელმოწერა:

აღნიშნული ოპერაციული ხარჯების დაფინანსების გეგმა დგება შემდეგი წესით:

I საწარმოო ხარჯები.

საწარმოო ხარჯების პირველ მუხლში შეტანილი უნდა იქნეს საწარმოო გეგმით დამტკიცებულ სამუშაოთა მოცულობის შესრულებისათვის საჭირო დანახარჯები. სახელდობრ:

1. მთავარი სარგებლობის ტყეკაფების გამოყოფისათვის ნორმატივებით დამტკიცებული დანახარჯები;

2. მოვლითი და სანიტარული ჭრებისათვის ტყეკაფების გამოყოფის ხარჯები;

3. მოვლითი და სანიტარული ჭრების ჩასატარებლად გამოყოფილ ტყეკაფებზე ხე-ტყის დამზადების ხარჯები;

4. მეურნეობის მიერ დამზადებული მერქნის გამოზიდვის ხარჯები:

5. სატყეო-საკულტურო სამუშაოების ხარჯები, რომელშიაც შედის: ა) ტყის თესვა, ბ) ტყის რგვა, გ) ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა, დ) თესვისა და რგვისათვის ნიადაგის მომზადება, ე) ტყის კულტურების მოვლა ერთჯერადზე გადაყვანით, ვ) სკოლების, სანერგეებისა და პლანტაციების გაშენებისათვის ნიადაგის მომზადება, ზ) სკოლების სანერგეების პლანტაციების გაშენება და მოვლა, თ) კულტურების მოვლა ერთჯერადზე გადაყვანით, ი) გასული წლის კულტურების სანერგეების სკოლებისა და პლანტაციების მოვლა, კ) კულტურების შემოღობვა, ლ) სარგავი მასალის ამოღება და დახარისხება, მ) სარგავი მასალისა და თესლების შეძენა და სხვა ხარჯები.

6. სატყეო ჰიდრომელიორაციული სამუშაოების ჩატარების ხარჯები, რომელშიაც შედის სარწყავი და საწრეტი ქსელის მშენებლობისა და ძველის შეკეთების ხარჯები.

7. ტყის დაცვის სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო დანახარჯები.

საწარმოო ხარჯების მეორე მუხლში შედის: 1) დაქირავებული ტრანსპორტის ქირის ანაზღაურებისა და საკუთარი ტრანსპორტის ხარჯები; 2) ინვენტარის შეძენა და შეკეთების ხარჯები; 3) ქიმიკატებისა და ქიმაპარატურის შეძენის ხარჯები; 4) სასუქების შეძენის ხარჯები; 5) კვალსათბურების მოწყობისა და ძველი კვალსათბურების შეკეთების ხარჯები; 6) მუშათა კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე გაწეული ხარჯები; 7) საწარმოო ხელფასზე დარიცხვები; 8) საწარმოო პერსონალის დამატებითი ხელფასი; 9) შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის ხარჯები და სხვ.

ოპერაციული ხარჯების სიდიდე ერთი მხრივ დამოკიდებულია, საწარმოო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოს მოცულობაზე და, მეორე მხრივ, ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ დამტკიცებულ სამუშაოს ერთეულის შესრულებისათვის ხარჯების სიდიდეზე. ერთეული სამუშაოს შესრულებისათვის დამტკიცებულ საერთო ხარჯებში ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ გამოყოფილია ხელფასის ფონდი. ერთეული სამუშაოს შესრულებისათვის დამტკიცებული დანახარჯის ოდენობაზე სამუშაოს მოცულობის გამრავლებით მიიღება სამუშაოს ცალკეული სახის მიხედვით საერთო წლიური დანახარჯი. საერთო წლიური დანახარჯი უნდა დანაწილდეს კვარტალების მიხედვით, კვარტალური საწარმოო გეგმის შესაბამისად. როგორც

წესი, სამუშაოების განაწილება კვარტალებისა და თვეების მიხედვით პირველ რიგში წარმოებს აგრო-სატყეო წესებით დადგენილ სამუშაოთა შესრულების ვადების გათვალისწინებით.

საწარმოო ხარჯების მესამე მუხლში გათვალისწინებულია კომპლექსური საწარმოო ხარჯები. ჩვენს მაგალითში ტყის მეურნეობას სატრაქტორო სამუშაოები და მიწის სათხრელი სამუშაოები გეგმით არა აქვს გათვალისწინებული, ამიტომ ხარჯებში ის არ არის ნაჩვენები.

ჩვენ მიერ აღებულ ტყის მეურნეობას სამასალე და საშეშე მერქნის მექანიზებული დამზადების გეგმა დამტკიცებული აქვს 6000 კუბური მეტრის რაოდენობით. კუბური მეტრი მერქნის დამზადებაზე მეურნეობისათვის დამტკიცებული ხარჯები ჩვენს მაგალითში უდრიდა 5 მანეთს, მექანიზებული დამზადების საერთო ხარჯების ჯამი კი 30.000 მანეთს უდრის.

ავტოტრანსპორტის მუშაობა აღებულია ტონა-კილომეტრების მიხედვით. ტონა - კილომეტრზე დანახარჯი შეადგენს 1 მანეთს და 20 კაპიკს. საგეგმო წელს ავტოტრანსპორტით უნდა გამოიზიდოს 4000 კუბური მეტრი, საშუალო ზიდვის მანძილი შეადგენს 10 კილომეტრს, პირობით ტონა-კილომეტრი და კუბური კილომეტრი აღებულია ერთი და იგივე,* რის შედეგადაც მივიღებთ $4000 \times 10 = 40.000$ კუბურ კილომეტრს, 40.000 კუბური კილომეტრი $\times$ 1 მანეთზე და 20 კაპიკზე=48.000 მანეთს.

წლიური დანახარჯების განაწილება კვარტალებისა და თვეების მიხედვით დამტკიცებული საწარმოო გეგმის მიხედვით წარმოებს. საწარმოო ხარჯების მეოთხე მუხლში მოცემულია საიჯარო წესით შესრულებული სამუშაოები. ჩვენს მაგალითში ასეთი სამუშაოები გეგმით გათვალისწინებული არ არის. საერთოდ საიჯარო მუშაობის მოცულობა განსაზღვრული უნდა იქნეს ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით. სამუშაოების იჯარის წესით შესრულების შემთხვევაში მოიჯარადრე ორგანიზაციასთან დადებული უნდა იქნეს ხელშეკრულება, სადაც ითვალისწინებენ შესასრულებელ სამუშაოს სახეებს, მის მოცულობას, ღირებულებასა და, აგრეთვე, მუშაობის შესრულების ვადებს. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე შემკვეთი ორგანიზაციის (ტყის მეურნეობის) და მოიჯარადრე ორგანიზაციის — სამუშაოს შემსრულებლის საურთიერთშორისო ვალდებულებანი და ხელშეკრულებაში ნაჩვენებ ვადებში სამუშაოს შეუსრულებლობისათვის ან ხელშეკრულების სხვა მუხლების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხები.

საწარმოო ხარჯების მეორე განყოფილებაში მოცემულია ტყის მეურნეობის შენახვის ხარჯები. ტყის მეურნეობას წლის დასაწყისში ეძლევა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, მოსამსახურეების, მომსახურე პერსონალისა და დაცვის მუშაკების შტატები და მათი საშტატო განაკვეთები. ტყის მეურნეობისა და სატყეოების მთელი შტატის თვიური ხელფასის საფუძველზე გაანგარიშებული უნდა იქნეს წლიური ხელფასის ფონდი და ამ წესით უნდა შეივსოს ტყის მეურნეობის შენახვის ხარჯების „ა“ მუხლი.

„ბ“ მუხლის შევსებისათვის ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველო ტყის მეურნეობას აძლევს სოცდაზღვევის ანარიცხების ნორმებს და ეს თანხა

* საერთოდ გადაყვანა წარმოებს დადგენილი კოეფიციენტებით (დამოკიდებულია ჯიშებზე).

ერიცხება პროფესიულ კავშირს ტყის მეურნეობის მუშაკების დროებით შრომისუუნარიანობის შემთხვევაში დახმარების მისაცემად.

„გ“ მუხლის შესავსებად ტყის მეურნეობა მთავარ სამმართველოსაგან იღებს ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ლიმიტებს. ამ ხარჯებში შედის საკანცელარიო სამნეო და სამივლინებო ხარჯები.

ბოლოს დაჯამებული უნდა იქნეს როგორც პირველ, ისე მეორე განყოფილებაში ნაჩვენები ხარჯები და მივიღებთ საბიუჯეტო საქმიანობაზე საოპერაციო დანახარჯების სიდიდეს წლისა და კვარტალების მიხედვით.

საფინანსო გეგმის მესამე განყოფილებაში მოცემულია ოპერაციული ხარჯების დაფინანსების წყაროები, პირველ ყოვლისა შემოწმებული და გაანალიზებული უნდა იქნეს საბიუჯეტო საქმიანობიდან ტყის მეურნეობის საკუთარი შემოსავალი.

საკუთარი შემოსავლიდან დაფინანსების წყაროებში გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა სახის ჭრების შედეგად მიღებული ლიკვიდური მერქნის რეალიზაციისაგან შემოსავალი. აღნიშნული შემოსავლის ოდენობის დადგენა ხდება ტყის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის გეგმაზე დაყრდნობით. სადაც გათვალისწინებულია საბიუჯეტო საქმიანობიდან მიღებული მერქნის ოდენობა გასაცემი ფასებით. ეს თანხა გადატანილი უნდა იქნეს დაფარვის წყაროების „ა“ მუხლში. ამავე განყოფილების „ბ“ მუხლში ნაჩვენები უნდა იქნეს გეგმით გათვალისწინებული შემოსავალი მეურნეობის მიერ საგეგმო წელს დამზადებული სასაქონლო თესლისა და სანერგე მასალის რეალიზაციისაგან.

თესლისა და სანერგე მასალის სარეალიზაციო ფასები მტკიცდება ზემდგომი ორგანოების მიერ. თუ მეურნეობას აქვს სატრანსპორტო საშუალებები, რომელიც წლის გარკვეულ პერიოდში ტყის მეურნეობას არ სჭირდება, ტრანსპორტის გაცდენის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ტყის მეურნეობა მიაქირავებს მას ადგილობრივ წარმოება-დაწესებულებებს და მეურნეობის თანამშრომლებს პირადი საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის. სატრანსპორტო საშუალებების გაქირავება წარმოებს ტონა-კილომეტრების ან საათობრივი ტარიფის მიხედვით. სხვა ორგანიზაციებისა და პირების მომსახურების ტარიფი დამტკიცებული უნდა იყოს ტყის მეურნეობის ზემდგომი ორგანოების მიერ სათანადო წესის მიხედვით.

საფინანსო გეგმის ბოლო ნაწილში ჯამდება ტყის მეურნეობის ყველა საკუთარი შემოსავალი, რომელთა გამოყენებაც კანონით დაშვებულია საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად. თუ საკუთარი შემოსავალი არ ფარავს I და II განყოფილებაში დასახელებულ ხარჯებს, განსხვავება მიღებული უნდა იქნეს ბიუჯეტიდან.

დაფინანსების ლიმიტებს ტყის მეურნეობას უმტკიცებს ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველო. ტყის მეურნეობა ვალდებულია ზუსტად იხელმძღვანელოს დამტკიცებული ლიმიტებით. ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო საქმიანობის ძირითადი საწარმოო დავალებების, შრომისა და ხელფასის ლიმიტებისა და საოპერაციო ხარჯების დაფინანსების გეგმის საფუძველზე, ტყის მეურნეობა, სსრკ სოფლის მეურნეობისა და სსრკ ფინანსთა სამინისტროების მიერ 1956 წლის 11 დეკემბრის

დამტკიცებული № 3 ფორმის მიხედვით ადგენს საბიუჯეტო საქმიანობის წლიურ საწარმოო- საფინანსო გეგმას.

ტყის მეურნეობის საბიუჯეტო საქმიანობის საწარმოო-საფინანსო გეგმაში აღინიშნება: ღონისძიებათა დასახელება, მათი მოცულობა, ერთეულის ღირებულება, წლიური გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების მთლიანი ღირებულება და ეს მონაცემები ნაწილდება ცალკეულ სამუშაოთა შესრულების აგრო-სატყეო წესებით დადგენილი ვადების მიხედვით.

საწარმოო-საფინანსო გეგმის მაჩვენებლები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ზემდგომ ტყის მეურნეობის მიერ დამტკიცებულ ძირითად საწარმოო დავალებებსა და დაფინანსების ლიმიტებს. საწარმოო-საფინანსო გეგმას გაშლილი მაჩვენებლებით ამტკიცებს ტყის მეურნეობის დირექტორი და კონტროლისათვის უდგენს ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს, ხოლო დაფინანსებისათვის სასოფლო-სამეურნეო ბანკს. ტყის მეურნეობის დაფინანსება წარმოებს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მეშვეობით, ხოლო იმ რაიონებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო ბანკს არა აქვს განყოფილებები, სახელმწიფო ბანკის მიერ. ტყის მეურნეობა, საწარმოო-საფინანსო გეგმასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო ბანკს უდგენს ტყის მეურნეობის შენახვის ხარჯთაღრიცხვას. ხარჯთაღრიცხვა დგება სსრკ სოფლის მეურნეობისა და სსრკ ფინანსთა სამინისტროების მიერ დამტკიცებული № 4 ფორმის მიხედვით.

ტყის მეურნეობის შესანახი ხარჯების ხარჯთაღრიცხვა შემდეგი ფორმით დგება:

| ხარჯების მუხლების № | ხარჯების მუხლების დასახელება | თანხა ათას მან. 195 . . წ. | მათ შორის კვარტალების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I | II | III | IV |
| 1 | ხელფასი . | | | | | |
| | მათ შორის საფინანსო ორგანოებში რეგისტრირებული . | | | | | |
| 2 | დანარიცხები ხელფასზე . | | | | | |
| 3 | საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯები | | | | | |
| 4 | მივლინებები და სამსახურებრივი მიმოსვლები . . . . | | | | | |
| 5 | სხვა ხარჯები . | | | | | |
| | სულ: | | | | | |
| | მათ შორის შტატგარეშე მუშაკების ხელფასი . . . . . | | | | | |
| | საერთო ხარჯების ჯამიდან საფინანსო ორგანოებში რეგისტრირებულია . | | | | | |

ხელმოწერა:

ალნიშნული ხარჯთაღრიცხვა დგება საბიუჯეტო საქმიანობის დაფინანსების გეგმის საფუძველზე. პირველ მუხლში მოცემულია ტყის მეურნეობის სამუშაოებზე დასაქმებული (სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა მუშაკების გარდა) მუშაკების მთლიანი ხელფასი, საიდანაც გამოყოფილი უნდა იქნეს საფინანსო ორგანოებში რეგისტრირებული მუშაკების ხელფასი. საწარმოო პერსონალის ხელფასის რეგისტრირება საფინანსო ორგანოებში არ წარმოებს. ტყის მეურნეობისა და სატყეოების ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მოსამსახურეები საფინანსო ორგანოებში რეგისტრირებული პერსონალის რიცხვს ეკუთვნიან. ხარჯთაღრიცხვის დანარჩენი მუხლები დაფინანსების გეგმის სათანადო მუხლებიდან უნდა იქნენ აღებული.

ტყის მეურნეობას ბანკში აქვს ანგარიშები, სადაც სათანადო გამოსახულებას ჰპოვებს როგორც ტყის მეურნეობის საკუთარ შემოსავლის ანგარიშზე შემოსული სახსრები, ისე ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოსაგან ან სხვა ორგანიზაციებისაგან ჩარიცხული სახსრები. ტყის მეურნეობას გაწეული ხარჯების დასაფარავად მხოლოდ მაშინ შეუძლია მიიღოს ბანკიდან თანხები ან აწარმოოს გადარიცხვები, თუ შესაბამის ანგარიშზე მას ბანკში აქვს თანხები. დაფინანსების ასეთი სისტემა მოვალედ ხდის ტყის მეურნეობის ხელმძღვანელობას იზრუნოს არა მარტო გეგმით დამტკიცებული სამუშაოების შესრულებისათვის, არამედ ამ მიზნით გათვალისწინებული სახსრების მიღებისა და მათი მიზნობრივად გამოყენებისათვის.

ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველო, დამფინანსებელი ბანკი, საფინანსო ორგანოები და სახელმწიფო კონტროლის ორგანოები სისტემატურად ამოწმებენ ტყის მეურნეობაში სახსრების ხარჯვის სისწორეს. ტყის მეურნეობაში შემოღებულია საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის ფორმები, სადაც ასახულია საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები.

ტყის მეურნეობა ცალკე ადგენს საფინანსო გეგმას სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთათვის. აქცევენ რა განსაკუთრებულ ყურადღებას სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა მუშაობას, ამ საწარმოებში დაგეგმვისა და ანგარიშგების სწორი ორგანიზაციის მიზნით, სსრკ ტყის მეურნეობისა და დაცვითი ტყეების გაშენების მთავარ სამმართველომ 1955 წელს სპეციალური „ბროშურის სახით გამოსცა მითითებანი ტყის მეურნეობაში სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთათვის საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენისათვის. ალნიშნულ მითითებებში მოცემულია საწარმოო და საფინანსო გეგმების შედგენისათვის უნიფიცირებული ფორმები და ამ გეგმების შედგენის წესები.

ტყის მეურნეობის მოვალეობას შეადგენს ტყის მოვლის შედეგად მიღებული სხვადასხვა სახის მასალებისა და, აგრეთვე, ტყის ექსპლოატაციის ნარჩენების გადამუშავების მოწყობა და არაპირდაპირი სარგებლობის ორგანიზაცია. ამ მიზნით ტყის მეურნეობაში უნდა შეიქმნეს სხვადასხვა სახის საწარმოო, როგორიც არის სახერხი ქარხანა, სააეჯო წარმოება, ნარჩენებისა და შუალედური სარგებლობის ბაზაზე ქიმიური წარმოება, ხის მშრალი გამოხდით ნახშირის წარმოება, გარეული ხილის, სოკოებისა და სხვა სასურსათო და

სამკურნალო მცენარეულობის დამზადებისა და პირველადი გადამუშავების წარმოება, სოფლის მეურნეობის დამხმარე წარმოება და სხვ.

ტყის მეურნეობას ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელ საამქროების მოწყობის საქმეში დიდ დახმარებას უწევენ ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველო, საფინანსო და ადგილობრივი ორგანოები. ტყის მეურნეობა ვალდებულია საწარმოო და საფინანსო გეგმები შეადგინოს ყოველ საამქროს მიხედვით ცალ-ცალკე და შემდეგ ამ გეგმების საფუძველზე ერთი მთლიანი საწარმოო-საფინანსო გეგმა სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთათვის.

ჩვენს მიერ მაგალითისათვის აღებულია ერთ-ერთი ტყის მეურნეობისათვის (დამტკიცებული ფორმა № 22-ის მიხედვით) 1957 წლის საფინანსო გეგმა, რომელიც წარმოდგენილია გვ. 107-ზე.

განხილულ საფინანსო გეგმაში გათვალისწინებულია სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საამქროების ყველა შემოსავალი და გასავალი. ამ გეგმაში თავმოყრილია როგორც საკუთარი შემოსავალი, ისე ბიუჯეტიდან მისაღები სახსრები. ტყის მეურნეობის სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა საფინანსო გეგმა შედგენილი უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვის, რეალიზაციის გეგმისა და ზეგეგმური კაპიტალური დაბანდებისათვის საჭირო დაფინანსებათა საფუძველზე. საფინანსო გეგმის შედგენისას უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგით.

თანხების მიმართულების მიხედვით განაწილებისას:

პირველ მუხლში შესატანი ხარჯები აღებული უნდა იქნეს საწარმოო-საფინანსო გეგმიდან რეალიზაციის გეგმის მიხედვით (№ 20 ფორმა). რეალიზაციის გეგმაში მოცემულია საგეგმო წლის დასაწყისისათვის წინა წლიდან გადმოსული მზა პროდუქციის ნაშთი, რომელიც რეალიზებული უნდა იქნეს საგეგმო პერიოდში და, აგრეთვე, საგეგმო წელს წარმოებული პროდუქცია, რომელიც რეალიზებული უნდა იქნეს ამავე წელს საგეგმო თვითღირებულების ფასებით და მომავალი წლისთვის გარდამავალი მზა პროდუქციის ნაშთი. გაანგარიშებულია აგრეთვე სარეალიზაციო პროდუქციის თვითღირებულება და გარეშე ორგანიზაციების მომსახურების ღირებულება. სარეალიზაციო პროდუქცია გადაყვანილია საგასაცემო ფასებში და ეს ფასები შედარებულია სარეალიზაციო პროდუქციის მთლიან თვითღირებულებასთან, მათი სხვაობა ბრუნვიდან გადასახადის გათვალისწინებით მოგვცემს მუშაობის შედეგებს და საზღვრავს მეურნეობის რენტაბელობას.

მეორე მუხლში გათვალისწინებულია მესაქონლეობის ჯოგის დაკომპლექტებისათვის საჭირო ხარჯები. თუ მეურნეობაში პირუტყვის სულადობა არ აკმაყოფილებს მეურნეობის მოთხოვნებს და საჭიროა შეძენილ იქნეს დამატებითი სულადობა, შეძენისათვის ხარჯები გათვალისწინებული უნდა იქნეს იმდენი, რამდენიც ეს მოცემულია „ბ" განყოფილების მეოთხე მუხლში.

მესამე, მეოთხე და მეხუთე მუხლებში მოცემულია ფართო მოხმარების თანხების ფონდის განაწილება იმ ოდენობით, როგორც ეს მოცემულია სსრკ ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით. ასე, მაგალითად, ფართო მოხმარების თანხების ფონდიდან მოგების 5 %, ინსტრუქციის შესაბამისად, ერიცხება ზემდგომ სატყეო მეურნეობის ორგანოს. ამ ფონდის 25 % გამოყენებული უნდა იქნეს მეურნეობის მუშაკების დასაჯილდოებლად და მათი

ფორმა № 6

ტყის მეურნეობის სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა 195 . . წლის საფინანსო გეგმა

| №№ | მუხლების დასახელება | თანხა მანეთებით | მათ შორის კვარტალების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I | II | III | IV |
| | **განყოფილება „ა" სახსრების მიმართულება** | | | | | |
| 1 | სარეალიზაციო პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯები . . . . . . . . . . | 250000 | 50000 | 60000 | 65000 | 75000 |
| 2 | მეურნეობაში მესაქონლეობის ჯოგის დაკომპლექტების ხარჯები . . . . . . . . . . . | 10000 | 10000 | — | — | — |
| 3 | ფართო მოხმარების თანხებიდან 5 % ანარიცხი, სამმართველოს ცენტრალიზებული ფონდში . . | 625 | 125 | 150 | 170 | 180 |
| 4 | ფართო მოხმარების თანხების ფონდი ტყის მეურნეობის მუშაკების დაჯილდოებისა და კულტურულ საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის (25 % მოგებიდან) . . . . . . . . . | 3125 | 781 | 781 | 781 | 782 |
| 5 | ფართო მოხმარების თანხების ფონდი, ფართო მოხმარების საამქროების გასაფართოებლად (70 % მოგებიდან) . . . . . . . . . . | 8760 | 1890 | 1980 | 2320 | 2570 |
| 6 | კაპიტალური მშენებლობის დასაფინანსებლად მიმართული საამორტიზაციო ანარიცხები | 2500 | 625 | 625 | 625 | 625 |
| 7 | კაპიტალური რემონტი საამორტიზაციო ანარიცხებიდან . . . . . . . . . . . . . | 1870 | 670 | 1000 | 200 | — |
| 8 | დამხმარე სოფლის მეურნეობის მიმდინარე წლის მოგება, რომელიც გეგმის მიხედვით უნდა განაწილდეს იმავე წელს . . . . . | 4350 | — | — | 1450 | 2900 |
| 9 | მიმდინარე წელს კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებისათვის მიმართული მოგება . . . | 8000 | 1600 | 2000 | 2200 | 2200 |
| 10 | საკუთარი საბრუნავი სახსრების მატება (შემცირება) . . . . . . . . . . . . . | +1050 | +650 | +200 | 200 | — |
| 11 | საკუთარი საბრუნავი სახსრების ამოღება ზემდგომი ორგანიზაციის მიერ . . . . . | — | — | — | — | — |
| 12 | ბიუჯეტში მოგებიდან ანარიცხები . . . . . | 2175 | 425 | 550 | 600 | 600 |
| | სულ: | 292455 | 66766 | 67286 | 73546 | 84857 |
| | **განყოფილება „ბ" დაფარვის წყაროები** | | | | | |
| 1 | პროდუქციის რეალიზაციისაგან მიღებული სახსრები, მათ შორის მოგება . . . . . . . . | 262500 | 52500 | 6300 | 68500 | 78500 |
| 2 | გეგმის მიხედვით სულ ამორტიზაცია . . | 4010 | 1002 | 1002 | 1002 | 1004 |
| 3 | წლის დასაწყისში ამორტიზაც. ნარჩენი . . . | 800 | 800 | — | — | — |
| 4 | წუნდებული პირუტყვის რეალიზაციიდან მიღებული სახსრები . . . . . . . | 5000 | 5000 | — | — | — |
| 5 | მყარი პასივების მატება . . . . . . . . . | 15145 | 3786 | 3786 | 3786 | 3786 |
| 6 | საკუთარი საბრუნავი სახსრების შევსება ზემდგომი ორგანიზაციებისაგან . . . . . . . . | — | — | — | — | — |
| 7 | ბიუჯეტიდან ასიგნობანი მეურნეობის ძირითადი მესაქონლეობის ჯოგის შევსებისათვის . . | 5000 | 5000 | — | — | — |
| | სულ: | 292455 | 68088 | 67788 | 73288 | 83291 |

კულტურული საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებებზე. ხოლო 70 %—უნდა მოხმარდეს ფართო მოხმარების საამქროების გაფართოებასა და გაძლიერებას. თუ მეურნეობას წინა სამეურნეო წელს დარჩა მოუყენებელი ფართო მოხმარების თანხები, ის დამატებით საგეგმო წლის საფინანსო გეგმაში არ შეიტანება.

მეექვსე და მეშვიდე მუხლებში იგეგმება საამორტიზაციო ანარიცხების სახსრებიდან წარმოებული კაპიტალურ მშენებლობასა და კაპიტალურ შეკეთებაზე გათვალისწინებული ხარჯები. როგორც მეექვსე, ისე მეშვიდე მუხლებში თანხების სიდიდეს საზღვრავს ზემდგომი ორგანოები.

მერვე, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე მუხლებში მოცემულია მოგებისა და საბრუნავი ფონდების სახსრების განაწილება, რომელიც უნდა მოხდეს ზემდგომი ტყის მეურნეობის ორგანოს მიერ დამტკიცებული მაჩვენებლების მიხედვით.

საფინანსო გეგმის მეორე განყოფილებაში მოცემულია პირველ განყოფილებაში მოცემული ხარჯების დაფარვის წყაროები. პირველ მუხლში ნაჩვენები უნდა იყოს პროდუქციის რეალიზაციისაგან მიღებული თანხების ჯამი. ამ თანხების ოდენობა აღებული უნდა იქნეს საწარმოო - საფინანსო გეგმაში მოცემული პროდუქციის რეალიზაციის გეგმიდან. პროდუქციის რეალიზაციის გეგმის მე-10 სვეტში მოცემულია გასაცემ ფასებში გადაყვანილი, მეურნეობის მიერ დამზადებული, მთლიანი სარეალიზაციო პროდუქცია. მე-10 სვეტის ბოლოს შეჯამებულია სარეალიზაციო პროდუქცია საგასაცემო ფასებით და ეს თანხა უცვლელად ჩასმული უნდა იქნეს საფინანსო გეგმის მეორე განყოფილების პირველ მუხლში.

მეორე მუხლში შეტანილი უნდა იქნეს საამორტიზაციო თანხა, რომლის სიდიდე აღებული უნდა იქნეს წარმოების ხარჯთაღრიცხვის შესაბამის მუხლიდან. წარმოების ხარჯთაღრიცხვის (ფორმა № 2) მეთერთმეტე მუხლში გაანგარიშებულია ამორტიზაციის ფონდის რაოდენობა.

მესამე მუხლში ნაჩვენებია წლის დასაწყისში დარჩენილი საამორტიზაციო თანხის ის ნაწილი, რომელიც გათვალიწინებულია კაპიტალური შეკეთებისათვის. საამორტიზაციო ანარიცხის ფონდიდან წლის დასაწყისისათვის დარჩენილი თანხა, რომელიც გათვალისწინებულია კაპიტალური დაბანდების დაფინანსებისათვის, მთლიანად შეტანილი უნდა იქნეს ბიუჯეტში და საფინანსო გეგმაში ნაჩვენები არ იქნება.

მეოთხე მუხლში ნაჩვენები უნდა იყოს წუნდებული პირუტყვის რეალიზაციიდან მიღებული თანხა. აღნიშნული თანხა გათვალისწინებული უნდა იყოს დანაკლისი პირუტყვის შესაძენად. თუ მიღებული თანხა გაცილებით მეტია, ვიდრე პირუტყის სულადობის შესაძენად. საჭირო დანახარჯი, ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს საჭიროების შემთხვევაში ეს თანხა შეუძლია გადასცეს სხვა ტყის მეურნეობებს.

მეხუთე მუხლში აღნიშნული მყარი პასივების მატების თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მეურნეობის მუშა-მოსამსახურეების 7 დღის ხელფასის (დარიცხვებით) ოდენობას, რაც გამოყენებული უნდა იქნეს საბრუნავი სახსრების ნორმატივების დაფარვის წყაროდ.

მეექვსე და მეშვიდე მუხლები დგება ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ დაშვებული ლიმიტების საფუძველზე.

თუ მეურნეობას თავისი საკუთარი შემოსავალი არ ყოფნის ხარჯების დასაფარავად, საკუთარი საბრუნავი სახსრების შესავსებად და სხვა, ზემდგომი ტყის მეურნეობა ვალდებულია განიხილოს ასეთი საწარმოს შემდგომი არსებობისა და დაფინანსების საკითხი. როგორც წესი, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმო თავისი საკუთარი შემოსავლით უნდა ფარავდეს მატერიალური დოვლათის წარმოების სფეროში გაწეულ ხარჯებს და, ამის გარდა, მას უნდა რჩებოდეს სათანადო სახსრები ფართო მოხმარების საგნების წარმოების გაფართოებისა და მეურნეობის მუშაკების კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ იმ საწარმოთა საკითხი, რომელთაც არ შეუძლიათ არსებობა დოტაციის გარეშე, დაუყოვნებლივ განხილული უნდა იქნეს ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოში და ფინანსთა სამინისტროში. თუ საწარმოო დროებით წამგებიანია, მას აქვს განვითარების პერსპექტივა და მისი ნაწარმი სახალხო მეურნეობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ზემდგომი ორგანოები, გამონაკლისი სახით, დროებით სტოვებენ ასეთ საწარმოს მუშაობის გამოსწორებისათვის და რენტაბელურ საწარმოდ გარდაქმნისათვის ვადის მიცემით.

სოციალისტური წარმოების პრინციპია რენტაბელური მუშაობა, სისტემატურად სამუშაოებისა და შექმნილი პროდუქტების თვითღირებულების შემცირება, მათი ხარისხის ამაღლებასთან ერთად, და გეგმური და ზეგეგმური დაგროვების მუდმივად ზრდა. წარმოების რენტაბელური მუშაობა აუცილებელია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელ ამაღლებისათვის, სოციალისტური ეკონომიკის გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა საწარმოო და საფინანსო გეგმების მაჩვენებლების დაზუსტების, მათი ტერიტორიული და შესრულების ვადების მიხედვით გაადგილების შემდეგ, ტყის მეურნეობა ადგენს ამ საწარმოთათვის საწარმოო-საფინანსო გეგმას დამტკიცებული ფორმების მიხედვით.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ტყის მეურნეობის საწარმოთა საწარმოო-საფინანსო გეგმა ფინანსურ ნაწილში ითვალისწინებს:

1. საერთო და სასაქონლო პროდუქციისა და თვითღირებულების შემცირების გაანგარიშებებს (ფორმა № 1);

2. წარმოების ხარჯთაღრიცხვას (ფორმა № 2);

3. შრომისა და ხელფასის ფონდის გეგმას (ფორმა № 3);

4. ფართო მოხმარების საამქროებისა და დამხმარე სოფლის მეურნეობის საშტატო განაწესს (ფორმა № 4);

5. ხე-ტყის დამზადების თვითღირებულებას სორტიმენტების მიხედვით (ფორმა № 5).

6. ხე-ტყის გადამუშავების თვითღირებულებას სორტიმენტების მიხედვით (ფორმა № 6);

7. ხე-ტყის გამოზიდვის თვითღირებულებას სორტიმენტების მიხედვით (ფორმა № 7);

8. ხე-ტყის დაცურების თვითღირებულებას სორტიმენტების მიხედვით (ფორმა № 8);

9. ხე-ტყის დაცურებასა და ამოტვირთვაზე შრომისა და ხელფასის გაანგარიშებას და სამუშაოთა თვითღირებულებას (ფორმა № 8);

10. რონოდებში ხე-ტყის დატვირთვის თვითღირებულებას სორტიმენტების მიხედვით (ფორმა № 9):

11. მემცენარეობის პროდუქციის თვითღირებულებას;

12. მესაქონლეობისა და მეფუტკრეობის პროდუქტების თვითღირებულებას (ფორმა № 11);

13. სანერგეებისა და ბაღების შენახვის ხარჯთაღრიცხვას (ფორმა № 13);

14. მერქნის მექანიზებული გადამუშავების ხარჯების ხარჯთაღრიცხვას (ფორმა № 16);

15. საამქრო ხარჯების ხარჯთაღრიცხვას (ფორმა № 17);

16. საერთო-საქარხნო ხარჯების ხარჯთაღრიცხვას (ფორმა № 18);

17. საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხარჯთაღრიცხვას (ფორმა № 19);

18. რეალიზაციის გეგმას (ფორმა № 20);

19. საბრუნავი სახსრების ბრუნვის ნორმატივების გაანგარიშებას (ფორმა № 21);

20. საფინანსო გეგმას (ფორმ № 22) და

21. საწარმოო-საფინანსო გეგმის ძირითადი მაჩვენებლების შედარების უწყისს (ფორმა № 23).

თუ ტყის მეურნეობაში წარმოდგენილი არ არის ზემოთ დასახელებულ საქმიანობათა სახეები, მაშინ საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენისათვის დაშვებულ უნიფიცირებულ ფორმაში შესატყვისი ფორმები შეუვსებელი რჩება.

ტყის მეურნეობის სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა საფინანსო გეგმა ისე უნდა იქნეს აგებული, რომ მისი განხორციელების შედეგად მიღებულ იქნეს, ერთი მხრივ, მასობრივი მოხმარების საგნებისა და საკვები პროდუქტების რაც შეიძლება მეტი ოდენობა (დამზადებულ პროდუქტთა ხარისხის სისტემატურად გაუმჯობესების პირობები) და მეორე მხრივ უსრუნველყოფილ იქნეს მათი თვითღირებულების სისტემატური შემცირება და წარმოების რენტაბელობის გადიდება.

ფართო მოხმარების საამქროებისა და დამხმარე სოფლის მეურნეობის რენტაბელური მუშაობა გულისხმობს წმინდა შემოსავლის (მოგების) გეგმების გადაჭარბებით შესრულებას. რამდენადაც მეტი იქნება განსხვავება წარმოების საბითუმო ფასებსა (ბრუნვიდან გადასახადის ჩაუთვლელად) და რეალიზებული პროდუქციის სრულ თვითღირებულებას შორის, იმდენად დიდი იქნება მეურნეობაში მოგება. თუ მეურნეობა მაღალი ხარისხის გეგმური ასორტიმენტის პროდუქციას გამოუშვებს გეგმაზე მეტი ოდენობით და შეამცირებს მათ თვითღირებულებას, ამით იგი გაზრდის აშ საწარმოთა წმინდა შემოსავალს (მოგებას) და სათანადოდ წარმოების რენტაბელობას.

წარმოების რენტაბელურ მუშაობასათვის საჭიროა მეურნეობაში სისტემატურად მაღლდებოდეს საწარმოო პროცესების ენერგოშეიარაღება, ფართოდ ინერგებოდეს მეცნიერების,. ტექნიკის უახლესი მიღწევები და მოწინავე საწარმოთა გამოცდილებანი, სისტემატურ სრულყოფას და გაუმჯობესებას

განიცდიდეს შრომის ორგანიზაცია, შრომის ნაყოფიერების განუხრელ ამაღლობასთან ერთად, მცირდებოდეს შექმნილი პროდუქტების თვითღირებულება.

სოციალისტურ წარმოებაში შექმნილია ყოველგვარი პირობა რენტაბელური მუშაობისათვის. ფართო მოხმარების თანხების ფონდების შექმნა და მისი განაწილების სისტემა, სტიმულს იძლევა რენტაბელობის ზრდისათვის. ასე, მაგალითად, ტყის მეურნეობის სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა მოგების 25 % იხარჯება ამ საწარმოს მუშათა დაჯილდოებისა და კულტურულ საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის. რამდენადაც დიდდება წარმოებაში მოგება (ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვით), იმდენად მეტი თანხები იქნება გამოყენებული მომუშავეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად და წარმოების გასაფართოებლად.

სოციალისტურ საწარმოში საფინანსო გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შემოსავალ-გასავლის ბალანსი შეადგენს. ამჟამად არსებული წესის მიხედვით ტყის მეურნეობაში შემოსავალ-გასავლის ბალანსი არ დგება.

ტყის მეურნეობის საფინანსო გეგმაში მოცემულია როგორც საწარმოო გეგმის მაჩვენებლები, ისე შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და მათი მობილიზაციის მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებები.

საფინანსო გეგმის შედგენაში მონაწილეობის მიღება და მისი განხორციელების უზრუნველყოფა მეურნეობის ყველა მუშაკის მოვალეობას შეადგენს.

ტყის მეურნეობის ბუღალტერია მეურნეობის ხელმძღვანელობის ნებართვით და დასტურით ახორციელებს ანგარიშსწორებას ორგანიზაციებთან. მეურნეობის ხელმძღვანელობისა და ბუღალტერიის მოვალეობას შეადგენს— მტკიცედ დაიცვან საფინანსო დისციპლინა, დააჩქარონ საბრუნავი სახსრების ბრუნვა, არ დაუშვან ზენორმირებული მატერიალური საშუალებების მარაგები, იბრძოლონ დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა წინააღმდეგ და მიიღონ საჭირო და დროული ზომები დადგენილ ვადებში საფინანსო გეგმების შესრულებისათვის.

## VII. ოპერატიული დაგეგმვა, აღრიცხვა და ანგარიშგება

ტყის მეურნეობაში ოპერატიული დაგეგმვა მოიცავს კვარტალურ, თვიურ, დეკადურ სადღეღამისო ან კიდევ სეზონურ სამუშაოების გეგმებს.

ოპერატიულ გეგმებში მოცემულია არა მარტო სამუშაოს მოცულობა და ვადები, არამედ სამუშაოს შესრულების ადგილი. სახელდობრ: თუ რომელ სატყეოში, რომელ კვარტალში, რომელ უბანში და რა ვადაში უნდა შესრულდეს დასახელებული სამუშაო. ოპერატიული გეგმები იმავე დროს დადგენილი ვადების მიხედვით დაყვანილი უნდა იქნეს შემსრულებლამდე. ყოველმა ბრიგადამ და ბრიგადის ყოველმა წევრმა, თუ ცალკეულმა შემსრულებელმა, უნდა იცოდეს, თუ რა მოცულობის სამუშაოები უნდა შეასრულოს საგეგმო პერიოდში. სამუშაოს მოცულობის ვადების მიხედვით შესრულების გეგმასთან ერთად, სადაც ეს შესაძლებელია, სამუშაოს შემსრულებელს აძლევენ ხარისხისა და თვითღირებულების გეგმებსაც.

შემსრულებლებამდე ოპერაციული გეგმების დროულად დაყვანას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს გეგმების წარმატებით შესრულების საქმეში· ეძლევა რა სამუშაოს შემსრულებელს საშუალება საგეგმო პერიოდის დაწყებამდე გაეცნოს საწარმოო დავალებებს, ის მობილიზებას უკეთებს თავის ცოდნას და უნარს, სახავს გაუმჯობესებულ ხერხებს საწარმოო დავალებების ვადაზე ადრე წარმატებით შესრულებისათვის და ითვალისწინებს ამისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს.

წლიური, კვარტალური, თვიური და დეკადური დავალებების დროულად მიცემა შემსრულებლებს უქმნის პირობებს გამოიჩინოს ინიციატივა და უნარი საწარმოო პროცესების სრულყოფისათვის, საწარმოო საშუალებებისა და რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებისათვის, საწარმოო პირობების გაუმჯობესებისათვის.

სოციალისტურ მეურნეობაში არსებული შრომის წამახალისებელი სისტემა ზრდის მომუშავეთა შემოქმედებით ენთუზიაზმს და პირად დაინტერესებას საწარმოო დავალებების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

ტყის მეურნეობაში არსებული ტექნიკის მაქსიმალური გამოყენების მიზნით შედგენილი უნდა იქნეს ყოველი მანქანა-იარაღის მუშაობის გრაფიკი. სამუშაოების შესრულება უნდა დაიგეგმოს საუკეთესო სატყეო აგროტექნიკურ ვადებში და სამუშაოები უნდა წარიმართოს რითმულად ყოველგვარი შეფერხებების გარეშე. გეგმების ადგილებზე დაყვანა და მეურნეობის მუშაკების სამოქმედო პროგრამით შეიარაღება ოპერაციული დაგეგმვის მხოლოდ პირველი საფეხურია, დაგეგმვის საბოლოო და მეტად საპასუხისმგებლო საფეხური — ეს სამუშაო ადგილებზე დაშვებული გეგმების შესრულებაა.

გეგმების დროულად და წარმატებით შესრულების მიზნით მეურნეობაში ტარდება გეგმების შესრულების მიმდინარეობის სისტემატური შემოწმება. მეურნეობის გეგმის შესრულების შემოწმება სოციალისტური სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ორგანულ ნაწილს შეადგენს.

ვ. ი. ლენინი, ეხებოდა რა მთელი სახალხო მეურნეობის სახელმწიფო გეგმების დიდ მნიშვნელობას, 1921 წლის 22 თებერვლის გაზეთ „პრავდაში" წერდა: „...საჭიროა, რათა ეკონომისტებმა, ლიტერატორებმა, სტატისტიკოსებმა კი არ ილაყბონ გეგმაზე საერთოდ, არამედ დეტალურად შეისწავლონ ჩვენი გეგმების შესრულება, ჩვენ შეცდომები ამ პრაქტიკულ საქმეში, ამ შეცდომათა გამოსწორების საშუალებანი, ამის შეუსწავლელად ჩვენ ბრმები ვიქნებით".*

კომუნისტური პარტიის მეთექვსმეტე ყრილობაზე ი. ბ. სტალინი მიუთითებდა, რომ გეგმის შედგენა დაგეგმვის მხოლოდ დასაწყისია. ნამდვილი გეგმიანი ხელმძღვანელობა იწყება გეგმის შედგენის შემდეგ. მხოლოდ ბიუროკრატებს შეუძლიათ მეურნეობის დაგეგმვა გეგმის შედგენით შემოფარგლონ. გეგმის შედგენა და გეგმის შესრულება დაგეგმვის ერთ მთლიან სისტემას წარმოადგენს. გეგმის შესრულება შესაძლებელია გეგმის ყოველდღიური

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 32, გვ. 166.

შესრულებისათვის ბრძოლის საფუძველზე. იმ მეურნეობაში, სადაც სწორედ არის ორგანიზებული გეგმის შესრულების სისტემატური შემოწმება, გეგმებიც წარმატებით სრულდება. გეგმის შესრულების შემოწმების ამოცანა მარტო დამტკიცებული გეგმების შესრულების უზრუნველყოფა კი არ არის, არამედ გეგმების შესრულების შემოწმების პროცესში გამოვლინებული უნდა იქნეს მეურნეობის ისეთი რეზერვები, რომლებიც გეგმის შედგენის დროს არ იყო მიღებული მხედველობაში და დასახულ იქნეს კონკრეტული ღონისძიებები გამოვლინებული რეზერვებისა და გამოუყენებელი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

დამტკიცებული გეგმების შესრულების შემოწმება ყოველდღიურად, დეკადურად, თვიურად, კვარტალურად და წლიურად საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ რამდენად სწორად და რეალურად იყო შედგენილი მეურნეობის გეგმები და ყოველგვარი შეუსაბამობის შემთხვევაში საერთო წესის მიხედვით შევიტანოთ სათანადო ცვლილებები დამტკიცებულ გეგმებში.

მეურნეობისათვის დამტკიცებულ გეგმას კანონის ძალა აქვს, ამიტომ ტყის მეურნეობის გეგმის ძირითადი საწარმოო და საფინანსო მაჩვენებლების გეგმაში აუცილებელი ცვლილებების შეტანა შეიძლება მხოლოდ ტყის მეურნეობის ზემდგომი ორგანოების სათანადო მითითებების საფუძველზე. ისე, როგორც გეგმის შედგენისას, გეგმის შესრულების შემოწმებისას მხედველობაში აუცილებლივ მიღებული უნდა იქნეს ამა თუ იმ ჯგუფისა და ზონის ტყეების სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა. ასე მაგალითად: საექსპლოატაციო ჯგუფის ტყეებში მეურნეობის ძირითად ამოცანას შეადგენს, რაც შეიძლება მეტი მერქანი მისცეს სახალხო მეურნეობას იმ დროს, როდესაც დაცვითი ან სხვა განსაკუთრებული მნიშვნელობის ტყეების ამოცანას არაპირდაპირი სარგებლობის მიღება შეადგენს. განსაკუთრებული მნიშვნელობის ტყეებში სამეურნეო ღონისძიებების შესრულების შემოწმებას საფუძვლად უნდა დაედოს იმის დადგენა, თუ რამდენად ამართლებს დადგენილი ღონისძიებები (შესრულების პროცესში) ტყის მეურნეობის წინაშე მდგარ ამოცანებს.

გეგმის შესრულების შემოწმებისას, გამორკვეული უნდა იქნეს, რომელი ფაქტორების გამოყენებით და გავლენით მოხდა გეგმის გადაჭარბებით შესრულება, ან კიდევ, რა მიზეზმა განაპირობა გეგმის შესრულებაში გარღვევა (თუ ასეთს ადგილი აქვს). დეტალურად შესწავლილი უნდა იქნეს როგორც გეგმის გადაჭარბების, ისე მისი შეუსრულებლობის კონკრეტული მიზეზები და დაისახოს ღონისძიებები მიღწეულ წარმატების ფართოდ დანერგვისა და უარყოფითი მოვლენების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციისათვის.

გეგმების შესრულების სისტემატური შემოწმების შედეგად იზრდება ტყის მეურნეობის მუშაკების პასუხისმგებლობა გეგმების შესრულებისათვის, მტკიცდება მუშაკთა შორის შრომის დისციპლინა და მათი შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება. გეგმის შესრულების შემოწმებას აწარმოებს მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები სათანადო სპეციალისტების, საწარმოო უბნებისა და ბრიგადების ხელმძღვანელების და აქტივის მონაწილეობით. გეგმის შესრულების შემოწმების შედეგები განხილული უნდა იქნეს მეურნეობის საერთო კრებაზე ან საწარმოო თათბირებზე, ან კიდევ სამეურნეო აქტივის კრე-

ბაზე. გეგმის შესრულების შემოწმების შედეგების განხილვა და სათანადო ქმედითი ღონისძიებების დასახვა ამ მეტად დიდი საპასუხისმგებლო მუშაობის მხოლოდ დასაწყისია. დასახული ღონისძიებები უნდა იყოს კონკრეტული, რეალური. უნდა დაისახოს ღონისძიებების შესრულების კალენდარული ვადები. გამოიყოს ღონისძიებების შესრულებისათვის საჭირო რესურსები და დაინიშნოს ღონისძიებების გატარებისათვის უშუალო პასუხისმგებელი პირები. ასეთი წინასწარი სამუშაოს ჩატარების შემდეგ, გეგმის შესრულების სისტემატურ შემოწმებასთან ერთად, უნდა მოწმდებოდეს წინა შემოწმების შედეგად მიღებული ღონისძიებების შესრულებაც.

გეგმის შესრულების შემოწმებისას, დეტალურად უნდა შემოწმდეს და დაზუსტდეს შემდეგი საკითხები:

1) როდის მიიღო მეურნეობამ საწარმოო - საფინანსო გეგმის შესადგენად ძირითადი საწარმოო დავალებები, როდის შეადგინა და დაამტკიცა მეურნეობის დირექციამ საწარმოო-საფინანსო გეგმა, რა ვადებში მოხდა მეურნეობის დირექციის მიერ მიღებული გეგმის მაჩვენებლების განაწილება ცალკეულ სატყეოებისა, უბნებისა, ბრიგადებისა და შემსრულებლების მიხედვით.

ტყის მეურნეობაში გეგმის დაყვანა შემსრულებლებამდე აუცილებლად უნდა მოხდეს სამეურნეო წლის დაწყებამდე ერთი-ორი კვირით ადრე მაინც. ეს აუცილებელია იმ მიზნით, რომ მეურნეობამ და მისმა კოლექტივმა სამეურნეო წლის დაწყებას შეხვდეს სათანადოდ მომზადებული. გეგმები დაყვანილი უნდა იქნეს სატყეოებსა, უბნებსა, ბრიგადებსა და შემსრულებლებამდე რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების მიხედვით. საწარმოო გეგმა დაყვანილი უნდა იქნეს ნატურალური გამოსახულებით, ასორტიმენტისა და ხარისხის მიხედვით. იმ საწარმოში, სადაც შიგასაწარმოო დაგეგმვა მაღალ დონეზეა, შემსრულებლებამდე დაჰყავთ აგრეთვე სამუშაოს თვითღირებულების გეგმა, ერთეულ სამუშაოზე საჭირო დროის ხარჯვის ნორმა და სხვ.

ჯერ კიდევ არის გეგმების შემსრულებლებამდე დაგვიანებით დაყვანის შემთხვევები. ტყის მეურნეობის ზემდგომი ორგანოები ორი — სამი თვის დაგვიანებით უგზავნიან ტყის მეურნეობებს საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენისათვის ძირითად საწარმოო მაჩვენებლებს. აღნიშნულის შედეგად მეურნეობებში დიდი დაგვიანებით დგება და მტკიცდება წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმები, დაგვიანებით დაჰყავთ ის შემსრულებლებამდე. დაგეგმვის ასეთი პრაქტიკა მეურნეობის კოლექტივს საშუალებას არ აძლევს, რომ ისინი სათანადოდ მომზადებული შეხვდნენ ახალ სამეურნეო წელს. საწარმოო-საფინანსო გეგმის დაგვიანებით შედგენა და დამტკიცება უარყოფით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

2) უნდა შემოწმდეს, შეესაბამება თუ არა ტყის მეურნეობის მიერ სატყეოებსა და საწარმოო უბნებზე დაშვებული გეგმები მთავარი სამმართველოს მიერ დამტკიცებულ ძირითად საწარმოო დავალებებს. სოციალისტური მეურნეობის დაგეგმვის მეთოდიკა დაუშვებლად სთვლის ზემდგომი ორგანოების სანქციის გარეშე საწარმოო და საფინანსო გეგმების საერთო მოცულობებში რაიმე ცვლილებების შეტანას: შემოწმების მიზანია დაადგინოს, ხომ არ

ჰქონდა ადგილი მეურნეობაში ამ მხრივ რაიმე დარღვევებს. აღნიშნული საკითხების წინასწარი დაზუსტების შემდეგ დაწყებული უნდა იქნეს გეგმის შესრულების შემოწმება.

გეგმის შესრულების შემოწმება წარმოებს არა მარტო საწარმოო პროცესებზე უშუალო დაკვირვებით და შესწავლით, არამედ გეგმის შესრულების საალრიცხვო მასალების გამოყენებითაც. გეგმის შესრულების შემოწმებისას, ტყის მეურნეობის საალრიცხვო მასალები ძირითად დასაყრდენ მასალად ითვლება. ტყის მეურნეობაში, ისე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, შემოღებულია აღრიცხვა-ანგარიშგების ერთიანი სისტემა, სადაც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის ამ დარგის თავისებურებანი. ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება, მისი მონაცემების ანალიზი და სათანადო ორგანოებში წარდგენა მეურნეობის დირექციის პირველხარისხოვან მოვალეობას შეადგენს.

საკ. კ. პ. (ბ) მე-18 კონფერენციის გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ სწორი აღრიცხვის გარეშე შეუძლებელია მეურნეობის მართვა. მეურნეობაში, სადაც მოგვარებული არ არის აღრიცხვა-ანგარიშგება, მოსალოდნელია ყოველგვარი გაუგებრობა, გეგმების შესრულებაში მოულოდნელი გარღვევები, გეგმის შესრულებისათვის საჭირო მასალების დროული მოუმარაგებლობა და სხვ.

სოციალისტური მეურნეობა წარმოუდგენელია აღრიცხვის გარეშე. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალისტურ მეურნეობაში ყოველი ნაკეთობა, ყოველი გირვანქა პური არ უნდა იყოს აღრიცხვის გარეშე, რადგან სოციალიზმი უპირველეს ყოვლისა არის აღრიცხვა. აღრიცხვა-ანგარიშგება მეურნეობის გეგმიანი მართვის აუცილებლობას წარმოადგენს. სოციალისტურ მეურნეობაში აღრიცხვა-ანგარიშგების დიდი მნიშვნელობა განპირობებულია საწარმოო საშუალებების სოციალისტური საკუთრებით, წარმოების საზოგადოებრივი ხასიათით და პროდუქტების განაწილების სოციალისტური პრინციპით.

მარქსი აღნიშნავდა, რომ რამდენადაც წარმოება კარგავს ინდივიდუალურ ხასიათს და ვითარდება საზოგადოებრივი წარმოება, იმდენად დიდდება აღრიცხვის მნიშვნელობა. ფეოდალურ საზოგადოებასთან შედარებით, კაპიტალისტურ საზოგადოებაში, განაგრძობს მარქსი, დიდად გაიზარდა აღრიცხვის როლი, რადგან დაქუცმაცებულ მეურნეობაში, რასაც ადგილი ჰქონდა ფეოდალურ საზოგადოებაში, აღრიცხვის აუცილებლობა არ იყო. მსხვილ კაპიტალისტურ მრეწველობაში აუცილებელი გახდა აღრიცხვის გარკვეული სისტემის შემოღება, მაგრამ აღრიცხვის როლი გაცილებით დიდია და აუცილებელი სოციალისტურ საზოგადოებაში როგორც მატერიალური დოვლათის წარმოების, ისე მისი განაწილების სფეროში.

სოციალისტურ საზოგადოებაში სახალხო მეურნეობის გეგმიანი მართვა შეუძლებელია კარგად ორგანიზებული აღრიცხვის გარეშე. აღრიცხვა და კონტროლი, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, აი, რაც მთავარია და აუცილებელი სო-

ციალისტური მეურნეობის სწორი ფუნქციონირებისათვის, მის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის სწორად წარმართვისათვის.

მეურნეობის ხელმძღვანელობა სისტემატურად უნდა ახორციელებდეს საწარმოო პროცესების მიმდინარეობის პირად შემოწმებას, მაგრამ მეურნეობის ხელმძღვანელობას როდი შეუძლია ერთდროულად შეამოწმოს საწარმოო საქმიანობის ყველა უბანი და საკუთარი დაკვირვებათა შედეგად შეადგინოს დროის გარკვეულ მონაკვეთისათვის მთელი მეურნეობის მასშტაბით გეგმის შესრულების მონაცემები. ამ მიზნით მეურნეობის ხელმძღვანელობა იყენებს აღრიცხვის მასალებს. მეურნეობაში აღრიცხვა წარმოებს იმავე განზომილებებით, რა განზომილებებითაც გეგმებია ასახული. თუ გეგმები და გეგმის შესრულების მონაცემები ერთი და იგივე მაჩვენებლებით არ გამოისახა შეუძლებელი იქნება მათი ურთიერთ შედარება.

აღრიცხვა - ანგარიშგებისათვის შერჩეული უნდა იქნეს ისეთი ფორმები, რომლებითაც სრული წარმოდგენა შეგვიძლია ვიქონიოთ გეგმების შესრულებაზე. ამავე დროს აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემა საშუალებას გვაძლევს სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მეურნეობის ძირითადი და საბრუნავი ფონდების დინამიკაზე და მათი გამოყენების მდგომარეობაზე.

აღრიცხვა-ანგარიშგება საფუძველია სოციალისტური საკუთრების დაცვის, მისი გაძლიერების, წარმოებაში ეკონომიის რეჟიმის გატარებისა და მეურნეობის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესების. აღრიცხვის საშუალებით არკვევენ მატერიალური და ფულადი სახსრების შენახვისა და მოვლის მდგომარეობას. აღნიშნულის შედეგად იზრდება მატერიალური პასუხისმგებელი პირის მოვალეობანი.

სოციალისტურ მეურნეობაში აღრიცხვა-ანგარიშგება ემყარება მტკიცე დისციპლინას, ეს კი გულისხმობს აღრიცხვა-ანგარიშგების მასალების დადგენილი ფორმების მიხედვით ხარისხოვნად და დროულად შედგენას.

აღრიცხვა-ანგარიშგების მონაცემების საშუალებით ვლინდება ახალი ტექნიკისა და რაციონალური წინადადებების დანერგვის ეკონომიური ეფექტურობა. აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე მუშავდება ღონისძიებანი მეურნეობის საწარმოო უბნებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, საწარმოო პროცესების ტექნიკური სრულყოფისათვის, სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის, მოწინავეთა საწარმოო გამოცდილების გამოვლინებისა და დანერგვისათვის, სამეურნეო ანგარიშის ფართოდ დანერგვისათვის, მეურნეობის მუშაკების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის და სხვ.

მიუხედავად აღრიცხვის ასეთი დიდი მნიშვნელობისა, ის აუცილებლივ უნდა იყოს მარტივი და იაფი. მაქსიმალურად მცირე ოდენობის მუშაკები უნდა იყოს დაბანდებული ზუსტი, ობიექტური, კეთილსინდისიერი აღრიცხვა-ანგარიშგების განსახორციელებლად. არის შემთხვევები, როდესაც აღრიცხვა-ანგარიშგებისათვის შემოღებულია მრავალრიცხოვანი დაწვრილმანებული ერთი და იგივე მონაცემების რამდენჯერმე და სავადასხვა ფორმით აღრიცხვის სისტემა. ასე, მაგალითად, ფაქტობრივად დამზადებული ხე-ტყის აღრიცხვა წარმო-

ებს ნატურალური გამოსახულების ფორმით და, აგრეთვე, ხე-ტყის რეალიზაციის გეგმის შესრულების აღრიცხვის ფორმით. მოითხოვს შეკვეცას და შემცირებას აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სააღრიცხვო დოკუმენტაციაც.

ტყის მეურნეობაში სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის აღრიცხვა წარმოებს საბუღალტრო, სტატისტიკური და ოპერაციული აღრიცხვის წესით. აღრიცხვის ეს სამივე წესი წარმოადგენს აღრიცხვის ერთ მთლიან სისტემას, ისინი ურთიერთის გაგრძელებაა და საჭირო მონაცემებით ერთმანეთს ავსებენ.

საბუღალტრო აღრიცხვისათვის იყენებენ ფულად ერთეულს. ტყის მეურნეობაში გამოყენებული საბუღალტრო აღრიცხვა საშუალებას იძლევა ფულადი გამოსახულებით აღრიცხულ იქნეს წარმოების მატერიალური საშუალებები და მეურნეობის სამეურნეო ფონდები ბრუნვაში. საბუღალტრო ანგარიშებში მოცემულია აგრეთვე შესრულებული სამუშაოების თვითღირებულების ანგარიში, რაც შედარებული უნდა იქნეს გეგმასთან. ეს შედარება საშუალებას იძლევა გამორკვეულ იქნეს თვითღირებულების შემცირების დავალების შესრულების მდგომარეობა. ღირებულებითი აღრიცხვის შედეგად არკვევენ მეურნეობის მატერიალური საშუალებების მოძრაობას. საბუღალტრო აღრიცხვა ემყარება ანგარიშებს, ფაქტებს. სათანადო წესით გაფორმებული ანგარიშები მეურნეობის თვიური, კვარტალური და წლიური ბალანსების შედგენის საშუალებას იძლევიან. ბალანსებში მოცემულია თვიური, კვარტალური, წლიური გეგმების შესრულების მაჩვენებლები და გეგმების შესრულების პროცესში გაწეული დანახარჯები და საერთოდ საფინანსო მეურნეობის შედეგები.

თვიური, კვარტალური და წლიური ბალანსები არის სარკე, სადაც ნათლად მოჩანს მეურნეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები. ბალანსის მასალების ღრმად შესწავლის შედეგად, ზუსტად შეიძლება დადგინდეს მეურნეობის მდგომარეობა, მისი საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საბუღალტრო აღრიცხვის სწორი ორგანიზაციის საქმეს ხელმძღვანელობს ფინანსთა სამინისტროს ორგანოები და სათანადო სამეურნეო და საბიუჯეტო სამინისტროები და უწყებები.

ტყის მეურნეობისათვის შემუშავებულია საბუღალტრო აღრიცხვის ფორმები. სსრ კავშირის ყოფილი ტყის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული იყო საბუღალტრო აღრიცხვის ფორმები და 1950 წელს გამოცემულია ალბომის სახით. საბუღალტრო აღრიცხვის ალბომში მოცემულია 118 სხვადასხვა ფორმა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის დადგენილებით არსებული აღრიცხვის ფორმები საგრძნობლად შემცირდა, გამარტივდა და უფრო მეტად ოპერაციული გახდა.

საბუღალტრო აღრიცხვა რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება.

პირველ განყოფილებაში მოცემულია ძირითადი საშუალებების აღრიცხვის დოკუმენტაცია. საბუღალტრო აღრიცხვის ამ განყოფილებაში თავმოყრილია: ძირითადი საშუალებების მიღების აქტები, ინვენტარული ნომერაციის წიგნი; საინვენტარიზაციო წიგნი, ძირითადი ფონდების რაოდენობრივი აღრიცხვის ბარათები და სხვ.

მეორე განყოფილებაში აღრიცხულია მიღებული მასალები, ხე-ტყის პროდუქცია, ფართო მოხმარების საამქროების პროდუქცია, ტყის კულტურების თესლი და სხვ.

შემდეგ განყოფილებებში მოცემულია შრომისა და ხელფასის, კაპიტალური მშენებლობისა და რემონტის, ფულადი სახსრების ანგარიშები და სხვ.

ერთიან სოციალისტურ აღრიცხვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტატისტიკურ აღრიცხვას.

სტატისტიკური აღრიცხვა მოიცავს საწარმოო საქმიანობის რაოდენობრივ და თვისობრივ მაჩვენებლებს, ის არ კმაყოფილდება მარტო სააღრიცხვო ოპერაციებით, ფაქტების აღნიშვნით, ჩანაწერებით და სხვა, არამედ წარმოებს სტატისტიკური და საბუღალტრო აღრიცხვის მასალების ანალიზი, კეთდება საერთო დასკვნები, გამოიყვანება საერთო კანონზომიერებანი გამოვლინებული მოვლენების მიზეზობრივი კავშირის დასადგენად. სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად მიღებული მასალები სხვადასხვა ობიექტისა და სხვადასხვა ხასიათის ფაქტების მიმართ გამოიყენება, როგორც დამახასიათებლები. სტატისტიკური აღრიცხვის საფუძველზე ქვეყნდება თვიური, კვარტალური, წლიური, ხუთწლიური გეგმების შესრულების შედეგები.

სტატისტიკური აღრიცხვა საშუალებას იძლევა დავადგინოთ პირველადი სამეურნეო ერთეულის, სახალხო მეურნეობის დარგისა და საერთოდ ქვეყნის მასშტაბით სახალხო მეურნეობის განვითარების დინამიკა, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები, თვითღირებულების შემცირების შესაძლებლობანი, სოციალისტური დაგროვების ზრდა, მეურნეობაში არსებული ტექნიკის გამოყენების დონე და სხვა ეკონომიური მაჩვენებლები.

სტატისტიკური აღრიცხვის საქმეს სსრ კავშირში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, მისი ადგილობრივი ორგანოები და შესაბამისი სამინისტროები და უწყებები. ამჟამად ტყის მეურნეობებში მოქმედი ერთიანი სტატისტიკური აღრიცხვის ფორმები დამტკიცებულია ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. სტატისტიკური აღრიცხვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1954 წლის 8 ივნისს მიიღო სპეციალური დადგენილება. ამ დადგენილებით დასახულ იქნა კონკრეტული გზები აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესებისათვის. სამინისტროებმა და უწყებებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს ზემოაღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 8 ივნისის დადგენილება ითვალისწინებდა აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგებას, ამ დარგში არსებული პარალელიზმის ლიკვიდაციას და აღრიცხვა-ანგარიშგების საქმის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე ტყის მეურნეობაში შემცირდა სტატისტიკური აღრიცხვის ფორმები, მინიმუმამდე დაყვანილ იქნა აღრიცხვა-ანგარიშგების დარგში არსებული პარალელიზმი, შეწყდა ერთი და იგივე მონაცემების სხვადასხვა ფორმით აღრიცხვა და სხვ.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ შეიძლება ითქვას, რომ ტყის მეურნეობაში აღრიცხვის სისტემა შემდგომ გაუმჯობესებას არ საჭიროებს.

ტყის მეურნეობაში აღრიცხვას მეტად ართულებს დაფინანსებისა და ანგარიშსწორების ორი სისტემა: საბიუჯეტო და სამეურნეო.

ტყის მეურნეობაში, ფართო მოხმარების საამქროებისა და დამხმარე სასოფლო-სამეურნეო წარმოების გარდა, მთელი საქმიანობა დამყარებულია საბიუჯეტო დაფინანსებაზე და ამიტომ, ისე როგორც გეგმები, აღრიცხვა-ანგარიშგებაც ცალ-ცალკე დგება საქმიანობის ამ ორ ნაწილში.

საბიუჯეტო საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვა ამჟამად წარმოებს შემდეგი ფორმებით:

ფორმა № 1—სატყეო-საკულტურო სამუშაოების გეგმების შესრულების ანგარიში. ეს ფორმა დამტკიცებულია ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიერ 1954 წლის 28 აგვისტოს და დგება მხოლოდ მუშაობის წარმოების პერიოდისათვის ყოველი თვის ბოლოს და არა უგვიანეს შემდეგი თვის 4 რიცხვისა და ეგზავნება ტყის მეურნეობის ზემდგომ ორგანიზაციას. ფორმით გათვალისწინებული ზოგიერთი მონაცემი სამუშაოს შესრულების სეზონზე იგზავნება ტელეგრამით. ასე, მაგ. ტყის კულტურების რგვისა და თესვის, სანერგეებში კულტურების თესვის, კულტურების მოვლის (ერთჯერადზე გადაყვანით) იგზავნება ტყის მეურნეობის მიერ სამმართველოში აპრილისა და მაისის თვეებში დეკადურად თვის 1, 11 და 21 რიცხვებში. ანგარიში დგება ტყის მეურნეობის მიერ შესრულებული სამუშაოების წინა ანგარიშებზე დამატების წესით. თუ მუშაობა დაიწყო მარტში, მარტის თვის ანგარიშში შევა ამ თვეში შესრულებული სამუშაო, ხოლო აპრილის თვის ბოლოს შედგენილ თვიურ ანგარიშში შევა მარტსა და აპრილში შესრულებული სამუშაოები და ასე შემდეგ.

ფორმა № 2-ის მიხედვით ანგარიში დგება ნიადაგის მომზადების სამუშაოებზე ტყის კულტურების, სანერგეებისა და პლანტაციებისათვის 1 დეკემბრის მდგომარეობით და იგზავნება სამმართველოში 5 დეკემბერს. ანგარიში დგება ტყის მეურნეობაში წლის განმავლობაში ტყე-კულტურების, სანერგეებისა და პლანტაციების გაშენებისათვის შესრულებულ სამუშაოთა მიღების აქტების საფუძველზე.

ფორმა № 3-ს მიხედვით ანგარიში დგება მოვლითი და სხვა ჭრების ჩატარების შესახებ. კვარტალური ანგარიში პირველი თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით უნდა გაიგზავნოს კვარტალის დამთავრებიდან 8 დღის განმავლობაში ტყის მეურნეობის სამმართველოში. ყოველკვარტალურ ანგარიშში შეტანილი უნდა იქნეს მოვლითი და სხვა ჭრების მოცულობა, როგორც ფართობის მიხედვით, ისე მასის მიხედვით, რომელიც ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით. ამავე ფორმით აღირიცხება თვითდამამზადებელი ორგანიზაციებისა და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საამქროების მიერ ჩატარებული მოვლითი ან სხვა ჭრებით დამზადებული მერქნის მოცულობა ლიკვიდურ მასაში. ამავე ფორმით აღრიცხავენ ნაკვეთთაშორისო საზღვრების გაწმენდისა და ტყის გაწმენდის სამუშაოთა მოცულობას.

ფორმა № 4-ის მიხედვით დგება ანგარიში ტყეკაფების ფონდის მომზადების და გაცემის შესახებ. ეს ანგარიში დგება წელიწადში სამჯერ — 1 ივლისის, 1 აგვისტოს და 1 ოქტომბრის მდგომარეობის მიხედვით—5 ივლისს, 5 აგვისტოს, 5 ოქტომბერსა და იგზავნება მთავარ სამმართველოში. საალრიცხვო ფორმაში შეტანილი უნდა იქნეს ტყეკაფის ფონდი, რომელიც აღრიცხულია, გამოყოფილია დადგენილი წესით და უნდა გადაეცეს დამამზადებელს მომავალ წელს. ანგარიშში შეტანილი უნდა იქნეს აგრეთვე დამამზადებლების მიერ მიმდინარე წელს აუთვისებელი ტყეკაფები.

ფორმა № 5-ში მოცემულია ანგარიში ტყეკაფების დამამზადებლებზე გადაცემის შესახებ; დგება წელიწადში ერთხელ. ტყის მეურნეობები ამ ანგარიშს უდგენენ ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ ტყეკაფის ფონდის დამტკიცებიდან სამი თვის გავლის შემდეგ 10 დღის ვადაში. ანგარიშში აღნიშნული უნდა იქნეს დამამზადებლების მიხედვით ტყეკაფის ფონდის გაცემა ტყის ჯგუფების, საერთო მასისა და მათ შორის სამასალე და საშეშე მერქნის აღნიშვნით.

ფორმა № 7-ში მოცემულია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულების ანგარიში. აღნიშნული ფორმის მიხედვით ტყის მეურნეობა გზავნის ანგარიშს მთავარ სამმართველოში წელიწადში ორჯერ: პირველად პირველი მაისის მდგომარეობით 6 მაისს და მეორედ — 1 ივნისის მდგომარეობით 6 ივნისს. ჩატარებული ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოები ანგარიშში შეტანილი უნდა იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ ის მიღებულია ტყის მეურნეობის მიერ სათანადო აქტის მიხედვით.

ფორმა № 8-ს მიხედვით ანგარიში დგება წელიწადში ორჯერ; ამ ფორმას ტყის მეურნეობა მთავარ სამმართველოს უგზავნის პირველად პირველი მაისის მდგომარეობით ხუთ მაისს და მეორედ—პირველი იანვრის მდგომარეობით ხუთ იანვარს. ანგარიში მოიცავს ჭრის ადგილების გაწმენდისათვის ჩატარებული სამუშაოების მონაცემებს. გაწმენდილი ჭრის ადგილები მოცემულია ჰექტარობით. პირველ ანგარიშში შეტანილი უნდა იქნეს პირველ იანვრიდან პირველ მაისამდე შესრულებული სამუშაოები, ხოლო მეორე ანგარიშში—საანგარიშო წლის პირველ ჲანვრიდან ახალი წლის 1 იანვრამდე შესრულებული სამუშაოები.

ფორმა № 9— შედგება ორი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში მოცემულია თვითნებური ჭრებისა და ტყით სარგებლობის სხვა წესების დარღვევის ანგარიში, სახელდობრ: ტყით სარგებლობის წესების დარღვევათა რაოდენობა, მათ შორის ტყით სარგებლობის წესების დარღვევათა რაოდენობა მოსახლეობის მიერ და სხვ. ანგარიშში აღინიშნება მოქმედი საძირკვო გადასახადის ნიხრები აგრეთვე ტყით სარგებლობის წესების დარღვევით ზარალის ოდენობა მანეთობით.

მეორე განყოფილებაში იწერება ტყით სარგებლობის წესების დარღვევებზე შედგენილი საქმეების მოძრაობის ანგარიში. კერძოდ, რამდენი აღძრული საქმე მოისპო, რამდენი გადაეცა სასამართლოს და არბიტრაჟს, რამდენის საქმე იქნა განხილული სასამართლოსა და არბიტრაჟში, ნადირობის წესების დარღვევის შემთხვევების საერთო რაოდენობა. აღნიშნულ ანგარიშს

ტყის მეურნეობა უგზავნის ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს წელიწადში ორჯერ, პირველად—პირველი ივლისის მდგომარეობით ხუთ აგვისტოს და მეორედ—1 იანვრის მდგომარეობით 5 იანვარს.

ფორმა № 10-ის მიხედვით იგზავნება ტყის მეურნეობის მიერ მთავარ სამმართველოში ცნობები ტყის ხანძრების შესახებ. ცნობები დგება პირველი მაისის, პირველი ივლისის, პირველი სექტემბრისა და პირველი ოქტომბრის მდგომარეობით მომავალი თვის ყოველ 5 რიცხვში. ცნობაში აღინიშნება ხანძრის შემთხვევების რაოდენობა, ხანძრისაგან დაზიანებული საერთო ფართობი და მათ შორის ტყით დაფარული ფართობი.

ფორმა № 11-ით იგზავნება ცნობები ტყის ხანძრების შესახებ 1 ნოემბრის მდგომარეობით. ტყის მეურნეობა აღნიშნულ ცნობას გზავნის წელიწადში ერთხელ 10 ნოემბერს. ცნობაში ასახულია წლის განმავლობაში მომხდარი ხანძრების მონაცემები. სახელდობრ, ხანძრის ხასიათი, ხანძრისაგან დაზიანებული ფართობები, ზარალის სიდიდე და ხანძართან დაკავშირებით აღძრული საქმეების მოძრაობის მდგომარეობა.

ფორმა № 13-ის მიხედვით დგება ნახევარი წლის ანგარიში გამომუშავების ნორმების შესრულების შესახებ. ამ ანგარიშებს ტყის მეურნეობები ადგენენ წლის პირველი და მეორე ნახევრის დამთავრებისას და აგზავნიან სამმართველოში პირველს 10 ივლისს, ხოლო მეორეს—10 იანვარს.

ფორმა № 14-ის მიხედვით ტყის მეურნეობები ადგენენ ანგარიშებს ტრაქტორებისა და სპეციალური მანქანების რემონტის გეგმის შესრულების შესახებ. ანგარიში დგება წელიწადში ორჯერ. პირველ ანგარიშს ტყის მეურნეობა უგზავნის სამმართველოს 1 იანვრის მდგომარეობით 5 იანვარს და მეორე ანგარიშს 15 აპრილის მდგომარეობით 20 აპრილს.

ფორმა № 15-ის მიხედვით ანგარიშს ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების რემონტის გეგმის შესრულების შესახებ ტყის მეურნეობა აგზავნის ყოველთვიურად 1-ლ ოქტომბრიდან 1 მაისამდე პერიოდისათვის; ტრაქტორების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთების შესახებ ანგარიში იგზავნება ყოველი დეკადის ბოლოს ტელეგრაფით.

ფორმა № 1„ა“-ს მიხედვით ანგარიში დგება ტყის დამზადება-გამოზიდვის გეგმის შესრულების შესახებ. ანგარიში იგზავნება ტელეგრამით და ფოსტით ყოველი თვის 2 რიცხვში. ანგარიში ტელეგრამით იგზავნება დადგენილი შრიფტის მიხედვით, ხოლო ფოსტით—დადგენილი ფორმის მიხედვით.

ფორმა № 3 „ა“-ს მიხედვით ანგარიში დგება მერქნიანი და ბუჩქოვანი მცენარეების თესლების მოსალოდნელი მოსავლის შესახებ და იგზავნება თესლების დამზადების სადგურში წელიწადში სამჯერ: პირველი ყვავილობის პერიოდში, მეორე—ნაყოფის გამონასკვისას და მესამე—თესლების დამზადების წინ.

ფორმა № 16-ის მიხედვით ანგარიშს ტყის მეურნეობა ადგენს ყოველთვიურად და დადგენილ ვადებში უგზავნის ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს და სტატისტიკური სამმართველოს რაიონულ ინსპექტორს. ანგარიში სამი განყოფილებისაგან შედგება: პირველ განყოფილებაში მოცემულია საერთო პროდუქციის გეგმა და მისი შესრულება წარმოების საბითუმო ფა-

სებით. მეორე განყოფილებაში მოცემულია სასაქონლო პროდუქციის გეგმ და მისი შესრულების ანგარიში. მესამე განყოფილებაში მოცემულია მთავარი მზა ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატების გეგმა და მისი ფაქტობრივი გამოშვების ანგარიში სახეებისა და ხარისხის მიხედვით. ამ ანგარიშში შეიტანება როგორც საბიუჯეტო, ისე სამეურნეო წესით დამზადებული და გამოზიდული ხე-ტყე და, აგრეთვე, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საამქროების პროდუქცია.

ფორმა № 17-ის მიხედვით ტყის მეურნეობა ადგენს ანგარიშს მომუშავეთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ხარჯვის შესახებ. ანგარიში ყოველთვიურია და იგზავნება ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოში ყოველი თვის 7 რიცხვში. ანგარიში დგება ცალკე საბიუჯეტო და ცალკე სამეურნეო საქმიანობაზე. ანგარიშებს უკეთდება სათანადო წარწერები, თუ საბიუჯეტო საქმიანობისაა დაეწერება „ბიუჯეტი", თუ სამეურნეო საქმიანობისაა—„სამეურნეო ანგარიში". ანგარიშის ბოლო ნაწილში მოცემულია სამეურნეო წესით წარმოებულ კაპიტალურ დაბანდებაზე შრომისა და ხელფასის ფონდის გეგმის შესრულების მაჩვენებლები. ისე როგორც საბუღალტრო აღრიცხვის ფორმები, სტატისტიკური აღრიცხვის ფორმებიც განიცდიან სისტემატურ ცვლილებებს. ისინი თანდათანობით იკვეცებიან და უფრო მეტი ოპერაციული და მარტივი ხდებიან.

ოპერაციულ-ტექნიკურ აღრიცხვას მიმდინარე ინფორმაციის ხასიათი აქვს. ის საშუალებას აძლევს მეურნეობის ხელმძღვანელობას გაეცნოს ამა თუ იმ ღონისძიებების გატარების მდგომარეობას საჭირო დროის მონაკვეთში; ისე როგორც საბუღალტრო აღრიცხვას, ოპერაციულ აღრიცხვას საქმე აქვს ცალკეული პროცესების შესწავლასთან. მხოლოდ არა ფულადი გამოსახულებით, არამედ ნატურალური გამოსახულებით. სატყეო-საკულტურო ან სატყეო-სამეურნეო სამუშაოების გეგმის ყოველდღიური შესრულება შეგვიძლია გავიგოთ ოპერაციული აღრიცხვის შედეგად. ამ მიზნით ვსწავლობთ და სამუშაო დღის ბოლოს ვაჯამებთ ბრიგადების, რგოლებისა და ცალკეული შემსრულებლების მიერ სამუშაო დღის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოებს სატყეოებისა და უბნების მიხედვით. ასეთი აღრიცხვა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ საჭირო ზომები გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

საბუღალტრო, სტატისტიკური და ოპერაციულ-ტექნიკური აღრიცხვის ფორმების მიხედვით აღრიცხვის მასალების წარდგენა სათანადო ზემდგომ ორგანოებში წარმოებს მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში და წესის მიხედვით. აღრიცხვის ზოგიერთი ფორმა საუწყებო ხასიათს ატარებს, ზოგი კი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სისტემაში შედის. საარიცხვო ფორმების სწორად და გასაგებად შედგენას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რადგან ყოველგვარ გაუგებარ ან არასწორ მონაცემს გარკვეული დაბრკოლებები შეუძლია შექმნას სახალხო მეურნეობის აღრიცხვის დარგში. არასწორი მონაცემები შეუძლებელს ხდის დროულად გაირკვეს მეურნეობაში არსებული მდგომარეობა და ნამდვილი შეფასება მიეცეს მოვლენებს. არასწორი ცნობები არ აძლევს საშუალებას მეურნეობის ხელმძღვანელობას გაატაროს საჭირო ღონისძიებები·

მეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. არასწორი აღრიცხვის მონაცემები ვლინდება საინვენტარიზაციო აღრიცხვით, რევიზიებით, ერთიმეორესთან დაკავშირებული სააღრიცხვო მასალების ურთიერთშედარებით და სხვ. სააღრიცხვო დოკუმენტების არასწორი შევსებისათვის მოქმედი კანონის მიხედვით მკაცრად ისჯება უშუალოდ დამნაშავე პირები.

ტყის მეურნეობაში დადგენილი აღრიცხვა-ანგარიშგების მთავარ ამოცანას შეადგენს საანგარიშო პერიოდში ტყის ფონდში მომხდარი ცვლილებების ზუსტი აღრიცხვა, ტყის აღდგენა-განახლების დარგში გეგმის მიხედვით ჩატარებულ სამუშაოთა, ტყით პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებლობის ოდენობის, სახელმწიფო სატყეო შემოსავლის, ტყის დაცვის სამუშაოების. ფართო მოხმარების საამქროებში და დამხმარე სოფლის მეურნეობის სამუშაოებისა და მიღებული პროდუქციის აღრიცხვა, კაპიტალური დაბანდებებისა და საოპერაციო ხარჯების, მატერიალურ-ტექნიკური ფონდების. ძირითადი და საბრუნავი ფონდების აღრიცხვა და სხვ.

საბუღალტრო აღრიცხვის ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტი — წლიური ბალანსი — ტყის მეურნეობის მიერ წარდგენილი უნდა იქნეს ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოში საანგარიშო წლის დამთავრებიდან 20—25 დღის შემდეგ. ანგარიში განხილული უნდა იქნეს მთავარ სამმართველოს მიერ გამოყოფილი საბალანსო კომისიის მიერ და, ბალანსის ღრმა ანალიზის შედეგად, მუშაობის გაუმჯობესებისათვის დასახული ღონისძიებები გაფორმებული უნდა იქნეს სათანადო ბრძანებით. ბრძანებაში ნაჩვენები უნდა იქნეს ტყის მეურნეობის მიღწევები და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების ვადები. ასე მაგალითად: ბორჯომის ტყის მეურნეობის 1955 წლის წლიური ბალანსი საქართველოს ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოში წარდგენილი იყო დროულად. წლიური ბალანსი დასკვნისათვის გადაეცა საგეგმო-საფინანსო განყოფილებას. ბალანსის განხილვის შემდეგ ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოში წარდგენილ იქნა დასკვნა, სადაც აღნიშნული იყო:

1. საკუთარი შენატანების გეგმა (საოპერაციო ხარჯების) შესრულებულია 234,8 ათასი მან. ანუ 100%-ით.

2. საოპერაციო ხარჯებზე განკუთვნილი 623,0 ათას მანეთიდან ათვისებულია 620,2 ათასი მანეთი — 95,5%, აუთვისებელია 2,8 ათასი მანეთი.

3. სადებიტორო დავალიანება წლის დასაწყისიდან იყო 15,7 ათასი მანეთი. საანგარიშო პერიოდის ბოლოს არის 15,7 ათასი მანეთი; კრედიტორული დავალიანება წლის დასაწყისში იყო 11,0 ათასი მანეთი, ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოს კრედიტორული დავალიანება ლიკვიდირებულია მთლიანად.

4. ხელფასის ვადაგადასული დავალიანება მეურნეობაში არ არის.

5. კაპიტალურ დაბანდებებზე ბიუჯეტიდან თანხები არ ყოფილა დაშვებული.

6. კაპიტალურ შეკეთებებზე ბიუჯეტიდან დაშვებული იყო 150 ათასი მანეთი, რომელიც ათვისებულია მთლიანად.

7. მატერიალურ ფასეულობათა ნაშთები წლის დასაწყისიდან იყო 19,8 ათასი მანეთი, საანგარიშო პერიოდის ბოლოს დარჩა 13,3 ათასი მანეთი.

8. ხე-ტყის პროდუქციის ნაშთები წლის დასაწყისში იყო 108 ათასი მანეთის, საანგარიშო პერიოდის ბოლოს დარჩა 92 ათასი მანეთის.

9. ტყის მეურნეობის აპარატის შენახვის ხარჯები გეგმით დამტკიცებული იყო 482,1 ათასი მანეთი. გადამეტებით დახარჯულია 13,4 ათასი მანეთი, მათ შორის ხელფასი—8,6 ათასი მანეთი.

10. საწარმოო მუშების ხელფასის ფონდი დამტკიცებული იყო 125,6 ათასი მანეთი, ფაქტობრივად დახარჯულია 105,8 ათასი მანეთი.

11. საერთო საწარმოო ხარჯები ათვისებულია:

| დანახარჯების დასახელება | 1955 წლის | | შესრულებულია გეგმასთან შედარებით | |
|---|---|---|---|---|
| | გეგმა | ფაქტ. | მეტი | ნაკლები |
| ა) დარიცხვა ხელფასზე | 5308 | 4336 | — | 972 |
| ბ) დამატებითი ხელფასი | 2000 | — | — | 2000 |
| გ) დაქირავებული ტრანსპორტის ანაზღაურება და საკუთარი ტრანსპორტის შენახვა | 15000 | 13710 | — | 1290 |
| დ) შრომის დაცვა და უშიშროების ტექნიკა | 400 | 400 | — | — |
| ე) ოსტატების შენახვა | — | — | — | — |
| ვ) ინვენტარის შეძენა და შეკეთება | 2000 | — | — | 2000 |
| ზ) ქიმიკატებისა და ქიმ.-აპარატის შეძენა | — | — | — | — |
| თ) ტყე-კულტურების მუშაკების პრემიალური ანაზღაურება | — | — | — | — |
| ი) სასუქისა და მასალის შეძენა | — | — | — | — |
| კ) ევკალიპტისა და კორპის მუხისათვის მოწყობილობის შეძენა | — | — | — | — |
| ლ) კვალსათბურებისა და სათბურების შეკეთება | — | — | — | — |
| მ) სხვადასხვა ხარჯი | 12492 | 7116 | — | 5376 |
| სულ ხარჯები | 37200 | 25562 | — | 11638 |

სამეურნეო საქმიანობის დარგში აღნიშნული იყო:

1. რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 118%-ით. გეგმით გათვალისწინებული 81,4 ათასი მანეთის მოგების ნაცვლად მიღებულია 202,8 ათასი მან. მოგება ანუ გეგმის 249%. ნარჩენებიდან გამომუშავებული ფართო მოხმარების საგნების რეალიზაციიდან მიღებულია 558 ათასი მან. ანუ გეგმის 650%.

2. გაუმართლებელი დანაკარგები მეურნეობას არ ჰქონია.

3. საკუთარი და მასთან გათანაბრებული სახსრები 1955 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 122,4 ათას მანეთს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 106,1 ათასი მანეთისა.

4. ნორმირებული სახსრების ნაშთები ბალანსით შეადგენს 80,6 ათას მანეთს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 103,5 ათას მანეთისა.

5. სახელმწიფო ბანკის მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სესხებით მეურნეობას არ უსარგებლია.

6. მოგებიდან ბიუჯეტში შეტანის გეგმა 79,5 ათასი მან. რაოდენობით შესრულებულია 89,5 ათასი მანეთით.

7. სადებეტო დავალიანება წლის დასაწყისიდან იყო 13,5 ათასი მანეთი, საანგარიშო პერიოდის ბოლოს არის 1,7 ათასი მანეთი, ხოლო საკრედიტო დავალიანება წლის დასაწყისიდან იყო 11,5 ათასი მანეთი, საანგარიშო პერიოდის ბოლოს არის 14,0 ათასი მანეთი.

8. საფინანსო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინა:

| მაჩვენებლები | გეგმა | ფაქტ. | % |
|---|---|---|---|
| 1. სასაქონლო პროდუქციის გამოშვება . . . . . . | 539,2 | 521 | 96,6 |
| 2. პროდუქციის თვითღირებულება, მათ შორის გადამუშავების პროდუქციის თვითღირებულება . . | 453,3 | 438,4 | 96.[illegible] |
| 3. საერთო-საქარხნო ხარჯები . | 45,8 | 37,6 | 82.1 |
| 4. სავაჭრო ხარჯები . . | 38,2 | 37,1 | 97.[illegible] |

9. შრომა და ხელფასი:

| | საშ. სიობრივი რაოდენობა | | დარიცხული ხელფასის ფონდი ათას მანეთობით | |
|---|---|---|---|---|
| | გეგმა | ფაქტ. | გეგმა | ფაქტ. |
| 1. მუშები | 25 | 20 | 112 | 88,8 |
| 2. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი . | — | — | — | — |
| 3. მოსამსახურეები | 7 | 7 | 37,7 | 37,7 |
| 4. უმც. მომსახურე პერსონალი | — | — | — | — |
| 5. პრემიალური . | — | — | 6,5 | — |
| სულ. | 32 | 27 | 155,2 | 126,5 |

გეგმასთან ბალანსის სხვა ფაქტობრივი მაჩვენებლების შედარების შემდეგ მოცემულია საწარმოო-საფინანსო გეგმის მაჩვენებლების საერთო ანალიზი, დასკვნები და წინადადებები. ბალანსს წინასწარ უნდა იხილავდეს აგრეთვე მთავარი სამმართველოს სხვა განყოფილებები, როგორიცაა: ბუღალტერია, ტყის გაშენების, ტყის დაცვის და სხვ. განყოფილებები. აღნიშნული განყოფილებების დასკვნებს იხილავს ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ შექმნილი სპეციალური კომისია ან უშუალოდ სამმართველოს უფროსი სპეციალურ თათბირზე.

ბორჯომის ტყის მეურნეობის 1955 წლის ბალანსი მთავარი სამმართველოს მიერ განხილული იყო 1956 წლის 28 იანვარს. განხილვის შედეგად შედგენილ იქნა სპეციალური ოქმი:

## ო ქ მ ი № 24

### ბორჯომის ტყის მეურნეობის 1955 წლის საბიუჯეტო და სამეურნეო საქმიანობის წლიური ბალანსის განხილვისა და დამტკიცების შესახებ

ქ. თბილისი 28 იანვარი 1956 წელი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: ბორჯომის ტყის მეურნეობის მიერ 1955 წელს ჩატარებული სამუშაოების შესახებ როგორც საბიუჯეტო, ასევე სამეურნეო საქმიანობის ხაზით. ბორჯომის ტყის მეურნეობის 1955 წლის საბიუჯეტო და სამეურნეო საქმიანობის ბალანსების განხილვის შედეგად აღინიშნოს.

1. საბიუჯეტო საქმიანობის დარგში:

ტყის მეურნეობის დარგში: გავლითი ჭრები ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 85 ჰექტარისა, ჩატარებულია 40 ჰექტარზე, რეალიზაციის გარეშე დარჩენილია ტყეკაფზე 368 კუბ. მეტრი საშეშე ხე-ტყე.

ტყის კულტურების დარგში: ტყის ბუნებრივ განახლებაზე ჩატარებული სამუშაოები შესრულებულია 93,3%-ით, ნიადაგის მომზადება მომავალი წლის სანერგეებისათვის 21,5%-ით, დაღუპულია 0,27 ჰექტარი სანერგე, საოპერაციო ხარჯებზე განკუთვნილ თანხიდან აუთვისებელი დარჩა 2,8 ათასი მანეთი.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: ბორჯომის ტყის მეურნეობის 1955 წლის საბიუჯეტო და სამეურნეო საქმიანობა წარმოდგენილი ანგარიშებისა და საინვენტარიზაციო მასალების საფუძველზე ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. *

2. დამტკიცდეს ბორჯომის ტყის მეურნეობის დასკვნითი ბალანსი 1956 წლის პირველ იანვრისათვის შემდეგი მაჩვენებლებით:

ა) საბიუჯეტო საქმიანობის ხაზით—589915 მან. 51 კაპ.

ბ) სამეურნეო საქმიანობის ხაზით—461680 მან. 10 კაპ.

მ. შ. მოგება 207.265 მან. და 66 კაპ.

3. დაევალოს ბორჯომის ტყის მეურნეობის დირექტორს:

ა) უახლოეს ვადაში უზრუნველყოს 368 კუბ. მეტრი შეშის რეალიზაცია;

ბ) მომავალში აღარ დაუშვას სანერგეში ნერგების დაღუპვა და უზრუნველყოს სანერგეში ნერგების მაქსიმალური რაოდენობით მიღება;

---

* მხედველობაში მიღებულ იქნა საწარმოო და საფინანსო გეგმის შესრულება საქმიანობის მთელ რიგ დარგებში.

გ) ზუსტად გაატაროს ტყის მეურნეობისა და მინდორსაცავი ტყის გაშენების მთავარ სამმართველოს მიერ დასკვნებში მოცემული ღონისძიებები.

ოქმს თან ერთვის მთავარი სამმართველოს განყოფილებების მიერ ბალანსის განხილვის შედეგად შედგენილი დასკვნები და წინადადებები.

ბალანსის განხილვის ყველა დოკუმენტის საფუძველზე ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ გამოცემული იყო ბრძანება, სადაც აღნიშნულია 1955 წლის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის სრული ანალიზი და მომავალში მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ზემდგომი ტყის მეურნეობის ორგანოების გარდა, ტყის მეურნეობის ანგარიშების შემოწმებას აწარმოებს სტატისტიკური სამმართველოს, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო და სპეციალური ბანკის ორგანოები. ეს ორგანოები ადგილზე შემოწმების გარდა, საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვენ მეურნეობიდან სააღრიცხვო მონაცემებთან დაკავშირებულ ახსნა განმარტებებს. აღნიშნული ორგანოების დასკვნები და შენიშვნები აღრიცხვა-ანგარიშგების მასალებზე ეგზავნება როგორც მეურნეობას, ისე ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს. მეურნეობა ვალდებულია გაატაროს კონკრეტული ღონისძიებები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მიღებული ზომების შესახებ აცნობოს მათ.

## VIII. სატყეო შემოსავალი

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო ტყეებზე კერძო საკუთრება და ის საერთო სახალხო-სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა. თუ ოქტომბრის რევოლუციამდე მიწა, ტყე და, საერთოდ, საწარმოო საშუალებები გამოყენებული იყო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისათვის, საბჭოთა მთავრობის 1917 წლის 8 ნოემბრის დეკრეტით სამუდამოდ გაუქმდა ტყეებზე კაპიტალისტურ-ფეოდალური საკუთრება და ის, როგორც ქვეყნის ნაციონალური სიმდიდრე, გადაქცეულ იქნა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ საშუალებად. ტყე გახდა გამარჯვებული, თავისუფალი ხალხის ხელში მატერიალური დოვლათის წარმოების მნიშვნელოვან წყაროდ და მან უაღრესად დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის გაძლიერებისა და განმტკიცების საქმეში.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო კაპიტალისტური წარმოებისათვის დამახასიათებელი საწარმოების ანარქია, მეურნეობის სტიქიურობა და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გეგმაზომიერ-პროპორციულ განვითარებას. საბჭოთა მთავრობის გადაუდებელ ამოცანას შეადგენდა მემამულეების, კაპიტალისტებისა და მძიმე ომების შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანებული ტყის მეურნეობის აღდგენა და მისი სოციალისტური განვითარება. ამ მიზნით საჭირო თანხების მიღებისათვის საბჭოთა მთავრობის მიერ დაწესებული იყო სხვადასხვა ორგანიზაციის, დაწესებულებისა და ერთპიროვნული მომხმარებლებისათვის სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე სხვადასხვა სახის სარგებლობისათვის საფასური. საფასური

დადგენილი იყო როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი სარგებლობისათვის. ტყის ფონდით სხვადასხვა სახის სარგებლობისათვის მიღებული თანხები სატყეო შემოსავლის სახელწოდებით შედიოდა სახელმწიფო ბიუჯეტში; აღნიშნული თანხის ნაწილი იხარჯებოდა ტყის აღდგენა - განახლებისა და დაცვის სამუშაოებზე, ნაწილი კი ხმარდებოდა სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას.

რევოლუციის პირველ ხანებში თუმც დიდი მასშტაბით წარმოებდა სატყის ძირზე უფასო და შეღავათიანი გაცემები, მაგრამ სატყეო შემოსავალს მაინც მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა ჰქონდა ახალგაზრდა საბჭოთა მთავრობის ბიუჯეტში. ასე, მაგალითად, 1923/24 წელს სატყეო შემოსავალი უდრიდა 31,9 მილიონ მანეთს, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის 3,6%-ს.

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და ინდუსტრიალიზაციაზე გადასვლის პერიოდში საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები სატყეო შემოსავლის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

1925 წლის 5 აპრილს საბჭოთა მთავრობის მიერ მოხდა საძირკვო გადასახადის ნიხრების გადასინჯვა საექსპლოატაციოდ დაშვებულ რაიონებში მერქნის დამზადებისა და სატყეო შემოსავლის მაქსიმალურად გადიდების მიზნით. ამ ღონისძიების საფუძველზე მნიშვნელოვნად გადიდდა სატყეო შემოსავალი. თუ ის 1924/25 წლებში შეადგენდა 174,8 მილ. მანეთს, 1925/26 სამეურნეო წელს 210,4 მილ. მანეთს, 1926/27 წლებში ის გაიზარდა 215,9 მილიონ მანეთამდე. 1923/24 წლებთან შედარებით 1926/27 წლებში სატყეო შემოსავალი გაიზარდა 675%-ით.

1928/1932 წლებში გატარდა მთელი რიგი ორგანიზაციული ცვლილებები ტყის მეურნეობაში. ამ ღონისძიებებთან ერთად სატყეო შემოსავალშიაც ზოგიერთი ცვლილება მოხდა. ხე-ტყის პროდუქციაზე მოთხოვნილებების კოლოსალურ ზრდასთან დაკავშირებით, ხე-ტყის დამამზადებლებისათვის ხელსაყრელი მატერიალური პირობების შექმნის მიზნით, სახელმწიფო ძირითად ი ხე-ტყის დამამზადებლები სრულიად განთავისუფლებული იყვნენ საძირკვო გადასახადებისაგან. ამ შეღავათით მოსარგებლე ორგანიზაციების რაოდენობა 1949 წლის მონაცემების მიხედვით 73-ს უდრიდა. სამამულო ომის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა სატყეო სამუშაოები. დიდი მასშტაბით დაწყებული იყო მინდორსაცავი ტყის ზოლების მშენებლობა და გერმანელი ფაშისტების მიერ, სსრ კავშირის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე განადგურებული ტყეების აღსადგენად. ამ სამუშაოების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით, სსრ კავშირის მთავრობამ 1948 წლიდან გააუქმა თვითდამამზადებლებზე ხე-ტყის ძირზე უფასოდ გაცემა და 1950 წლის 30 ივნისის დადგენილებით ძალაში შეიყვანა სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებიდან ძირზე გაცემულ მერქანზე საძირკვო გადასახადის ახალი ნიხრები. 1950 წლამდე მოქმედი ნიხრები არ იყო დიფერენცირებული ადგილმდებარეობისა და ხე-ტყის ზიდვის მანძილის მიხედვით. საძირკვო გადასახადის ასეთი სისტემა იწვევდა ტყეში ტყის ექსპლოატაციის არასწორ გადაადგილებას. დამამზადებლების ერთი ჯგუფი, რომელიც თავისუფალი არ იყო საძირკვო გამოსაღების გა-

დახდისაგან, ყოველმხრივ ცდილობდა ტყეკაფი მიეღო უკვე ათვისებულ ტყის მასივებში, რადგან ათვისებულ და აუთვისებელ ტყის მასივებში ერთი და იგივე საძირკვო გადასახადს იხდიდნენ. დამამზადებლების მეორე ჯგუფი, რომელიც თავისუფალი იყო საძირკვო გადასახადისაგან, ყოველმხრივ თავს არიდებდა აუთვისებელ მასივებში ტყის ექსპლოატაციას, რადგან ათვისებულ რაიონში მას უფრო იაფი უჯდებოდა ტყის დამზადება-გამოზიდვა. საძირკვო გადასახადის ეს არასწორი სისტემა გაუქმებულ იქნა. 1950 წლის 30 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საძირკვო გადასახადის ნიხრები ითვალისწინებენ, ტყეების გეოგრაფიულ გადაადგილებასთან ერთად, ზიდვის მანძილს, ძირითად ასორტიმენტსა და ჯიშს.

საძირკვო გადასახადი წარმოადგენს სატყეო შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ სახეს. საძირკვო გადასახადს იხდის ტყის დამამზადებელი გარკვეული ჯიშისა და ასორტიმენტის მერქნის ძირზე მოჭრის უფლების მოპოვებისათვის. ტყის ფონდის გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოებისათვის აუცილებელია ასეთი შემოსავლის მიღება, რადგან ტყის გაშენებას, მოვლა-დაცვას სათანადო სახსრები ესაჭიროება, ეს მრავალმხრივი სამუშაოები კი მოითხოვენ მტკიცე დაფინანსების წყაროს სატყეო შემოსავლის სახით. საძირკვო გადასახადისა და სხვა სახის სატყეო სარგებლობისათვის დაწესებული ნიხრები მაქსიმალური მიახლოებით გამოსახავენ მოსაჭრელად განკუთვნილი ხნოვანებისა და კიდიდის ხის ბუნებაში ზისაღებად საჭირო ხარჯებს. ამრიგად სოციალისტური მეურნეობის პირობებში სატყეო შემოსავალი წარმოადგენს სსრ კავშირის ტყის ფონდის გაფართოებული კვლავწარმოების ფულადი სახსრების წყაროს.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1951 წლის 27 დეკემბერს ინსტრუქციის მიხედვით, სახელმწიფო შემოსავლის სახეებია:

1. მერქნის გადასახდელი, რომელიც მიიღება ხე ტყის გაყიდვიდან ძირზე, ქარქცეული, ქარტეხილი, მკვდარი ნაყარი მერქნისა და ხე-ტყის მეორეხარისხოვანი მასალის (როკის, ფიჩხის, ხმიხის, საახალწლო ნაძვის ხის, დასაწნავი წნელის, ცაცხვისა და ტირიფის ქერქის, ჭანჭყატის, თელის, ღვიილის, ბარასის, ნაძვის კევის, ძირკვის, სოჭის თათის, თხილისა და სხვა) გაყიდვიდან და, აგრეთვე, დამამზადებელთა მიერ ხე-ტყის დამზადებისას ტყეკაფზე (ჭრის ფართობზე) დატოვებული და ხე-ტყის გატანის ვადის გასვლის შემდეგ ტყის საჭრელი ბილეთით ან ორდერით გაცემული ნარჩენების გაყიდვიდან.

2. ტყის მეურნეობის სანერგეების მიერ (რომელნიც არ იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე) ტყის კულტურის, დეკორაციული ნაყოფისა და კენკრის მომცემი სანერგე მასალის გაყიდვიდან მიღებული თანხები და, აგრეთვე, ტყის მეურნეობის მიერ მიღებული თანხები დამზადებული მერქნის, ნაყოფიანი და ბუჩქნარის ჯიშის თესლის რეალიზაციიდან.

3. სახელმწიფო ტყეების ტერიტორიიდან ხე-ტყის საწყობებისა და სატივეებისათვის და, აგრეთვე, სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში საერთო გავრცელებული მთამადნეულის (ქვიშის, თიხის, ქვის, ხრეშის და სხვა), ტორ-

ფის მოპოვების მიზნით მიწის ნაკვეთების გაცემიდან მიღებული გადასახდელი და ტყით სხვა იმ არაპირდაპირი სარგებლობიდან შემოსავალი, რაზედაც დაწესებულია გადასახდელის გადახდა.

4. თანხა, რომელიც მიიღება ხე-ტყის დამამზადებელთა მიერ ტყეში დატოვებული ხე-ტყის პროდუქციის გაყიდვიდან ტყის საჭრელ ბილეთებში ან ორდერებში აღნიშნული ხე-ტყის გატანის ოპერაციათა ვადებისა და განვადებათა გასვლის შემდეგ და, აგრეთვე, სეკვესტრირებული და უპატრონო მერქნის რეალიზაციიდან.

5. თანხა, მიღებული იმ ხე-ტყის პროდუქციის რეალიზაციიდან, რომელიც შეძენილია ტყის მომხმარებელთა მიერ ხე-ტყის დამამზადებელთაგან, რომელთა სახელზედაც იყო გამოწერილი ტყის საჭრელი ბილეთები ან ორდერები ფრანკო-ტყე და არ იყო ტყიდან გამოზიდული ხე-ტყის მომხმარებლების მიერ ტყის საჭრელ ბილეთებში ან ორდერებში აღნიშნულ ვადებში, გამოსაზიდად მიცემულ განვადებათა მხედველობაში მიღებით.

6. თანხა, მიღებული 1 მაისის შემდეგ ტყეკაფებზე და ტყეში არსებულ საწყობებში ხე-ტყის დამამზადებელთა მიერ იმ გაუქერქავად დატოვებული წიწვიანი და ფოთლოვანი (გარდა ვერხვისა) სამასალე მერქნისა და სახელმწიფო სტანდარტის თანახმად დაუპობელ შეშის რეალიზაციიდან, რაც ჩამორთმეულია ხე-ტყის დამამზადებლებისაგან.

7. თანხა, რომელიც მიღებულია უკანონოდ მოჭრილი მერქნისა და, აგრეთვე, ტყით არაპირდაპირი სარგებლობის დროს უკანონოდ მოპოვებული პროდუქციისა (თიბვა და სხვა) და მეორეხარისხოვანი ტყის მასალების (ფისისა და კუპრის გამოხდა, ლაფანის, ხრალის, არყის ქერქის, ღვილის, ბარასისა და ნაძვის კვის მოპოვება) რეალიზაციიდან იმ შემთხვევაში, როდესაც ტყისა და სხვა წესების დამრღვევები არ არიან აღმოჩენილნი, ან გამართლებულნი არიან სასამართლოს მიერ, ან კიდევ, სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის ნაჩვენები უკანონოდ მოჭრილი მერქნის, ტყით არაპირდაპირი სარგებლობის პროდუქციისა და ტყის მეორეხარისხოვანი მასალების კონფისკაციის შესახებ.

8. სასამართლოს მიერ რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 85 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების საფუძველზე ან ჩამორთმეული ტყის მასალების რეალიზაციიდან და, აგრეთვე, გამოვლინებული ტყის წესების დამრღვევთა მიერ თვითნებურად (უბილეთოდ) მოთიბული ბალახის (თივის) გაყიდვიდან მიღებული თანხის 77,5%. მიღებული თანხის დანარჩენი 22,5% გადაირიცხება ტყის დაცვის მუშაკთა პრემიალურ ფონდში.

9. თანხა, მიღებული ხე-ტყის დამამზადებელთა მიერ ტყეში აგებულ დროებით საცხოვრებელ, საწარმოო და სამეურნეო შენობებისა, საწარმოო ნაგებობისა, მერქნის დახარისხებისა და დამუშავებისათვის დანარიცხებისა და მოწყობილობის გაყიდვიდან, რაც არ არის მათ მიერ აღებული ერთი

წლის ვადაშა დღიდან ტყის საჭრელ ბილეთებში აღნიშნული მერქნის გადატანის ვადების გასვლისა, და რაც არ იყო გამოყენებული ტყის მეურნეობათა მიერ თავის საჭიროებისათვის, გამოტანისათვის მიცემულ განვადებათა მხედველობაში მიღებით.

10. ტყის მეურნეობისათვის მიყენებული ზარალისა და ზიანისათვის პირგასამტეხლოს თანხა, რაც გადახდებათ გამოუკლებლად ტყის წესების ყველა დამრღვევსა და დამამზადებელს სახალხო სასამართლოებისა და სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებით ტყის წესების დარღვევისათვის და საკავშირო მნიშვნელობის ტყეებში ხე-ტყის ძირზე გაცემის წესებისა და სსრ კავშირის ტყეებში თიბვისა და პირუტყვის მოძოვების წესების დარღვევისათვის; ამ თანხასვე მიეკუთვნება მოსახლეობის მიერ ტყის უკანონოდ ჭრის ან დატაცებით მიყენებული ზიანისათვის გადასახდელი თანხა, და, აგრეთვე, გადასახდელი თანხა ტყის წესების ყველა დარღვევისათვის, რაც ჩადენილია სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების მქონე ტყის მეურნეობების მიერ. ტყის დაცვის მუშაკთა პრემიალურ ფონდში ანარიცხები ჩამოთვლილ თანხებიდან არ წარმოებს.

11. 92,5% იმ ჯარიმის თანხისა, რომელიც გადახდებათ ტყის წესების დამრღვევებს (როგორც სასჯელის ზომა) სასამართლო პასუხისმგებლობის წესით რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 85 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების საფუძველზე და, აგრეთვე, სსრ კავშირის ტყეებში თიბვისა და საქონლის მოძოვების წესების დარღვევისათვის. მიღებული თანხების დანარჩენი 7,5 % გადაირიცხება ტყის დაცვის მუშაკთა პრემიალურ ფონდში. ტყის დაცვის მუშაკთა პრემიალურ ფონდში არ წარმოებს ანარიცხები ჯარიმების იმ თანხიდან, რაც გადახდევინებული იქნება სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების მქონე თვით ტყის მეურნეობათა მიერ ჩადენილ ასეთივე დარღვევისათვის; ამ შემთხვევაში გადახდევინებული თანხა მთლიანად ჩაირიცხება ბიუჯეტში, როგორც სატყეო შემოსავალი.

12. ჯარიმის თანხა, რაც გადახდებათ ხე-ტყის დამამზადებლებსა და მოსახლეობას სსრ კავშირის ტყეებში ხანძრის უშიშროების წესების დარღვევისათვის; ჯარიმის გადახდევინება ხდება—„სსრ კავშირის ტყეებში ხანძრის უშიშროების წესების დარღვევისათ-ვის ფულადი ჯარიმების დადებისა და გადახდევინების შესახებ"—თანახმად; ამავე თანხაში შედის საკოლმეურნეო ტყეებში ხე-ტყის თვითნებურად ჭრისათვის სახალხო სასამართლოს მიერ დადებული ჯარიმა, როგორც სასჯელი ზომა.

13. საურავი, რაც გადახდებათ ხე-ტყის ყველა დამამზადებელს უკლებლივ, მათ შორის ცალკეულ მოქალაქეთაც, დადგენილი წესით დამზადებული ჭერ-

ქნის გამოზიდვის ოპერაციებზე მიცემული განვადებისა და, აგრეთვე სატყეო შემოსავლის ბიუჯეტში არა თავის დროზე შეტანისათვის.

14. საურავი, გადახდევინებული ტყის მეურნეობებიდან სპეცამკრეფთა სალაროებში შემოსული სატყეო შემოსავლის აკრეფილი თანხების სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში არა თავის დროზე ჩაბარებისათვის და, აგრეთვე, საურავი, რაც გადახდება საკრედიტო დაწესებულებებს სატყეო შემოსავლის გადამხდელთა საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებიდან ბიუჯეტის ანგარიშზე გადასახდელთა არა თავის დროზე (დადგენილ ვადებზე გვიან) გადარიცხვისათვის.

15. საგირაო თანხა, რაც შემოსულია ადგილობრივ მოსახლეობიდან (ცალკეულ მოქალაქეთაგან) ტყეკაფის გაწმენდის ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად და ტყის მეურნეობების მიერ დაუბრუნებელი, მათ მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

16. ამ ინსტრუქციის 1-ლ და 15-ე მუხლებში ჩამოთვლილი სატყეო შემოსავლის მთელი თანხა (100 % ოდენობით), შემოსული იმ ტყეებიდან, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების სხვა მქონებელთა გრძელვადიან სარგებლობაში, გარდა სსრ კავშირის ტყის მეურნეობისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველოს ტყის მეურნეობებისა.

17. ანარიცხები ტყის გამოზიდვისათვის ძირითად ხე-ტყის დამამზადებლებისაგან 10 კაპიკის ოდენობით მერქნის თითოეულ მკვრივ კუბურ მეტრზე, რაც გამოზიდულია ტყიდან ან მიზიდულია მექანიზებულ ან გატანის რაციონალიზებულ გზებთან (მათ შორის ცხენით გამოთრევის წესით) ან დაცურების პუნქტებიდან კოლმეურნეობისა და მოსახლეობის დაქირავებული და, აგრეთვე, სხვა ორგანიზაციათა ტრანსპორტით.

სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სსრ კავშირის ტყეები დაყოფილია 7 სატყეო სანიხრო ზონად. სახელობრ:

1. სამხრეთის ზონის ტყეები, რომელთაც მიეკუთვნება ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, საქართველოს სსრ ვაკის ტყეები, მოლდავეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, თურქმენეთის სსრ ტყეები, ყაზახეთის სსრ ვაკის ტყეები, აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის მდინარე ირტიშის მარჯვენა ნაპირს გარდა, უკრაინის სსრ ვაკის ტყეები, გარდა ვალინის, დროგობიჩის, ჟიტომირის, ზაკარპატიეს, ლვოვის, როვნოს, სტანისლავის, ტარნოპოლის და ჩერნოვიცის ოლქებისა. ასტრახანის, ვორონეჟის, კურსკის, ორიოლის, სარატოვისა და სტალინგრადის ოლქების ტყეები. დაღესტანის ასსრ, ყაბარდოს ასსრ, ჩრდილო ოსეთის ასსრ, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, გროზნოს და ყირიმის ოლქების ვაკის ტყეები, დაღესტნის ასსრ მთის ძირის ტყეები, ბუინაკსის, კაიტაგსკის, სერგოკალინსკის, აკუშინსკის, ლევაშინსკის, ტაბასარანსკის, კაზბეკოვსკის ყარაბუღაზკენსკის, ყიზილ-იურტის, კაიკენტსკის, დერბენტის, კასუმკენტსკის რაიონების ტერიტორიაზე.

აღნიშნული ტყეების გარდა, სამხრეთის სატყეო სანიხრე ზონას მიკუთვნებულია სსრ კავშირის მთელი დანარჩენი ტერიტორიის ტყეები, რომლებიც სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 23 აპრილის დადგენილებით მიკუთვნებუ-

ლია პირველ ჯგუფზე და, აგრეთვე, საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ მთის ტყეები (საკურორტო, დაცვითი, სამრეწველო საწარმოებისა და ქალაქების გარშემო მწვანე ზონები) საქართველოს სსრ და კრასნოდარის მხარის ტყეები, რომლებიც გაადგილებულია 40 კილომეტრიან ზღვისპირა ზოლში.

2. ტყიანი ველის ზონაში შედის: უკრაინის სსრ ვალინის, ჟიტომირის, ლვოვის, როვნოს, ტერნოპოლის ოლქების ტყეები, დროგობიჩის, ზაკარპატიის, სტანისლავის და ჩერნოვიცის ოლქების ვაკის ტყეები, ბელორუსიის სსრ—ბარანოვიჩის, ბრესტის, ვიტებსკის, გომელის, გროდნოს, მაგილევის ოლქების და პალესიის ოლქის კომარინის ტყის მეურნეობის ტყეები, კუიბიშევის, რიაზანის, ტამბოვის, ტულისა და ჩკალოვის ოლქების ტყეები, ბრიანსკის ოლქის ტყეები, გარდა ბრიანსკის, დიატკოვის, ჟუკოვსკის, კარაჩევის, კლეტნიანსკის, მგლინსკის, ნავლინსკის, სევსკის, სუზემის რაიონებისა და ტრუბჩევსკის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილისა.

პენზის ოლქის ტყეები, გარდა სალტიკოვის რაიონისა და მდინარე სურისა და უზის აღმოსავლეთით მდებარე რაიონებისა: გოროდიშჩენსკის, კამეშკირის, კუზნეცკის, ნიკალო-პეტროვსკისა ნევერკინსკისა და სოსნოვო-ბორსის, ჩადაევის, ტერნოვისა და ბესონოვის, ბალშე-ვიაცკის, ლენინის, ლოპატინის და შემიშეისკის რაიონების აღმოსავლეთ ნაწილებისა.

სმოლენსკის ოლქის ტყეები, ერშინსკის, კასპლიანსკის, კრასნინსკის, მონასტირშინსკის, პოჩინკოვსკის, როსლავსკის, რუდნიანსკის, სმოლენსკის, სტოდოლიშჩენსკის, ხისლავიჩისა და შუმიაჩის რაიონებში.

ჩუვაშეთის ასსრ ტყეები ალიკოვსკის, კრასნოარმეისკის, კაზლოვსკის, ოქტიაბრსკის, სოვეტსკის, ურმარის, ცივილსკის, შიხაზანსკის, მორგაუშის, ჩურაჩინსკის, იალჩისკისა და იმლეისკის რაიონების ტერიტორიაზე გარდა უკანასკნელი რაიონის იმ ტყეებისა, რომლებიც მდებარეობენ მდინარე ვოლგის მარცხენა ნაპირზე.

ვლადიმირის ოლქის ტყეები მურომის, ლიახოვის, ნებილოვსკის რაიონებში, სუზდალის რაიონის დასავლეთ ნაწილში, სტავროვსკის რაიონში მდებარე ვორჟის აღმოსავლეთით და იურევ-პოლსკის რაიონში ტრაქტის სიმაგავრილოვ-პასადის სამხრეთით.

ჩელიაბინსკის ოლქის ტყეები, ბურინსკის, კულჟევსკის, კუნაშაკსკის, ოქტიაბრსკის, უველსკისა და არგაიშსკის რაიონებში, გარდა კუზნეცკის სატყეოსა.

3. სამხრეთის მთის ტყეების ზონაზე მიკუთვნებულია: აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ ტყეები (გარდა პირველ სამხრეთ ზონაზე მიკუთვნებულ ტყეებისა). საქართველოს სსრ (გარდა პირველ სამხრეთ ზონაზე მიკუთვნებულ ტყეებისა), ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ მთის ტყეები. უკრაინის სსრ დროგობიჩის, ზაკარპატის, სტალინსლავისა და ჩერნოვიცის ოლქების მთის ტყეები.

ყაზახეთის სსრ მთის ტყეები, გარდა აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის მდინარე ირტიშის მარჯვენა მხარის ტყეებისა.

დაღისტნის ასსრ, ყაბარდოს ასსრ, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ, კრასნოდარის (გარდა პირველ სამხრეთ ზონაზე მიკუთვნებულ ტყეებისა), სტავროპოლის მხარეების, გროზნოსა და ყირიმის ოლქების მთის ტყეები.

4. ცენტრალური ზონის ტყეებზე მიკუთვნებულია: ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ ტყეები, ბელორუსიის სსრ ბობრუისკის, მინსკის, ბერეზინსკის სახელმწიფო ნაკრძალის ტყეების ჩართვით, მოლოდეჩნენსკის, პინსკის, პალესიეს და პოლოცკის ოლქების ტყეები.

კარელია-ფინეთის ასსრ კურკიიოკის რაიონის და ნაწილი სარტავალის რაიონის ტყეები, მეორე ჯგუფის ტყეების საზღვრებში.

მოლდავეთის ასსრ და ჩუვაშეთის ასსრ ტყეები, გარდა მეორე ჯგუფში, შემავალ ჩუვაშეთის ასსრ ტყის ტერიტორიისა.

მოსკოვის, ივანოვის, კალინინის, კალინინგრადის, კალუგის, პსკოვის, ულიანოვსკის, იაროსლავის, ველიკოლუკისა და ნოვგოროდის ოლქების ტყეები.

ბრიანსკის, პენზის, სმოლენსკისა და ვლადიმირის ოლქების ტყეები მეორე ზონის შემადგენლობაში შემავალი მათი ნაწილის გამოკლებით. ლენინგრადის ოლქის ტყეები, ვინიცის რაიონის გამოკლებით.

ვოლოგდის ოლქის: უსტიუჟენის, ბაბაევის, ჩერეპოვეცის, პრიშექსნინის, უფომის მიაკსინის, პეტრინევის, კირილოვის კადუის, ლეჟის, ბელოზერის გრიაზოვეცის, ჩებსარის, კუბენო-ოზერსკის, ვოლოგდის, მეჟდურეჩენის, სოკოლსკის, უსტ-კუბინისა და ჩაგოდოშენის რაიონების ტყეები.

გორკის ოლქის ტყეები, გარდა ველტუჟის, კალინინის, ტონჟაევის, ურენსკისა და ხმელევიცკის რაიონების ტყეებისა.

სვერდლოვის ოლქის: ბელოიარსკის. ბუტკინის, ზაიკოვსკის, ევორშინის, ელანის, ირბიტის, კამენსკის, კამიშლოვსკის, კრასნოპოლინსკის, კრასნოეფიმის, მახნევის, ნევიანსკის, პოკროვსკის, პიშმინსკის, რეჟევსკის, სუხოლოჟის, ტალიცკის, საქალაქო ალაპაევის, არტინის, საქალაქო ასბესტოვსკის, აჩიტის საქალაქო ბერიოზოვსკის, საქალაქო ვერხნე პიშმინის, საქალაქო ვერხნე სალდინის, საქალაქო კიროვოგრადის, კოპტელოვის, მანჩაჟის, ნიჟნე-სალდინის, საქალაქო ნიჟნე-ტაგილის, საქალაქო პალევსკის, საჟინსკისა და ტუგილომსკის რაიონების ტყეები.

ბაშკირეთის ასსრ ტყეები, გარდა აბზელილოვსკის, ბაიმაკსკის, ზილაირსკის, მატრაევსკის, ზიანჩურინსკის, აბზანოვსკის, კუგარჩინსკის, უჩალინსკისა და ხაიბულინსკის რაიონების ტყეებისა. ყურგანის ოლქის ტყეები, შატროვსკის რაიონის გამოკლებით, ნოვოსიბირსკის ოლქის, კიშტოვსკის, მიხაილოვსკის, სევერნისა და პიხტოვსკისა რაიონების გამოკლებით.

ჩელიაბინსკის ოლქის ტყეები, გარდა მეორე ზონის შემადგენლობაში შემავალი და კატევის, კუზნეცკის, მიასკის, მინიარსკისა და ნიაზეპეტროვსკის რაიონებისა.

ტიუმენის ოლქის: ბოლშერეჩენსკის, ძერჟინსკის, კოლოსოვის, კრუტინსკის, სარგატის, სოლდატსკის, ტარსკის, ტიუკალინსკისა და ნაზივაევსკის რაიონების ტყეები.

ალტაის მხარის ტყეები, გარდა ელცოვსკის, ზალესოვსკის, ზმეინოგორსკის, სოროკინის, სტარობარდინის, ტოგულსკის, ჩრიშსკის რაიონებისა და გორნო-ალტაის ავტონომიური ოლქის ტყეებისა.

კემეროვის ოლქის ტყეები, გარდა ბარზასკის, კრაპივინსკის, კუზედეევსკის, მისკოვსკის, ტაშტაგოლსკის, ტისულსკის, ტროიცკისა და ჩებულინსკის რაიონების ტყეებისა.

კრასნოიარსკის მხარის ტყეები: აჩინსკის, ბალახნინსკის, ბეროზოვსკის, ბოგოტოლსკის, ბოლშე-ულუისკის, ემელიანოვსკის, კანსკის, კარატუზის, კრასნოტურანსკის, კურანინსკის, ნაზაროვსკის, ნოვოსელოვსკის, რიბინსკის, სოვეტსკის, უჟურსკის, უარსკის რაიონების ტყეები, აგრეთვე ხაკასკის ოლქის უსტ-აბაკანის რაიონის ტყეები.

ამის გარდა, მეორე ჯგუფის ტყეები, პირველ სამ ზონაზე მიკუთვნებული ტყეების გარდა.

5. ძირითადი ხე-ტყის დამზადების ზონა—ამ ზონაზე მიკუთვნებულია: კარელია-ფინეთის ასსრ მესამე ჯგუფის ტყეები. გორკის ოლქის ველტუგის, კალინინის, ტონშაევსკის, ურენსკისა და ბელევიცკის რაიონების მესამე ჯგუფის ტყეები.

მარიის ასსრ, თათართა ასსრ, უდმურტთა ასსრ მესამე ჯგუფის ტყეები. ბაშკირეთის ასსრ აბზელილოვსკის, ბაიმაკსკის, ზილაირსკის, მატრაევსკის, ზიანჩურინსკის, აბზახოვსკის, კუგარჩინსკის, უჩალინსკისა და ხაიბულინსკის რაიონების მესამე ჯგუფის ტყეები.

კომის ასსრ მესამე ჯგუფის ტყეები. ჩელიაბინსკის ოლქის, კატაევსკის, კუზნეცკის, მაიასკის, მინიარსკისა და ნიაზეპეტროვსკის რაიონის მესამე ჯგუფის ტყეები.

კიროვის, კოსტრომის, მოლოტოვის ოლქების, ვოლოგდის ოლქის, გარდა მეოთხე ზონის შემადგენლობაში შემავალი რაიონებისა, მესამე ჯგუფის ტყეები, ლენინგრადის ოლქის ვინიცის რაიონის ტყეები. არხანგელსკის ოლქის მესამე ჯგუფის ტყეები, სვერდლოვის ოლქის, მეოთხე ზონაში ჩართული ტერიტორიის გამოკლებით მესამე ჯგუფის ტყეები.

ყურგანის ოლქის შატროვის რაიონის მესამე ჯგუფის ტყეები.

ალტაის მხარის ელცოვსკის, ზალესოვსკის, ზმეინოგორსკის, სოროკინის, სტარობარდინის, ტაგულისა და ჩარიშევის რაიონების, აგრეთვე გორნო-ალტაის ავტონომიური ოლქის მაიმინის აიმაკის მესამე ჯგუფის ტყეები.

კემეროვის ოლქის ბარზარსკის, კუზედეევის, კრაპივინის, მისკოვსკის, ტაშტაგოლსკის, ტისულსკის, ტროიცკისა და ჩებულინის რაიონების მესამე ჯგუფის ტყეები.

მურმანსკის ოლქის მესამე ჯგუფის ტყეები, ომსკისა და ტიუმენის ოლქების, მეოთხე ზონაში შემავალი ტერიტორიის გამოკლებით, ხოლო ტიუმენის ოლქი, იამალო-ნენეცის ნაციონალური ოკრუგის მესამე ჯგუფის ტყეები. ნოვოსიბირსკის ოლქის ტყეები მიხაილოვისა და პიხტოვის რაიონებში.

კრასნოიარსკის მხარის აბანსკის, ასკიზსკის, არტემოვსკის, ბეისკის, ბაგრადსკის, ბოლშე-მურტინსკის, დაურსკის, დოლგომოსტოვის, ძერჟინსკის, ერმაკოვსკის, ილანსკის, იდრინსკის, ირბეისკის, კოზულსკის, კაზაჩინსკის, მან-

სკის, ნიჟნე-ინგაშსკის, პარტიზანსკის, პიროვსკის, საიანსკის, სარალინსკის, სუხობუზინსკის, ტაშტინსკის, ტიუხტეტსკის, უსინსკის, შარიპოვსკის, შირინსკის, შუშენსკის რაიონებისა და, აგრეთვე, ხაკასკის ავტონომიური ოლქის, უსტ-აბაკანის რაიონის მესამე ჯგუფის ტყეები. ყაზახეთის სსრ აღმოსავლეთ—ყაზახეთის ოლქის მდინარე ირტიშის მარჯვენა მხარის ტყეები.

6. შ ო რე უ ლ ი ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ზ ო ნ ა. ამ ზონის ტყეებზე მიკუთვნებულია: ხაბაროვსკისა და პრიმორიის მხარეების, ამურისა და სახალინის ოლქების, მესამე ჯგუფის ტყეები ხაბაროვსკის მხარის კორიაკთა და ჩუკოტკის ნაციონალური ოკრუგების გამოკლებით.

7. ც ი მ ბ ი რ ი ს ზ ო ნ ა—ბურიატ-მონღოლეთის ასსრ, იაკუტიის ასსრ და ტუვინის ავტონომიური ოლქის მესამე ჯგუფის ტყეები. ირკუტსკის, ტომსკის, ჩიტის ოლქების მესამე ჯგუფის ტყეები. კრასნოიარსკის მხარის, რომლებიც არ შესულან მეოთხე და მეხუთე ზონის შემადგენლობაში, რაიონების მესამე ჯგუფის ტყეები ალტაის მხარის გორნო-ალტაისკის ავტონომიური ოლქის ტყეები მაიმინის აიმაკის გამოკლებით. ხაბაროვსკის მხარის კორიაკთა და ჩუკოტკის ნაციონალური ოკრუგებისა და ტიუმენის ოლქის იამალო ნენეცის ნაციონალური ოკრუგების ტყეები.

ნოვოსიბირსკის ოლქის კიშტოვსკისა და სევერნიის რაიონების ტყეები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ტყის მოვლითი წესით მერქნის გაცემისას აკრძალულ და დაცვით ზონებიდან, რაც დაწესებულია მდინარეების, არხების, წყალსაცავების, რკინიგზისა და ავტოგზების პირებზე, ნიხრი წესდება სატყეო-სანიხრო იმ ზონის მიხედვით, რომლისაგანაც გამოყოფილია ეს ზოლი.

სსრ კავშირის მთავრობის მიერ დამტკიცებულ თითოეულ ამ სატყეო-სანიხრო ზონაში საძირკვო გადასახადი დიფერენცირებულია ჯიშის მიხედვით, ზიდვის მანძილისა და ძირითადი სორტიმენტების მიხედვით. ჯიშების მიხედვით საძირკვო გადასახადის ნიხრის დიფერენცირება ეყრდნობა ჯიშის გავრცელების, მერქნის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს და მის გამოყენების ხასიათს. ასე, მაგალითად, სატყეო-სანიხრე პირველ ზონაში მსხვილზომის ერთი მკვრივი კუბური მეტრი სამასალე მერქნის (თუ ზიდვის მანძილი 0-დან 4 კილომეტრამდეა) საძირკვო გადასახადი მუხის შეადგენს 66 მანეთს, ფიჭვის 37 მანეთს და წიფლის 54 მანეთს. ზიდვის მანძილი აღებულია ტყეკაფიდან—სამანქანო გზამდე. სამანქანო გზებიდან ხე-ტყის მასივების დაშორება საფუძვლად უდევს საძირკვო გადასახადის დიფერენცირებას.

1. 2, 3, და 4 სანიხრე ზონებში ზიდვის მანძილი დაყოფილია 5 თანრიგად, ხოლო 5, 6, 7 სანიხრე ზონებში 4 თანრიგად. ხე-ტყის ზიდვის მანძილი და ნიხრის თანრიგი ერთმანეთიდან გამომდინარე სიდიდეებს წარმოადგენენ. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ტყის მეურნეობის მთავარ სამმართველოს მიერ რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაადგილებულ ტყის მეურნეობათა სატყეოები საორიენტაციოდ დანაწილებულია სატყეო სანიხრო თანრიგებად. ასე, მაგალითად, საქართველოში სატყეოების საძირკვო გადასახადის ნიხრები თანრიგების მიხედვით დიფერენცირებულია შემდეგი სახით. *

* სანიმუშოდ აღებულია რამდენიმე ტყის მეურნეობა.

| ტყის მეურნეობათა დასახელება | სატყეოების დასახელება | საძირკვო გადასახადის ნიხრის ხარისხი |
|---|---|---|
| ხარაგაულის | ხარაგაულის | III |
| | მარელისის | III |
| | მოლითის | III |
| | წიფის | II |
| | რიკოთხევის | III |
| | ზესტაფონის | III |
| | კვალითის | II |
| ახალციხის | ვალეს | II |
| | სვირის | III |
| | ურაველის | II |
| | აწყურის | III |
| | წინუბნის | III |
| | რუკეთის | II |
| ასპინძის | ვარძიის | III |
| | ოთის | III |
| | ძველის | III |
| | ასპინძის | II |
| | ახალქალაქის | II |
| ბაკურიანის | ტბის | II |
| | წაღვერის | II |
| | ბაკურიანის | I |
| | ციხისჯვარის | II |
| | თორის | III |
| | მაჭარწყლის | III |
| ბორჯომის | ნეძვის | III |
| | ახალდაბის | II |
| | კორტანეთის | II |
| | რველის | III |
| | ჩარ. ხისწყალის | I |
| | ბორჯომის | I |
| | ჭობისხევის | II |
| | დვირის | II |
| | ტაძრისის | II |
| ხაშურის | სურამის | II |
| | ქვიშხეთის | II |
| | ხაშურის | II |
| | ალის | II |
| | ძამის | II |
| | ქარელის | II |
| | ზღუდერის | II |
| | გვერძინეთის | III |
| | ტყემლოვანის | II |
| კასპის | ახალქალაქის | III |
| | კავთისხევის | III |
| | ხოვლის | III |
| | კასპის | III |

| №№ | ჯიშების დასახელება | ნიხრის თანრიგი | გამოზიდვის მანძილი კი-ლომეტრობით | ღირებულება მკვრივ კუბურ | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სამასალე | | | | | | | | | |
| | | | | ზომების მიხედვით | | | | | | | | | |
| | | | | მსხვილი ზომის | | | | | | | საშუალო | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | I | II | III |
| 1 | ფიჭვი | I | 0—4-დე | 37 | 30 | 25 | 18 | 10 | 8 | 8 | 30 | 25 | 21 |
| | | II | 4,1—10-„ | 34 | 28 | 22 | 15 | 8 | 5 | 5 | 27 | 22 | 27 |
| | | III | 10,1—17-„ | 31 | 25 | 18 | 12 | 5 | 2 | 2 | 24 | 19 | 14 |
| | | IV | 17,1—25-„ | 24 | 23 | 15 | 10 | 2 | 0,4 | 0,4 | 22 | 16 | 11 |
| | | V | 25,1 და მეტი | 26 | 21 | 12 | 8 | — | — | — | 20 | 15 | 8 |
| 2 | ნაძვი და სოჭი | I | 0—4-დე | 34 | — | 24 | 16 | 9 | 8 | 7 | 29 | — | 20 |
| | | II | 4,1—10-„ | 32 | — | 20 | 13 | 7 | 4 | 4 | 26 | — | 16 |
| | | III | 10,1—17-„ | 29 | — | 16 | 11 | 4 | 2 | 1 | 23 | — | 12 |
| | | IV | 17,1—25-„ | 46 | — | 13 | 8 | 1 | 0,3 | 0,2 | 20 | — | 9 |
| | | V | 25,1და მეტი | 24 | — | 11 | 6 | — | — | — | 18 | — | 7 |
| 3 | წიფელი | I | 0,4-დე | 54 | 46 | 37 | — | — | — | — | 39 | 33 | 27 |
| | | II | 4,1–10-„ | 51 | 43 | 33 | — | — | — | — | 36 | 30 | 23 |
| | | III | 10,1—17-„ | 48 | 40 | 30 | — | — | — | — | 33 | 27 | 20 |
| | | IV | 17,1—25-„ | 46 | 38 | 26 | — | — | — | — | 31 | 25 | 16 |
| | | V | 25,1 და მეტი | 44 | 36 | 24 | — | — | — | — | 29 | 23 | 14 |
| 4 | რცხილა | I | 0,4-დე | 58 | 50 | 40 | 33 | — | — | — | 41 | 34 | 28 |
| | | II | 4,1—10-„ | 55 | 47 | 36 | 31 | — | — | — | 38 | 31 | 24 |
| | | III | 10,1—17-„ | 53 | 44 | 32 | 28 | — | — | — | 35 | 29 | 21 |
| | | IV | 17,1—25-„ | 50 | 42 | 29 | 25 | — | — | — | 32 | 26 | 18 |
| | | V | 25,1 და მეტი | 48 | 40 | 26 | 23 | — | — | — | 31 | 24 | 15 |
| 5 | მუხა, იფანი, ნაკერჩხალი | I | 0,4-დე | 66 | 57 | 45 | 39 | 25 | 15 | — | 46 | 39 | 32 |
| | | II | 4,1—10-„ | 63 | 54 | 41 | 35 | 22 | 12 | — | 43 | 36 | 28 |
| | | III | 10,1—17-„ | 61 | 52 | 33 | 33 | 19 | 9 | — | 40 | 33 | 24 |
| | | IV | 17,1—25-„ | 58 | 49 | 35 | 30 | 16 | 6 | — | 38 | 30 | 21 |
| | | V | 25,1 და მეტი | 56 | 47 | 32 | 28 | — | — | — | 36 | 28 | 18 |

კრეფა
ხადის ნიხრებიდა 6

| მეტრობით | | | | | | | | | | | საშეშე მერქანი ქერქით | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მერქანი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| მანეთობით | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ზომის | | | | წვრილი ზომის | | | | | | | | | | | | | |
| IV | V | VI | VII | I | II | III | IV | V | VI | VII | I | II | III | IV | V | VI | VII |
| 14 | 8 | 7 | 6 | 28 | 23 | 19 | 12 | 7 | 6 | 5 | 13 | 10 | 10 | 7 | 4 | 4 | 2 |
| 11 | 5 | 4 | 2 | 25 | 20 | 15 | 9 | 4 | 3 | 2 | 10 | 7 | 7 | 4 | 1 | 1,5 | 0,1 |
| 8 | 2 | 1 | 0,5 | 22 | 17 | 12 | 6 | 1 | 0,3 | 0,1 | 8 | 5 | 4 | 2 | 0,1 | 0,1 | 0,1 |
| 6 | 0,2 | 0,1 | 0,1 | 19 | 14 | 9 | 4 | 0,1 | 0,1 | 0,1 | 6 | 3 | 1 | 0,2 | 0,1 | 0,1 | 0,1 |
| | | | | | | | 2 | — | — | — | | | | | — | — | — |
| 4. | — | — | — | 17 | 12 | 6 | 2 | — | — | — | 4 | 1 | 0,1 | 0,1 | — | — | — |
| 13 | 8 | 6 | 5 | 26 | — | 19 | 12 | 7 | 6 | 4 | 12 | — | 9 | 7 | 4 | 4 | 2 |
| 10 | 5 | 3 | 2 | 24 | — | 15 | 9 | 3 | 3 | 1 | 10 | — | 6 | 3 | 1 | 1 | 0,1 |
| 8 | 1 | 0,4 | 0,2 | 21 | — | 11 | 6 | 0,5 | 0,1 | 0,1 | 8 | — | 3 | 1 | 0,1 | 0,1 | 0,1 |
| 5 | 0,2 | 0,1 | 0,1 | 18 | — | 8 | 4 | 0,1 | 0,1 | 0,1 | 5 | — | 1 | 0,1 | 0,1 | 0,1 | 0,1 |
| | | | | 16 | — | 6 | 2 | | | | | | | | | | |
| 3 | — | — | — | 16 | — | 6 | 2 | — | — | — | 3 | — | 0.1 | 0,1 | — | — | — |
| — | — | — | — | 23 | 19 | 17 | — | — | — | — | 15 | 12 | 12 | — | — | — | — |
| — | — | — | — | 20 | 16 | 13 | — | — | — | — | 13 | 10 | 8 | — | — | — | — |
| — | — | — | — | 17 | 13 | 10 | — | — | — | — | 10 | 7 | 5 | — | — | — | — |
| — | — | — | — | 15 | 10 | 6 | — | — | — | — | 9 | 5 | 2 | — | — | — | — |
| — | — | — | — | 13 | 8 | 4 | — | — | — | — | 7 | 4 | 0,5 | — | — | — | — |
| 23 | — | — | — | 24 | 20 | 17 | 14 | — | — | — | 18 | 15 | 13 | 10 | — | — | — |
| 20 | — | — | — | 21 | 16 | 14 | 11 | — | — | — | 15 | 12 | 10 | 8 | — | — | — |
| 18 | — | — | — | 18 | 14 | 10 | 8 | — | — | — | 13 | 10 | 7 | 5 | — | — | — |
| 15 | — | — | — | 16 | 11 | 7 | 5 | — | — | — | 11 | 7 | 4 | 2 | — | — | — |
| 13 | — | — | — | 14 | 9 | 4 | 3 | — | — | — | 9 | 6 | 1 | 1 | — | — | — |
| 26 | 17 | 11 | — | 26 | 21 | 19 | 15 | 9 | 7 | — | 15 | 12 | 12 | 8 | 5 | 5 | — |
| 23 | 14 | 8 | — | 23 | 18 | 15 | 12 | 6 | 4 | — | 13 | 10 | 8 | 6 | 2 | 2 | — |
| 21 | 11 | 5 | — | 20 | 16 | 11 | 9 | 3 | 1 | — | 10 | 7 | 5 | 2 | 0,2 | 0,1 | — |
| 18 | 8 | 2 | — | 18 | 13 | 8 | 7 | 0,4 | 0,1 | — | 9 | 5 | 2 | 1 | 0,1 | 0,1 | — |
| 16 | — | — | — | 16 | 11 | 6 | 4 | — | — | — | 7 | 4 | 0,5 | 0,2 | — | — | — |

ყოველ სანიხრე ზონისათვის საძირკვო გადასახადი დიფერენცირებულია სამასალე და საშეშე მერქნის მიხედვით. საშეშე მერქანი იზომება მკვრივი კუბური მეტრობით ქერქით, ხოლო სამასალე მერქანი იზომება უქერქოდ და დანაწილებულია სამ ჯგუფად: მსხვილზომად, საშუალო ზომად, და წვრილზომად. მსხვილი ზომის მერქანს, ჯიშზე დამოუკიდებლად, მიეკუთვნება ისეთი მორი, რომლის დიამეტრი წვრილ თავში უქერქოდ 25 სანტიმეტრი და მეტია. საშუალო ზომისას მიეკუთვნება ისეთი სამასალე მერქანი, რომლის წვრილი თავის გადანაჭერის დიამეტრი უქერქოდ 13 სანტიმეტრიდან 24 სანტიმეტრამდეა; წვრილი ზომას მიეკუთვნება ისეთი სამასალე მერქანი, რომლის წვრილი თავის გადანაჭრის დიამეტრი 3 სანტიმეტრიდან 12 სანტიმეტრამდეა უქერქოდ. საძირკვო გადასახადის ნიხრები დამტკიცებულია ძირითადი ჯიშებისათვის და მათი სიდიდე სანიხრე ზონების მიხედვით განსაზღვრულია გვ. 138 და 139-ზე მოყვანილი ოდენობით.

მეორეხარისხოვანი ჯიშების მერქნისათვის და, აგრეთვე, სანერგე მასალებზე, გარეულ ხილზე, სოკოებზე, სამკურნალო მცენარეებზე, სათიბებზე, საძოვრებზე, წიაღისეულზე და სხვა სახით სარგებლობაზე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია სათანადო ნიხრები. საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულია და 1950 წლიდან შესულია ძალაში მეორეხარისხოვან ხე-ტყის საძირკვო გადასახადი და ყველა სახის დამხმარე სარგებლობის ნიხრები, ასე, მაგალითად, მეორეხარისხოვანი ხე-ტყის საძირკვო გადასახადის ნიხრები საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გვ. 141 და 142-ზე მოცემული ახით.

ტყის მეურნეობიდან სარგავი მასალის საგასაცემო ნიხრები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულია გვ. 143-ზე მოცემული ოდენობით.

სახელმწიფო სატყეო ფონდის ტერიტორიაზე არსებული წიაღისეულის სარგებლობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულია გვ. 144-ზე მოცემული ნიხრი (მანეთობით).

არაძირითადი ხე-ტყის დამამზადებლებისა და ხე-ტყის მომხმარებლებისათვის დროებით საწარმოო, საცხოვრებელი და სხვა შენობა-ნაგებობების ასაშენებლად გადაცემული მიწის ფართობები, რომლებიც არ არის გამორიცხული სახელმწიფო სატყეო ფონდიდან, ანაზღაურებული უნდა იქნეს ჰექტარიდან 200 მანეთის რაოდენობით წელიწადში (0,1 ჰექტარზე ნაკლები ფართობი ანაზღაურდება როგორც 0,1 ჰექტარი).

სახელმწიფო სატყეო ფონდში ტყის ნაყოფის—კაკლის, თხილის, ყვავილების, მთრიმლავებისა და სხვადასხვა ტექნიკური ნედლეულის—შეგროვებისათვის საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაწესებულია შემდეგი ნიხრები:

1. მსხლის, ვაშლის, ტყემლის ნაყოფი (ტონებით, ახლადმოკრეფილი) . . . —50 მან.
2. კაკალი . . . . . 200 მან.
3. წაბლი საჭმელი და ტყის თხილი . 150 მან.
4. მუხის რკო, წიფლის წიწიბო . 100 მან.

ნიხრი მეორეხარისხოვან მასალაზე საქართველოს სსრ-ში

| № № | ჯიში | ნიხრის თანრიგი | გამოზიდვის მანძილი (კმ-ით) | სასაწყობო მ³-ის ღირებულება (მან. და კაპ-ით) თვითდამამზადებელთათვის | | | | | | | სასაწყობო მ³-ის ღირებულება (მან. და კაპ-ით) ადგილობრივი მოსახლეობისათვის | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სამასალე ფიჩხი | | საობობი ფიჩხი | | წვრილი ფიჩხი | ტირიფის ან თხილის წკეპლა | ძირკვი | სამასალე ფიჩხი | | საობობი ფიჩხი | | წვრილი ფიჩხი | ტირიფის ან თხილის წკეპლა | ძირკვი |
| | | | | 4-6 მ. სიგრძის | 2-4 მ. სიგრძის | 4-6 მ. სიგრძის | 2-4 მ. სიგრძის | | | | 4-6 მ. სიგრძის | 2-4 მ. სიგრძის | 4-6 მ. სიგრძის | 2-4 მ. სიგრძის | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| | | | | | | | I სამხრეთი ზონა | | | | | | | | | | |
| 1 | წიწვიანი და რბილ-მერქნიანი ჯიშები: ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, თხმელა, ცაცხვი, ვერხვი, ტირიფი ხვალო, ოფი, ალვის ხე, დაფნის ხე და სხვა | I | 0—4 | 3—80 | 2—30 | 1—04 | 0—60 | 0—52 | 7—60 | 2—10 | 5—70 | 3—45 | 1—56 | 0—90 | 0—78 | 11—40 | 3—15 |
| | | II | 4,1—10 | 3—20 | 1—90 | 0—90 | 0—50 | 0—40 | 6—40 | 1—60 | 4—80 | 2—80 | 1—20 | 0—75 | 0—60 | 9—80 | 2—40 |
| | | III | 10,1—17 | 2—60 | 1—60 | 0—74 | 0—40 | 0—32 | 5—20 | 1—30 | 3—90 | 2—40 | 0—96 | 0—60 | 0—48 | 7—80 | 1—95 |
| | | IV | 17,1—25 | 2—20 | 1—30 | 0—40 | 0—24 | 0—20 | 4—40 | 0—80 | 3—30 | 1—95 | 0—60 | 0—36 | 0—30 | 6—60 | 1—48 |
| | | V | 25,1-მეტი | 1—80 | 1—10 | 0—24 | 0—14 | 0—12 | 3—60 | 0—50 | 2—70 | 1—65 | 0—35 | 0—21 | 0—18 | 5—40 | 0—75 |
| 2 | ყველა სხვა ჯიშები და ჯაგნარები | I | 0—4 | 5—20 | 3—10 | 1—20 | 0—70 | 0—60 | 10—40 | 2—40 | 7—80 | 4—60 | 1—80 | 1—05 | 0—90 | 15—60 | 3—60 |
| | | II | 4,1—10 | 4—60 | 2—80 | 1—04 | 0—62 | 0—52 | 9—20 | 2—10 | 6—90 | 4—20 | 1—56 | 0—93 | 0—75 | 13—80 | 3—15 |
| | | III | 10,1—17 | 4—00 | 2—40 | 0—80 | 0—50 | 0—40 | 8—00 | 1—60 | 6—00 | 3—60 | 1—20 | 0—75 | 0—60 | 12—00 | 2—40 |
| | | IV | 17,1—25 | 3—60 | 2—20 | 0—72 | 0—43 | 0—32 | 7—20 | 1—50 | 5—40 | 3—30 | 1—08 | 0—65 | 0—48 | 10—80 | 2—25 |
| | | V | 25,1—მეტი | 3—20 | 1—90 | 0—56 | 0—34 | 0—30 | 6—40 | 1—10 | 4—80 | 2—85 | 0—84 | 0—51 | 0—45 | 9—60 | 1—65 |

| № № | ჯიში | ნიხრის თანრიგი | გამოზიდვის მანძილი (კმ-ით) | სასაწყობო მ³-ის ღირებულება (მან. და კაპ-ით) თვითდამამზადებლთათვის | | | | | | | სასაწყობო მ³-ის ღირებულება (მან. და კაპ-ით) ადგილობრივი მოსახლეობისათვის | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სამასალე ფიჩხი | | სათბობი ფიჩხი | | წვრილი ფიჩხი | ტირიფის ან თხილის წკნელი | ძირკვი | სამასალე ფიჩხი | | სათბობი ფიჩხი | | წვრილი ფიჩხი | ტირიფის ან თხილის წკნელი | ძირკვი |
| | | | | 4-6 მ. სიგრძის | 2-4 მ. სიგრძის | 4-6 მ. სიგრძის | 2-4 მ. სიგრძის | | | | 4-6 მ. სიგრძის | 2-4 მ. სიგრძის | 4-6 მ. სიგრძის | 2-4 მ. სიგრძის | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| | **II სამხრეთის მთიანი ტყის ზონა** | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | წიწვიანი და რბილფოთლოვანი ჯიშები: ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, თხმელა; ცაცხვი, ვერხვი, ტირიფი, ხვალო, ოფი, ალვის ხე, დაფნის ხე და სხვ. | I | 0—4 | 2—80 | 1—70 | 0—64 | 0—40 | 0—30 | 5—60 | 1—30 | 4—20 | 2—55 | 0—96 | 0—60 | 0—45 | 8—40 | 1—50 |
| | | II | 4,1—10 | 2—00 | 1—20 | 0—48 | 0—30 | 0—24 | 4—00 | 1—00 | 3—00 | 1—80 | 0—72 | 0—45 | 0—36 | 6—00 | 1—50 |
| | | III | 10,1—17 | 1—40 | 0—80 | 0—24 | 0—44 | 0—10 | 2—80 | 0—50 | 2—10 | 1—40 | 0—36 | 0—21 | 0—15 | 4—20 | 0—75 |
| | | IV | 17,1—25 | 0—60 | 0—40 | 0—08 | 0—05 | 0—04 | 1—20 | 0—20 | 0—90 | 0—60 | 0—14 | 0—08 | 0—06 | 1—80 | 0—30 |
| | | V | 25,1—მეტ. | 0—20 | 0—10 | 0—01 | 0—01 | 0—01 | 0—40 | 0—02 | 0—30 | 0—15 | 0—02 | 0—02 | 0—02 | 0—60 | 0—03 |
| 4 | ყველა სხვა ჯიშები და ჯაგნარები | I | 0—4 | 3—80 | 2—30 | 0—96 | 0—60 | 0—50 | 7—60 | 2—00 | 5—70 | 3—45 | 1—44 | 0—90 | 0—75 | 11—40 | 3—00 |
| | | II | 4,1—10 | 3—00 | 1—80 | 0—70 | 0—43 | 0—40 | 6—00 | 1—60 | 4—50 | 2—70 | 1—08 | 0—64 | 0—60 | 9—00 | 2—25 |
| | | III | 10,1—17 | 2—20 | 1—30 | 0—40 | 0—24 | 0—20 | 4—46 | 0—80 | 3—30 | 1—95 | 0—60 | 0—35 | 0—30 | 6—60 | 1—40 |
| | | IV | 17,1—25 | 1—60 | 1—00 | 0—16 | 0—10 | 0—10 | 3—20 | 0—30 | 2—40 | 1—50 | 0—24 | 0—15 | 0—15 | 4—80 | 0—45 |
| | | V | 25,1—მეტ. | 1—20 | 0—70 | 0—04 | 0—02 | 0—02 | 2—40 | 0—10 | 1—80 | 1—05 | 0—04 | 0—03 | 0—03 | 3—60 | 0—15 |

| №№ რიგზე | სარგავი მასალის ჯიში | ერთი ცალის ფასი (მანეთობით) | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სიმაღლე მეტრობით | | | | |
| | | 1 მეტრამ-დე | 1,1-დან 2 მეტ-დე | 2,1-დან 3 მეტ-დე | 3,1-დან 4 მეტ-დე | 4,1-დან 5 მეტრამდე |
| 1 | ფიჭვი | 0—50 | 1—50 | 2—50 | 3—50 | 5—00 |
| 2 | სოჭი | 0—50 | 1—50 | 2—50 | 3—50 | 5—00 |
| 3 | ნაძვი | 0—50 | 1—50 | 2—50 | 3—50 | 5—00 |
| 4 | თეთრი აკაცია | 0—20 | 0—50 | 1—00 | 2—00 | 3—00 |
| 5 | მსხალი | 0—50 | 1—50 | 2—50 | 3—50 | 5—00 |
| 6 | ვაშლი | 0—50 | 1—50 | 2—50 | 3—50 | 5—00 |
| 7 | მუხა | 0—50 | 1—50 | 2—50 | 3—50 | 5—00 |
| 8 | ნეკერჩხალი | 0—50 | 0—50 | 1—00 | 2—00 | 3—00 |
| 9 | იფანი | 0—20 | 0—50 | 1—00 | 2—00 | 3—00 |
| 10 | ცაცხვი | 0—20 | 0—50 | 1—00 | 2—00 | 3—00 |
| 11 | თელა | 0—20 | 0—50 | 1—00 | 2—00 | 3—00 |
| 12 | ტყის თხილი | 0—10 | 0—20 | 0—50 | 1—00 | 1—50 |
| 13 | ქაცვი | 0—10 | 0—20 | 0—50 | 1—00 | 1—50 |
| 14 | რცხილა | 0—10 | 0—50 | 0—80 | 1—00 | 1—50 |
| 15 | თუთა | 0—50 | 1—50 | 2—50 | 3—50 | 5—00 |
| 16 | წიფელი | 0—20 | 0—50 | 1—00 | 2—00 | 3—00 |
| 17 | არყის ხე | 0—15 | 0—40 | 0—80 | 1—20 | 2—00 |
| 18 | ლვია | 0—50 | 1—00 | 1—50 | 2—00 | 2—50 |
| 19 | ფშატი | 0—10 | 0—20 | 0—50 | 1—00 | 1—50 |
| 20 | ალვის ხე | 0—30 | 0—80 | 1—50 | 2—00 | 2—50 |
| 21 | ჯაგრცხილა | 0—10 | 0—20 | 0—50 | 1—00 | 1—50 |
| 22 | ფსტა | 0—50 | 1—50 | 2—50 | 3—50 | 5—00 |
| 23 | ტირიფი | 0—20 | 0—50 | 1—00 | 2—00 | 3—00 |
| 24 | შინდი | 0—40 | 0—80 | 1—50 | 1—50 | 2—00 |
| 25 | წაბლი საჭმელი | 0—50 | 1—50 | 2—50 | 3—50 | 5—00 |
| 26 | ხურმა კავკასიური | 0—20 | 0—50 | 1—00 | 2—00 | 3—00 |
| 27 | წყავი | 0—10 | 0—20 | 0—50 | 1—00 | 1—50 |
| 28 | ცირცელი | 0—31 | 0—80 | 1—50 | 2—00 | 2—50 |
| 29 | თრიმლი (სკუმპია). თუთბო | 0—20 | 0—50 | 1—60 | 1—80 | 2—00 |
| 30 | დანარჩენი გარეული ხილი | 0—50 | 1—50 | 2—50 | 3—50 | 5—00 |
| 31 | დანარჩენი ჯაგნარები | 0—20 | 0—40 | 0—60 | 1—00 | 1—50 |

| №№ რიგზე | წიაღისეულის დასახელება | სახელმწიფო საწარმოები-სათვის | | კოოპერაცი-ული ორგანი-ზაციებისათვ. | | კერძო პირე-ბისათვის | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ტონა | კუბ. მეტრი | ტონა | კუბ. მეტრი | ტონა | კუბ. მეტრი |
| 1 | მდინარის ქვიშა . . | 4 | 6 | 6 | 10 | 12 | 20 |
| 2 | მთის ქვიშა . . . | 5 | 7 | 8 | 12 | 15 | 22 |
| 3 | საყალიბო ქვიშა . . | 10 | 18 | 15 | 28 | 30 | 60 |
| 4 | კვარცის ქვიშა შუშის მრეწველობისათ-ვის . . . . | 10 | 18 | 15 | 30 | 30 | 60 |
| 5 | ხრეში . | 10 | 18 | 15 | 28 | 25 | 45 |
| 6 | კენჭი . | 8 | 18 | 12 | 30 | 25 | 45 |
| 7 | კირქვა . . . . . . | 8 | 18 | 13 | 28 | 25 | 50 |
| 8 | ტკილი (მერგელი) . . | 10 | 20 | 15 | 30 | 30 | 60 |
| 9 | რიყის ქვა . . . | 6 | 10 | 12 | 20 | 24 | 40 |
| 10 | ქვაყორე (კირქვა, სილაქვა, ბაზალტი, სი-ონიტი) . . . . . . . . . . . | 8 | 13 | 12 | 20 | 24 | 40 |
| 11 | თიხა კერამიკული და სააგურე . | 3 | 4 | 5 | 7 | 12 | 17 |
| 12 | ცარცი . . . . . . . . . . | 10 | 18 | 16 | 28 | 25 | 45 |
| 13 | თაბაშირი და ალებასტრი . . | 10 | 18 | 15 | 30 | 25 | 55 |
| 14 | სილაქვა . . . . | 12 | 24 | 18 | 36 | 35 | 70 |
| 15 | სალესი და სადოლაბე ქვა . | 25 | 50 | 38 | 75 | 55 | 110 |
| 16 | კაჟი . . . . . . . . . | 45 | 100 | 70 | 150 | 90 | 200 |

5. ზღმარტლი, ფშატი, ღოღნოშო, ჟოლო, ცირცელი, კოწახური, ბალი, შინდი და ხურმა . . . . . 80 მან.
6. მაყვალი, მოცვი, კუნელი, წყავი და ასკილი . 60 მან.
7. ჯონჯლისა და თეთრი აკაციის ყვავილი . 50 მან.
8. თრიმლისა და თუთუბოს ფოთლები . . . . . 50 მან.
9. კატაბალახა, ბელადონა, შროშანა და სხვა ნედლეული მცენარეები . . . . . . . . . . . . 30 მან.

ჩალა-ყალამის დამუშავებისათვის გადახდებათ (1 კუბური მეტრი ჩალა-ყალამისათვის) სახელმწიფო საწარმოებს 2 მან., კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს—3 მან. და კერძო პირებს—4 მანეთი.

შენიშვნა: სოკოს, კენკრის, სვიის, გარეული ხილისა და კაკალ-თხილის შეგროვებას საკუთარი მოხმარებისათვის, აგრეთვე ბალახოვან მცენარეთა ფოთლების, ყვავილების, ნაყოფისა და ძირების, ბუჩქებისა და ხეების ფოთლების, ყვავილებისა და ნაყოფის, სოკოსა და ჰიანჭველის კვერცხების შეგროვებას (წამლეული ნედლეულის დასამზადებლად) ადგილობრივი მოსახლეობა აწარმოებს უფასოდ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაწესებულია, რომ საძირკვო გადასახადის ნიხრი დიდდება 50%-ით ადგილობრივ მოსახლეობაზე ძირზე გაცემულ ხე-ტყეზე. ხე-ტყის დაცურების წახალისების მიზნით დაწესებულია შეღავათები დაცურების რაიონებში ძირზე გაცემულ ხე-ტყეზე: სამხრეთის (სანიხრე ზონა) ტყეების ზონაში საძირკვო გადასახადის ნიხრი მცირდება 10%-ით, ტყიან ველის ზონაში—15%-ით, სამირეთის მთის ტყეების

ზონაში—60%-ით, ცენტრალურ ტყეების ზონაში—25%-ით, ხე-ტყის ძირითად დამზადებათა ზონაში—60%-ით, შორეულ აღმოსავლეთის ზონაში—60%-ით და ციმბირის ზონაში—60%-ით. დაცურების რაიონში მოსაჭრელად გათვალისწინებულ ხე-ტყეზე საძირკვო გადასახადის გაანგარიშება უნდა მოხდეს შესაბამისი ნიხრებით და შემდეგ მას უნდა გამოაკლდეს დადგენილი შეღავათის თანხა.

საძირკვო გადასახადების გადახდისაგან სსრ კავშირის მთავრობის დადგენილების საფუძველზე თავისუფლდება:

ა) ტყის მეურნეობები იმ მერქანზე, რომელიც მათ მიერ მზადდება ტყის მოვლის წესით, სახელდობრ: განათებითი, გაწმენდითი, გამოხშირვითი, გავლითი და სანიტარული ჭრების ჩატარებისას; აძის გარდა, ჩახერგილი კორომების გაწმენდის, ნაყარი ხე-ტყის გაწმენდის, ახალი კვარტალური სიონების, საზღვრებისა და ხანძრის საწინააღმდეგო ზოლების გაყვანისა და ტყის მოვლასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოების ჩატარებისას მოჭრილ მერქანზე;

ბ) უმაღლეს სასწავლებლებზე მიმაგრებული სასწავლო-საცდელი ტყის მეურნეობები იმ მერქანზე, რომელიც მზადდება მოვლითი წესით;

გ) ნაკრძალთა მეურნეობები იმ მერქანზე, რომელიც მზადდება მათზე მიმაგრებულ ტყეებში ტყის მოვლისა და გაწმენდის წესით;

დ) მექანიზებული ტყის მეურნეობების, „გლავსელსემის" საწარმოო უბნების და სახელმწიფო სანერგეების მუდმივი მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები ხე-ტყის დამზადების ნარჩენებისა და ძირზე ნაყარი ხე-ტყის სარგებლობისას, თუ ასეთი წესით დამზადებული მერქანი გამოყენებული იქნება მათი საცხოვრებელი სახლების გასათბობად აღებულ რაიონისათვის დაწესებული ნორმებისა და ოდენობის მიხედვით.

ამ შეღავათით ტყის მეურნეობის მუშაკები სარგებლობენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ცხოვრობენ სოფლის ადგილებსა, მუშათა დასახლებულ ადგილებსა (დაბებში) და რაიონულ ცენტრებში. თუ ტყის მეურნეობის მუშაკებს მიეცა არა ნარჩენები და ძირნაყარები, არამედ მოსაჭრელი ხე, მას საძირკვო გადასახადი უნდა გაცაბდეს მოსახლეობისათვის დადგენილი ნორმებით.

მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გეგმიანი წესით ჩასახლება-გადასახლებისას ოჯახებს ეძლევათ საძირკვო გადასახადის გარეშე სამასალე და საშეშე მერქანი იმ რაოდენობით, რაც მათ ესაჭიროებათ საბინაო, სამეურნეო, კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის ორი წლის განმავლობაში ჩასახლების დღიდან.

იმ შემთხვევაში, თუ დამამზადებლებზე გაცემულ ტყეკაფზე არ აღმოჩნდება მერქანი ისეთი ხარისხის (დაზიანებულია ხანძრისაგან ან მწერებისაგან), რაც ეს ტყის საჭრელი ბილეთით იყო გათვალისწინებული, ტყის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროს ორგანოებს აქვთ უფლება გადასინჯონ ნიხრები მათი შემცირების მიზნით.

თუ გასაცემი მერქნის ტექნიკური თვისებები დაბალია და დაზიანებული მერქანი მოითხოვს გამოტანას ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, მერქნის ადგილზე ნატურაში დათვალიერების შემდეგ შედგენილი უნდა იქნეს სათანადო აქტი.

ტექნიკური თვისებების დაკარგვის ან გაუარესების შემთხვევაში სანიხრე ღირებულების შემცირება წარმოებს შემდეგი წესით:

1. თუ ჩამოფასების საერთო თანხა მთლიანად ტყის მეურნეობაში არ აღემატება ათი ათას მანეთს, შემცირება წარმოებს ტყის მეურნეობის დირექციისა და სათანადო რაიონული (საქალაქო) საფინანსო განყოფილების მიერ.

2. თუ ჩამოფასება ათი ათას მანეთზე მეტია, მაშინ საძირკვო გადასახადის შემცირება წარმოებს სამხარეო. საოლქო და რესპუბლიკურ ტყის მეურნეობათა სამმართველოებისა და საფინანსო ორგანოების მიერ.

მერქნის სანიხრე ღირებულების შემცირება წარმოებს ხე ტყის საჭრელი ბილეთის გამოწერამდე. ბილეთის გამოწერის შემდეგ ნიხრის შემცირება არ დაიშვება.

სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებით სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში გადასახადებისაგან თავისუფალია შემდეგი სახის არაპირდაპირი სარგებლობა:

1. მოთიბვა, საქონლის ძოვება, იმ სახნავი სავარგულოებით დროებითი სასოფლო-სამეურნეო სარგებლობა, რომლებიც გადაეცემა უკლებლივ ყველა კატეგორიის, მოსარგებლებს;

2. მიწის ნაკვეთების გაცემა მეფუტკრეობის მიზნებისათვის (სკების დადგმა ტყეში);

3. თესლების დამზადება ხეებისა და ბუჩქნარებისაგან;

4. ტორფის მოპოვება ნიადაგის გასანაყოფიერებლად (სათბობისათვის დამზადებული ტორფის გარდა);

5. თავის საჭიროებისათვის მოსახლეობის მიერ შეგროვებული სოკოები, კენკრა, სვია, გარეული ნაყოფი, კაკალი (თხილი) იმ უბნებში, რომლებზედაც მიმაგრებული არ არიან დამამზადებლები (ამ სახის სარგებლობისათვის დამამზადებლები იხდიან გარკვეულ საფასურს);

6. წამლეულ ნედლეულისათვის დამზადებული ბალახეული მცენარეულობის ფოთლები, ყვავილები, ნაყოფი, ფესვები, ბუჩქებისა და ხეების ფოთლები, სოკოები და ჭიანჭველას კვერცხები;

7. ჩამოცვივნული ფოთლების შეგროვება;

8. ყველა სახის არაპირდაპირი სარგებლობისათვის ხე-ტყის ძირითად დამამზადებლების მიერ. დამამზადებლების სისტემაში შემავალი მუშათა მომარაგებისა და დამხმარე მეურნეობის გარდა (ეს უკანასკნელნი შეღავათით სარგებლობენ), სატყეო შემოსავლის შეტანა წარმოებს გადარიცხვისა და ნაღდი ფულის სახით.

სატყეო შემოსავლის ყოველი სახე შეტანილი უნდა იქნეს:

ა) უშუალოდ სახბანკის დაწესებულებაში ან კავშირგაბმულობის სამინისტროს დაწესებულებებში (სახბანკში გადასაგზავნად) მიუხედავად გადასახდელის ოდენობისა;

ბ) ტყის მეურნეობის სალაროში, რომელიც წარმოადგენს ამკრეფთა სალაროს, თუ გადასახდელის თანხა არ აღემატება 500 მანეთს;

გ) სატყეო შემოსავლის მიღება წარმოებს აგრეთვე ტყის მეურნეობის იმ მუშაკების მიერ, რომელთაც მინიჭებული აქვთ ხე-ტყის ძირზე წვრილად გაცემაზე ორდერების გაცემის უფლება, თუ გადასახდელის ოდენობა არ აღემატება 100 მანეთს.

რაიონის (ქალაქის) საფინანსო განყოფილება ვალდებულია, სატყეო შემოსავალზე საგადასახდელო საბუთის სახბანკიდან მიღების არა უგვიანეს შემდგომი დღისა, შემოსული თანხები გაატაროს შემოსავლის სათანადო მუხლებში და მიღებული საგადასახდელო საბუთები დაუყოვნებლივ გაუგზავნოს თანმხლებ აღწერილობით სათანადო ტყის მეურნეობას გადამხდელთა პირად ანგარიშებში გასატარებლად.

ტყის მეურნეობაში შემოსავლის მიღება წარმოებს სათანადო პირების მიერ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის შემოსავალ-გასავლის სალაროს წიგნის მიხედვით. სატყეო შემოსავლის ამკრეფთ ეძლევათ ხელწერილით სპეციალური წინასწარ დანომრილი ქვითრები.

ტყის მეურნეობაში მიღებული სატყეო შემოსავალი შეტანილი უნდა იქნეს თანხის მიღების დღეს, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს მეორე დღისა. თუ ტყის მეურნეობა ან მისი სატყეოები გაადგილებულია სახბანკისა და კავშირგაბმულობის დაწესებულებებიდან დაშორებით, ფინანსთა სამინისტროს ორგანიზაციები აწესებენ თანხების ჩაბარების დიფერენცირებულ ვადებს.

სატყეო შემოსავლის ბიუჯეტში არადროულად შეტანის შემთხვევაში, დამგვიანებლები ვალდებული არიან გადაიხადონ და შეიტანონ ბიუჯეტში საურავი დადგენილი თანხის ოდენობით. საურავს იხდიან იგივე ხე-ტყის თვითდამამზადებლები იმ შემთხვევაში, თუ დაგვიანებით შეიტანენ ბიუჯეტში სატყეო შემოსავალს.

სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებით სატყეო შემოსავლის ბიუჯეტში შეტანის ვადების მიხედვით ხე-ტყის დამამზადებლები დაყოფილია ოთხ ჯგუფად:

1-ლ ჯგუფს მიეკუთვნება საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციები და წარმოებების ხე-ტყის ის დამამზადებლები, რომელთა ხე-ტყის დამზადება კრედიტდება სახელმწიფო ბანკის მიერ.

მე-2 ჯგუფს მიეკუთვნება საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების სახელმწიფო ორგანიზაციებისა და წარმოებების ხე-ტყის ის დამამზადებლები, რომლებიც არ შედიან პირველ ჯგუფში.

მე-3 ჯგუფს მიეკუთვნება საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ის ხე-ტყის დამამზადებლები, რომლებიც არ შედიან 1-სა და 2-ე ჯგუფებში, აგრეთვე ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებებისა და წარმოებების, სამხედრო ნაწილების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამომხმარებლო, სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციების ხე-ტყის დამამზადებლები.

მე-4 ჯგუფს მიეკუთვნება კოლმეურნეობები, თევზისმჭერი არტელები და აგრეთვე, ადგილობრივი მოსახლეობა (კოლმეურნეები, ერთპიროვნული მეურნეები, მუშები და მოსამსახურეები).

წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სატყეო გადასახადის გადახდევინების ამა თუ იმ ჯგუფზე მიკუთვნება წარმოებს ტყის მეურნეობის ორგანოების მიერ ფინანსთა სამინისტროს ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით. ამ მიზნით შემოღებულია სათანადო დოკუმენტაცია, რომელიც დამამზადებლების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ტყის მეურნეობაში მიმდინარე წლის 20 თებერვლამდე. თუ პირველი და მეორე ჯგუფის ხე-ტყის დამამზადებლები საჭირო საბუთებს არ წარადგენენ ტყის მეურნეობაში სამეურნეო წლის 20 თებერვლამდე, მაშინ ისინი სატყეო შემოსავლის შეტანის ვადებზე კარგავენ შეღავათებს და ვალდებულნი არიან სატყეო შემოსავალი შეიტანონ მესამე ჯგუფის ხე-ტყის დამამზადებლებისათვის დადგენილ ვადებში.

ხე-ტყის თვითდამამზადებლები სამეურნეო წელში გამოყოფილი ტყეკაფის ფონდის მიხედვით ძირზე გაცემულ მერქანზე ვალდებული არიან საძირკვო გადასახადი შეიტანონ შემდეგ ვადებში:

| გადახდის ვადები | გადახდის შეტანის ოდენობა პროცენტობით დადგენილ ვადებში დამამზადებელთა ჯგუფების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 ჯგ. | მე-2 ჯგ. | მე-3 ჯგ. | მე-4 ჯგ. |
| ტყის მეურნეობაში ტყის საჭრელი ბილეთის ორდერის გამოწერისას | — | — | 25 | 100 |
| ტყეკაფის გამოყოფის წლის 25 თებერვლამდე . . . | 10 | 15 | — | — |
| " 15 მარტამდე . | 15 | 10 | 25 | — |
| " 15 აპრილამდე . . | 15 | — | — | — |
| 15 მაისამდე . . | — | 15 | — | — |
| 15 ივნისამდე . | — | 10 | 25 | — |
| 15 ივლისამდე . | 10 | — | — | — |
| 15 აგვისტომდე . | — | 10 | — | — |
| 15 სექტემბრამდე . | 10 | 10 | 25 | — |
| " 15 ნოემბრამდე . | 15 | 20 | — | — |
| " 15 დეკემბრამდე . . . | 15 | 10 | — | — |
| სულ მიმდინარე წელს | 90 | 100 | 100 | 100 |
| შემდეგი წლის 15 იანვარს | 10 | — | — | — |
| სულ: | 100 | 100 | 100 | 100 |

ცხრილში ნაჩვენები პროცენტების მიხედვით საძირკვო გადასახადის ოდენობის გაანგარიშება წარმოებს წლიური ტყეკაფით გამოყოფილი მთელი მერქნის საძირკვო გადასახადის ჯამიდან.

ყველა ჯგუფის დამამზადებლები, დაამზადებენ თუ არა მთლიანად ხე-ტყის საჭრელ ბილეთში ან ორდერში ნაჩვენებ მერქანს, ვალდებული არიან მთლიანად გადაიხადონ დადგენილ ვადაში საძირკვო გადასახადი.

საძირკვო გადასახადის შეტანა მეორეხარისხოვან მასალაზე (ფიჩხის, ბარსის, ფისისა და ნაძვის კვის გარდა) და, აგრეთვე, არაპირდაპირ სარ-

გებლობაზე გადამხდელების მიერ წარმოებს ტყის საჭრელი ბილეთის ან ორდერის მიღებისას. თუ არაპირდაპირი სარგებლობა ხანგრძლივი ვადით წარმოებს, მოსარგებლეს გადასახადი შეაქვს ბიუჯეტში ყოველწლიურად არა უგვიანეს ახალი სამეურნეო წლის 10 იანვრისა.

სხვა სახის სატყეო შემოსავალი, როგორიც არის პირგასამტეხელო, ზარალის დასაფარავად შემოსული თანხები, ტყის მეურნეობის განკარგულებაში შემოსული უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის პროდუქციის გაყიდვით მიღებული თანხები, უკანონოდ მოპოვებული მეორეხარისხოვანი ხე-ტყის მასალების რეალიზაციიდან მიღებული თანხები, არაპირდაპირი სარგებლობის პროდუქცია და სხვა გადახდილი უნდა იქნეს ტყის მეურნეობის მიერ ჩატარებულ გაანგარიშებიდან 5 დღის ვადაში. თუ აღნიშნული თანხები არ იქნა 5 დღის განმავლობაში შეტანილი, ტყის მეურნეობა ვალდებულია ვადის გასვლის 3 დღის შემდეგ საქმე გადასცეს სახალხო სასამართლოს ან სახელმწიფო არბიტრაჟს და უზრუნველყოს აღნიშნული თანხის მიღება.

ხე-ტყის გამოზიდვაზე დანარიცხი 10 კაპიკი ყოველ გაზიდულ მკვრივ კუბურ მეტრ მერქანზე შეიტანება შემდეგ ვადებში: 1 კვარტალში გამოზიდულ ხე-ტყეზე—15 აპრილამდე; მეორე კვარტალში გამოზიდულ ხე-ტყეზე —15 ივლისამდე, მესამე კვარტალში გამოზიდულ ხე-ტყეზე—15 ოქტომბრამდე და მეოთხე კვარტალში გამოზიდულ ხე-ტყეზე—ახალი წლის 15 იანვრამდე. სატყეო შემოსავლის 50 % ირიცხება საკავშირო ბიუჯეტში, ხოლო დანარჩენი 50%—რესპუბლიკურ ბიუჯეტში ადგილობრივი ბიუჯეტების (განათლების, ჯანმრთელობის და სხვა) ხარჯების დასაფინანსებლად.

ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე ტყის მეურნეობა მთავარ სამმართველოდან იღებს შეტყობინებას, თუ მომავალ წელს ვის, რამდენი და რა ასორტიმენტის ტყეკაფის ფონდი უნდა გამოეყოს. ტყის მეურნეობა ამ შეტყობინებათა საფუძველზე ადგენს ტყეკაფის ფონდის განაწილებისა და საძირკვო გადასახადის მიღების წლიურ გეგმას. გეგმა დგება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია შემდეგი: 1) ტყის მეურნეობის დასახელება . 2) ტყეკაფის გეგმური წლიური ფონდი სულ მათ შორის ა) მთავარი სარგებლობის . აქედან წიწვოვანები სულ . . ფოთლოვანები სულ ბ) მოვლითი ჭრები სულ თვით ფორმის სვეტებში აღინიშნება:

1 სვეტში იწერება ტყეკაფის ფონდისმფლობელთა თანამიმდევრული ნომრები;

მე-2 სვეტში—ტყეკაფის ფონდის მფლობელთა დასახელება;

მე-3 სვეტში—მთავარი სარგებლობის წესით გამოყოფილი ტყეკაფის მერქნის საერთო ოდენობა კუბურ მეტრობით; მათ შორის მე-4 სვეტში—მაქნისი და მე-5 სვეტში—საშეშე;

მე-6 სვეტში შეტანილი უნდა იქნეს მთავარი სარგებლობის ტყეკაფის მაქნისი მერქნის საძირკვო გადასახადის საერთო ოდენობა მანეთობით;

მე-7 სვეტში—საშეშე მერქნის საერთო საძირკვო გადასახადის რაოდენობა:

| №№ რიგზე | ხე-ტყის დამამზადებლები, რომელთაც 195... წელს გამოყოფილი აქვთ ტყეკაფის ფონდი | 195... წელს გამოყოფილი აქვთ ათას მ³-ით | | | | | | | | | | | | საძირკვლე გადასახადის საერთო თანხა | შეფასების საფუძველი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მთავარი სარგებლობის | | | | | | მოვლითი ჭრები | | | | | | | | |
| | | სულ | მათ შორის | | შეფასება | | | სულ | მათ შორის | | შეფასება | | | | ზონა | თანრიგი |
| | | | მაქ-ნისი | საშე-შე | მაქ-ნისი | საშე-შე | სულ | | მაქ-ნისი | საშე-შე | მაქ-ნისი | საშე-შე | სულ | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 1 | ტყემრეწველობა | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | ტყის მეურნეობის ფართო მოხმარების საამქრო . . | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | ადგილობრივი მრეწველობა | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | ადგილობრივი მომხმარებლები სულ . | | | | | | | | | | | | | | | |
| | მათ შორის: . . . | | | | | | | | | | | | | | | |
| | ა) ადგილობრივი წარმოება-დაწესებულებები | | | | | | | | | | | | | | | |
| | ბ) მოსახლეობა . . | | | | | | | | | | | | | | | |
| | გ) | | | | | | | | | | | | | | | |
| | ს უ ლ . | | | | | | | | | | | | | | | |

მე-8 სვეტში—მე-6 და მე-7 სვეტებში ჩაწერილი თანხების ჯამი;

მე-9 სვეტში იწერება მოვლითი ჭრების საერთო მოცულობა კუბურ მეტრობით; მათ შორის მე-10 სვეტში—მაქნისი და მე-11 სვეტში—საშეშე მერქნის საერთო მოცულობა კუბურ მეტრობით;

მე-12 სვეტში იწერება მოვლითი ჭრებით გამოყოფილ ტყეკაფზე სამასალე მერქნის საძირკვო გადასახადის რაოდენობა, მე-13 სვეტში—მოვლითი ჭრებით დამზადებული შეშის საძირკვო გადასახადის რაოდენობა მანეთობით.

მე-14 სვეტში იწერება მე-12 და მე-13 სვეტებში ჩაწერილი თანხების ჯამი;

მე-15 სვეტში იწერება მთავარი სარგებლობისა და მოვლითი ჭრების ტყეკაფების საძირკვო გადასახადის საერთო თანხა;

მე-16 სვეტში—სატყეო ნიხრის ზონა და მე-17 სვეტში— სატყეო ნიხრის საშუალო თანრიგი.

სახელმწიფო სატყეო შემოსავალი მთლიანად შეტანილი უნდა იქნეს ბიუჯეტში. ტყის მეურნეობას არა აქვს უფლება სატყეო შემოსავალი გამოიყენოს სხვა დანიშნულებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ტყის მეურნეობაში სატყეო შემოსავლის ზოგიერთ სახედან ქმნიან ტყის დაცვის მუშაკთა დაჯილდოების ფონდს, რომელიც შედგება: 22,5 % იმ თანხიდან, რომელიც მიიღება არსებული კანონმდებლობის საფუძველზე კონფისკებული ხე-ტყის მასალის რეალიზაციიდან და, აგრეთვე, გამოვლინებული თვითნებურად მოთიბული ბალახის გაყიდვიდან და 7,5 % ჯარიმების თანხიდან, რომელიც უნდა გადახდეს სასამართლოს დადგენილებით ტყით სარგებლობის წესების დამრღვევთ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ტყის მეურნეობის დაცვის მუშაკთა დაჯილდოების ფონდში თანხების ჩარიცხვა წარმოებს ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მიერ ყოველკვარტალურად ბიუჯეტში შეტანილი სატყეო შემოსავლის იმ თანხებიდან, რომლიდანაც დაშვებულია დაჯილდოების ფონდის შექმნა.

ტყის მეურნეობა ვალდებულია მოსახლეობაზე ხე-ტყის საჭრელი ბილეთის გამოწერისას გადაახდევინოს მათ საწინდარი. საწინდარს ადგილობრივი მოსახლეობა იხდის დადგენილი ნიხრების მიხედვით, ტყეკაფის გაწმენდაზე არსებული სავალდებულო წესების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. თუ მოქალაქე თავის დროზე შეასრულებს ტყეკაფის გაწმენდის არსებულ წესებს, მას ტყეკაფის ადგილზე შემოწმების შემდეგ, საწინდრის მიღებაზე შემოტანილ განცხადებებიდან ერთი დეკადის განმავლობაში, საწინდრის სახით უბრუნდება შემოტანილი თანხა. თუ დამამზადებელი არ შეასრულებს ტყეკაფის გაწმენდის სავალდებულო წესებს, საწინდარი რჩება ტყის მეურნეობაში და ის ჩარიცხული უნდა იქნეს ბიუჯეტში სპეციალურ ანგარიშზე.

ტყის მეურნეობის დირექცია ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სატყეო შემოსავლის ბიუჯეტში დროულად შეტანას. სატყეო შემოსავლის ბიუჯეტში დროულად შეუტანლობა მოასწავებს ბიუჯეტის შემოსავალ და გასავალ ნაწილებში გათვალისწინებული ღონისძიებების შეუსრუ-

ლებლობას, რაც სოციალისტურ გეგმიას. კურნეობის პირობებში ყოვლად დაუშვებელია.

ტყის მეურნეობის დირექციას ტყეკაფის ფონდის შესაბამისად ეძლევა სატყეო შემოსავლის მიღებისა და ბიუჯეტში შეტანის სათანადო დავალებები. ამ დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად ყოველი თვის ბოლოს ტყის მეურნეობა ადგენს და არა უგვიანეს მომდევნო თვის 20 რიცხვისა საფინანსო ორგანოებს უგზავნის იმ დამამზადებლების სიას, რომლებმაც დადგენილ ვადებში არ დაფარეს მათზე რიცხული დავალიანება.

საფინანსო ორგანოები, ამ მენარჩენეთა სიების საფუძველზე, სავალდებულო წესით ახდევინებენ დამამზადებლებს მათზე რიცხულ თანხებს. თუ ხე-ტყის დამამზადებლებს არ გააჩნიათ სახსრები აღნიშნული დავალებების დაფარვისათვის, საფინანსო ორგანოები ვალდებული არიან მიიღონ საჭირო ზომები დავალიანების უდავო დაფარვისათვის.

სატყეო შემოსავლის დარიცხულ თანხებში ან მისი შეტანის ვადებში რაიმე შესწორების შეტანის საჭიროების შემთხვევაში ხე-ტყის დამამზადებელს განცხადება შეაქვს ტყის მეურნეობაში. ტყის მეურნეობა ვალდებულია მიღებული განცხადება შეამოწმოს არსებითად და განცხადების შეტანის დღიდან ხუთი დღის ვადაში გადაუგზავნოს ადგილობრივ საფინანსო ორგანოს განცხადებაზე დასკვნა და დამამზადებლის პირადი საბუთიდან ამონაწერები შენატანების ვადებისა და ოდენობის შესახებ.

საფინანსო განყოფილება ვალდებულია 10 დღის განმავლობაში განიხილოს არსებითად ტყის მეურნეობიდან მიღებული საბუთები და გადაწყვიტოს საკითხი სატყეო შემოსავლის განვადების, განაწილების, ჩამოწერის, დაბრუნების ან ჩათვლის შესახებ. საფინანსო განყოფილება გამოტანილ გადაწყვეტილებას აცნობებს დამამზადებელს და სათანდო ტყის მეურნეობას.

იმ მიზნით, რომ სწორად აღირიცხოს ტყის მოწყობის მიერ დადგენილი ტყის ფონდში მომხდარი ცვლილებები, ტყის მეურნეობაში წარმოებს გაცემული მერქნისა და სატყეო შემოსავლის აღრიცხვა.

გასაცემი და ფაქტობრივად გაცემული მერქანი და სატყეო შემოსავალი ტყის მეურნეობაში შესაბამისად აღირიცხება ტყის ხარჯვის სპეციალურ წიგნში. აღნიშნულ წიგნში უნდა ჩაიწეროს გასაცემად ნებადართული და ფაქტობრივად გაცემული მერქანი კუბურ მეტრობით და მათი ნიხრების მიხედვით გაანგარიშებული ოდენობა.

ტყის მეურნეობა მერქნის გაცემისა და სატყეო შემოსავლის აღრიცხვას ამავე დროს აწარმოებს დამამზადებლებზე პირადი ანგარიშების ბარათების გახსნით.

სატყეო შემოსავლის აკრეფისათვის შემოღებულია შემოსავალ-გასავლის ფულადი წიგნი. ამ წიგნში სატყეო შემოსავლის ამკრეფი აღნიშნავს, რა საბუთის საფუძველზე გამოეწერა ხე-ტყის დამამზადებელს ხე-ტყის საჭრელი ორდერი, ორდერის №, რა ოდენობის თანხაა მიღებული, ვის რა საბუთით ჩაბარდა მიღებული თანხები და შემოსავლის ქვითრების №№ და თარიღები.

სამეურნეო წლის დამთავრებისას ამკრეფის შემოსავალ-გასავლის წიგნები ბარდება ტყის მეურნეობას, ხდება მათი შემოწმება და სათანადო ანგარიშების გასწორების შემდეგ ახალ წელს ეძლევა ამკრეფთ ახალი წიგნები და დოკუმენტაცია.

ტყის საჭრელი ორდერებისა და ბილეთების ბლანკების აღრიცხვას ტყის მეურნეობა აწარმოებს სპეციალურ ზონარგაყრილ წიგნში, ხოლო მზა ხე-ტყის პროდუქციის, ტყით არაპირდაპირი სარგებლობის პროდუქციის, მეორეხარისხოვანი ტყის მასალების, ხე ტყის დამამზადებელთაგან და ტყით სარგებლობის წესების დამრღვევთაგან ჩამორთმეულ ტყეში არსებულ ნაგებობებისა და მოწყობილობების აღრიცხვა წარმოებს სპეციალურ აღრიცხვის წიგნში.

ტყის მეურნეობა, მათ განკარგულებაში არსებული ხე-ტყის გაცემისა და სატყეო შემოსავლის აღრიცხვის პირველადი დოკუმენტების საფუძველზე, ადგენს ყოველთვიურ ანგარიშებს ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით (ფ. № 29) და მომდევნო თვის 15 რიცხვში უდგენს რაიონულ (საქალაქო) საფინანსო განყოფილებას.

რაიონული (საქალაქო) საფინანსო განყოფილებები, ტყის მეურნეობიდან მიღებული ცნობების საფუძველზე ფორმა № 29-ის მიხედვით ადგენენ კვარტალურ ანგარიშს გაცემული ხე-ტყის რაოდენობისა და სატყეო შემოსავლის შესახებ და გზავნიან ზემდგომ საფინანსო ორგანოებში საანგარიშო კვარტალის მომდევნო 20 რიცხვში.

საფინანსო ორგანოები მოვალენი არიან მოახდინონ ტყის მეურნეობიდან მიღებული ანგარიშების ზუსტი ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში მიიღონ ზომები ხე-ტყის ძირზე გაცემისაგან სატყეო შემოსავლის გეგმის შესასრულებლად და სატყეო შემოსავლის თანხების ბიუჯეტში მთლიანად და დროულად შეტანის უზრუნველსაყოფად. იმ შემთხვევაში, თუ საფინანსო ორგანოების მიერ ჩატარებული შემოწმებებით და ანალიზებით აღმოჩენილი იქნება ტყის მეურნეობის მუშაობაში დარღვევები და ნაკლოვანებები, ისინი მოვალენი არიან აღნიშნულის შესახებ აცნობონ ტყის მეურნეობის ზემდგომ ორგანოებს სათანადო ზომების მისაღებად.

არსებული დებულების შესაბამისად, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროს ორგანოები ვალდებული არიან შეამოწმონ წელიწადში ერთხელ შესაბამისი ტყის მეურნეობის ორგანოები, სატყეო შემოსავლის მიღების საქმეში ჩატარებული მუშაობის გამორკვევის მიზნით, ხოლო რაიონული (საქალაქო) საფინანსო ორგანოები ვალდებული არიან ამავე მიზნით წელიწადში ორჯერ შეამოწმონ ტყის მეურნეობები. ჩატარებული შემოწმების შედეგად დგება აქტი, სადაც უნდა ჩაიწეროს სატყეო შემოსავლის სრული მდგომარეობა წინა შემოწმებისა და ახალი შემოწმების პერიოდში. შემოწმების აქტს ხელს აწერენ შემმოწმებელი (ფინანსთა სამინისტროს ორგანოების წარმომადგენელი) და ტყის მეურნეობის პასუხისმგებელი მუშაკები, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ შემოწმებაში. შემოწმების აქტის საფუძველზე უნდა დაისახოს და გატარდეს ღონისძიებები სატყეო შემოსავლის საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობისათვის, მიუხედავად ტყით მოსარგებლეთა დაქვემდებარებისა, სატყეო შემოსავლის დახურვა და ბიუჯეტში შეტანა წარმოებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციის მიხედვით. აღნიშნული ინსტრუქცია ვრცელდება სატყეო შემოსავლის ყველა სახეზე, რომელიც მიიღება ტყის მეურნეობის ორგანოების უშუალო გამგებლობაში მყოფ ტყის ფონდით სარგებლობიდან და, აგრეთვე, იმ ტყეებიდან, რომლებიც გრძელვადიანი სარგებლობისათვის მიმაგრებული არიან სამინისტროებზე, უწყებებზე, ნაკრძალებზე საბჭოთა მეურნეობებზე, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებზე, ჯანმრთელობის დაწესებულებებზე, სამხედრო ნაწილებზე, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებზე და სხვ.

სატყეო შემოსავლის ინსტრუქცია არ ვრცელდება კოლმეურნეობებზე სახელმწიფო აქტებით მუდმივ სარგებლობისათვის გადაცემულ ტყეებსა და სოფლის საზოგადოებათა ტყეებზე.

სსრ კავშირში არსებულ კანონმდებლობის საფუძველზე, კოლმეურნეობები არიან საკოლმეურნეო ტყეების სრულუფლებიანი მოსარგებლენი და მერქნის გამოყენება კოლმეურნეთა საზოგადოებრივი მეურნეობის საჭიროებისათვის მათზე მიმაგრებული ტყეებიდან უფასოდ წარმოებს. კოლმეურნეთა პირადი საჭიროებისათვის და, აგრეთვე, სხვა კოლმეურნეობისა და მომხმარებლებისათვის ხე-ტყის ძირზე გაცემა წარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნიხრებით, ხოლო მეორეხარისხოვან მასალებსა და არაპირდაპირი სარგებლობის პროდუქციაზე—მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დამტკიცებული ნიხრებით.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციით დადგენილია, რომ „კოლმეურნეობათა ტყეების გამოყენებით მიღებული ყველა სახსრები (გარდა სახალხო სასამართლოების მიერ დადებული ჯარიმებისა ტყის თვითნებური ჭრისათვის, როგორც სასჯელი ზომა) შედის კოლმეურნეობის შემოსავალში და იხარჯება პირველ რიგში ამ ტყეებში ტყის მეურნეობისათვის ჩატარებულ სამუშაოებზე (ტყის რგვა, ტყის მოწყობა, ტყის ხანძრებთან და მავნე მწერებთან ბრძოლა და სხვა ღონისძიებანი). იმ შემთხვევაში, როდესაც კოლმეურნეობათა ტყეებით სარგებლობიდან შემოსავალი აღემატება ამავე სატყეო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებაზე ხარჯებს, ჭარბი სახსრები ჩაირიცხება კოლმეურნეობათა განუყოფელ ფონდში".

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ კოლმეურნეობათა ტყეებში ტყის თვითნებურად ჭრისათვის სახალხო სასამართლოების მიერ დადებული ჯარიმების თანხები, როგორც სასჯელის ზომა, დამრღვევთაგან მათი გადახდევინების შემდეგ მთლიანად უნდა ჩაბარდეს სასამართლოს აღმასრულებლის ან კოლმეურნეობის გამგეობის მიერ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად, როგორც სატყეო შემოსავალი.

სსრ კავშირის მთავრობის მიერ ამ უკანასკნელ წლებში გატარებულ ღონისძიებათა შედეგად სისტემატურად იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული სატყეო შემოსავალი. ასე, მაგალითად, 1952 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსული იყო 2 მილიარდი 237 მილიონი მანეთი, 1953 წელს— 2.281 მილ. მანეთი, 1954 წელს—2.470 მილ. მანეთი, 1955 წელს კი 2.844 მილ. მანეთი.

სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული სატყეო შემოსავალი მთლიანად ხმარდება საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი გაძლიერებისა და განვითარების საქმეს.

## IX. ტყის მეურნეობის საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზის საფუძვლები

ტყის მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების დროულად შესრულების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის ანალიზი. სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის გეგმების შესრულების მაჩვენებლების შესწავლა და ანალიზი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და გეგმის შესრულების პროცესში მიღწეული წარმატებების განზოგადებისა და დადებითი მოვლენების გავრცელებისათვის..

სამეურნეო და საწარმოო საქმიანობის ანალიზის დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო გეგმის შესრულებაში ჩამორჩენილი რგოლების წამოწევას და მოწინავე მეთოდების გავრცელებას, არამედ მეურნეობაში არსებული ფარული რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებას.

სამეურნეო და საწარმოო საქმიანობის ანალიზის პროცესში განხილული უნდა იქნეს გეგმის ყოველი მაჩვენებელი და შემოწმებისა და ანალიზის დღისათვის ფაქტობრივად მიღწეული დონე ანდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა შეფარდებული უნდა იქნეს იმავე პერიოდის გეგმასთან. ამ ორი მაჩვენებლის (ფაქტობრივი შესრულებისა და გეგმის) ურთიერთთან შეფარდება საზღვრავს გეგმის შესრულების ობიექტურ სიდიდეს. თუ შესრულებული სამუშაოს მოცულობა მცირეა იმავე პერიოდის გეგმასთან შედარებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სახის სამუშაოზე გეგმა არ სრულდება, რაც დაუყოვნებლივ შესწავლისა და გეგმის შეუსრულებლობის მიზეზის გამორკვევის ობიექტად უნდა გახდეს.

მიმდინარე საგეგმო წელს სამეურნეო საქმიანობის ზრდის ტემპებისა და დინამიკის დასადგენად საჭიროა წასული პერიოდების ამა თუ იმ სახის სამუშაოს შესრულების სიდიდეს შევუფარდოთ შესაბამისი პერიოდის გეგმა. გეგმის შესრულების აღრიცხვის მასალები წარმოების ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს შეუფარდოს ის მოწინავე წარმოების გეგმის შესრულების

მაჩვენებლებს და დაადგინოს სათანადო ღრმა ანალიზის შედეგად, თუ რის შედეგად მიაღწიეს მოწინავე საწარმოში მაღალ ეკონომიურ მაჩვენებლებს, სამუშაოს შესრულების ერთ და იმავე პირობებში.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ორ ერთნაირ წარმოებაში ერთი და იგივე სამუშაოებზე განსხვავებული საწარმოო შედეგებია. მოწინავე საწარმოში გეგმის შესრულება მაღალი რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლებით მიმდინარეობს, ჩამორჩენილ საწარმოში კი დაბალი თვისობრივი მაჩვენებლებით. ამ მოვლენათა სრულყოფილი ანალიზი ნათლად ააშკარავებს, თუ რა ღონისძიების გატარების შედეგად მოწინავე მეურნეობაში მიღწეულ იქნა მაღალი ეკონომიური მაჩვენებლები, ან კიდევ, რა მიზეზები აპირობებს ჩამორჩენილ წარმოებაში არადამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებს.

ღრმა ანალიზის შედეგად მეურნეობის ხელმძღვანელობა, ავლინებს რა ჩამორჩენის მიზეზებს, სახავს სათანადო ღონისძიებებს მოწინავე საწარმოთა რიგებში ჩამორჩენილი წარმოების გადაყვანისათვის. მეურნეობის კოლექტივის საპატიო მოვალეობას შეადგენს, რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში განახორციელოს ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის მიზნით დასახული ღონისძიებები.

სამეურნეო საქმიანობის ანალიზის შედეგად დასახული ღონისძიებების მიზანია, ფართოდ დანერგოს წარმოებაში მუშაობის მოწინავე მეთოდები და დაუყოვნებლივ ბოლო მოუღოს საწარმოო და საფინანსო გეგმის მაჩვენებლების შეუსრულებლობას და მის წარმოშობის მიზეზებს. ტყის მეურნეობაში საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზი მიმდინარეობს საწარმოო საქმიანობის ყველა უბანსა და რგოლში. სამეურნეო საქმიანობის მიმდინარეობის შესწავლისა და ანალიზის ჩატარებაში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული არა მარტო მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები, არამედ მეურნეობის ყველა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მოწინავე მუშები.

ტყის მეურნეობის დირექტორი, უფროსი მეტყევე, უფროსი ბუღალტერი და სხვა მუშაკები ვალდებული არიან ყოველდღიური ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიონ მეურნეობის საწარმოო უბნებს, შეამოწმონ და ანალიზი გაუკეთონ საწარმოო უბნებზე შესრულებული სამუშაოს რაოდენობრივ და თვისობრივ მაჩვენებლებს. ტყის მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას მინიჭებული აქვს უფლება კონტროლი გაუწიოს მეურნეობის ადმინისტრაციას საწარმოო და საფინანსო საქმიანობაში.

ამ მიზნით პარტიული ორგანიზაცია აქტივის საშუალებით ამოწმებს საწარმოო და საფინანსო საქმიანობას, სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და მეურნეობის ხელმძღვანე-

ლობასთან ერთად რაზმავს მეურნეობის მუშაკებს საწარმოო-საფინანსო გეგმების წარმატებით შესასრულებლად.

ტყის მეურნეობის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზისათვის, პირადი დაკვირვების მასალების გარდა, გამოყენებული უნდა იქნეს აღრიცხვის მასალები. ტყის მეურნეობაში ორგანიზებული სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვის წესი და სისტემა საშუალებას იძლევა გამოირკვეს საქმიანობის რომელ უბანზე თუ როგორ სრულდება საწარმოო დავალებები და სად არის საჭირო ყურადღების მეტი გამახვილება.

ტყის მეურნეობაში სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ჩასატარებლად გამოიყენება საბუღალტრო, სტატისტიკური და ოპერაციულ-ტექნიკური აღრიცხვის მონაცემები.

საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვის მონაცემები განხილული უნდა იქნეს არა ისე, როგორც უბრალო ციფრების მწკრივები, არამედ როგორც საწარმოო პროცესების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი, ტყის მეურნეობის კოლექტივის შემოქმედებითი შრომის შედეგების გამომსახველი, მეურნეობის ზრდისა და განვითარების დინამიკის მაჩვენებელი დროის გარკვეულ მონაკვეთში.

აღრიცხვის მონაცემებში უნდა ვხედავდეთ მატერიალური დოვლათის შექმნის ცხოველმყოფელ პროცესს.

ობიექტური აღრიცხვის მონაცემები საშუალებას აძლევს ტყის მეურნეობის დირექციას და მის ზემდგომ ორგანოებს წარმოდგენა იქონიონ დროის გარკვეულ მონაკვეთზე საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების მიმდინარეობაზე.

ამ მიზნით სატყეოები და ფართო მომმარებლის საწარმოო საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ცნობებს აგზავნიან ტყის მეურნეობაში დადგენილი ფორმისა და მაჩვენებლების მიხედვით. ტყის მეურნეობა კი სატყეოებისაგან და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოებისაგან მიღებულ აღრიცხვის მონაცემებს დადგენილი ფორმებით და ვადებში უგზავნის ზემდგომ ტყის მეურნეობის ორგანოებს.

ტყის მეურნეობაში პირველ რიგში გაანალიზებული უნდა იქნეს:

ა) საწარმოო გეგმების შესრულება,

ბ) საწარმოო სიმძლავრეების გამოყენება,

გ) შრომისა და ხელფასის ფონდის გეგმების შესრულება,

დ) თვითღირებულების გეგმების შესრულება,

ე) საფინანსო გეგმების შესრულება და სხვ.

## ა) საწარმოო გეგმების შესრულების ანალიზი

საწარმოო გეგმების შესრულების ანალიზის მიზნით, შესწავლილი უნდა იქნეს:

როგორ სრულდება საწარმოო გეგმები ნატურალური გამოსახულებით ცალკე საბიუჯეტო საქმიანობაზე და ცალკე სამეურნეო ანგარიშზე მყოფ წარმოებაში. სახელდობრ: საბიუჯეტო საქმიანობის ხაზით—სატყეო-საკულტურო სამუშაოები, ტყის მოვლისა და დაცვის სამუშაოები, ტყით სარგებლობის სამუშაოები და სხვ. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა ხაზით—ხე-ტყის ექსპლოატაციის გეგმა, ხე-ტყის დამუშავება-გადამუშავების გეგმა, დამხმარე სოფლის მეურნეობის გეგმა და სხვ.

სატყეო-საკულტურო სამუშაოების გეგმის შესრულების ანალიზი უნდა ჩატარდეს შესრულებული სამუშაოების აღრიცხვის მასალების გამოყენებით და შერჩევით ადგილზე შემოწმებით. სატყეო-საკულტურო სამუშაოების აღრიცხვისათვის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და ტყის მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ დამტკიცებულია სპეციალური ფორმები. ასე, მაგალითად, ფორმა № 1-ის მიხედვით სატყეო-საკულტურო სამუშაოების შესრულების ანგარიში დგება მუშაობის წარმოების პერიოდში ყოველთვიურად. აღნიშნულ ფორმაში შეტანილი უნდა იქნეს: დათესილი და დარგული ტყის კულტურების ფართობი, მექანიზებული წესით შესრულებული სამუშაოს მოცულობა, სანერგეების სკოლებისა და პლანტაციების გაშენების სამუშაოები, ახალი და ძველი კულტურების მოვლის სამუშაოები ერთჯერადზე გადაყვანით. თესლებისა და სტანდარტული ნერგების დამზადების სამუშაოები და სხვ.

აღრიცხვის ფორმა ივსება ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მატებით. ასე, მაგალითად, თუ საკულტურო სამუშაოები დაიწყო თებერვალში, თვიურ ანგარიშში შეტანილი უნდა იქნეს თებერვალში შესრულებული სამუშაო, თუ დაწყებული სამუშაო გრძელდება მარტის თვეში, მარტის ბოლოს შევსებულ ანგარიშში შეტანილი უნდა იქნეს თებერვალ-მარტის თვეებში შესრულებული სამუშაოები, აპრილის თვის ანგარიშში—თებერვლის, მარტისა და აპრილის თვეებში შესრულებული სამუშაოები და ა. შ. შესწავლილი უნდა იქნეს თვიურ ანგარიშში შეტანილი ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მონაცემები და მისი დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები. სატყეო-საკულტურო სამუშაოთა აღრიცხვის პირველად დოკუმენტს წარმოადგენს სატყეოებიდან მიღებული სამუშაოს შესრულების შესახებ დღიური, კვირეული, დეკადური და თვიური ანგარიშები. სატყეოები ამ ანგარიშებს ადგენენ ამა თუ იმ სამუშაოების მიღების აქტების საფუძველზე.

ზოგ შემთხვევაში საანგარიშო მასალებით ძნელია დადგენა იმისა, თუ როგორია შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, რასაც განსაკუთრებული მნიშ-

ვნელობა აქვს ტყის მეურნეობაში საკულტურო და სხვა სამუშაოთა შესრულებისას. სატყეო-საკულტურო სამუშაოთა გეგმის ეს თვისობრივი მაჩვენებელი შესწავლილი უნდა იქნეს შერჩევით ადგილზე შესრულებულ სამუშაოს მიღების აქტების მიხედვით.

აქტების მიხედვით მიღებულ სამუშაოთა შემოწმებას სასურველია დაესწროს სამუშაოს მიმღები, რომლის მონაწილეობით შედგენილი იყო შესრულებული სამუშაოს მიღების აქტი. ამ პირველადი დოკუმენტის შემოწმების შემდეგ, შემოწმებული უნდა იქნეს ტყის მეურნეობის მიერ შედგენილი ანგარიშების სისწორე. შემოწმების მასალები საშუალებას იძლევა დადგენილ იქნას, თუ სინამდვილიდან რა გადახრებია დაშვებული. უნდა შემოწმდეს გეგმების შესრულების მიმდინარეობა დეკადებისა და თვეების მიხედვით. გეგმის შესრულების მონაცემის შესწავლა და მათი ღრმა ანალიზი საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ, თუ როგორ მიაღწია მოწინავე სატყეოებმა სატყეო-საკულტურო სამუშაოების გეგმების წარმატებით შესრულებას, ან კიდევ, რა მიზეზით არ შესრულდა ცალკეულ ტყის მეურნეობაში გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები.

გეგმის შესრულებას პროცენტობით გამოსახავენ. გეგმის შესრულების პროცენტის დასადგენად გეგმის ფაქტობრივ შესრულებას ჰყოფენ საგეგმო მონაცემებზე და მიღებულ განაყოფს ამრავლებენ 100-ზე. ვთქვათ, ტყის მეურნეობას მარტში უნდა გაეშენებია რგვით 2,5 ჰა ფიჭვის კულტურა, ფაქტობრივად გააშენა 2,8 ჰა. გეგმა შესრულებულია (2,8 : 2,5$\times$100) 112%. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ტყის მეურნეობას მარტის თვის ფიჭვის კულტურის გაშენების გეგმა გადაჭარბებით აქვს შესრულებული, მაინც უნდა შემოწმდეს ყოველი სატყეოს მიხედვით ფიჭვის კულტურის გაშენების გეგმის შესრულება. ხომ არ არის ისეთი სატყეო, სადაც მოცემული გეგმა არ შესრულებულა, და თუ ასეთი ჩამორჩენილი სატყეო ან ბრიგადა აღმოჩნდება, შესწავლილი უნდა იქნეს დეტალურად, თუ რა მიზეზით არ შეასრულდა გეგმა და ვინ არის გეგმის შეუსრულებლობაში კონკრეტული დამნაშავე.

შესწავლილი უნდა იქნეს აგრეთვე მოწინავე სატყეოების მუშაობის მეთოდები, გამოვლინებული უნდა იქნეს მოწინავე ბრიგადები, მოწინავე ადამიანები, მათი კიდევ უფრო წახალისებისა და მათი მუშაობის მოწინავე მეთოდების დანერგვისა და გავრცელების მიზნით. ასეთივე წესით შესწავლილი უნდა იქნეს სატყეო-საკულტურო სამუშაოების ყოველი სახე და შესწავლისა და ანალიზის შედეგად გაკეთებული უნდა იქნეს სათანადო ორგანიზაციული და სამეურნეო ხასიათის დასკვნები.

ტყის მეურნეობაში წარმოდგენილი საწარმოო საქმიანობის მრავალი დარგი რთულსა და მრავალმხრივს ხდის საანალიზო სამუშაოებს. ურთიერთისაგან განსხვავებულ მრავალი სახის სამუშაოებს შეიცავს არა მარტო სატ-

ყეო-საკულტურო სამუშაოები, არამედ მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები, ტყით პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებლობა, სახელდობრ, ტყის ნარჩენების გადამუშავება, ფართო მოხმარების საგნების დამზადება, დამხმარე სოფლის მეურნეობა და სხვ.

სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობის შემსწავლელი მეტყევე სპეციალისტი ვალდებულია მოგვცეს არა მარტო გეგმის შესრულების ციფრობრივი მონაცემები, არამედ მოვლენათა სრული ანალიზი, ნამდვილი მეცნიერული დასაბუთებული დასკვნები და ღონისძიებები, ამისათვის ის კარგად უნდა იცნობდეს სამუშაოთა შესრულების თანამედროვე ტექნიკას, სამუშაოს შესრულების მოწინავე ტექნოლოგიას. აღრიცხვის მასალების გადამოწმების პროცესში ის ღრმად უნდა ჩაწვდეს მოვლენის შინაარს და სწორი შეფასება მისცეს ამ მოვლენათა წარმოქმნაში მოწინავე ფაქტორებს.

საწარმოო გეგმის შესრულების შემოწმებისას, შესწავლილი უნდა იქნეს რამდენად უზრუნველყოფილია საწარმოო პროცესები გეგმით გათვალისწინებული ენერგოშეიარაღებით, ძირითადი და დამხმარე მასალებით, სათბობით, ელექტროენერგიით და სათანადო კვალიფიკაციის მუშახელით და, აგრეთვე, თუ როგორ იყენებენ აღნიშნულ ფაქტორებს. ნატურალური გამოსახულებით გეგმის შესრულების შემოწმების შედეგად მიღებული მონაცემები წარმოდგენას გვაძლევს ასორტიმენტის მიხედვით გეგმების შესრულებაზე. ასორტიმენტის მიხედვით გეგმის შესრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მეურნეობის ამოცანას შეადგენს გეგმები შეასრულოს არა საერთოდ, არამედ სამუშაოს ყოველი სახის მიხედვით, ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვით. ტყის მეურნეობას სატყეო-საკულტურო სამუშაოები დაგეგმილი აქვთ სამუშაოს სახეებისა და ჯიშების მიხედვით. ტყის მეურნეობა ვალდებულია მიიღოს ყოველგვარი ზომა გეგმების დავალებისდა მიხედვით შესრულებისათვის. ვთქვათ, ტყის მეურნეობას მიღებული ჰქონდა საწარმოო დავალება გაეშენებია 10 ჰა ტყის კულტურები, მათ შორის ფიჭვი 5 ჰა-ზე, კაკალი 3 ჰა-ზე და აკაცია 2 ჰა-ზე. მეურნეობამ ტყის გაშენების გეგმა ნახევარი ჰექტარის გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ დარგული იქნა ფიჭვი 6,5 ჰექტარზე, აკაცია 3 ჰექტარზე, ხოლო კაკალი, ნაცვლად 3 ჰექტარისა, 1 ჰა-ზე. მიუხედავად ტყის გაშენების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა, მეურნეობის მიერ ჩატარებული სატყეო-საკულტურო სამუშაოები ჩაითვლება არადამაკმაყოფილებლად, იმის გამო, რომ სამუშაოს სახეების მიხედვით გეგმა არ შესრულდა.

სატყეო-საკულტურო სამუშაოების ხაზით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გაშენებული კულტურების გახარების პროცენტს. კულტურების გახარების პროცენტი და მათი მდგომარეობა გვიჩვენებს, თუ როგორი ხარისხით და რა ვადებში იყო ჩატარებული სატყეო-საკულტურო სამუშაოები.

დათესილ ფართობზე აღმონაცენის მდგომარეობა ნათლად ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორი ყურადღებით იყო შერჩეული თესლი, როგორ დამუშავდა ნიადაგი თესვისათვის და როგორ უვლიან აღმონაცენს. დარგული და

დათესილი ფართობების ადგილზე შემოწმების ვადები დაკავშირებული უნდა იქნეს ვეგეტაციის პერიოდებთან. ამრიგად, ნატურალური გამოსახულებით გეგმის შესრულებას შემოწმებით ვიგებთ სამუშაოს ცალკეული სახეების გეგმის შესრულებას ასორტიმენტისა და ხარისხის მიხედვით. მაგრამ იმის დასადგენად, თუ ტყის მეურნეობამ მთლიანად როგორ შეასრულა გეგმა, თუ როგორია მეურნეობის ზრდის დინამიკა და მუშაობის საერთო შედეგები, მოწმდება საერთო პროდუქციის გეგმების შესრულება. გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები და საგეგმო პერიოდში დასამზადებლად გათვალისწინებული პროდუქცია გადაიყვანება ზემდგომი ტყის მეურნეობის ორგანოების მიერ დაშვებულ ფასებში. მოწმდება, თუ რამდენად სწორედ იყო დადგენილი საერთო პროდუქციის გეგმა და საერთო პროდუქციის გეგმის შესრულების მონაცემები.

საერთო პროდუქციის გეგმის შესრულების აღრიცხვა წარმოებს ზემდგომი ორგანოების მიერ დადგენილი ფორმების მიხედვით. საერთო პროდუქციის გეგმების შესრულების შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გეგმით გათვალისწინებული საქმეობების შესრულებას. არის შემთხვევები, როდესაც მეურნეობებში გეგმებს ასრულებენ მეორეხარისხოვანი სამუშაოების ხარჯზე, გვერდს უვლიან რა შრომატევად, პირველი რიგის საქმიანობას, და შედარებით ადვილად შესასრულებელ, ნაკლებად შრომატევად სამუშაოთა გეგმების გადაჭარბებით შესრულებით ფარავენ ძირითადი სამუშაოების გეგმების შესრულებაში გარღვევებს. შემოწმებისას ასეთი არანორმალური და დაუშვებელი „საქმიანობა“ მაილებული უნდა იქნეს და დაგმობილი.

დიდი ყურადღებით უნდა შემოწმდეს აგრეთვე სასაქონლო პროდუქციის გეგმის შესრულება. სასაქონლო პროდუქციის გეგმა მოიცავს სხვა ორგანიზაციებზე გასაცემ პროდუქციას მოქმედ საბითუმო ფასებით გამოსახულს და იმ მომსახურებათა ღირებულებას, რომელსაც მეურნეობა უსრულებს სხვა ორგანიზაციებს, საკუთარი კაპიტალური მშენებლობის წარმოებას და საკუთარ კომუნალური მეურნეობის ობიექტებს.

სასაქონლო პროდუქციის გეგმის შესრულებაში შეიტანება ის შესრულებული სამუშაოები და დამზადებული პროდუქცია, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტის ან ტექნიკური პირობების მოთხოვნებს და მიღებულია ტექნიკური კონტროლის მიერ. სასაქონლო პროდუქციის გეგმის შესრულებაში არ შეიტანება არაკომპლექტური და არასტანდარტული ნაწარმი, წუნდებული სამუშაოები და ნაკეთობები.

ცალკე გარკვეული უნდა იქნეს წუნდებული სამუშაოების შესრულების მიზეზი და აუცილებლივ უნდა დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა დამნაშავე პირებს. წარმოების გეგმის ბოლო ნაწილს ფართო მოხმარების ნაკეთობათა გეგმა წარმოადგენს. ამ გეგმაში ტყის მეურნეობა ითვალისწინებს მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით წარმოებულ ნაკეთობებს. აღნიშნული გეგმა შეიძლება შედგეს ფულადი ან ნატურალური გამოსახულებით.

გეგმის შესრულების აღრიცხვა წარმოებს დამტკიცებული ერთიანი ფორმების მიხედვით. შემოწმებას ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო გეგმის შესრულების რაოდენობრივ მაჩვენებლებს, არამედ თვისობრივ მაჩვენებლებსაც. ფართო მოხმარების ნაკეთობები, რომლებიც დამტკიცებულია გეგმით ნოსახლეობაში სარეალიზაციოდ, ხელშეკრულების მიხედვით ბარდება სავაჭრო ორგანიზაციებს. სავაჭრო ორგანიზაციები და მომხმარებლები სარეალიზაციოდ გამოშვებული პროდუქციის დაბალი ხარისხის შემთხვევაში მეურნეობას უგზავნიან რეკლამაციებს. რეკლამაციაში აღნიშნულია, თუ რა ხასიათის წუნი აქვს მომხმარებელზე მიწოდებულ ნაკეთობებს. სასაქონლო პროდუქციის გეგმის შესრულებასთან ერთად უნდა შემოწმდეს, რა მუშაობა ჩაატარა მეურნეობებმა რეკლამაციაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

## ბ) საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ანალიზი

ტყის მეურნეობაში საქმიანობის მთელ რიგ უბნებზე ფართოდ იყენებენ მექანიზმებს. სატყეო-საკულტურო სამუშაოები: ნიადაგის მომზადება, ტყის დარგვა, თესვა და მოვლის სავადასავა სამუშაო მოწინავე ტყის მეურნეობაში თითქმის უკვე მექანიზებულია. მექანიზმები და აპარატები ფართოდ გამოყენებულია მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოებზე, ხანძრისაგან დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე, ტყით სარგებლობის სამუშაოებზე და სხვ.

ტყის მეურნეობაში ამჟამად დანერგილი ტექნიკა ძირითადად სეზონური გამოყენებისაა. ასე, მაგალითად, სარგავი ან სათესი მანქანა-იარაღები რგვისა და თესვის სამუშაოთა სეზონის დამთავრების შემდეგ მომავალ სეზონამდე გამოუყენებელია. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუშაობის პერიოდში მანქანა-იარაღების მაქსიმალურ გამოყენებას.

საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ძირითად მიზანს შეადგენს იმის დადგენა, თუ სეზონის პერიოდში რამდენად სწორად და რაციონალურად იყო გამოყენებული მეურნეობის განკარგულებაში არსებული მანქანა-იარაღები და დანადგარები. ამ მიზნით მანქანა-იარაღების საექსპლოატაციო სიმძლავრეს სეზონის პერიოდში უფარდებენ სეზონში ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოს და საზღვრავენ ყოველი მანქანა-იარაღისა და დანადგარის გამოყენების ხარისხს.

მანქანა-იარაღებითა და დანადგარებით შესრულებული სამუშაოების აღრიცხვა წარმოებს ამ მიზნით დადგენილი სპეციალური ფორმების მიხედვით. ფორმებში მოცემული მაჩვენებლებისა და, აგრეთვე, უშუალო დაკვირვებების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად დადგენილი უნდა იქნეს ის მანქანა-იარაღები და აგრეგატები, რომლებზედაც გადაჭარბებით შესრულდა სეზონური ნორმები ან არ შესრულდა.

ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებში მოცემული უნდა იქნეს იმ მოწინავე მუშაობის მეთოდების დასახელება, რომლის შედეგადაც მიღწეუ-

ლია გეგმების გადაჭარბება. ამავე დროს დეტალურად უნდა შემოწმდეს გეგმების შეუსრულებლობის მიზეზები.

მიღებული მასალების საფუძველზე უნდა დაისახოს ღონისძიებები ტყის მეურნეობაში არსებული ტექნიკის მაქსიმალური და რაციონალური გამოყენებისათვის.

მეურნეობის კოლექტივის გადაუდებელ საპატიო მოვალეობას შეადგენს არ დაუშვას ტექნიკის გაცდენა. ტექნიკის რაციონალური გამოყენებით, მათი მაქსიმალური დატვირთვით, მეურნეობა აღწევს არა მარტო შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან გადიდებას და შესრულებული სამუშაოების თვითღირებულების შემცირებას, არამედ მეურნეობის მუშაკების შრომის პირობების გაუმჯობესებასაც.

## გ) შრომისა და ხელფასის გეგმების ანალიზი

შრომისა და ხელფასის გეგმის შესრულების ანალიზის ჩატარებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგი საკითხების შესწავლას:

1. შრომის ნაყოფიერების გეგმისა და გამომუშავების ნორმების შესრულებას,
2. კატეგორიების მიხედვით მომუშავეთა რაოდენობის გეგმის შესრულებას,
3. მომუშავეთა კატეგორიების მიხედვით ხელფასის ფონდის გამოყენებას და
4. მეურნეობის სხვადასხვა კატეგორიის მუშაკთა საშუალო თვიური და წლიური ხელფასის დონეს.

### 1. შრომის ნაყოფიერების გეგმისა და გამომუშავების ნორმების შესრულება

შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულება აღირიცხება ფასეულობითი და ნატურალური გამოსახულებით. ფასეულებითი შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულების აღრიცხვის დროს შესწავლილი უნდა იქნეს საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად გამომუშავებული საერთო პროდუქცია და ფაქტობრივად ამ გეგმის შესრულებაზე გამოყენებული მუშათა საშუალო სიობრივი რიცხვი. მუშათა საშუალო სიობრივ რიცხვში შედის როგორც ძირითადი, ისე დამხმარე მუშები.

ფაქტობრივად გამომუშავებულ საერთო პროდუქციას თუ გავყოფთ ამ პროდუქციის გამოშვებაზე მომუშავე მუშათა საშუალო სიობრივ რიცხვზე, მივიღებთ სიდიდეს, რომელიც გამოსახავს ერთი მუშის საშუალო წლიური შრომის ნაყოფიერების დონეს საანგარიშო პერიოდში.

ერთი მუშის საშუალო შრომის ნაყოფიერების ფაქტობრივი დონის გეგმასთან და გასული წლის იმავე პერიოდის ფაქტობრივ სიდიდესთან შედარებით მივიღებთ შრომის ნაყოფიერების დონის დინამიკის სურათს. თუ მიმდინარე წელს ერთ საშუალო სიობრივ მუშის შრომის ნაყოფიერების ფაქტობრივად მიღწეული დონე ჭარბობს მიმდინარე წლის გეგმას და გასუ-

ლი წლის სათანადო პერიოდის საანგარიშო სიდიდეს, ეს მეურნეობის დიდი წარმატების მაჩვენებელია. ვთქვათ, შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულების შემოწმება ტარდება მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით.

ამ მიზნით შესწავლილი უნდა იქნეს შრომის ნაყოფიერების წლიური და სამი კვარტალის გეგმა, გასული წლის 9 თვის შრომის ნაყოფიერების გეგმის ფაქტობრივად შესრულების მაჩვენებელი და მიმდინარე წლის 1, 2 და 3 კვარტალში ფაქტობრივად მიღწეული შრომის ნაყოფიერების დონე 1 საშუალო სიობრივ მუშაზე.

ავიღოთ რომელიმე ტყის მეურნეობა და ჩავატაროთ ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვაზე შრომის ნაყოფიერების 1957 წლის 9 თვის გეგმის შესრულების ანალიზი ფასეულობითი გამოსაღულებით (იხ. გვ. 165).

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ 1957 წელს 1956 წლის გეგმასთან შედარებით საერთო პროდუქციის გეგმა 10%-ით გაიზარდა, ხოლო ფაქტობრივ შესრულებასთან შედარებით 7%-ით. საერთო პროდუქციის გეგმის ფაქტობრივი შესრულება 1957 წლის 9 თვეში 1956 წლის 9 თვის გეგმის ფაქტობრივი შესრულებასთან შედარებით 13.6%-ით გაიზარდა. 1957 წელს 1956 წელთან შედარებით გაიზარდა მუშათა საშუალო წლიური და 9 თვის სიობრივი რიცხვი 10,4%-ით. ჩვენს მიერ აღებულ მონაცემებში 1956 წლის 9 თვეში ფაქტობრივად მუშაობდა საშუალოდ 16,5 კაცი, 1957 წლის 9 თვეში კი 17,2 კაცი, ე. ი. 4,2%-ით მეტი.

საშუალოდ ერთი მუშის წლიური შრომის ნაყოფიერება 1956 წელს ფაქტობრივად განისაზღვრებოდა 32.125 მანეთით, 1957 წელს კი ის 1%-ით მცირდება შრომატევადი სამუშაოთა გადიდების გამო. 1956 წლის 9 თვეში ერთი მუშის საშუალო ნაყოფიერება ფაქტობრივად უდრიდა 23.272 მანეთს, 1957 წლის 9 თვეში 25.395 მანეთს ანუ 9%-ით მეტს. გეგმით იმავე პერიოდში ზრდა გათვალისწინებული იყო 7,4%.

შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონე უდავოდ დამაკმაყოფილებელია. ამ შემთხვევაში შესწავლილი უნდა იქნეს შრომის ნაყოფიერების დონეზე მოქმედი ფაქტორებიდან რომელი ღებულობდა მონაწილეობას შრომის ნაყოფიერების ზეგეგმურ ზრდაში. უნდა შემოწმდეს საიელდობრ:

1. დამზადება-გამოზიდვის საწარმოო პროცესების მექანიზაციის გეგმური და ფაქტობრივი დონე.

1. დამზადება-გამოზიდვის საწარმოო პროცესებზე გამოყენებული მექანიზმების სიმძლავრეები, გეგმით გათვალისწინებული მანქანების საექსპლოატაციო მწარმოებლობა და მანქანების მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოები.

3. დამზადება-გამოზიდვაზე გამოყენებული მუშახელის კვალიფიკაციის დონის ამაღლება და ყოველდღიური გამომუშავების ნორმების შესრულების მდგომარეობა.

4. შრომის ორგანიზაცია დამზადება-გამოზიდვაზე და ამ მხრივ ჩატარებული გაუმჯობესებანი და სხვ.

| №№ | წლების დასახელება | წლიური საერთო პროდუქცია (მან.) | | 9 თვის საერთო პროდუქცია (მან.) | | მუშათა საშუალო წლიური სიობრივი რიცხვი | | 9 თვეში მუშათა საშუალო სიობრივი რიცხვი | | წელიწადში საშუალო 1 მუშის შრომის ნაყოფიერება (მან.) | | | 9 თვეში საშუალოდ 1 მუშის ნაყოფიერება (მან.) | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გეგმა | ფაქტ. | გეგმა | ფაქტ. | გეგმა | ფაქტ. | გეგმა | ფაქტ. | გეგმით | ფაქტობრივად | შრომის ნაყოფიერების ზრდა %% | გეგმა | ფაქტობრივ. | ზრდის % |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| 1 | 1956 | 00000 | 514000 | 375000 | 384000 | 16,6 | 16 | 16,5 | 16,5 | 30120 | 32125 | 2,8 | 22727 | 23272 | 2,5 |
| 2 | 1957 | 550000 | — | 420000 | 436800 | 17,3 | — | 17,2 | 17,2 | 31792 | — | — | 24418 | 25395 | 4 |
| 3 | %% 1957 წლის მაჩვენებლების 1956 წლის მაჩვენებლებთან შედარებით . . . . | 110 | — | 112 | 113,6 | 104,2 | — | 104,2 | 104,2 | 105,5 | — | — | 107,4 | 109,1 | — |

აღნიშნული ფაქტორების შესწავლისა და ანალიზის შემდეგ შედგენილი უნდა იქნეს კონკრეტული ღონისძიებები მიღწეული გაუმჯობესების ფართოდ დანერგვისა და გავრცელებისათვის და, აგრეთვე, ვიწრო ადგილებისა და საერთოდ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შრომის ნაყოფიერების დონის გაანგარიშება წარმოებს საშუალოდ ერთ მუშაზე. შრომის ნაყოფიერების გაანგარიშება წარმოებს როგორც ცალკეული სამუშაოების მიხედვით, ისე მთლიანად მეურნეობის მასშტაბით.

მეურნეობაში დამზადებული მრავალი სახის ნაკეთობათა საერთო პროდუქციის გეგმაში გამოსახვით შესაძლებელია გაანგარიშებულ იქნეს მანეთობით ერთი მუშის საშუალო წლიური, კვარტალური და თვიური ნაყოფიერება. გასული წლის შესაბამის პერიოდებთან ამ მონაცემების შედარებით შესაძლებელია დავადგინოთ შრომის ნაყოფიერების დინამიკა. მაგრამ თუ ჩვენ გვსურს შრომის ნაყოფიერების დინამიკა დავადგინოთ ნატურალური გამოსახულებით, მაშინ საჭიროა წლიური გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს მოცულობა, სახეების მიხედვით, გავყოთ ამავე სამუშაოზე გეგმით გათვალისწინებული მუშების საშუალო წლიურ სიობრივ რაოდენობაზე და მიღებული სიდიდე იქნება აღებულ სამუშაოზე ერთი მუშის საშუალო წლიური შრომის ნაყოფიერება.

შრომის ნაყოფიერების დინამიკის დასადგენად საგეგმო პერიოდის ერთი მუშის საშუალო წლიური გამომუშავება უნდა შევუფარდოთ წინა წელში ერთი მუშის ფაქტობრივ საშუალო წლიურ გამომუშავებას. გეგმური მაჩვენებლის ფაქტობრივთან შედარებით მოგვცემს შრომის ნაყოფიერების ცვალებადობის სიდიდეს. ავიღოთ შემდეგი მაგალითი: ტყის მეურნეობას გეგმის მიხედვით 1957 წელს უნდა დაემზადებია 5610 კუბური მეტრი მაქნისი მერქანი. ფაქტობრივად დაამზადა 5656 კუბური მეტრი, საშუალო წლიური მუშათა სიობრივი რიცხვი გეგმით გათვალისწინებული იყო 17 კაცი. ფაქტობრივად მომუშავე მუშათა საშუალო წლიური სიობრივი რიცხვი უდრიდა 17 კაცს. ერთი მუშის საშუალო წლიური შრომის ნაყოფიერების გეგმა 1957 წელს შეადგენდა (5610 : 17) 330 კუბურ მეტრს, ფაქტობრივად კი (5696 : 17) უდრის 335 კუბურ მეტრს. ამრიგად, ერთი მუშის საშუალო წლიური გამომუშავების გეგმა 101%-ით შესრულდა. იმავე ტყის მეურნეობაში 1956 წელს ერთი მუშის საშუალო წლიური შრომის ნაყოფიერება უდრიდა: (დამზადებული იყო 4800 კუბური მეტრი, ფაქტობრივად მუშაობდა 16 კაცი 4800 : 16) 300 კუბურ მეტრს; 1957 წლის მონაცემების 1956 წელთან შედარებით მივიღებთ, რომ ერთი მუშის საშუალო წლიური შრომის ნაყოფიერება (335 : 300 $\times$ 100) 11,1%-ით გაიზარდა.

1957 წელს შრომის ნაყოფიერების მიღწეულ დონის შეფარდება 1956 წელს მიღწეულ დონესთან გვიჩვენებს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას ხე-ტყის დამზადებაზე.

1957 წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულება გვიჩვენებს, რომ დამზადების საწარმოო პროცესში მოხდა ცვლილებები და გეგმით გაუთვალისწინებელი რეზერვების გამოვლინება. შესწავლილი უნდა იქნეს შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედი რომელი ფაქტორის ზეგავლენით მოხდა შრომის ნაყოფიე

რების გეგმის გადაჭარბებით შესრულება, დასახული უნდა იქნეს კონკრეტული ღონისძიებები მიღწეული გაუმჯობესების ფართო დანერგვისა და შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის. შრომის ნაყოფიერების დონესთან ორგანულად დაკავშირებულია გამომუშავების ნორმების შესრულება. თუ მეურნეობაში დადგენილი გამომუშავების ნორმები სამუშაოს ყოველი სახის მიხედვით გადაჭარბებით სრულდება, ეს იმას ნიშნავს, რომ თვის, კვარტალისა და წლის ბოლოს საწარმოო გეგმებიც გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

გამომუშავების ნორმების შესრულების შემოწმება წარმოებს ნორმების შესრულების უწყისით. უწყისში დანაწილებულია მუშები სამუშაოს სახეებისა და გამომუშავების ნორმების შესრულების სიდიდის მიხედვით. ნორმების შესრულების უწყისს ადგენენ ხელფასების უწყისის საფუძველზე, სადაც მოცემულია შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის მიხედვით თითოეული მუშის კუთვნილი ხელფასი.

ხელფასის უწყისში აღნიშნული შესრულებული სამუშაოს მოცულობა, დეკადების თუ თვის მიხედვით, ამ დროის იმავე მონაკვეთში აღებული გამომუშავების ნორმების სიდიდე საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ თითოეული მუშა როგორ ასრულებს გამომუშავების ნორმებს. მას შემდეგ რაც მეურნეობაში მომუშავე ყველა მუშაზე შედგება გამომუშავების ნორმის შესრულების უწყისი, მუშები დანაწილებული უნდა იქნეს გამომუშავების ნორმების შესრულების სიდიდის მიხედვით.

ცალკე აღრიცხული უნდა იქნეს ის მუშები, რომლებიც გამომუშავების ნორმებს 100%-ით ასრულებენ, ცალკე ის მუშები, რომლებიც ნორმებს 1-დან 5%-მდე გადაჭარბებით ასრულებენ, შემდეგ 5-დან 10%-მდე გადაჭარბებით ასრულებენ 10-დან 20%-მდე და ასე შემდეგ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მუშებს, რომლებიც გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებენ. თუ ასეთი ჩამორჩენილი მუშები აღმოჩნდება მეურნეობაში, დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი მათი შრომისადმი დამოკიდებულების საკითხი და დადგინდეს ჩამორჩენილობის მიზეზები და დაისახოს ღონისძიებები ამ კატეგორიის მუშებისადმი დასახმარებლად, მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად და მოწინავეთა რიგებში გადასაყვანად.

შესაძლებელია მეურნეობა გამომუშავების ნორმებს საშუალოდ გადაჭარბებით ასრულებდეს, მაგრამ ის მაინც არ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად იმ შემთხვევაში, თუ საშუალო მონაცემებში თავს იყრის ისეთი მუშების მაჩვენებლებიც, რომლებიც გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებენ.

აღნიშნული მონაცემების ანალიზის შედეგად უნდა დაისახოს ღონისძიებები და უახლოეს ვადაში მიღწეულ იქნეს გამომუშავების ყოველდღიური ნორმების შესრულება ყოველი მომუშავისა და სამუშაოს მიხედვით.

კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში ჩამორჩენილები კარგავენ სამუშაოს, უმუშევრები რჩებიან. სოციალისტურ მეურნეობაში კი ყოველ-

გვარ პირობებს უქმნიან ჩამორჩენილებს დაეწიონ მოწინავეებს და ამით აღწიონ საერთო აღმავლობას.

შრომისა და ხელფასის გეგმის შემდეგ მთავარ ნაწილს შეადგენს მომუშავეთა რაოდენობის გეგმა კატეგორიების მიხედვით.

## 2. კატეგორიების მიხედვით მომუშავეთა რაოდენობის გეგმის შესრულების შემოწმება

ტყის მეურნეობაში მომუშავე პერსონალი შეიძლება პირობით დანაწილებულ იქნეს შემდეგ კატეგორიებად:

1. სატყეო-საკულტურო სამუშაოებსა და ტყის მოვლაზე დასაქმებული მუშები;
2. ტყით სარგებლობის სამუშაოებზე დასაქმებული მუშები;
3. ფართო მოხმარების საამქროებსა და დამხმარე სოფლის მეურნეობაში მომუშავე მუშები;
4. ტყის დაცვის მუშაკები;
5. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი;
5. მოსამსახურეები;
7. უმცროსი მომსახურე პერსონალი.

პირველ რიგში დადგენილი უნდა იქნეს ცალკეული კატეგორიების მიხედვით, თუ რა რაოდენობის მუშაკებს უნდა ემუშავნა დამტკიცებული გეგმით და ფაქტობრივად რა რაოდენობის მუშაკები მუშაობდნენ საანალიზო პერიოდში. ფაქტობრივი მაჩვენებლების გეგმებთან შეფარდებით დადგენილი იქნება: აქვს თუ არა ადგილი მომუშავეთა კონტინგენტის გეგმის დარღვევას. შრომის გეგმის შესრულების ანალიზის დროს მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს მომუშავეთა კატეგორიები და მათი მუშაობის ხასიათი. ასე, მაგალითად, სატყეო-საკულტურო სამუშაოზე, ფართო მოხმარების საგნების წარმოებაზე, დამხმარე სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშების რაოდენობა შეიძლება გეგმაზე მეტი იყოს და ეს დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ წარმოების გეგმა გადაჭარბებით სრულდება.

სატყეო-საკულტურო სამუშაოებზე დასაშვებია გეგმის გადაჭარბება იმავე წლის მომავალი კვარტალის ანგარიშში, თუ მეურნეობას აქვს სამუშაოების ვადაზე ადრე შესრულების შესაძლებლობა და ეს შესაძლებელია სატყეო აგროწესებით.

ფართო მოხმარების ნაკეთობების გეგმის გადაჭარბებით შესრულება მთელ რიგ შემთხვევებში არ არის შეზღუდული; პირიქით ის მეურნეობის კოლექტივის საპატიო საქმედ ითვლება. ფართო მოხმარების ნივთების გამოშვება გეგმაზე ზევით უნდა წარმოებდეს მეურნეობაში არსებული გამოუყენებელი სარჩენების უტილიზაციით, დამზადებულ პროდუქციაზე მოთხოვნილების პირობებში. გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა დამატებითი მუშახელი.

ფართო მოხმარების საამქროებსა და დამხმარე სოფლის მეურნეობაში მეურნეობას შეუძლია მუშახელი აიყვანოს კვარტალური და წლიური შრომის

გეგმაზე ზევით—გადაჭარბებული პროდუქციის შესაბამისად. მოსამსახურეების, უმცროსი მომსახურე პერსონალის, დაცვის მუშაკებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის დამტკიცებულ გეგმაზე ზევით აყვანა დაუშვებელია.

შრომის გეგმის შესრულების ანალიზი ტარდება საალრიცხვო მასალების გასინჯვით და შერჩევით, ზოგიერთი საკითხის ადგილზე შემოწმებით. შრომის გეგმების მაჩვენებლების აღრიცხვისათვის ტყის მეურნეობაში სპეციალური ფორმებია, რომელთა შევსება და სათანადო ორგანიზაციებში დადგენილ ვადებში წარდგენა აუცილებელია.

ვთქვათ, ვაწარმოებთ ერთ-ერთ ტყის მეურნეობაში 1957 წლის პირველ და მეორე კვარტალის შრომის გეგმის შემოწმებას სატყეო-საკულტურო სამუშაოების ხაზით. ამ მიზნით საჭიროა ავიღოთ მოცემულ ტყის მეურნეობაში შემდეგი საანგარიშო მონაცემები:

| სამუშაოს დასახელება | ზომის ერთეული | 1957 წ I და II კვარტალი | | | დღიური საშუალო-შეწონილი გამომუშავების ნორმა | კაცდღეთა ოდენობა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გეგმა | ფაქტ. | % | | გეგმა | ფაქტ. |
| ტყის კულტურის გაშენება მთელით ეროვცერადზე გადაჭვანით . . . . . | ჰა | 15 | 16,5 | 110 | 0,15 | 100 | 110 |

ამ მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ 1957 წლის პირველი და მეორე კვარტალის ტყე-კულტურების სამუშაოთა გეგმა 110%-ით შესრულდა. აღნიშნული სამუშაოს შესრულებაზე დაიხარჯა 10 კაცდღით მეტი, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული.

მიღებული შედეგის ეკონომიური შეფასებისათვის საჭიროა შესწავლილ იქნეს შრომის ნაყოფიერების დონე და დადგინდეს თუ როგორ დამოკიდებულებაშია ფაქტობრივი შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულთან. შრომის ნაყოფიერების დონედ მივიჩნიოთ საშუალო-შეწონილი გამომუშავების ნორმა ერთ სამუშაო დღეში.

მოცემულ საანგარიშო ცხრილში ის 0,15 ჰექტარს უდრის. ეს ნორმა აღებულია როგორც საშუალო შეწონილი ნორმა მრავალი სახის საკულტურო სამუშაოებიდან. გეგმის ზევით ჩატარებული საკულტურო სამუშაოთა მოცულობა (16,5—15) 1,5 ჰექტარი უნდა გავყოთ გეგმაზე ზევით დახარჯულ კაცდღეების რაოდენობაზე (1,5 : 10), რაც უდრის 0,15 ჰა-ს. მიღებული სიდიდე ემთხვევა საშუალო - შეწონილ გამომუშავების ნორმას. ეს იმას ნიშნავს, რომ შრომის ნაყოფიერების გეგმური დონე შენარჩუნებულია და შრომის გეგმის შესრულებაში გადახარჯვებს ადგილი არა აქვს.

თუ ტყის მეურნეობაში სატყეო-საკულტურო სამუშაოები 16,5 ჰექტარის ოდენობით შესრულდებოდა გეგმით გათვალისწინებული 100 კაცდღით, ამ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა დადგენილი გამომუშავების ნორმების გა-

დაჭარბებით შესრულებას და, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების ზეგეგმურ გადიდებას, რაც დადებით მოვლენად ჩაითვლებოდა.

ასეთი წესით მოწმდება შრომის გეგმა ყველა იმ სამუშაოზე, სადაც შრომის ანაზღაურება წარმოებს გამომუშავების ნორმების მიხედვით.

ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და დროითი ხელფასზე მომუშავე მუშა-მოსამსახურეების შრომის გეგმის შესრულება უნდა იწარმოოს დამტკიცებული საშტატო პერსონალის ხათზე ხელფასის გაცემის უწყისებთან შედარებით. შემოწმებისა და ანალიზის შედეგად მეურნეობაში უნდა დაისახოს შესაფერისი ღონისძიებები.

### 3. ხელფასის ფონდის ანალიზი მომუშავეთა კატეგორიების მიხედვით

ხელფასის ფონდის ანალიზი წარმოებული უნდა იქნეს მომუშავეთა კატეგორიების მიხედვით ცალკე საბიუჯეტო საქმიანობასა და ცალკე სამეურნეო საქმიანობაზე, რადგან ტყის მეურნეობაში ცალ-ცალკე მტკიცდება ხელფასის ფონდი საბიუჯეტო საქმიანობასა და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა საქმიანობაზე; ხელფასის ფონდი მუშებისა და ადმინისტრაციულ სამეურნეო პერსონალისათვის ცალ ცალკე უნდა იქნეს აღებული.

მუშაკების კატეგორიებად დანაწილებისა და მათთვის განკუთვნილ გეგმური ხელფასის ფონდის დადგენის შემდეგ აღებული უნდა იქნეს უწყისების მიხედვით ხელფასის ფაქტობრივი გაცემა მომუშავეთა კატეგორიების მიხედვით; ამ მონაცემების შედარების შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელფასის ფონდში აბსოლუტურ ეკონომიას ან აბსოლუტურ გადახარჯვას.

ხელფასის ფონდში აბსოლუტური ეკონომიის ან გადახარჯვის დასადგენად ფაქტობრივად გაცემული ხელფასის ჯამი შედარებული უნდა იქნეს გეგმური ხელფასის ფონდთან. თუ ფაქტობრივად გაცემული ხელფასის ჯამი მეტია გეგმურ ხელფასის ფონდზე, ადგილი ექნება ხელფასის ფონდის აბსოლუტურ გადახარჯვას, თუ ნაკლებია, ადგილი ექნება ხელფასის ფონდის აბსოლუტურ ეკონომიას.

ხელფასის ფონდის ხარჯვის მდგომარეობის შესწავლის ეს წესი გამოსადეგია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოების მიერ გეგმა შესრულებულია 100%-ით და ხელფასის ფონდში არც აბსოლუტური ეკონომიის და არც აბსოლუტურ გადახარჯვას არ ექნება ადგილი.

ეს წარმოებს ისეთ დაწესებულებაში, სადაც ხელფასის გაცემა წარმოებს დაკავებული თანამდებობისა და ნამუშევარი დროის მიხედვით და არა შესრულებული სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. 100%-ით უნდა ჩაითვალოს საშტატო განრიგით დამტკიცებული ხელფასის ფონდი და ეკონომია ან გადახარჯვა უნდა დადგინდეს გეგმასთან ფაქტობრივად გაცემული ხელფასის შედარებით. თუ მეურნეობა გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს ან ადგილი აქვს გეგმის შეუსრულებლობას, მაშინ ხელფასის ფონდის ასეთი

შედარებები არ გვაძლევს მოვლენის ზუსტ და სწორ შეფასების შესაძლებლობას.

ხელფასის ხარჯვის ზუსტი ანალიზისათვის საჭიროა არა მარტო ხელფასის ფაქტობრივი ხარჯვის ოდენობის გეგმურთან შედარება, არამედ ფაქტობრივ ან გაცემული ხელფასის გამომუშავებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს ოდენობასთან შედარება. ასეთი შედარების შედეგად ირკვევა ხელფასის ფონდის შეფარდებითი ეკონომია ან შეფარდებითი გადახარჯვა.

დავუშვათ, ანალიზს ვუკეთებთ ტყის მეურნეობაში ნახევარი წლის ხელფასის ფონდის ხარჯვას მოვლითი ჭრების ჩატარებაზე. ამ მიზნით უნდა ავიღოთ ნახევარი წლის გეგმა როგორც წარმოების, ისე ხელფასის ფონდის და შევადაროთ საწარმოო გეგმის ფაქტობრივ შესრულებას და ხელფასის გეგმას.

ტყის მეურნეობაში მიღებული მონაცემები დადგენილი უნდა იქნეს შემდეგი თანამიმდევრობით:

| სამუშაოების დასახელება | ნახევარი წლის (კუბ მ) | | | ხელფასის ნახევარი წლის ფონდი (მან.) | | | შ ე დ ე გ ე ბ ი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | აბსოლუტური | | შეფარდებითი | | ხელფასი 1 კუბ. მ. | |
| | გეგმა | ფაქტ. შეს. | % | გეგმა | გეგმის შესრულების მიხედვით ხელფასი | ფაქტობრ. დახარჯ. ხელფასი | გადახარჯვა (7—5) | ეკონომია | გადახარჯვა (7—6) | ეკონომია (6—7) | გეგმით (5:2) | ფაქტობრ. (7:3) |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| მოვლითი ჭრები: | | | | | | | | | | | | |
| განათებითი | 1100 | 1210 | — | 16500 | 18150 | 19100 | —2600 | — | 950 | — | 15,0 | 15,78 |
| გაწმენდითი | 1300 | 1475 | — | 17290 | 19617 | 19617 | — | — | — | — | 13,33 | 13,33 |
| გამოხშირვითი | 1700 | 1700 | — | 13940 | 13940 | 13940 | — | — | | — | 8,2 | 8,2 |
| გავლითი . | 2950 | 2990 | — | 16225 | 16445 | 16400 | 175 | — | — | 45 | 5,5 | 5,5 |
| ს უ ლ . | 7050 | 7375 | 104,6 | 640[illegible]5 | 68152 | 65950 | 2775 | — | 950 | 45 | | |

აღებულ მონაცემებიდან ირკვევა, რომ მოვლითი ჭრების ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 104,6%-ით. გეგმის გადაჭარბებით შესრულება უფლებას აძლევს ტყის მეურნეობას გადაიანგარიშოს ხელფასის ფონდი გადაჭარბებული სიდიდის მიხედვით.

ამ მიზნით ტყის მეურნეობა იღებს განათებითი ჭრისას 1 კუბ. მ. დამზადებაზე ხელფასის წილს და ამრავლებს ამ ჭრებით ფაქტობრივად დამზადებული მერქნის რაოდენობაზე და მიღებული სიდიდე იქნება გეგმის შესრულების მიხედვით კუთვნილი ხელფასის ფონდი. ტყის მეურნეობაში 1 კუბ. მ. მერ-

ქნის დამზადებაზე (განათებითი ჭრების) ხელფასი უდრის 15 მანეთს, კუთვნილი ხელფასი 15 მან. გადამრავლებული 1210 კუბ. მეტრზე უდრის 18.150 მანეთს.

ვუკეთებთ რა ანალიზს აღნიშნულ მონაცემებს, ირკვევა, რომ, ხელფასის ფონდთან შედარებით, ფაქტობრივად დახარჯულია 2600 მან-ით მეტი, რაც შეადგენს აბსოლუტურ გადახარჯვას (ფაქტობრივად გაცემულ ხელფასს აკლდება ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული ხელფასის ფონდი). აბსოლუტური გადახარჯვა, როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, არ იძლევა საშუალებას ხელფასის ფონდის ხარჯვის სწორი შეფასებისათვის, ის მარტო მიუთითებს იმაზე, რომ გეგმაზე ზევითაა ხელფასი დახარჯული, მაგრამ თუ რამდენად შეესაბამება ის გეგმის შესრულებას, ამის შესახებ ის სათანადო წარმოდგენას არ გვაძლევს.

ამ საკითხის გადაწყვეტის საშუალებას გეგმის შესრულების მიხედვით გაანგარიშებული ხელფასის ფონდთან ფაქტობრივად გაცემული ხელფასის შედარება გვაძლევს ანუ ხელფასის ფონდის შეფარდებითი გადახარჯვა. ჩვენს მიერ აღებულ ტყის მეურნეობაში ის შეადგენს 950 მანეთს. ნახევარი წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად განათებითი ჭრების ჩატარების დროს ყოველი კუბური მეტრი მერქნის დამზადებაზე გადახარჯულია 78 კაპ, რაც დაუშვებელია.

გაწმენდითი და გამოხშირვითი ჭრების ჩატარებისას, მეურნეობას არა აქვს არც აბსოლუტური და არც შეფარდებითი გადახარჯვა ან ეკონომია. გავლითი ჭრების ჩატარებისას აბსოლუტური გადახარჯვა შეადგენს 175 მანეთს, ხოლო შეფარდებითი ეკონომია —45 მანეთს. ამ ჭრების ჩატარებისას მიღწეულია კუბური მეტრი მერქნის დამზადების თვითღირებულების შემცირება 10 კაპიკით.

ხელფასის ფონდის ნახევარი წლის გეგმების შესრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგად შესწავლილი უნდა იქნეს ხელფასის ფონდის, როგორც შეფარდებითი გადახარჯვის, ისე ეკონომიის კონკრეტული მიზეზები და დამუშავებული უნდა იქნეს შესაფერისი ღონისძიებები ხელფასის გაცემის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად და ხელფასის ფონდის არასწორი ხარჯვის თავიდან ასაცილებლად.

### 4. სხვადასხვა კატეგორიის მუშაკთა საშუალო წლიური, კვარტალური და თვიური ხელფასის დონე

მომუშავეთა ცალკეული კატეგორიების მიხედვით გაანგარიშებულ ფაქტობრივად გაცემული ხელფასის ფონდს თუ გავყოფთ ამ კატეგორიის მომუშავეთა სიობრივ რაოდენობაზე, მივიღებთ ერთი მუშაკის საშუალო ხელფასს. ფაქტობრივი საშუალო ხელფასი შედარებული უნდა იქნეს გეგმასთან და გასული წლის იმავე პერიოდის ფაქტობრივ ხელფასთან და დადგინდეს დინამიკა.

შრომის ნაყოფიერების სისტემატურად გადიდების შედეგად საშუალო ხელფასის დონე სანარდო ხელფასის სისტემის დროს გაცილებით მეტი უნდა იყოს, ვიდრე წასული წლის იმავე პერიოდის საშუალო ხელფასი,

ხოლო კარგი მუშაობისას, ვიდრე მიმდინარე წლის სათანადო პერიოდის გეგმა.

## დ) ტყის მეურნეობაში დამზადებული პროდუქციისა და შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულების გეგმის შესრულების ანალიზი

ტყის მეურნეობაში საბიუჯეტო საქმიანობაზე (სატყეო-საკულტურო სამუშაოები, ტყის დაცვის სამუშაოები, სატყეო სამეურნეო სამუშაოები, სასატყეო-ჰიდრომელიორაციული და სხვ.) ჯერჯერობით არც შრომის ნაყოფიერებისა და არც სამუშაოთა თვითღირებულების გეგმებს არ ადგენენ.

ტყის მეურნეობაში სამეურნეო ანგარიშზეა გადაყვანილი ფართო მოხმარების საამქროები და დამხმარე სოფლის მეურნეობის სამუშაოები. ამ საწარმოთა პროდუქციის თვითღირებულების გეგმები საწარმოო - საფინანსო გეგმის ერთ - ერთ მთავარ ნაწილს შეადგენს.

ჩვენი აზრით, სრულიად არ არის სწორი და გაუმართლებელია ტყის მეურნეობის ძირითადი საქმიანობის დაგეგმვის სისტემიდან შრომის ნაყოფიერებისა და თვითღირებულების, ამ დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური მაჩვენებლების, გამოთიშვა.

ხელფასის წამახალისებელი სისტემის პირობებში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში ტყის მეურნეობის მუშაკები საგრძნობლად გააუმჯობესებდნენ შრომის რესურსების, მატერიალური და ფულადი სახსრების გამოყენებას, რაც გამოიწვევდა წარმოების ამ სფეროში მატერიალური დოვლათის მნიშვნელოვან ზრდას.

თვითღირებულების გეგმის შესრულების ანალიზი უნდა ჩატარდეს სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ ფართო მოხმარების საამქროებში, დამხმარე სოფლის მეურნეობასა და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სანერგეებში. ამ მიზნით აღებული უნდა იქნეს მონაცემები იმის შესახებ თუ აღნიშნულმა საწარმოებმა როგორ შეასრულეს სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების გეგმა. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა საწარმოო საფინანსო გეგმაში ფორმა № 1-ის მიხედვით მოცემულია საერთო და სასაქონლო პროდუქციისა და თვითღირებულების შემცირების გეგმა.

თვითღირებულების გეგმის შესრულების ანალიზის ჩატარებისათვის საანალიზო პერიოდის მიხედვით აღებული უნდა იქნეს მთლიანი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების გეგმა, შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების გეგმა, გასული წლის იმავე პერიოდის მთლიანი და შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ფაქტობრივი ანგარიში და მიმდინარე წლის საანალიზო პერიოდის მთლიანი და შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების გეგმის შესრულების ფაქტობრივი მონაცემები. აღნიშნული მონაცემების ურთიერთშედარება მოგვცემს თვითღირებულების გეგმის შესრულების საერთო დინამიკას.

ვთქვათ, ერთ-ერთ ტყის მეურნეობაში ვაწარმოებთ ფართო მოხმარების საწარმოებში ნახევარი წლის სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების გეგმის შესრულების ანალიზს. ამ მიზნით აღებული უნდა იქნეს მეურნეობის ნახევარი წლის ანგარიშებიდან შემდეგი მონაცემები:

| მთლიანი სასაქონლო პროდუქციის 195...წ. I და II კვარტალის თვითღირებულების გეგმა | მთლიანი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების I და II კვარტ. გეგმის ფაქტ. შესრულება (მან.) | შესადარისი პროდუქცია | | | შესადარი პროდუქციის შემცირების პროცენტი (მიმდ. წლის I და II კვ. გასულ წელთან შედარებით) | მიმდინ. წლის I და II კვ. თვითღირებულების გეგმის შესრულების პროცენტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | გასული წლის I და II კვ. ფაქტ. თვითღირებულება | მიმდ. წლის I და II კვ. გეგმური თვითღირებულება | მიმდ. წლის I და II კვარტ. ფაქტ. თვითღირებულება | | |
| 640 000 | 622.572 | 356.832 | 340.000 | 331.728 | 7.1 | 2,5 |

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ფართო მოხმარების საწარმონი დამაკმაყოფილებელ მუშაობას აწარმოებენ სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

მთლიანი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 17.428 მანეთით (640.000—622.572). შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ნახევარი წლის გეგმა გასული წლის იმავე პერიოდის ფაქტობრივ შესრულებასთან შედარებით უნდა შემცირებულიყო 4,7%-ით, ანუ აბსოლუტური სიდიდის მიხედვით 16.832 მანეთით (356.832—340.000). მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით ფაქტობრივი შესადარი პროდუქციის თვითღირებულების შემცირება შეადგენს 2,5%, ანუ გეგმაზე ზევით შემცირება შეადგენს 8.272 მანეთს (340.000 - 331.728). ანალიზის შედეგად გამოვლინებული უნდა იქნეს, თუ რა ელემენტების ხარჯზე მოხდა სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. განხილული უნდა იქნეს სასაქონლო პროდუქციის შექმნაში მონაწილე ყველა ელემენტი. სახელდობრ:

1. დახარჯული ძირითადი და დამხმარე მასალების ნორმები, ფასები და ტარიფები;
2. ძირითადი და დამხმარე ხელფასის ფაქტობრივი დანახარჯები;
3. გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი და ხარისხი;
4. ზედნადები ხარჯების სიდიდე;
5. მანქანა-დანადგარების მწარმოებლობა და სხვ.

სასაქონლო პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულების სიდიდეში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა—დახარჯულ ძირითადი და დამხმარე მასალების ღირებულებას უკავია.

ნედლეულისა და დამხმარე მასალების ხარჯვის ნორმების შემცირება და მათი ფასების ცვლილებები მკვეთრად მოქმედებს სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულებაზე, ამიტომ პირველ რიგში უნდა დადგინდეს ნორმების

მიხედვით საანალიზო პერიოდში გეგმით გათვალისწინებული ნაკეთობების დამზადებაზე დასახარჯავი ძირითადი და დამხმარე მასალების რაოდენობა და მათი ფაქტობრივი ხარჯი.

ამ ორი სიდიდის ერთიმეორესთან შედარება მოგვცემს ძირითადი და დამხმარე მასალების ეკონომიას ან გადაჭარბებას, ხოლო მათი ფულადი გამოსახულება განსაზღვრავს სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ან გადიდების ელემენტის სიდიდეს.

მასალების ეკონომიის შემთხვევაში უნდა დადგინდეს, რა მეთოდებით მიაღწია წარმოებამ აღნიშნულს და დაისახოს ღონისძიება მისი გავრცელებისათვის. გადახარჯვის შემთხვევაში გამოვლინებული უნდა იქნეს გადახარჯვის კონკრეტული მიზეზები და დაისახოს ღონისძიებები მასალების ხარჯვის საშუალო პროგრესული ნორმების შესრულებისათვის.

შემოწმებული უნდა იქნეს აგრეთვე საანალიზო პერიოდში ხომ არ მოხდა ძირითადი და დამხმარე მასალებზე შესასყიდი ფასების ან გადაზიდვის ტარიფების ცვლილებები. თუ მასალების ფასებში ცვლილებები მოხდა გეგმის დამტკიცების შემდეგ, გაანგარიშებული უნდა იქნეს მისი ოდენობა და ანალიზის დროს მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში.

სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების სიდიდეზე მოქმედებს ხელფასის დონე. უნდა დადგინდეს საანალიზო პერიოდში ხელფასის გეგმური და ფაქტობრივი ფონდი, მათი ერთმანეთთან შედარებით გამორკვეული უნდა იქნეს ხელფასის შედარებითი ეკონომია ან გადაჭარბება

დადგენილი უნდა იქნეს ხელფასის ფონდის გადახარჯვის მიზეზები და მიღებული უნდა იქნეს საჭირო ზომები შემდგომი მისი აღკვეთისათვის. ხელფასის ფონდის შედარებითი ეკონომიის შემთხვევაში დადგენილი უნდა იქნეს, თუ რა ღონისძიების შედეგად არის მიღწეული ხელფასის წილის შემცირება სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულებაში.

პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის გეგმის შესრულებას დიდი დადებითი მნიშვნელობა აქვს სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების გეგმის შესრულებაში. ასორტიმენტის გეგმის შეუსრულებლობა, პროდუქციის ხარისხის გაუარესება, ან კიდევ, წუნდებული პროდუქციის გამოშვება სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ეკონომიური მაჩვენებლების გაუარესებას იწვევს.

დადგენილი უნდა იქნეს, თუ როგორ იმოქმედა მეურნეობის ეკონომიურ მაჩვენებლებზე ცალკეულ ნაკეთობათა ასორტიმენტისა და ხარისხის გეგმების შესრულებამ და დასახული უნდა იქნეს სათანადო ღონისძიებები ნაკეთობათა ასორტიმენტისა და ხარისხის გეგმების ყოველ მიზეზს გარეშე შესრულებისათვის.

საწარმოო გეგმების შესრულება ან გადაჭარბებით შესრულება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში საამქრო და საქარხნო ხარჯების ხვედრითი წონის სიდიდეზე. გეგმების შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ზედნადები ხარჯები (ადმინისტრაციული, სამეურნეო, საკანცელარიო, სამივლინებო და სხვა) თითქმის

უცვლელი რჩება. გეგმის გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში კი ამ ხარჯების ხვედრითი წონა სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულებაში გეგმურთან შედარებით მცირდება, რაც იწვევს გეგმაზე ზევით თვითღირებულების შემცირებას და დადებით მოვლენად ითვლება.

გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ან კიდევ ზედნადები ხარჯების გეგმურზე გადამეტება სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულებაში იწვევს მათი ხვედრითი წონის გადიდებას და შესაბამისად თვითღირებულების გადიდებას. თვითღირებულების ამ ელემენტის ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზედნადები ხარჯების შემცირების ღონისძიებებს.

სამეურნეო-ადმინისტრაციული, საკანცელარიო და სამიმოსვლო ხარჯებში ზოგიერთ შემთხვევაში უშვებენ ზედმეტობას, არ ექცევა სათანადო ყურადღება ყოველგვარი ზედმეტობის აღმოფხვრას და ამ თანხების მიზანშეწონილ და რაციონალურ ხარჯვას. ანალიზის შედეგად დასახული ღონისძიებების განხორციელებამ მნიშვნელოვანი გაუმჯობესებები უნდა შეიტანოს სამეურნეო საქმიანობის ამ დარგში.

## ე) საფინანსო გეგმის შესრულების ანალიზი

ტყის მეურნეობაში ცალ-ცალკე უნდა ჩატარდეს საბიუჯეტო საქმიანობის და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა საფინანსო გეგმების შემოწმება.

ა) საანალიზო პერიოდში საბიუჯეტო საქმიანობის საფინანსო გეგმის შესრულების შემოწმების მიზნით ტყის მეურნეობაში აღებული უნდა იქნეს შემდეგი მონაცემები:

1. საანალიზო პერიოდის საწარმოო გეგმებისა და ამ გეგმების შესრულებაზე გეგმით გათვალისწინებული მთლიანი დანახარჯები;
2. საწარმოო გეგმის შესრულებისა და შესაბამისი დაფინანსების ათვისების მონაცემები საანალიზო პერიოდში;
3. სამუშაოების დასახელება, სადაც საწარმოო გეგმები შესრულებულია გადაჭარბებით და ხარჯებში მიღწეულია ეკონომია;
4. იმ სამუშაოების დასახელება, სადაც გეგმის შესრულების შეფარდებით დაშვებულია საფინანსო გეგმით გათვალისწინებული თანხების გადახარჯვა.

გეგმიდან და საანგარიშო მასალებიდან დასახელებული მონაცემების ამოკრეფა და შესაბამისი მაჩვენებლების ერთიერთთან შედარება საშუალებას მოგვცემს შეფასებულ იქნეს მეურნეობაში სამუშაოს სახეების მიხედვით საფინანსო გეგმის შესრულება.

თუ ტყის მეურნეობაში მიღწეულია საფინანსო გეგმის ზოგიერთ განყოფილებაში ან კიდევ სამუშაოს ცალკეულ სახეებში დანახარჯების ეკონომია, შესწავლილი და გამოკვლეული უნდა იქნეს, რა ელემენტების ხარჯზეა მიღებული აღნიშნული ეკონომია, ხომ არ არის მიღებული დანახარჯებში ეკონომია სამუშაოთა ხარისხის გაუარესების ხარჯზე, ან ხომ არ მომხდარა

შრომატევადი სამუშაოების შემცირება ნაკლებ შრომატევადი სამუშაოების გადიდების ხარჯზე.

სხვა გზებით მიღებული დანახარჯების ეკონომია დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. ხარჯების მიღებული ეკონომია დადებით მოვლენად მხოლოდ მაშინ უნდა ჩავთვალოთ, თუ ის მიღებული იქნება ახალი გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვით, შრომის რაციონალური მეთოდების განხორციელებით, ახალი ტექნიკის დანერგვით და ყოველივე აღნიშნულის შედეგად შრომის ნაყოფიერების გადიდებით და შესრულებული სამუშაოების თვითღირებულების შემცირებით.

დადგენილი უნდა იქნეს ყოველი პროგრესული ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღებული ეკონომიის სიდიდე, მისი ეფექტურობა და მეურნეობის სამომავლო ვალდებულია დაუყოვნებლივ გაავრცელოს ის საწარმო საქმიანობის ყოველ უბანზე. ამავე დროს ყოველმხრივ წაახალისებული უნდა იქნეს პროგრესული წინადადების ავტორები.

განსაკუთრებული გულდასმით უნდა შემოწმდეს ის სამუშაოები, რომელთა შესრულებისედაც საანალიზო პერიოდში დაშვებული იყო გადახარჯვები. გამორკვეული უნდა იქნეს, თუ რა მიზეზით მოხდა გადაახარჯვა. გადახარჯვები დაჯგუფებული უნდა იქნეს მიზეზობრივი წყაროების მიხედვით. უნდა დადგინდეს ორგანიზაციულ-ტექნიკური მიზეზებით გამოწვეული გადახარჯვები და ცალ-ცალკე დაჯამდეს სამუშაოს შემსრულებლის მიზეზით გამოწვეული გადახარჯვა.

გადახარჯვის მიზეზების ღრმა შესწავლის შედეგად უნდა დაისახოს კონკრეტული გზები მათი შემდგომი აცილებისათვის, და თუ ეს შესაძლებელია, დაშვებული გადახარჯვების აღდგენისათვის.

ბ) სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა საფინანსო გეგმების შესრულების შემოწმების მიზნით საანალიზო პერიოდში ტყის მეურნეობისაგან მიღებული უნდა იქნეს შემდეგი მონაცემები:

1 საანალიზო პერიოდისათვის ტყის მეურნეობის ფართო მოხმარების საქონლის გეგმა ნაკეთობათა ცალკეული სახეების მიხედვით და მათი დამზადებისათვის გეგმით გათვალისწინებული ხარჯები ყოველი სახის ნაწარმის საგეგმო კალკულაციებით.

2. საანალიზო პერიოდში საწარმოო გეგმების ფაქტობრივი შესრულების მონაცემები და გეგმის შესრულების შესაბამისად ფაქტობრივი ხარჯების, როგორც საერთო ჯამი, ისე ყოველი სახის ნაწარმის მიხედვით საგეგმო და ფაქტობრივი მაჩვენებლების ურთიერთ შედარებით დადგენილი უნდა იქნეს. როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი ეკონომია და გადახარჯვები. ცალკე უნდა გამოიყოს ის ნაკეთობები, რომელთა წარმოებაზე დაშვებულია გადახარჯვები. ამ მონაცემების სრული და ზუსტი ანალიზის შედეგად დადგენილი უნდა იქნეს ეკონომიის მიღების გზები და გადახარჯვის მიზეზები.

მიღებული ანალიზის შედეგად ტყის მეურნეობა ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებსაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს მეურნეობის საფინანსო საქმიანობის მკვეთრი გაუმჯობესება.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა სამეურნეო საფინანსო საქმიანობის ანალიზის შედეგად დადგენილი უნდა იქნეს, თუ როგორ ანხორციელებს მეურნეობა პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის სისტემატური გაუმჯობესებისა და აღნიშნულის შედეგად გამოწვეული ფართო მოხმარების საამქროების რენტაბელობის გადიდების შესახებ პარტიისა და მთავრობის მითითებებს.

ტყის მეურნეობაში როგორც საბიუჯეტო, ისე სამეურნეო საქმიანობაზე ფაქტობრივად წარმოებული დანახარჯები გამოსახულებას ჰპოვებს თვიურ, კვარტალურ, ნახევარწლიურ და წლიურ ბალანსებში, რომლებიც ცალ-ცალკე დგება საბიუჯეტო და სამეურნეო საქმიანობაზე. ბალანსის საშუალებით ვარკვევთ მეურნეობის მატერიალური და ფულადი სახსრების გამოყენების მდგომარეობას.

* * *

სახელმძღვანელოს წინამდებარე თავებში განხილული იყო ტყის მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმის ცალკეული საკითხები. ტყის მეურნეობის საწარმოო საფინანსო გეგმაზე მთლიანი და სრულყოფილი წარმოდგენის მისაღებად, ჩვენს მიერ შედგენილია, პირობით აღებული სატყეო მეურნეობისათვის, საბიუჯეტო საქმიანობის დარგში—წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმა— იხ. დანართი № 1 გვ. 179—197.

საწარმოო-საფინანსო გეგმაში სამუშაოს მოცულობა და ერთეულ სამუშაოს შესრულების ხარჯები აღებულია ზოგადად. კონკრეტულად აღებულ ტყის მეურნეობაში, ამ მაჩვენებლებს იღებენ სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით.

გეგმა დამტკიცებულია 195 . . წ.

დანართი № 1

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო

# . . სატყეო მეურნეობის 195 წლის საწარმოო-საფინანსო

# გეგმა

| №№ რიგზე | ღონისძიებების დასახელება | ზომის ერთეული | წელი | |
|---|---|---|---|---|
| | | | სამუშაოს მოცულობა | სამუშაოს ერთ. ღირებულ. (მან. კაპ.) |
| | განყოფილება I. ტყის მეურნეობის ორგანიზაცია * | | | |
| 1 | მომავალი წლის ტყის მოწყობის მოსამზადებელი სამუშაოები | ჰა | — | — |
| 2 | წარსული წლის ტყის მოწყობის კამერალური სამუშაოები | | — | — |
| 3 | . | | — | — |
| 4 | .. | | — | — |
| 5 | . | | — | — |
| | სულ ტყის მეურნეობის ორგანიზაციის სამუშაოებზე | | | |
| | განყოფილება II. სატყეო სამ. სამუშაოები | | | |
| 1. | მთავარი სარგებლობის ტყეკაფების გამოყოფა. | ჰა | 85 | 5—25 |
| | მათ შორის აღდგენითი ჭრებისათვის | — | — | — |
| 2. | ტყეკაფების გამოყოფა გამოფისვისათვის | — | — | — |
| 3. | ტყეკაფების გამოყოფა მოვლითი და სანიტარული ჭრებისათვის | — | 245 | 3—47 |
| 4. | მოვლითი და სანიტარული ჭრები: | | | |
| | ა) ფართობი | ჰა | 245 | |
| | ბ) მერქნის ოდენობა | $м^3$ | 3960 | |
| | მათ შორის ლიკვიდური მერქანი | $м^3$ | 3656 | |
| | საერთო მოცულობიდან: | | | |
| | განათებითი ჭრების ფართობი | ჰა | — | — |
| | მერქნის რაოდენობა | $м^3$ | — | — |

* ტყის მოწყობის სამუშაოები არ არის მოცემული საგეგმო წელში.

| წელში | მათ შორის კვარტალების მიხედვით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | | II | | III | | IV | |
| დანახარჯ. ჯამი (მან-ით) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯ. ჯამი (მან). | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯ. ჯამი (მან.) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯ. ჯამი (მან.) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯ. ჯამი (მან.) |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 446—25 | 55 | 288—75 | 30 | 157—50 | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 950—15 | — | — | 122 | 423—34 | 123 | 426—81 | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |

| №№ რიგზე | ღონისძიებების დასახელება | ზომის ერთეული | წელი | |
|---|---|---|---|---|
| | | | სამუშაოს მოცულობა | სამუშაოს ერთეულ. ღირებ. (მან. კაპ.) |
| | გაწმენდითი ჭრების ფართობი . | ჰა | 20 | — |
| | მერქნის რაოდენობა | $მ^3$ | 90 | 12—18 |
| | გამოხშირვითი ჭრების ფართობი . | ჰა | 25 | — |
| | მერქნის რაოდენობა | $მ^3$ | 370 | 10—91 |
| | გავლითი ჭრების ფართობი . | ჰა | 55 | — |
| | მერქნის რაოდენობა | $მ^3$ | 600 | 5—36 |
| | სანიტარული ჭრების ფართობი | ჰა | 145 | — |
| | მერქნის რაოდენობა | $მ^3$ | 2900 | 4—92 |
| 5 | ტყის აღდგენითი ჭრები | $მ^3$ | — | |
| | მათ შორის ხელით . | $მ^3$ | — | — |
| 6 | მორთრევა | $მ^3$ | 2500 | 2—82 |
| | მათ შორის ხელით და ცოცხალი გამწევი ძალით | $მ^3$ | 2500 | 2—82 |
| 7 | ჩახერგილი ტყის ფართობების გაწმენდა | ჰა / $მ^3$ ლიკვ. კილომ | 5 / 20 | 12 / 3 |
| 8 | სასაზღვრო სირონების გაწმენდა | $მ^3$ საერთ. მარაგი | — | — |
| 9 | . | . | | |
| 10 | . | . | | |
| 11 | . . . . . . . . . . . . . . . . . . | . . . . | | |
| | სულ სატყეო სამ. სამუშაოები | | — | — |
| | მათ შორის მუშების ხელფასი . | | — | — |
| | განყოფილება III. ტყის დაცვითი სამუშაოები | | | |
| 1 | ტყის მიმდინარე პათოლოგიური შემოწმება . | ჰა | 160 | 25 |
| 2 | ნიადაგის ჭრილები (გათხრები) . | ორმოები | 25 | 2—88 |
| 3 | ახალდაზიანებული ხეების ამორჩევა და დამბერხეების გახლაგება . . | $მ^3$ | 72 | 14—00 |
| 4 | სანერგეებში ნერგების შეამწამლებით შესხურება და შეფრქვევა . . | ჰა | 1 | 65—80 |
| 5 | ბრძოლის განანადგურებელი ღონისძიებები | ჰა | 10 | 32—00 |

| წადში | მათ შორის კვარტალების მიხედვით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | | II | | III | | IV | |
| დანახარჯების ჯამი (მან.) | სამუშაოს მოცულ. | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯები ჯამი (მან) | სამუშ. მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 1096—00 | — | — | 90 | 1096—00 | — | — | — | — |
| — | — | — | 15 | — | 10 | — | — | — |
| 4037—00 | — | — | 222 | 2422 | 148 | 1615 | — | — |
| — | — | — | 25 | — | 16 | — | 14 | — |
| 3216 | — | — | 300 | 1608 | 180 | 965 | 120 | 643 |
| — | 22 | — | 50 | — | 42 | — | 31 | — |
| 14268 | 320 | 1577 | 1025 | 5005 | 870 | 4287 | 690 | 3399 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 7050 | — | — | 800 | 2256 | 800 | 2256 | 900 | 2538 |
| 7050 | — | — | 800 | 2256 | 800 | 2256 | 900 | 2538 |
| 60 | — | — | 5/20 | 60 | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 31.098-40 | — | 1865—00 | — | 13028 | — | 9550 | — | 6580—00 |
| 31.008-40 | — | 1865—00 | — | 13023 | — | 9550 | — | 6580—00 |
| 4000—00 | — | — | 75 | 1875 | 85 | 2125 | — | — |
| 72—00 | — | — | — | — | 25 | 72 | — | — |
| 1008—00 | — | — | 20 | 280 | 52 | 728 | — | — |
| 65—80 | — | — | 0,3 | 20 | 0,7 | 45—80 | — | — |
| 320—00 | — | — | 2 | 64 | 8 | 256—00 | — | — |

| №№ რიგზე | ღონისძიებების დასახელება | ზომის ერთეული | წელი. | |
|---|---|---|---|---|
| | | | სამუშაოს მოცულობა | სამუშაოს ერთეულ. ღირებულ. (მან. კაპ.) |
| 6 | ავიაქიმბრძოლა | ჰა | — | — |
| 7 | მიწის ზედა შემოწმება საჰაერო დაზვერვისას | ჰა | — | — |
| 8 | . | | — | — |
| 9 | . | | — | — |
| | სულ ტყის დაცვით სამუშაოებზე . | | — | — |
| | მათ შორის მუშების ხელფასი | | — | — |
| | განყოფილება IV. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები. | | | |
| 1 | ხანძარსაწინააღმდეგო წყვეტილების მოწყობა . | კილმ. / მ² | 3 / 1620 | 1080—00 / 2—00 |
| 2 | მინერალიზებული ზოლების მოწყობა . | კმ. | — | — |
| | მათ შორის ხელით და ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებით . . . . . . . . . . . | | — | — |
| 3 | ხანძარსაწინააღმდეგო წყვეტილების და მინერალიზებული ზოლების მოვლა . . . . . | | 3 | 100 |
| | მათ შორის ხელით და ცოცხ. გამწევი ძალით | | 3 | 100 |
| 4 | ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების გზების მოწყობა . . . . . . . . . . . . . . . . | | — | — |
| | მათ შორის ხელით და ცოცხ. გამწევი ძალის გამოყენებით . . . . . . . . . | | — | — |
| 5 | გზების შეკეთების და შენახვის ხარჯები . | | 4,5 | 50 |
| | მათ შორის ხელით და გამწევი ძალით | | 4,5 | 50 |
| 6 | ხანძარსაწინააღმდეგო ქიმიური სადგურების ორგანიზაცია და შენახვა . . . . . . | მან | — | — |
| 7 | სატელეფონო და რადიო კავშირგაბმულობის საშუალებებისა და სახანძრო კოშკების შეკეთება და შენახვა . | — | — | — |

| წელში | მათ შორის კვარტალების მიხედვით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | | II | | III | | IV | |
| დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 5.465—80 | — | — | — | 2239 | — | 3226—80 | — | |
| 5.465—80 | — | — | — | 2239 | — | 3226—80 | | — |
| 3240 | — | — | 1/540 | 1080 | 2/1080 | 2160 | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 300 | — | — | — | — | 3 | 300 | — | — |
| 300 | — | — | — | — | 3 | 300 | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 225 | — | — | — | — | 4,5 | 225 | — | — |
| 225 | — | — | — | — | 4,5 | 225 | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 1500 | — | — | — | 500 | — | 1000 | — | — |

| №№ რიგზე | ღონისძიებების დასახელება | ზომის ერთეული | წელი | |
|---|---|---|---|---|
| | | | სამუშაოს მოცულობა | სამუშაოს ერთეულის ღირებულება (მან. კაპ.) |
| 8 | დროებით მეხანძრე მცველების დაქირავება | კაცი/მან | 5 კაცი | 1560 |
| 9 | ტყის დაცვის მუშაკებზე მიმაგრებული ცხენების შენახვა . . . . . . . . . | მან | 4 ცხენი | 1300 |
| 10 | ტყის დაცვის მუშაკების დაჯილდოება | | — | — |
| 11 | . | | | |
| 12 | . | | | |
| | სულ ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოებზე | | — | — |
| | მათ შორის მუშათა ხელფასი | | — | — |
| | განყოფილება V. სატყეო საკულტურო სამუშაოები . . . . . . . . | | | |
| 1 | ტყის თესვა სულ . | ჰა | 10 | 2100 |
| | მათ შორის ხელით და გამწევი ცოცხალი ძალით . . . . . . . . | | 2 | 2400 |
| | ტყის საერთო თესვიდან დაითესება ჩაერთ-თესვით . . . . . . . | | — | — |
| 2 | ტყის დარგვა სულ . | | 15 | 625 |
| | მათ შორის ხელით . | | 5 | 625 |
| | ტყის დარგვის მთლიანი სამუშაოდან | | | |
| | ტყის რეკონსტრუქციის მიზნით დაირგვება | | 5 | 625 |
| 3 | წინა წლებში დაუმთავრებელ კულტურებში ბუჩქნარების და ზრდაში ხელის შემწყობი ჯიშების შეტანა სულ . . . . . | | 3 | 550 |
| | მათ შორის ხელით და ცოცხალი გამწევი ძალით . . . . . . . . . . . | | 3 | 550 |
| 4 | ტყის კულტურების მოვლა ერთჯერადზე გადაყვანით . . . . . . . | | 185 | 71,—19 |
| | მათ შორის ხელით და გამწევი ძალის გამოყენებით . . . . . . | | 30 | 71—19 |

| წელში | მათ შორის კვარტალების მიხედვით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | | II | | III | | IV | |
| დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) |
| 7800 | — | — | — | 1300 | — | 3900 | — | 2600 |
| 5200 | — | 1300 | — | 1300 | — | 1300 | — | 1300 |
| 5000 | | — | — | — | — | — | — | 5000 |
| 23265 | — | 1300 | — | 4180 | — | 8885 | — | 8900 |
| 16565 | — | — | — | 2380 | — | 6585 | — | 7600 |
| 21000 | 2 | 4200 | 8 | 16800 | — | — | — | — |
| 4800 | — | — | 2 | 4800 | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 9375 | 5 | 3125 | 10 | 6250 | — | — | — | — |
| 3125 | — | — | 5 | 3125 | — | — | - | — |
| 3125 | — | — | 5 | 3125 | — | — | — | — |
| 1650 | 2 | 1100 | 1 | 550 | — | — | — | — |
| 1650 | 2 | 1100 | 1 | 550 | — | — | — | — |
| 13170 | — | — | 100 | 7119 | 85 | 6051 | — | — |
| 3559—50 | — | — | 25 | 1779,75 | 25 | 1779,75 | — | — |

| №№ რიგზე | ღონისძიებების დასახელება | ზომის ერთეული | წელი | |
|---|---|---|---|---|
| | | | სამუშაოს მოცულობა | სამუშაოს ერთეულის ღირებულება (მან. კაპ.) |
| 5 | მექანიზებულად ჩატარებულ მოვლის სამუშაოებზე დამატებითი ხელით თოხნა . . | ჰა | 5 | 75—00 |
| 6 | ტყის ბუნებრივი განახლების ხელისშეწყობის სამუშაოები სულ . . . . . . | | 300 | 110 |
| | მათ შორის ხელით და ცოცხალი გამწევი ძალით . . . . . . | | 300 | 110 |
| 7 | კულტურების შევსება . | | 14 | 127 |
| 8 | ნიადაგის მომზადება მიმდინარე წლის ტყის კულტურებისათვის . . . | | 5,43 | 226—60 |
| | მათ შორის ხელით და ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებით . . . . . . | | — | — |
| 9 | ნიადაგის მომზადება მომავალი წლის კულტურებისათვის, სანერგეებისათვის, პლანტაციებისა და სკოლებისათვის . | | 10 | 226 |
| | მათ შორის ხელით და ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებით . . . . . | | 5 | 226 |
| 10 | . | | | |
| 11 | | | | |
| 12 | . | | | |
| 13 | თესლის დამზადება სულ | კგ. | 100 | 31 |
| 14 | თესლებისა და სარგავი მასალის შეძენა სულ . | მან. | — | — |
| 15 | სანერგეებში დათესვა, მათი მოვლა მორწყვით სულ . . . . . . . . | ჰა | 1 | 4540 |
| | მათ შორის ხელით და ცოცხალი გამწევი ძალით . . . . . . . . | | 1 | 4540 |
| 16 | სკოლების გაშენება მოვლით . | | 2 | 3200 |
| 17 | პლანტაციების გაშენება სულ . | | 12 | 2700 |
| | მათ შორის: | | | |

| წელში | მათ შორის კვარტალების მიხედვით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | | II | | III | | IV | |
| დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშ. მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშ. მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) |
| 375 | — | — | 2 | 150 | 3 | 225 | — | — |
| 33000 | — | | — | — | 150 | 16.500 | 150 | 16,500 |
| 33000 | — | — | — | — | 150 | 16500 | 150 | 16.500 |
| 1778 | — | — | 14 | 1778 | — | — | — | — |
| 1230 | 5,43 | 1230 | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 2260 | — | — | — | — | — | — | 10 | 2260 |
| 1130 | — | — | — | — | — | — | 5 | 1130 |
| 3100 | 50 | 1550 | 25 | 775 | — | — | 25 | 775 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 4540 | 1 | 4540 | — | — | — | — | — | — |
| 4540 | 1 | 4540 | — | — | — | — | — | — |
| 6400 | 1 | 3200 | 1 | 3200 | — | — | — | — |
| 32400 | 6 | 16200 | 6 | 16200 | — | — | — | — |

| №№ რიგზე | ღონისძიებების დასახელება | ზომის ერთეული | წელი | |
|---|---|---|---|---|
| | | | სამუშაოს მოცულობა | სამუშაოს ერთეულის ღირებულება (მან. კაპ.) |
| | ა) თუთის . | | 5 | 2100 |
| | ბ) ევკომიის | | 5 | 2800 |
| | გ) სხვა | | 2 | 3950 |
| 20 | წინა წლებში გაშენებული სანერგეების მოვლა მორწყვით . . . . . . . . . | ჰა | 1,5 | 500 |
| 21 | წინა წლების სკოლებისა და პლანტაციების მოვლა . . . . . . | | 3 | 500 |
| 22 | ფართობების გაწმენდა და ამოძირკვა სულ | | 7 | 750 |
| | მათ შორის ხელით და ცოცხალი გამწევი ძალით . . . . . . . . . | | 7 | 750 |
| 23 | ნერგების ამოღება, შეფუთვა და კალმების მომზადება . . . . . . . . . . . | ცალი | 45000 | 0—10 |
| 24 | საფარების დამზადება და შეკეთება . | | | — |
| 25 | სათესლე ნაკვეთების გამოყოფა და მოვლა . | ჰა | 1 | 120 |
| 26 | წინა წლებში გამოყოფილ სათესლე ნაკვეთების მოვლა . . . . . . . . . . . | | 2 | 100 |
| 27 | ტყეპარკების სამუშაოები | | 5 | 2500 |
| 28 | სატყეო-საკულტურო სამუშაოებზე პრემიალური ანაზღაურება . | მან | — | — |
| 29 | . | — | — | — |
| 30 | . | — | — | — |
| 31 | სხვადასხვა | — | — | — |
| | სულ სატყეო საკულტურო სამუშაოებზე . | — | — | — |
| | მათ შორის მუშების ხელფასი . | — | — | — |
| | განყოფილება VI. ჰიდრომელიორაციული სამუშაოები | | | |
| 1 | დაჭაობებული ტყის ფართობების ამოშრობა სულ . . . . . . . . . | ჰა | 5 | 2.800 |

| დანახარჯების ჯამი (მან) წელში | მათ შორის კვარტალების მიხედვით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | | II | | III | | IV | |
| | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) |
| 10500 | 2 | 4200 | 3 | 6300 | — | — | — | — |
| 14000 | 2 | 5600 | 3 | 8400 | — | — | — | — |
| 7900 | 1 | 3950 | 1 | 3950 | — | — | — | — |
| 750 | — | — | — | 375 | — | 375 | — | — |
| 1500 | — | — | — | 500 | — | 1000 | — | — |
| 5250 | — | — | — | 2250 | — | 3000 | — | — |
| 5250 | — | — | — | 2250 | — | 3000 | — | — |
| 4500 | 25000 | 2500 | 20000 | 2000 | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 120 | — | 60 | — | 60 | — | — | — | — |
| 200 | — | 100 | — | 100 | — | — | — | — |
| 12500 | 1 | 2500 | 4 | 10000 | — | — | | 8000 |
| 8000 | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 163,098 | — | 40305 | — | 68,107 | — | 27 151 | — | 27.535 |
| [illegible].677—50 | — | 31750 | — | 47.642-75 | — | 22,879-75 | — | 26.406 |
| 12,500 | — | — | 2 | 6000 | 3 | 7500 | — | — |

| №№ რიგზე | ღონისძიებების დასახელება | ზომის ერთეული | წელი | |
|---|---|---|---|---|
| | | | სამუშაოს მოცულობა | სამუშაოს ერთეულის ღირებ. (მან. კაპ.) |
| | მათ შორის: | | | |
| | ა) საიჯარო წესით | ჰა | — | -- |
| | ბ) სატყეო მეურნეობის ძალებით . | | 5 | 2500 |
| 2 | საწრეტი ქსელის შეკეთება და შენახვა | | 5 | 450 |
| 3 | სარწყავი ქსელის მოწყობა სულ | | 4 | 3100 |
| | მათ შორის: | | | |
| | ა) საიჯარო წესით | | — | — |
| | ბ) სატყეო მეურნეობის ძალებით . | | 4 | 3100 |
| 4 | სარწყავი ქსელის შეკეთება და შენახვა | | 8 | 500 |
| 5 | . | | | |
| | სულ ჰიდროსატყეო სამელიორაციო სამუშაოებზე . . . . | | — | – |
| | მათ შორის მუშების ხელფასი | | — | — |
| | განყოფილება VII. კომპლექსური ხარჯები . . . . . . . . | | | |
| 1 | სატრაქტორო სამუშაოები . | ჰა რბილ ხვნაზე | 162,43 | 226 |
| | მათ შორის მუშების ხელფასი | მან | — | 42 |
| 2 | მიწის სათხრელი სამუშაოები სულ | $მ^3$ | — | — |
| | მათ შორის მუშების ხელფასი | მან | — | — |
| 3 | მექანიზებული ხე-ტყის დამზადება | $მ^3$ | — | — |
| | მათ შორის ხელფასი | მან | — | — |
| 4 | ავტოტრანსპორტის მუშაობა | ტონა/კილ. | 39000 | 1—20 |
| | მათ შორის მუშების ხელფასი . | მან | — | — |
| | სულ კომპლექსური ხარჯები . | | — | — |
| | მათ შორის მუშების ხელფასი | | — | — |

| წელში | მათ შორის კვარტალების მიხედვით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | | II | | III | | IV | |
| დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) | სამუშაოს მოცულობა | დანახარჯების ჯამი (მან) |
| — | — | — | — | — | — | — | — | |
| 12500 | — | — | 2 | 5000 | 3 | 7500 | — | — |
| 2250 | — | — | 2 | 900 | 3 | 1350 | — | — |
| 12400 | — | — | 4 | 12—400 | — | — | | — |
| — | — | — | — | — | — | — | | — |
| 12400 | — | — | 4 | 12400 | — | — | — | — |
| 4000 | 2 | 1000 | 6 | 3000 | — | — | — | — |
| — | | | | | | | | |
| 31.150 | — | 1000 | — | 21.300 | — | 8850 | — | |
| 31.150 | — | 1000 | — | 21 300 | — | 6850 | — | — |
| 36.709 | 20 | 4520 | 100 | 22600 | 42.43 | 9589 | — | — |
| 6820 | — | 820 | — | 4200 | — | 1800 | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 46.800 | 20000 | 24000 | 2000 | 10.800 | 5.000 | 6.000 | 5 000 | 6.000 |
| 19,500 | — | 10000 | — | 4500 | — | 2500 | — | 2500 |
| 83.509 | — | 28520 | — | 33.400 | — | 15589 | — | 6000 |
| 26320 | — | 10820 | — | 8.700 | — | 4.300 | — | 2500 |

| №№ რიგზე | ღონისძიებების დასახელება | ზომის ერთეული | წელი | |
|---|---|---|---|---|
| | | | სამუშ. მოცულ. | სამუშ. ერთეულ. ღირებ. (მან. კაპ.) |
| | განყოფილება VIII. საერთო საწარმოო ხარჯები . . . . . . . | | | |
| 1 | სოციალური დაზღვევის ანარიცხები | მან. | — | — |
| 2 | დამატებითი ხელფასი . | | — | — |
| 3 | დაქირავებული ტრანსპორტის ანაზღაურება და საკუთარი საჭაპ. ტრანსპ. ხარჯები . . | | | |
| | მათ შორის ხელფასი | | — | — |
| 4 | შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის ხარჯები . . . . . . . . . . . | | — | — |
| 5 | ხელოსნების ხელფასი . | | — | — |
| 6 | მასალების, წვრილმანი ინვენტარის შეძენა და ინვენტარის შეკეთების ხარჯები . . . | | — | — |
| 7 | ქიმიკატების და სასუქების შეძენა . | | — | — |
| 8 | მუშათა კადრების მომზადება | | — | — |
| 9 | სატყეო-სამეურნეო და ტყის ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდა . . . | | — | — |
| 10 | სხვადასხვა პრემიები | | — | — |
| 11 | . . | | | |
| 12 | . | | | |
| | სულ საერთო საწარმოო ხარჯები . | | | |
| | მათ შორის მუშების ხელფასი | | | |
| | განყოფილება IX. სატყეო მეურნეობის შენახვა . | | | |
| 1 | ხელფასი | მან. | — | — |
| 2 | დარიცხვები ხელფასზე | | — | — |

| წელში | მათ შორის კვარტალების მიხედვით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | | II | | III | | IV | |
| დანახარჯების ჯ. ჯამი (მან) | სამუშ. მოცულ. | დანახარჯ. ჯამი (მან) | სამუშ. მოცულ | დანახარჯ. ჯამი (მან) | სამუშ. მოცულ. | დანახარჯ. ჯამი (მან) | სამუშ. მოცულ. | დანახარჯ. ჯამი (მან) |
| 9.786 | — | 420 | — | 3127 | — | 2009 | — | 4230 |
| 1000 | — | 100 | — | 300 | — | 300 | — | 300 |
| 14000 | — | 3500 | — | 3500 | — | 3500 | | 3500 |
| 1400 | — | 400 | — | 400 | — | 300 | — | 300 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 4000 | — | 1000 | — | 1000 | — | 1000 | — | 1000 |
| 3400 | — | 3400 | — | — | — | — | — | — |
| 1030 | — | 550 | — | 450 | — | — | — | |
| 1500 | — | 500 | — | 500 | — | 500 | — | — |
| 7000 | — | — | — | — | — | — | — | 7000 |
| 57086 | — | 13.370 | — | 12.777 | — | 11.109 | — | 19 830 |
| 22 000 | — | 3600 | — | 3.800 | — | 3 800 | — | 10.800 |
| 438300 | — | 106.900 | — | 110.400 | — | 110.400 | — | 110400 |
| 19300 | — | 4.600 | — | 4.900 | — | 4,900 | — | 4.900 |

| №№ რიგზე | ღონისძიებების დასახელება | ზომის ერთეული | წელი | |
|---|---|---|---|---|
| | | | სამუშ. მოცულ. | სამუშ. ერთეულ. ღირებ. (მან. კაპ.) |
| 3 | ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები | მან | — | — |
| | სულ IX განყ. | — | — | — |
| | მათ შორის ხელფასი | — | — | — |
| | სულ ხელფასები გეგმით . | — | — | — |
| | მათ შორის ხელფასი მუშების . | — | — | — |
| | სულ ხარჯები . | — | — | — |
| | განყოფილება X. დაფინანსების წყაროები: | | | |
| | ა) ყველა სახის ჭრებიდან მიღებული ლიკვიდური მერქნის ღირებულება გასაშვებ ფასებში . . . . . . . . | მ$^3$/მან | 3900 | |
| | ბ) თესლებისა და სანერგე მასალების რეალიზაციისაგან მიღებული სახსრები . . . | მან | | |
| | გ) გარე მომსახურებაზე გაქირავებული ტრანსპორტისაგან შემოსავალი . . . . . | მან | | |
| | ხე-ტყის პროდუქციის ნარჩენების ცვლილებები | + მ$^3$/მან. | — | — |
| | | − მ$^3$/მან. | — | — |
| | სულ საკუთარი სახსრები | მან | — | — |
| | დაფინანსება ბიუჯეტიდან . | მან | — | — |
| | დანახარჯები ფორმის ტანსაცმლის შეძენაზე | მან | — | — |
| | დაფინანსების წყარო: ფორმის ტანსაცმლის ღირებ. დაბრუნება . . . . . . . | მან | — | — |

ხელის მოწერა

| წელში | მათ შორის კვარტალების მიხედვით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დანახარჯების ჯა-მი (მან.) | I | | II | | III | | IV | |
| | სამუშ. მოც. | დანახარჯ. ჯამი (მან) | სამუშ. მოც. | დანახარჯ. ჯამი (მან) | სამუშ. მოც. | დანახარჯ. ჯამი (მან) | სამუშ. მოც. | დანახარჯ. ჯამი (მან) |
| 21.500 | — | 5375 | — | 5.375 | — | 5 375 | — | 5.375 |
| 478900 | — | 116.875 | — | 120 675 | — | 120.675 | — | 120.675 |
| 438.100 | — | 106.900 | — | 110.400 | — | 110.400 | — | 110.400 |
| 699.301 | — | 155935 | — | 209.489 | — | 169.592 | — | 164,285 |
| 261,201 | — | 49.035 | — | 99.089 | — | 59.192 | | 53.885 |
| 873.496 | — | 203235 | — | 275.706 | — | 205.035 | — | 189.520 |
| 234.000 | — | 34.000 | — | 60.000 | — | 110.000 | — | 30.000 |
| 12.000 | — | 2.000 | — | 10.000 | — | — | — | — |
| 36.200 | — | 6.200 | — | 30.000 | — | — | — | |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 282.200 | — | 42200 | — | 100.000 | — | 110,000 | — | 30000 |
| 591.296 | — | 161.035 | — | 175.706 | — | 95,035 | — | 158.520 |
| 10.000 | — | 5.000 | — | 5.000 | — | — | — | — |
| 10.000 | — | 2500 | — | 2500 | — | 2500 | — | 2500 |

# სახელმძღვანელოს I და II ნაწილში გამოყენებული ლიტერატურა


კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტომი 1, 2, 3.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, დიადი წამოწყება. 29 ტ., მეოთხე გამოცემა.

ვ. ი ლ ე ნ ი ნ ი, როგორ მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრი, 26 ტ., მეოთხე გამოცემა

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტეილორის სისტემა—ადამიანის დამონება მანქანის მიერ. 20 ტ. მეოთხე გამოცემა.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ოფლის გამოწურვის მეცნიერული სისტემა, 18 ტ., მეოთხე გამოცემა.

ვ. ი ლ ე ნ ი ნ ი, ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ, 32 ტ., მეოთხე გამოცემა.

ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები. სახელგამი, მე-11 გამოცემა.

ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, სახელგამი, 1952 წ.

ს. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის რეზოლუცია—პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX და XX ყრილობების დირექტივები მეხუთე და მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილება—სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ.

სკკპ 1955 წ. ივლისის პლენუმის დადგენილება მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე მოხსენებები და რეზოლუციები.

**Постановление СМ СССР от 26 I 1954-г. „О мерах по улучшению руководства лесным хозяйством" МСХ СССР, 1954**

**Постановление СМ СССР от 26 I 1954 „Об увеличении выпуска товаров широкого потребления из древесины в лесхозах МСХ СССР" МСХ СССР 1954.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მიერ მიღებული კანონი მრეწველობისა და მშენებლობის მმართველობის გარდაქმნის შესახებ. 1957 წ. მაისი.

ტყის მეურნეობის დარგში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმძღვანელო მითითებები.

პოლიტეკონომია, თარგმანი, სახელგამი. 1954 წ.

სსრ კავშირის მრეწველობის ეკონომიკა თარგმანი. სახელგამი 1956 წ.

წესები ხე-ტყის ძირზე გაცემისა სსრ კავშირის ტყეებში. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროპაგანდის მთავარი სამმართველოს გამოცემა 1955 წ.

საკოლმეურნეო ტყეებში მეურნეობის წარმოების ორგანიზაციის შესახებ, სახელმძღვანელო მასალათა კრებული.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამომცემლობა, მოსკოვი. 1955 წ.

ინსტრუქცია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სატყეო შემოსავლის შესახებ თბილისი 1952 წ.

ინსტრუქციათა კრებული ტყის დაცვის საკითხებზე. სახელგამი 1952 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 29 იანვრის დადგენილება · ტყეების-ჯგუფებად და კატეგორიებად დაყოფის შესახებ.

სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტყის მეურნეობისა და დამცავი ტყეების გაშენების მთავარი სამმართველოს მითითებები ტყის მეურნეობაში სტატისტიკური ანგარიშების შედგენის შესახებ.

სსრ კავშირის ყოფილი ტყის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული აღრიცხვის ფორმათა ტაბელი. სახელმწიფო სტატისტიკური გამომცემლობა. 1951 წ.

წესები ხე-ტყის დამამზადებლებზე, ტყის საჭრელი ბილეთების და ხე-ტყისჭრაზე წვრილ-წვრილად გასაცემი ორდერების ბლანკების აღრიცხვის, შენახვის, შევსებისა და გაცემის შესახებ. თბილისი 1956 წ.

სატყეო კულტურების წარმოებისა და აღრიცხვის სახელმძღვანელო წესები სსრ კავშირის ევროპული ნაწილის დაბლობ ადგილებში. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამომცემლობა, მოსკოვი 1954

Машиностроение. Энциклопедический справочник. Том 15. гос. научно-тех изд. машиностроительной литературы. Москва 1951.

Министерство Сельского хозяйства СССР—Главное управление лесного хозяйства и полезащитного лесоразведения „Указания о порядке контроля за ведением лесного хозяйства в лесах закрепленных за министерствами, городскими советами депутатов трудящихся и другими учреждениями" изд МСХ СССР Москва 1954.

Главное управление лесного хозяйства и полезащитного лесоразведения МСХ СССР—„Указания по разведению хозяйственно-ценных древесных пород" изд. МСХ СССР. Москва 1956 г.

Главное управление лесного хозяйства и полезащитного лесоразведения. МСХ СССР. Указания к составлению промфинплана по хозрасчетной деятельности лес хозов—Моска 1955.

Министерство лесного хозяйства СССР „Правила закрепления лесосырьевых баз и ведения в них лесоэксплоатации и лесного хозяйства".—Москва 1952

Главное управление лесного хозяйства и полезащитного лесоразведения МСХ СССР—„Наставление по рубкам ухода в лесах СССР" Главное управление лесного хозяйства МСХ СССР 1953.

Его-же „Наставление по отводу и таксации лесосек в лесах СССР. Сельхозгиз, 1955.

Министерство лесной промышленности СССР отдел труда и зарплаты—Нормы выработки, сдельные расценки и система оплаты труда рабочих на лесозаготовках. Гослесбумиздат, 1952.

Приказ Министерства Сельского хозяйства СССР от 16 июня 1955 года Об оплате труда рабочих, занятых на лесозаготовках в лескозах системы МСХ СССР.—Москва. 1955 г.

Журнал—Лесное хозяйство и лесная промышленность за 1952—1957 г.

Главное управление лесного хозяйства и полезащитного лесоразведения МСХ СССР „Тарифные ставки, тарифно квалификационный справочник и сдельно-прогрессивная оплата труда рабочих лесного хозяйства системы МСХ СССР". изд Мин. сельск. хоз. СССР. Москва 1955.

ი. ლაბაშიძე—წაბლის ნაყოფმსხმოიარობის საკითხისათვის. სატყეო ინსტიტუტის შრომები. IV ტომი, 1952.

ლ. ს. ახმაითარაშვილი—ტყეკაფების გაწმენდა. 1939 წ

Т. Л. Басюк—Организация социалистического сельскохозяйственного производства. Госполитиздат. Москва, 1956.

Г. И. Бакланов—Анализ хозяйственной деятельности промышленного предприятия.

М. М. Бордин и другие—Оплата труда в лесном хозяйстве. Гослесбумиздат, 1956.

პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი—ტყე და მისი მნიშვნელობა. 1948 წ.

პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი—ზოგადი მეტყევეობა, საქართველოს სას. სამ. ინსტიტუტის გამომცემლობა, 1937 წ.

Проф. В. З Гулисашвили—„Горное лесоводство". Гослесбумиздат 1956 г. Москва.

გ. ნ. გიგაური—საქართველოს საკურორტო ტყეებში მეურნეობის წარმოების თავისებურებანი. ტყის მეურნეობისა და მინდორსაცავი ტყის გაშენების მთავარი სამმართველო. 1956 წ

И. М. Зима—Механизация лесохозяйственных и лесомелиоративных работ. Гослесбумиздат, 1952.

კ. მ. თარგამაძე—სატყეო მეურნეობის საწარმოო—საფინანსო გეგმა და მისი შედგენის წესი. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო მეურნ. მთავარი სამმართველო. 1957 წ.

კ. მ. თარგამაძე—უკეთ ვაწარმოოთ მეურნეობა საკოლმეურნეო ტყებში. 1953.

ს. კიკაბიძე—ტყის ბუნებრივი განახლება აბასთუმნის სატყეოში. თბილისის სატყეო ტექნიკური ინსტიტუტის შრომების კრებული, 1934 წ.

ნ. ნ. კეცხოველი—სალსალაჯიანი ტყე. საქართველოს ბუნების ძეგლები და ნაკრძალები. 1938 წ.

ვ. ი. მათიკაშვილი და ლ. ჩიბურდანიძე—ბაკურიანის სატყეოში ბუნებრივი განახლება ჭრებთან დაკავშირებით. თბილისის სატყეო ტექ. ინსტიტუტის შრომები. 1934 წ.

ნ. ს. მარგველაშვილი.—მთის ტყეებში ამორჩევითი მეურნეობისას მთავარი სარგებლობის ჭრების რეგულირების შესახებ. საქ. სას. სამ. ინსტ. შრომები. ტ. 39. 1953.

პ. ა. მეტრეველი—ფიჭვნარი კორომების ბუნებრივი განახლების მსვლელობა და მთავარი სარგებლობის ჭრების მეთოდების დადგენა ატენის ხეობაში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტყის ინსტიტუტის შრომები. ტ. III, 1950 წ.

ვ. ი. მირზაშვილი—კონცენტრირებული ჭრების საკითხისათვის მთიანი რელიეფის პირობებში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტყის ინსტიტუტის შრომები, ტ. I 1949 წ.

ვ. ი. მირზაშვილი—ახალგაზრდა ფიჭვნარების წარმოშობა და მოვლითი ჭრების სისტემის დადგენა მთაში. სატყეო ინსტიტუტის შრომები ტ. III—1950 წ.

ი. ს. მიქელაძე—მრეწველობის ეკონომიკა, თბილისი. სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა.

С. В. Малишев, В. Л. Джикович, П. И. Горнишин, Г. Ф. Горбачев—Годовой план лесхоза (руководство к курсовому проектированию). Всесоюзно-заочный лесотехнический институт—г. Ленинград 1955.

Г. П. Мотовилов—Лесоводственные основы организации лесного хозяйства СССР. Издат. Академии наук СССР. Москва 1955.

Н. С. Нестеров—Общее лесоводство. 1949.

Л. К. Парджанадзе—Борьба растительного покрова с разрушительным действием поверхностного стока. Труды Атенской горнолесо-мел. станции, вып. 1937.

В. И. Радецкий—Техническое нормирование лесокультурных и лесохозяйственных работ" ВНИИЛХ, выпуск 22, 1941 г.

А. М. Журов—Техническое нормирование на лесозаготовках и лесосплаве Гослесбумиздат. 1955 г.

დ. გ. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი—აღმოსავლეთ საქართველოს კალის ტყეები და მათში რაციონალური მეურნეობის წარმოების წესები. სატყეო ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1949 წ.

М. С а к о в—Организация хозяйственного расчета на промышленном предприятии, Госполиздат. 1956 г.

М. Е. Т к а ч е н к о—Общее лесоводство. Гослесбумиздат, 1952 г.

М. М. Т р у б н и к о в—Техническое нормирование в лесном хозяйстве Гослесбумиздат. 1956.

В. М. Щ е л о х о в, В. И. Д е н и с ь е в—Техническое нормирование и заработная плата на лесозаготовках.

Н Ю р л о в—Лесной доход. Госфиниздат. 1954 г

# სარჩევი

| | |
|---|---|
| | გვ. |
| წინასიტყვაობა: . . . . . . . . . | 3 |
| I სატყეო-სამეურნეო სამუშაოთა ორგანიზაცია | 5 |
| II. სატყეო-საკულტურო სამუშაოთა ორგანიზაცია | 31 |
| III. ტყის მეურნეობაში სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა ორგანიზაცია | 53 |
| IV. ტყის მეურნეობის საწარმოო პროგრამის დაგეგმვა . | 58 |
| V. თვითღირებულების დაგეგმვა | 78 |
| VI. ტყის მეურნეობის საფინანსო გეგმა | 97 |
| VII. ოპერაციული დაგეგმვა, აღრიცხვა და ანგარიშგება | 111 |
| VIII. სატყეო შემოსავალი . . | 127 |
| IX. ტყის მეურნეობის საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზის საფუძვლები | 155 |
| დანართი № 1 . . | 170 |
| სახელმძღვანელოს I და II ნაწილში გამოყენებული ლიტერატურა | 198 |

პ/მგ რედაქტორები: პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი და
პროფ. პ. მ. ჟღენტი
გამომშვები ქ. კ ა შ ი ა

უე. 00836 შეკ. 794 ტირაჟი 3000

---

გადაეცა წარმოებას 20/XI-57 წ. ხელმოწერილია დასაბეჭ-
დად 4/II-58 წ. ანაწყობის ზომა 7×11 საავტ. ფურც.
რაოდ. 12,0. საგ. საალ. ფურც. რაოდ 12,23
სასტ. ფურ. რაოდ 12,75.

**ფასი 5 მან. 60 კაპ.**

---

შრომის წითელი დროშის ორდენის საქართველოს სასოფლო-
სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 33.

---

**Типография Издательства Грузинского ордена Трудового
Красного Знамени Сельскохозяйственного Института.
Тбилиси, Просп. И. Чавчавадзе № 33.**

## შეცდომების გასწორება

| გვ. | სტრიქ. | არის | უნდა იყოს |
|---|---|---|---|
| 43 | 9 ზემ. | გაზაფხულის | გაზაფხული |
| 62 | 11 ქვემ. | სოხსენება | მოხსენება |
| 84 | 6 ქვემ. | მუშბობა | მუშაობა |
| 94 | 3 ქვემ. | საქარხო | საქარხნო |
| 110 | 14 ქვემ. | უარუნველყოფილი | უზრუნველყოფილი |
| 122 | 1 ზემ. | გეგმ | გეგმა |
| 130 | 6 ზემ. | დარღვევისა-თვის | დარღვევისათვის |
| 140 | 22 ზემ. | ახით | სახით |
| 164 | 1 ქვემ. | ჩიტარებული | ჩატარებული |